644
1996 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

5-6

1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

მაისი–ივნისი № 5-6

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო სამეგობრო:

ბალთაერ არაგული
ირაკლი ბაზაკაძე
ბიორგი გაკანიძე
(მთ. რედაქტორის მოადგ.)
ლევან ჭალაზონია
ელზა მეტრეველი
ჯაფალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო სამეგობრო

ეროდარ გრიგალაშვილი
ბივი ფეფეფკორი
დავით თეოდორაძე
ზაზა თეგარაძე
ეზეარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მგელაძერი
ბიბი სულაკაური
მიხეილ ქვლეფიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ზაფიმან ზაგანაძე
ნუგზარ ზატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მორიგე რედაქტორი:
ელზა მეტრეველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯეფალ აჯიაშვილმა

პოეზია და პროზა

7. ანდრო ბუაჩიძე — ლექსები

12. გივი მალულარია — შეხვედრა გამზირზე. რომანი. გაგრძელება

37. დალილა ბედიანიძე — ლექსები

42. თეონა ბექიშვილი — ლექსები

46. ბესო სოლომანაშვილი — კონტრაბანდისტები. მოთხრობა

63. ეანეფ ბულისკერია — ლექსები

65. გურამ ბათიაშვილი — საკუთარი თავის პოვნა ფიქთელ კუთხეში, ლენინისა და სტალინის პორტრეტების ქვეშ. მოთხრობა

79. ზურაბ ლამრელაშვილი — რომის ნაცვალი. მოთხრობა.

106. გიორგი მეტრეველი — ლექსები

ახალი თარგმანები

107. ბაბრიელ გარსია მარკესი — გენერალი თავის ლაბირინთში. დასაწყისი. ესპანურიდან თარგმნა თეა გვასალიამ

წერილები

139. ეკა ქორიძე — „ეფუსიტყვაოსანი" და ფოლკლორი

148. ზაზა ცოტნიაშვილი — ქართული ნოველა ღღეს

152. გრიგოლ ფარულავა — ასკეზი — მხედრობა. დასაწყისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20708

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘ 56

ᲚᲝᲢᲑᲐᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ
ᲛᲢᲠᲔᲓᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲛᲨᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲠᲘᲜᲓᲔᲑᲣᲚᲐ,
ᲡᲐᲒᲐᲚᲝᲒᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲗᲨᲘ
ᲢᲧᲔᲓ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐ ᲨᲘᲚᲘᲡᲢᲘᲛᲔᲚᲔᲑᲡ.

2. მიწყალე, ღმერთო,
                  დამთრგუნა კაცმა,
ყოველცისმარე მავიწროებს
მოშუღლე ჩემი.

3. ღღეგამუდმებით
მოსისხარი ჩანთქმას მიპირებს,
დია მომრავლდნენ მოცილენი,
                  უზენაესო!

4. ოდეს მეშინის,
ვსასოებ შენდა.

5. ღმერთში ვადიდებ მისსავე სიტყვას,
ვის შევუშინდე? —
                  მივენდე მას და
ვერას ვერ მავნებს ძეხორციელი.

6. ასახიჩრებენ ღღენიადგ
                  ჩემეულ სიტყვებს
და წყევასავით მატყდება თავზე
ბოროტეული განზრახვა მათი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7–8, 1993 წ., 1, 1994 წ., 1–2, 3–4, 5–6, 7–8, 1995 წ., 1–2, 3–4, 1996 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გარემომდგარან სათვალთვალოდ
მდევარნი ჩემნი,
მალვით უმზერენ ნაკვალევს ჩემსას,
რომ სული ჩემი მოიხელთონ შესამუსრავად.

8. ნუთუ წაუვლენ თავისივე უსამართლობას? —
რისხვით შემუსრე წარმართები,
ღმერთო მაღალო!

9. გამოგითვლია ჩემი ძრწოლვა,
ჩემი ხეტება,
ჯამში წვეთ-წვეთად ჩაგიწურავს
ჩემი ცრემლები,
რომ თავად შენვე ალგენუსხა
შენსავე წიგნში.

10. უკუდგებიან ჩემი მტრები,
ოდეს მოგიხმობ,
და აღმოვიტყვი:
„აჰა, ესერა,
კვლავ ჩემთანაა უფალი ჩემი!“

11. ღმერთში ვადიდებ მისსავე სიტყვას
და უფალს ვაქებ
თავისივე ნათქვამის გამო.

12. ეის შეეუშინდე! —
მივენდე ღმერთს და
რას მავნებს კაცი,
ძეხორციელი?

13. ღმერთო, მე მეზღო
შენი აღთქმები,
შენ შემოგწირავ სამადლობელს,
უფალო ჩემო!

14. შენ სული ჩემი
დაიხსენი სიკვდილისაგან
და ფერხნი ჩემნი აარიდე
წაბორძიკებას,
რომ ღმერთის თვალწინ მიმოვდიოდე
ამა ცხოვრების სხივით და
ნათლით.

ფსალმუნი 57

ლოტბარისადმი. „არ შეიმუსრო;“
საგალობელი დავითისა, როდესაც იგი
გამოქვაბულში გაქცა საულს.

2. მიწყალე, გესავ, ღმერთო ჩემო,
მიწყალე, გესავ,
მსასოვარმა მოგანდე სული
და შენი ფრთების საფარველში
ვეძიებ სადგურს,
ვიდრემდე სრულად წარხდებოდეს უსჯულება.

3. ღმერთს შევღაღადებ მაღალთა შინა —
კეთილმყოფელს და
მწყალობელს ჩემსას.

4. და ის ზეციდან
მოწყალებას წარმომიგზავნის,
შემიწყნარებს და
გააწბილებს დამთრგუნველს ჩემსას,
წარმოაგზავნის ჭეშმარიტებას,
წყალობას თვისას მოგვმადლებს ღმერთი.

5. ძრწის ჩემი სული ლომების ჩრდილქვეშ,
სამკვიდრო ჩემი —
ალმური ცეცხლის:
გარემეხვევა ადამის მოდგმა,
მომართულია მშვილდ-ისრებად კბილები მათი
და ენა მათი
გაბასრულა მახვილის დარად.

6. და შენ, უფალო, აღზევდები
მაღალთა შინა,
მთელ ქვეყანაზე
განფენილა დიდება შენი.

7. განართხეს მახე ჩემთა ფერხთათვის
და სული ჩემი დაამდაბლა
მძიმულემ ჩემმა,
წინ გამითხარეს ორმო და
თხრემლი,
თვითონ ჩაცვივდნენ თავისივე გათხრილ ხაროში,

8. მომართულია გული ჩემი,
უფალო ჩემო,
მომართულია გული ჩემი და
გივალობებ და
გიმღერებ ქებას.

9. გამოიღვიძე, დიდებავ ჩემო,
გამოაღვიძე ჩანგი და
ქნარი, —
გამოვაღვიძებ დილას და
ცისკარს.

10. და მე ხალხებში შეგასხამ ქებას
და გივალობებ წარმართებს შორის.

11. რადგან ზეცამდე აღემაღლა შენი წყალობა
და ღრუბლებს მისწვდა
შენეული ჭეშმარიტება.

12. აღზევდი, ღმერთო,
მაღალთა შინა,
მთელ ქვეყანაზე განფენილა
დიდება შენი.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

●

შენ გინდა იქით წახვიდე, სადღაც,
სასაფლაოს და ქარხნების იქით,
სადაც ცხოვრების უფერულ დამღას
ცვლის ალმაცერი ხეების რიგი.
შენ გინდა იქით წახვიდე, სადღაც,
მოხრიოკებულ მინდვრების იქით,
სადაც ბეტონის ჟანგიან ნახრავს
ქარი ამაგრებს სუსხით და კირქვით.
შენ გინდა იქით წახვიდე, — წახვალ,
სადაც ყინვა წერს მინდორზე ვარსკვლავს
და ტოტებს შორის გაკვანძულ ნასკვად
ირმის ნახტომი ცახცახებს მაღლა.

●

ხომ შეიძლება, რომ შენ არ იყო
და შეიძლება, რომ იყო კიდევ
და შეიძლება ღამემ წაიღოს
შეწითლებული კედლების კიდე.

ხოლო ხიდები კი დგანან წყალში,
ტალღებზე უხეშ თაღებს აბჯენენ
და შორს წაიღებს მტკვრის ბნელი წყალი
ცრემლების, თმების, ტანჯვის ნარჩენებს.

და შეიძლება, რომ შენ არ იყო
და შეიძლება, რომ იყო კიდევ
და შეიძლება წაღმა წაიღოს
წყალმა წითელი კედლების კიდე.

შენ წახვედი ქვეყნიდან

შენ წახვედი ქვეყნიდან,
სადაც არ დევს ქვა ქვაზე,
სადაც გადაელიტა
მთვარე ზურგზე ნაგაზებს.

შენ წახვედი ქვეყნიდან,
შენი კვალი ახოცეს;
ღამე არის შერყვნილთა,
ზეიმი აქვთ ავხორცებს.

ქარი გვერდზე გადახრის
ხეებს, როგორც მეგობრებს
და სართულებს ეცემა
ჩრდილი, როგორც მეკობრე.

შენ წახვედი ქვეყნიდან,
სადაც წვება ღრუბელი,
სადაც იწვის სანთელი,
სადაც ქარი უბერავს,

სადაც არის ნაცარი,
სადაც არის ვარსკვლავი,
სადაც არის ბაწარი,
ყელზე გადასანასკვი.

შენ წახვედი ქვეყნიდან,
სადაც დაირბია,
სადაც წარბებს შეხრიან,
აირ-დაირევიან.

თეფში დაილეწება,
დაიმსხვრევა ბოთლები,
არის ხელის ცეცება,
იატაკზე მოთრევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ წახვედი ქვეყნიდან,
სადაც არის უკუნი,
სადაც არის ტირილი,
სადაც არის სლუკუნი,

სადაც არის ღმერთი და
ამავე დროს არც არის,
სანთელი დაიღვენთა
გაიქქა ნაცარი;

სადაც არის სანთელი,
სადაც არის ვედრება,
სადაც არის ნათრევი,
ნაწამები ცხედრები.

შენ წახვედი ქვეყნიდან,
სადაც არ დევს ქვა ქვაზე,
სადაც გადაეღლიტა
მთვარე ზურგზე ნაგაზებს.

●

ფანჯრის რაფაზე მზის სინათლე იდო განძივით
და დამდებოდა ოთახებში ბროლის ჭადებქვეშ,
მჭიდროვდებოდა სახლებს შორის მცირე მანძილი,
ქარი აქროლდა გადაწრეტილ შუქის ნადვერდლებს.
და ახლა ალბათ რადიოში ჟღერს იქ მუსიკა,
დაეტანება გრძელი სხივი ვიწრო კარებში,
ვიდრე სალამოს ჯერ მთლიანად არ გაუზიდავს
ოთახებიდან წყნარი ბგერა, როგორც ავეჯი.
ჰო, ახლა ალბათ რადიოში ჟღერს იქ მუსიკა
და სინანულით არხევს ჰაერს, როგორც ფეხის ხმა,
შემოღწეული ფანჯრებიდან, როცა უზიხარ
ძირს დაყრილ სხივებს, შენს ცხოვრებას რომ შეეხიზნა.

მსხვრეული კაცი

ქუჩაში ეგდო კაცი მსხვრეული,
როგორც უაზრო ბედის ნასხლეტი,
ქვაფენილებზე იდო სხეული —
ვარსკვლავის სხივზე გადანამსხვრევი.

ქუჩაში ეგდო კაცი მსხვრეული,
სიკვდილი უცებ გამოეწყარა,
მთვრალი, დაღლილი და დარღვეული
მისი სიცოცხლე წყვდიადს ეჭირა.

რა უაზროა ეს ვარსკვლავები,
ხოლო ღამე კი არის უშვერი,

ქარები კვანძებს გადანასკვავენ,
ქარი მოარჩენს ანდა უშველის.

ქუჩაში ეგდო კაცი მსხვრეული,
უკვე იქ იყო, უკვე ეძინა,
პირზე სიკვდილი ჰქონდა ცხებული —
ნავვიანევად თუ გაეცინა.

ბნელი ქუჩები ჰგავდნენ დერეფნებს,
სადაც უეცრად გატყდა ნათურა,
სადაც აგდია კაცი მსხვრეული
და ქვაფენილზე ქარი ფათურობს.

●

მე წავალ, ვიარ ქვაფენილებზე, ელნათურებქვეშ, კოჯრის გზისაკენ,
მე ვიარ ღამით დაუდევარი ცხოვრების მერე, ალბათ მანამდეც,
ღამის მგზავრები შინ დაბრუნდნენ და კრძალვით პირჯვარი
გადაისახეს
და რადგან სახლში შუქი არ დახედათ, გრძელი სანთლები უზმოდ
აანთეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე წავალ, ვიელი ქვაფენილებზე, ჩემი ცხოვრება სიარულია,
თრიალეთიდან კოჯრის გზისაკენ, სინანულიდან სინანულისკენ,
როცა ვარსკვლავი რჩება ვარსკვლავად, ხოლო სურვილი რჩება
სურვილად,
რაღა უნდა ქნა, ისევ ამ ღამეს უნდა გაენდო და განურისხდე.

მე წავალ, ვიელი ქვაფენილებზე, ელნათურებქვეშ, კოჯრის გზისაკენ,
მე ვიელი ჩემი ცხოვრების მერეც, დაგესიზმრებით, ალბათ მანამდე,
ღამის მგზავრები შინ დაბრუნდნენ და შიშით პირჯვარი გადაისახეს
და რადგან მხოლოდ კედლები დახვდათ, გულის წადილი კედლებს
გაანდეს.

●

აი, ის ბიჭი ახლაც აქა დგას,
აი, ის ბიჭი ქარს უშვერს კეფას,
ახლა ის ალბათ ნაბიჯს გადადგამს
და სინამდვილე იქცევა ქვებად.

აი, ის ბიჭი — ნაწამებია
და სინამდვილეს ზეერავს მალულად,
ჯერ კიდევ არის გადასაწერი,
რადგან სიცოცხლე არ გაპარულა.

აი, ის ბიჭი, მისი მზერიდან
ამოახხივებს დაღლილი ჯავრი,
ის — ღამეების ჯვარზე გაკრული,
ხომ შეიძლება გაგიჟდეს ჯავრით...

საუბარი წყვდიადში

უნდა ღამეს ჩახედო
ანახველებ ყიაში,
რათა გაჯახირო
საუბარი წყვდიადში.

საუბარი წყვდიადში
ჩემი ნადავლი არის,
უნდა გამესაუბროს
შავი ადამიანი.

წყვდიადი ფრთას დაგბურავს,
ქარი გაგანადგურებს
და ზედ თავზე დაჭყურებს
ვარსკვლავი ელსადგურებს.

ჩემი წილადობილა —
ცის წიაღში ვარსკვლავი,
ძმობილად და დობილად
ცოდან გამინასხლავი.

პროექტორი გასერავს
ღამეს, როგორც მეურვე
და მე კი ალმაცერად
ვფურცლავ თავთხელ რვეულებს,

რომ რვეულში გავკიდო
ნაჩივარი ირიბად,
რომ ღამე არ გაქირდოს
ამომსკდარმა ყვირილმა.

ელსადგურებს დაჭყურებს
თავზე ცოცქნა ვარსკვლავი,
მე კი ნადველს ვახურებ
უკვე გულზე გამსკდარი.

და სულ მინდა ვხედავდე
ანაჭედებ ვარსკვლავებს,
სანამ წილადობილას
ყელზე გადამნასკვავენ.

სანამ ღამის უჯრაში
ორთქლმავალი იკვლევს,
სანამ მთვრალი ქუჩაში
ქარზე ჩაიქარქილებს,

სანამ არაყს დაისხამს
მამაძაღლი ჭიქაში,
სანამ ასისხამდება
უკუნეთის შიგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ვარსკვლავი
იმ ჭიქაში ჩავარდეს —
გულზე გადანაკრავი
ღამის მოიჯარადრე.

გახვეული ზეცაში
ღამის ცრუ აპათია,

ვარსკვლავს მაინც ვერ წაშლის, —
გუბეებში ანთია.

მიჰქრის ასე თვალღია
ამ ცხოვრების დღეები,
ზოგჯერ თავზე გვამხია
ჭრელი საკურთხეველი.

●

დაჭიმულია და ოდნავ ტოკავს სიმწვანის მუქი, ხვეული ფარდა,
ცხოვრებაც ასე ტოკავს და მიჰქრის სავსე ჩრდილებით და სინათლეთი,
აღარაფერი აღარ დარჩება ამ უშავესი ვარდების გარდა,
მარმარილოზე შავი ვარდები — შენი ცხოვრების ვიწრო ნაფლეთი.

მარმარილოზე თეთრი ვარდები — ხმაჩამსხვრეული ჩიტის ყლორტული
დაქანცული ვარ მზურვალე სიცხით და ხმელეთიდან დაძრული ვნებით,
მზის ნაფლეთები შავ სიმწვანეში გადახლართული და აბურული,
მეც საღამოსთან ერთად ვილევი და ფილაქნებზე ჩრდილივით ვდნები.

ვიწრო ძარღვებში ჩუმად ხმაურობს, თრობის ძაფებზე მასხამს
წარაფი,
მარმარილოზე შავი ვარდები და ფილაქნებზე შავი ფურცლები,
მწვანე მაისი და შავი ვარდი, ისიც მე და შენ და სხვა არავინ
სასაფლაოზე, სადაც ჟამი ძევს ქვებზე ქვებივით მხარშეუცველელი.

ლუმილი

ქარმა გაშალა ხეებში მახე,
გადაუარა შრიალით ხეებს
და სახლებს, როგორც მდუმარე ჩარხებს,
ხეები ვერცხლის ქაღალდში ხვევენ.
მონარდეებმა დატოვეს ნარდი,
ლავგარდანებზე გადატყდა სხივი
და აჰყვა სუროს ბოროტი დარდი,
რომელიც ვეღარ იკავებს ღიმილს.
ქვაფენილებზე აგდია ურცხვად,
ქვაფენილებზე აგდია ტყვილა

და მომლოდინე ცრემლების კურცხალს
უკვე გრძნობს ჯერ არდაძრული ტყვია.
სახლებში მაგრად კეტავენ რაზებს,
ქვეშაგებს შლიან და ცლიან ჭიქებს
და ტყვიის მახე შრიალებს ქარზე,
ხოლო სიკვდილი კი აჩენს ჩლიქებს.
ღამეს წერტილი დაესვა ტყვიით,
უცბად გადატყდა სიცოცხლის რაზა,
არა ყოფილა სიკვდილი ტყვილი,
რადგან შენ ასე დდუმდი, ზაზა.

გარეთ

ვიღაცას ისევ აუტყდა ხველა
და თითქოს ქუჩებს დაეცა დამბლა,
ჩამავალი მზის სინათლე ხელათ
ჩამოქვეითდა ხეებზე დაბლა.
თითქოს დამთავრდა ამბავი უცებ,
სახლში წავიდნენ და წაჰყვათ ჯავრი.

ჭერქვეშ მიელის სუყველა სულგრძელს
ცხოვრება, როგორც ფიტული ჩალის.
ცხოვრება, როგორც ნაძვისხის დრამა,
ცხოვრება, როგორც ახალწლის ღამე
ამაღამ გახსნის მილიონ დარანს
და დღესასწაულს აჩუქებს ღლავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

როდესაც მარტო გადადიხარ ამ ახალ ხიდზე
ბაგებისაკენ
და არაფერს არ გეუბნება
არც ტყე, არც ველი მიეფდებული, არც დაღამება,
არც ფლატეებზე მოდებული წითელი ენგი...
მაღალ კორპუსებს ეფინება მწუხრი ხავერდად
და საიდანღაც მოირხევა ცხოვრების ჰანგი —
ბარაკებიდან...
და შენ კი ასე გადადიხარ ბაგებისაკენ —
რადგან შორიდან ვილაცისთვის ჩანდე წერტილად,
რადგან ცხოვრება გაურკვეველ სურვილად გექცა,
რადგან ბექობი აიარე გულდაწყვეტილმა...

ან რა გინდოდა,
ან რას ეძებდი,
როდესაც ხიდზე გადახვედი ბაგებისაკენ.

ზემოდგომა დაცარიელებულ აგარაკზე

აი, ფერადი შემოდგომა, აი, ფანქარი,
თითქოს ვიღაცა ამ სურათებს უხმოდ აფასებს,
გამოღწეული ლაჟვარდიდან სხივთა ამქარი,
გადახახული ხეებზე და ფანჯრის რაფაზე...

ამაოება, ფრინველების გადაწერილი,
ამაოება ტყეების და აგარაკების,
ჩემი ცხოვრება, წატეხილი ფანქრის წვერივით,
და ფანქრის წვერზე კიდევ ბევრად არანაკლები.

ყრუ აგარაკის ფანჯარაში საკვამურიდან
მოხვედრილი ბუ ტყის სევდიან ნათელს უყურებს,
ასე თენდება და ღამდება დაკარგულისთვის,
ასე ილევა აგარაკზე ეს საუკუნე.

რატომ წახვედი? ხომ ჯობდა, არ წასულიყავი.
რატომ მოხვედი? ჯობდა, ადრე მოსულიყავი.
უხმოდ ადექი და აკრიფე შენი კალთები
და ეს ცხოვრება განიძარცვე, როგორც ნიღაბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

უეხვედრა გამზირზე

რომანი

პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ზვიადგინცევს ისე დაავალა სიების შედგენა, რომ არც მისთვის და არც სხვებისათვის არაფერი უკითხავს. ანდა რატომ უნდა ეკითხა? მმართველობის სტილი იცვლებოდა, კოლექტიურ ფორმალიზმს ერთპიროვნული აბსოლუტიზმი ცვლიდა. ამას ზვიადგინცევიც გრძნობდა და, ბატონკაცური ცხოვრება რომ არ დაეკარგა და მთლად არ გაცხოველებულიყო, დავალება პირნათლად შეასრულა.

ათი დღის შემდეგ სამხარეო კომიტეტის მდივანმა სამსახურში დაურეკა, კაბინეტში მიიწვია და პატიმართა სიები წინ დაულაგა. სიები თაბახის ქაღალდზე იყო ჩამოწერილი და ბოლო არ უჩანდა. მარტო ღმერთმა იცოდა, ამ სიების უკან რამდენი უბედურება, ცრემლი, უსამართლობა, ბოღმა და კბილთა ღრჭენა იმალებოდა. სიებიც და მათ უკან მდგარი ხალხიც სინამდვილე იყო და ამ სინამდვილისაგან არც თავის დაცვა შეიძლებოდა და არც დამალვა. მართალია, პატიმრები ხმას არ იღებდნენ, ლურჯი მელნით დაწერილი ასოების მეტს არაფერს წარმოადგენდნენ, მაგრამ ასოთა მოხაზულობაში ცხადად იღანდებოდა ნაგვემი ხორცის სიძაბუნე, ნაკლული სისხლის უფერულობა და ნამალავი აზრის სითალზე. ისინი უკვე სხვა საზოგადოების წარმომადგენლები, სხვა ჯურის ადამიანები იყვნენ და ამაზე არა მარტო სიები მეტყველებდა, არამედ პატიმრების სულიერი გაწნწყობილებაც, სიმღერებიც, ჟარგონიც. ამ ჟესტებზე, სიმღერებზე, ჟარგონზე უფრო ლაკონური, ემოციურად დატვირთული და ზუსტი არასოდეს არაფერი უნახავს. სევდაც კი ისე იყო ჩაქსოვილი ბგერებში, თითქოს ერთად იშვნენ და ერთად შეეძინეს ხმოვანება. გადარჯულებამ ისინი უფრო აამაღლა, ვიდრე დაამდაბლა, უფროსებთან შედარებით უფრო გააადამიანურა, ვიდრე გაამხეცა, რაღაც ისეთის დაფასება ასწავლა, რასაც გარეთ ან ფეზით თელავდნენ, ან ნავავს ატანდნენ. მიუხედავად ამისა, ადამიანებად მათ მაინც არ თვლიდნენ, არავითარ წილს არ უდებდნენ ცხოვრებაში, არ იცავდნენ, არ ინღობდნენ, არ იწყალებდნენ, მაგრამ მათ გარეშე იმასაც კი ვერ აშენებდნენ, რითაც თავი მოჰქონდათ, რასაც კომუნიზმს ეძახდნენ. მათ არ ათბობდნენ, არ აჭმევდნენ, არ ასმევდნენ, მაგრამ, როცა კარგი ხელისანი, ოსტატი ან სპეციალისტი სჭირდებოდათ, მათ აკითხავდნენ. სიძულვილს უცხადებდნენ სწორედ იმათ, ვისი შეძულებაც არ შეეძლებოდა, ხმას აკმეღინებდნენ იმათ, ვისაც სათქმელი უამრავი ჰქონდა, უზიარებლად აგდებდნენ მიწაში იმათ, ვისაც მართლა სჭირდებოდა ზიარება. ამ დათრგუნვა, დაკნინება, და-

---

გაგრძელება. დასაწყ. იხ. „ცისკარი", № 7-8, 1995 წ., № 1-2, 3-4, 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონებაში მასაც მიუძღოდა ბრალი, თვითონაც მონაწილეობდა უფლებაყრილთა ძარცვასა და ჩაგვრაში, მაგრამ იგი ნემსის ყუნწში იმიტომ გაძვრა, რომ მასზე ეღირსს არ გაეფლა, არ მოეღრეკინა, — ისეთ გარეწარს, საკუთარ სიცოცხლეს დიდ ფასს რომ აღებს, სხვისას კი არაფრად აგდებს.

პატიმრებთან ადრეც ჰქონია საქმე, მათ მიმართ არც მტრულად იყო განწყობილი და არც სიძულვილისაგან უვიწროვდებოდა თვალები; მცოდნეებსა და გამოცდილებს პატივისცემითაც კი ექცეოდა, მაგრამ მათში ის არ მოსწონდა, რომ თითქმის დაცარიელებულები, გაგულგრილებულები, გასრესილები იყვნენ, ცხოვრების განცდილის, გადატანილის მიხედვით აღიქვამდნენ და იმ კედლის მშენებლობაში, მათსა და გარე სამყაროს ერთმანეთს რომ აშორებდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, უზომდ უწვეშოდნენ ქვეშ იმ უსისტემოდ აგებულ მანქანას, რომლის დანიშნულება და საბოლოო მიზანი არც სხვებს ესმოდათ და არც მათ. ამიტომ სისულელედ მიაჩნდა თავის გაწირვა რაღაც ისეთისათვის, რაც მეტისმეტად შორს იყო და თვალებგახელილი კაცის ნდობას არ იმსახურებდა. პატიმრებს შორის პატივს არც იმად სცემდა, უამრავი ცოდვა რომ ჰქონდათ ჩადენილი და ახლა თავზე ნაცარს იყრიდნენ. მათთან შედარებით მისი უპირატესობა ის იყო, რომ ჭკუა და სალი აზრი არასოდეს დაუკარგავს, შორს ყურებას იმის დანახვა ერჩია, რასაც თვალით სწვდებოდა. იმ საგიჟეთში, ყველაზე მოწესრიგებულ საზოგადოებრივ წყობას რომ უწოდებდნენ, ცხოვრებასაც უკეთ არომეცდა თავს და იმ სიმდიდრესაც ნაყოფიერად იყენებდა, ასე უპატრონოდ რომ ეყარა ეკლიანი მავთულხლართების მიღმა, მართალია, ცოცხალი მასა, ამ მასის პოტენციალი და სიმდიდრე ამ შორეულ მხარეში დამსჯელებმა და მიმალულებმა მოზიდეს, შეუფასებლად და დაუხარისხებლად დაახვავეს, მაგრამ ამ ცოდვასკითხვაში პირადად მას მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ არც პასუხს აგებდა იმისათვის, რაც ირგვლივ ხდებოდა.

ამ აზრმა შვება მოჰგვარა, დაამშვიმინა, შინაგანად გაანწყალწორა. ისევ რომ არ ამღვრეოდა გონება, გადაწყვეტა, საქმეზე ეფიქრა და არა იმაზე, რაც სიეს უკან იმალებოდა. წითელ ხაზს მხოლოდ იმათ გვარს უსვამდა, ვისაც საჭირო სპეციალობა ან კვალიფიკაცია ჰქონდა და ბანაკში მხოლოდ იმის გამო მოხვდა, რომ მტერი და მოყვარე ვერ გაარჩია, თორემ ისინი, ვინც მარილა ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, კარგა ხნის დახვრეტილები იყვნენ. პატიმრებს შორის ინჟინრებიც იყვნენ, მექანიკოსებიც, ზეინკლებიც, ტემონტაჟეებიც, ელექტრიკოსებიც, ხარატებიც, შემდუღებლებიც და მეფოლადეებიც. ამ სიების კითხვის დროს თავს ისე გრძნობდა, თითქოს გადანახული სიმდიდრე მოართვეს და ახლა უჭირდა იმის გადაწყვეტა, რა აერჩია და დაესაკუთრებინა და რა დაეთმო. ამიტომ კითხულობდა დაკვირვებით, დინჯად, ისე, თითქოს უფრო ზუსტ პასუხს ვვარი გასცემდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სიაში ბევრი უცხოური, უწიგნურთა მიერ დამახინჯებული ვვარიც ეწერა.

უეცრად შეცბა, შეიშმუშნა, ფანქარი ხელიდან გაუვარდა. ერთ-ერთ ბანაკში, რომელიც კრასნოიარსკიდან საკმაო მანძილით იყო დაშორებული, მირიან ზარდაშელი იხდიდა სასჯელს. მისი გვარის წაკითხვა არ ესიამოვნა. რომ არ შემცდარიყო, კიდევ ერთხელ გადაიკითხა, მაგრამ პატიმარი რომ მისი თანაკლასელი იყო, ამას პროფესიაც აღასტურებდა. თუმცა მირიანის სიაში აღმოჩენას ისე არ გაუკვირვებია, როგორც სასჯელის ვადამ გააკვირვა. იმ დღემდე, რატომღაც, დარწმუნებული იყო, რომ მირიანს თუ უმაღლეს ზომას არა, მაქსიმუმს მაინც მიუსჯიდნენ და ახლა ვერაფრით აეხსნა, რატომ გამოიჩინა ტრიბუნალმა მის მიმართ ასეთი შემწყნარებლობა და, დახვრეტის ან მაქსიმუმის ნაცვლად, ხუთი წელი მიუსაჯა. ხუთი წელი არც ისე დიდი სასჯელი იყო, რომ ტყის დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადებაზე გამწესებულ კაცს ვერ მოეზადა. საფიქრალი იმანაც გაუჩინა, რომ მხატვარი მას მართლაც სჭირდებოდა. დაჟინებით მოითხოვდნენ პლაკატებისა და ლიზუნგების გაკვრას, სტენდებისა და წითელი კუთხის მოწყობას, მაგრამ წარსულის ასე უეცრად ამოტივტივებამ, იმის გახსენებამ, რაც თავს გადახდა, პირველ წუთებში გააღიზიანა, აღაშფოთა. აქაც არ ასვენებდა, აქაც ახსენებდა თავს ის კაცი, ვის გამოც ამ ყიამეთში გადმოიხვეწა, აქაც იძულებულ ხდიდა, იმ არჩევანის წინ დამდგარიყო, სინდისს რომ ქენჯნის და რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღო, მაინც სანანებლად გაგიხდება.

ოჯდა, იმ პატიმრების გვარს, სახელს და მამის სახელს იწერდა, ქარხნის ასამუშავებლად რომ დასჭირდებოდა და მირიანზე ფიქრს თავდან ვერ იშორებდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — შეეტანა სიაში, გადმოყვანა ქარხანაში და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა, თუ უყურადღებოდ, ბედის ამარა დაეტოვებინა და ხელები დაებანა. მისი მერყეობა იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ მირიანისათვის ენანებოდა ის მცირედი, რისი გაღებაც შეეძლო, არამედ საკმაოდ ანგარიშგასაწევი მოსაზრებებით. ჯერ ერთი, მირიას უთუოდ ექნებოდა წაკითხული მისი და მისი ამხანაგების ჩვენებები. იმ ჩვენებებში ბევრი რამ ეწერა ისეთი, რაც მართალი არ იყო, რის ოქმში შეტანასაც გამომძიებელი მოითხოვდა და ამიტომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა რეაქციას გამოიწვევდა ისედაც თავქარიან, დაკომპლექსებულ ადამიანში მისი დანახვა. გამორიცხული არ იყო, რომ პატიმრების თანდასწრებით ან სილა გაეწნა, ან სახეში შეეფურთხებინა და გამეცემი და ცილისმწამებელი ეწოდებინა, რაც მის პრესტიჟს არა მარტო პატიმრებს შორის შელახავდა, არამედ ხმები ქალაქშიც გაადწევდა. გარდა ამისა, მირიანს რომ მისთვის სილა გაეწნა ან სახეში შეეფურთხებინა, ქარხნის დირექტორზე, თანამდებობის პირზე ზელის აღმართვისათვის მკაცრად დასჯიდნენ, კარცერში ჩასვამდნენ, აშიშშილებდნენ, საქმეს შეუდგენდნენ და სასჯელს დაუმატებდნენ. ამით კი იგი მირიანს დათვურ სამსახურს უფრო გაუწევდა, ვიდრე დახმარებას, და მის თვალში კიდევ უფრო დამდაბლდებოდა.

იმ საღამოს მელანში ჩაწობილი კალამი რამდენჯერმე შეაშრა ხელში. ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა, შეეტანა მირიანი სიაში თუ არა. საქმე ის იყო, რომ შეიძლება მირიანს არც სილა გაეწნა და არც სახეში შეეფურთხებინა, შეიძლება ციხეც და სასჯელმა უფრო გონიერი, უფრო თავშეკავებული გახადა, მაგრამ გონიერება არც სიძულვილს აქარწყლებს და არც სიყვარულს ბადებს. მირიანისათვის იგი იმ შორეულ მხარეშიც კი ის კაცი იყო, ვისი არც ხასიათი მოსწონდა და არც ცხოვრების წესი და მის თანამდებობას ანგარაშს არ გაუწევდა, არ დაინდობდა. პატიმრებს ყველაფერს უამბობდა, — ვინ იყო, საიდან მოვიდა, რა კაცია, და იმ სიტყვებსაც ჩაუკაკლავდა, ჩვენებაში რომ ამოიკითხა, პატიმრები მირიანის ნათქვამს გააზვიადებდნენ, ბანაკებს მოსდებდნენ და, თუ პირში არაფერს ეტყოდნენ, პირსუკან მაინც დაუწყებდნენ ქირდვას. მას კი საქმის დასაჩქარებლად და საკავშირო ავტორიტეტის მოსახვეჭად პატიმრების პატივისცემა და ნდობა სჭირდებოდა. მათთვის იგი დირექტორი, უცხო კაცი უნდა ყოფილიყო და არა მათი ამხანაგის საქმეში გარეული, მის ხარჯზე ჩეკას ელანჭვიდან თავდახსნილი სალახანა. პატიმრები არაფრის ძიებას არ დაიწყებდნენ, ისინი მხოლოდ ფაქტს გაუწევდნენ ანგარიშს. ამ ფაქტის მიხედვით კი მირიანი მსჯავრდებული, პატიმარი იყო, თვითონ კი დიდი კაცი, ქარხნის დირექტორი.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც თავს იკავებდა. შეიძლება პატიმრობამ და არაადამიანურმა მოპყრობამ მირიანი გამოაცარიელა, გაამამაძაღლა, გააცინიკოსა. ასეთი კაცი ქარხანაში რომ გადმოეყვანა და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა, შეიძლება მირიანს მისი საქციელი სინდისის ქენჯნად, დანაშაულის გამოსყიდვად მიეჩნია და შანტაჟი მოეწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო, პირობა წაეყენებინა, თუ ამა და ამ თხოვნას არ შეესრულებ, ყველას ყველფერს ვუამბობ და თავს მოვჭრიო. ეს კი მათ შორის ურთიერთობას კიდევ უფრო დაძაბავდა, გაამძაფრებდა. შანტაჟისტს შეეძლო ისეთი რამე მოეთხოვა, რაც კანონით აკრძალული იყო, მას კი ორ ცეცხლს შუა დგომა არც შინ უყვარდა და არც გარეთ. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თვითონ გაეწნა სილა მირიანისათვის.

გადაწყვეტილება რომ მიეღო, ფეხზე წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, საათს დახედა და ისევ დაუბრუნდა მაგიდას, ანგარიში იმ მოსაზრებისთვისაც უნდა გაეწია, რომ მირიანი ქართველი იყო და როგორც კი მხარდაჭერას იგრძნობდა, შეიძლება პატიმრების წინაშე თავი მოეწონებინა და ეთქვა, რომ ქარხნის დირექტორი არა მარტო ქართველი იყო, არამედ მისი სკოლის ამხანაგიც. ეს კი სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის შურის გრძნობას გამოიწვევდა, მას საციონალისტობას და მეკერძოებულობას დაუბრალებდნენ და ანონიმურ წერილებს გაუშანშალებდნენ. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ აქ, ამ შიროეულ მხარეში, სადაც თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონდა, არ უნდოდა მოწმედ ჰყოლოდა ისეთი კაცი, რომელიც ბავშვობიდან იცნობდა. აქ მას მართლაც სჭირდებოდა ვიღაც-ვიღაცებისათვის თვალის ახვევა, ვიღაც-ვიღაცებისათვის თავის მოქონა, ვიღაც-ვიღაცების დასჯა, თანაც იმ რიხითა და ი ნ სიმკაცრით, როგორც დირექტორს შეეფერება, და ყოველივე ამაში მირიანი ხელს შეუშლიდა, მისი მოქმედების მასშტაბებს დაავიწროებდა. ამიტომაც არ შეიტანა მირიან ზარდაშელი იმ პატიმართა სიაში, ქარხანაში რომ უნდა გადმოეყვანათ სამუშაოდ.

XVI

ბერიკაცი ისე მიაბიჯებდა გამზირზე, თითქოს უხლავი ძალა ეწეოდა და ახალშეყვითლებული ფოთლებიც კი, ფარფატით რომ ვშვებოდნენ ტროტუარზე, შავი და მალეხრწნადი ეჩვენებოდა. მზერა ებინდებოდა, გარემო სახიერებასა და ბუნებრიობას კარგავდა და ისეთ ნიშნებს იძენდა, რომელთა აშოხსნა მისი საქმე არ იყო. დრო ხელიდან უსხლტებოდა, იმ დინებას ერწყმოდა, სადაც არაფერს არავითარი ღირებულება არა აქვს და ისე ტოვებდა მშრალზე, რომ სავარაუდოდ და სანუგეშოდ არაფერს უტოვებდა. მეხსიერების უფლებელ-ყოფა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ეგონა. არაფერი არ ქარწყლდებოდა და იხრწნებოდა ისე, რომ უკვალოდ გამქრალიყო, პასუხი არ მოეთხოვა იმისათვის, რაც ამდენ ჯაბირად და დავიდარაბად დაუჯდა. რამდენი რამ გაახსენდა ისეთი, გახსენებადაც რომ არ ღირდა, რამდენი რამ აღმოჩნდა სიბერესავით ბანალური. სიბერემ იმითაც იჩინა თავი, რომ დღეს რალაცამ გაგულისა, გაადიდგული და ამ გადიდგულებამ საკუთარი თავის წინააღმდეგ განწყო. შეიძლება ამის მიზეზი ის მძიმე და უსიამო საუბარი იყო, ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გაგეცთან რომ ჰქონდა. მასთან იმიტომ შეიარა, რომ საქმე არაფერი ჰქონდა და არ იცოდა, დრო როგორ მოეკლა. ინსტიტუტში იგი მან მიიღო, ნიჭისა და ლამაზი თვალებისთვის კი არა, უბრალოდ, ერთმა გვლენიანმა პირმა დაურეკა და ისე სთხოვა, რომ უარი ვერ უთხრა. იმ კაცის ხათრით მფარველობასაც უწევდა, დისერტაცია დროზე დაცვევინა, ოპონენტადაც დაუდგა, განყოფილების გამგედაც დანიშნა და, როგორც მოშურნეები ამბობდნენ, ფეხზე დაყენა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, მან დირექტორის პოსტი დატოვა, განყოფილების გამგემ კი სწრაფად აუღო ალღო იმ ინტრიგანობასა და გაიმეორობას, რის გარეშეც თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდა, და ადმინისტრაცია მეტ ანგარიშს უწევდა, ვიდრე იმსახურებდა. ამან, ეტყობა, გააყოყინა, გაადიდკაცა. სწორედ ამიტომ, კაცი, რომელსაც ერთ დროს მფარველობდა, გზას უკაფავდა, ჭკუას ასწავლიდა, დღეს რატომღაც უხამსი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრველი და უმადური მოეჩვენა. შეიძლება ამის მიზეზი ის იყო, რომ ფეზზე არ წამოუდგა, ხელი არ ჩამოართვა, მოწიწებით არ მოიკითხა. მართალია, სალამი და ღიმილი არ დაუმადლებია, სკამზეც კი ისე მიუთითა, როგორც ეს მასპინძელს შეშვენის, მაგრამ იმის დამალვა მაინც ვერ შეძლო, რომ ყოფილ დირექტორს აღარაფრად აგდებდა, მისი სტუმრობა ბერიკაცულ ახირებად მიაჩნდა. სხვა დროს, ალბათ, ამგვარ უპატივცემულობას არ აპატიებდა, ზურგს შეაქცევდა, იქაურობას უსიტყვოდ გაეცლებოდა, დღეს კი ისე დაეშვა სკამზე, რომ არც კი გაბრაზებულა. შეიძლება მასში ბებრულმა შემწყნარებლობამ იჩინა თავი ან იქნებ ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ დრო იყო, აქტიურ ცხოვრებაზე ხელი აეღო.

— როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა განყოფილების გამგემ ცალებად.

— როგორ ვიქნები. ეს ინსტიტუტი ჩემი დაარსებულია, მისი სტრუქტურაც მე ჩამოვაყალიბე, ახლა კი ყველა ყველაფერს მიმალავს და არავინ არაფერში მრევს. აქ რომ რამე შეცვლილიყო, ინტრიგებსა და დემაგოგიას ბოლო მოღებოდა, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ, როგორც ვხედავ, მამულიშვილობით სპეკულაციამ აქაურ თანამშრომლებს საკუთარი თავი კიდევ უფრო შეაყვარა.

— აქაურობა თქვენ ისე დაანაგვიანეთ, რომ ამ დაწესებულების გაწმენდას ერთი და ორი წელი არ ეყოფა. რაც თბილისში გიჟები იყო, ყველა აქ შემოყარეთ, — უსაყვედურა განყოფილების გამგემ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ეს გიჟები მისი საპატრონებელი იყვნენ.

— თუ არ ვცდები, ამ დაწესებულებაში შენც ჩემი მიღებული ხარ.

— მართალია, მაგრამ ამ მიღებას რამდენი თხოვნა, დარეკვა და პროტექცია დასჭირდა. თანაც მოვედი ადამიანურად, არც პრეტენზიები მომიტანია თან და არც ქვეყანა ამიკლია ყვირილითა და ჩივილით. თქვენ კი გასულ წელს ერთი ისეთი დამთხვეული შემოგვაჩენეთ ხელში, რომ ყველას ნერვები დაგვაწყვიტა.

— იქნებ აქ გაგიჟდა, აქ გადავიდა ჭაუიდან?

— თქვენ ხუმრობთ, ჩვენ კი აგვიკლო და აგვწოოკა. დაუჩემებია, ნამდვილი სწავლული მე ვარ, ისეთი მეცნიერული ამოცანები მაქვს გადასაწყვეტი, თქვენ რომ არ დაგესიზმრებათ. ამიტომ ხელი უნდა შემოწყოთ, მუშაობის საშუალება უნდა მომცეთო.

— იქნებ ის კაცი მართალია?

— თქვენნი არ მიკვირს. მართალიც რომ იყოს, ერთ კაცს მთელ ინსტიტუტს ხომ ვერ გადავაყოლებთ. მას რომ ის მივცეთ, რასაც ითხოვს, ასამდე კაცი სამსახურიდან უნდა დავითხოვოთ. ამას რომელი ჭკუათმყოფელი გააკეთებს ან ამის უფლებას ვინ მოგვცემს. უმეტესი მათგანი მათმა პროტექტორებმა ძლივს მოაწყვეს სამსახურში, ძლივს მოათქმევინეს სული და ახლა გაგაყრევინებენ გარეთ? სხვები ჭკუით მაინც არიან და იმაზე მეტს არ მოითხოვენ, რაც აქვთ. ამან კი ახალგაზრდები აიყოლია და ისე გვიპირისპირდებიან, თითქოს ჩვენ ჩამორჩენილები, კონსერვატორები, ყურმოჭრილი მონები ვიყოთ, ისინი კი მამულიშვილები და მეამბოხენი. ყველაფერს გვიწუნებენ — ცოდნასაც, საქმიანობასაც და კაცობასაც.

ბოლო ხუთ წელიწადში ინსტიტუტი ისე გაიბერა, რომ მან ვერაფრით გაიხსენა ის ახალგაზრდა, რომელიც განყოფილების გამგეს და მთელ ინსტიტუტს ნერვებს უშლიდა. შეიძლება განყოფილების გამგე ამ ამბავს ცოტათი აზვიადებდა, მაგრამ ერთ რამეში მართალი იყო. ჯერ კოლექტიურ ინტერესებს უნდა გასწეოდა ანგარიში და მერე, თუ რამე გადარჩებოდა, პირადულს. ერთხელ ერთ ასეთ ჭკუანაღრძობს თვითონაც გადაეყარა და მისი თავიდან მოშორება მაშინაც კი, როცა იდეოლოგია იდეოლოგობდა და ადმინისტრაცია ადმინისტრატორობდა, დიდ ჯაფად დაუჯდა. მეცნიერ-მუშაკები, ჩვეულებრივ, მეცნიერების მიმართ გულგრილად იყვნენ განწყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

20708

ლი, პოზიციებს მალე ისინიც თმობდნენ, საქმეს თავიდანვე ენთუზიაზმით რომ ეკიდებოდნენ. ამის მიზეზი უსახსრობა, ზემდგომი ორგანოების უპასუხისმგებლობა, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება იყო. საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას, რაიმეს აღმოჩენას, მის გადამოწმებას და დაწერგვას უნიკალური ხელსაწყოები, დეფიციტური მასალა, შესაფერისი ბაზა და კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული საკონსტრუქტორო ბიური სჭირდებოდა. მათ კი არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდათ. ის თანხა, სახელმწიფო რომ იძლეოდა, თანამშრომლების შენახვას ძლივს ყოფნდა. მართალია, ამან ხალხი შრომას გადაჩვია, ჭადრაკის თამაშსა და ქსოვას მიაჩვია, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ თანამშრომელთა უმეტესობას მეცნიერულ კვლევა-ძიებას ტყუილად ყოფნა და გარანტირებული ლუკმა პური ერჩია.

ახლა ვერ იხსენებდა, როდის და როგორ მოხდა ინსტიტუტში ის წვერმოშვებული, ფერმკრთალი, თავის თაეში უზომოდ დარწმუნებული, უფრო ჯიუტი, ვიდრე პრინციპული ახალგაზრდა კაცი. მისი ეგოიზმი ზოგჯერ უგუნურობამდეც კი მიდიოდა. არაფრით არ ისურვა საერთო თემატიკაში ჩაბმა, სხვებთან ერთად მუშაობა. აჩემებული ჰქონდა, მე ჩემი იდეა მაქვს და მისი განხორციელების საშუალება მომეცითო. ზოგჯერ მოსაცდელში აღამებდა და ათენებდა. ერთხელ, როცა მის კაბინეტში იყდა, გაცნო კიდეც თავისი აკვიატებული იდეის შინაარსი, მაგრამ მასში ახალი და ორიგინალური არაფერი იყო. იმ დროს ბაზღვარგარეთ უკვე მუშაობდნენ ჩარხებში ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენებაზე და მექანიზმების ციფრულ მოდელირებაზე. მაშინ საქართველოში ელექტროგამომთვლელი მანქანები ახალშემოსული იყო და მათი გაბარიტები ჩარხების გაბარიტებს სჭარბობდა. როცა ახალგაზრდას ჰკითხა, ჩარხზე უფრო დიდ ელექტროგამომთვლელ მანქანას ჩარხში როგორ ჩაატევდა, მან უპასუხა, დავაპატარავებ და ჩავატევო. იმ დღეს საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მათი უთანხმოება უკონფლიქტოდ არ დამთავრდებოდა. მიხვდა იმასაც, რომ მალე ახალგაზრდა კაცი საჩივრების წერას დაიწყებდა და არც ერთ ინსტანციას არ მოასვენებდა. მომჩივანს რომ ზოგიერთი ქარაფშუტა ენთუზიასტი არ აპყოლოდა ინსტიტუტში დაძაბული ვითარება არ შექმნილიყო, შეგნებულად გაავრცელა ხმა, რომ ახალგაზრდა კაცი რიგით თანამშრომლებთან მუშაობას არ კადრულობს, უამრავ თანხებს მოითხოვს და ამით მათ ლუკმაპურს აცლის პირადანო. მაშინ საბჭოთა კავშირის ყველა დაწესებულებასა და საწარმოში ისე იყო გავრცელებული ფრაზა: „შენ რა, სხვებზე მეტი გინდა!“, რომ ვისაც ამ იარლიყს მიაწებებდნენ, მისი საქმე წასული იყო. ერთხელ მოსკოვში გაგზავნილი საჩივარი ინსტიტუტის თანამშრომლებს ჩაუვარდათ ხელში. საჩივარში იკი მათ უსაქმურებს, ცრუმეცნიერებსა და აგრესიულად განწყობილ უმრავლესობას უწოდებდა. ამ საჩივრის წაკითხვის შემდეგ ისეთი ამბავი ატყდა, რომ არ გამოქმაგებოდა, ალბათ, გაგლეჯდნენ. ბოლოს ზემოდან დაურეკეს და უთხრეს, ან გააზუმე ეგ ინტრიგანი, ანდა გაადგ, თორემ მეტისმეტად შეგვაწუხაო. მეტის მოიმენა მართლაც ალარ შეიძლებოდა, დრო იყო, ამ ამბავს ბოლო მოღებოდა. ბრძანებას საფუძვლად იმდენი რამ დაუდო, რომ ერთის კი არა, ათი კაცის მიხსნას ეყოფოდა. მას შემდეგ ის ახალგაზრდა მთელი წელიწადი უმუშევარი დადიოდა. რაკი ერთხელ შეარქვეს ინტრიგანი, სამსახურში არავინ ღებულობდა. ბოლოს რუსეთში წავიდა, იმედი ჰქონდა, რომ იქ სხვა ხალხი, სხვა ვითარება დახვდებოდა, მის ნიჭსა და ცოდნას ალღოს აუღებენ, საათანადოდ დააფასებენენ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ თითქმის გალოთებული დაბრუნდა უკან. ახლა ძნელი იყო იმის თქმა, მართლა ჰქონდა იმ ახალგაზრდას ნიჭი თუ ამბიციების მეტი არაფერი გააჩნდა, მართლა დაზოვებდა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებაში კვალს თუ პირველი წარუმატებლობისთანავე ჩაიქნევდა ხელს. მართალია, საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებებში ნიჭის გამოვლენის საშუალება აშვიათად ეძლეოდა ვინმეს, მაგრამ მას ისეთებიც უნახავს, ახალგაზრდული პოტენციის მეტი რომ არაფერი გააჩნდათ და თავიანთ მარცხს სხვებს აბრალებდნენ. მაგრამ, ეტყობა, ახლა ინსტიტუტში უფრო მძიმე სიტუაცია იყო შექმნილი, ვიდრე მაშინ და ამას თავის მიზეზები ჰქონდა.

— რომ მეცდნოდა, ინსტიტუტში, განსაკუთრებით კი შენს განყოფილებაში ასეთი მძიმე ვითარება იყო შექმნილი, აქ ფეხს არ შემოვდგამდი, მაგრამ დღეს საჯაროობის ეპოქაა, ყველას ყველაფრის უფლება აქვს და ურჩიეთ იმ ახალგაზრდა კაცს — ან კომისიის შექმნა მოითხოვოს, ანდა მიტინგზე გამოვიდეს და თავისი ნიჭიერება ხალხს დაუმტკიცოს, — უთხრა განყოფილების გამგეს და პორტფელი, რომელიც მუხლებზე ედო, იატაკზე დადო.

— თქვენ ხუმრობთ, ინსტიტუტში კი ღიდი არეულობაა. ახალგაზრდებმა თავი აიშვეს, ერთად იკრიბებიან, ლაყბობენ, მიტინგებს აწყობენ და კომუნისტების მიერ ჩაღენილ ყველა ცოდვას ჩვენ გვაწერენ, ისე გვიყურებენ, თითქოს ჩვენ ყველაფერში მტყუანები ვიყოთ, ისინი კი მართლები.

— მართლები მაშინ იქნებოდნენ, კომკავშირელები რომ არ ყოფილიყვნენ და მიტინგები მაშინ მოეწყოთ, როცა ამისათვის ხალხს ან ხვრეტდნენ, ან ციმბირში აგზავნიდნენ.

— მართალი და ნამდვილი კაცი ჩვენში არავინ არაა, მაგრამ თქვენი და თქვენისთანების წყალობით ისე მივეჩვიეთ ტყუილის სიმართლედ და არანამდვილის ნამდვილად აღიარებას, რომ ახლა ნამდვილსა და არანამდვილს ერომანეთისაგან ვერც კი ვანსხვავებთ. მთელი ჩემი ახალგაზრდობა ისეთ რამეს შევალიე, რაც დღეს არავის სჭირდება და შევალიე მხოლოდ იმიტომ, რომ ამაში ფულს მიხდიდნენ.

— ფულს, მე მგონი, ახლაც გიხდიან.

— ჯერჯერობით კი მიხდიან, მაგრამ მალე დადგება ის დღე, როცა არც ფულს გადამიხდიან და არც ჩემს კვალიფიკაციას ჩააგდებენ რამედ. სიმწრით დალაგებული ცხოვრება ისევ აირევა და იმათ, ვინც ხელფასზეა მიჯაჭვული, ძმიმე დღეები მოელით.

— თუ ასეა, რად გინდა, მეორე დისერტაციას რომ იცავ?

— ისე, პრესტიჟისათვის.

— მე უფრო თანამედროვე, უფრო გათვითცნობიერებული კაცი მეგონე. წავიდა ის დრო, როცა დისერტაცია კაცს სახელსა და პრესტიჟს მატებდა. ახლა კაცი ფულით იზომება და არა ცოდნით.

— კარგი იყო, ეს რომ თავის დროზე მცოდნოდა. მაშინ მეც იმათ შორის დავდგებოდი, ვინც ამ ქვეყანას ანგრევს და ყვლეფს.

— აი, ამის გათვალისწინება კი მართლაც საჭირო იყო. ცოდვა კაცი, რომელსაც შუაგზაზე შემოაღამდება.

— თქვენი ირონია აქ ისევე ზედმეტია, როგორც პირჯვრის გადაწერა. თქვენ რომ პოზიციები არ დაგეთმოთ, ხარბები და გაუმაძღრები არ ყოფილიყავით, შეიძლება ჩვენ შუაგზაზე არ შემოგვღამებოდა და იმათი სალანძღავი არ გავხდარიყავით, ვინც ორიოდე წლის წინათ პარტიაში შესასვლელად რეკომენდაციებს მთხოვდა. ამ ბოლო დროს ორპირობა და დემაგოგობა იმათაც კი ისწავლეს, ენას რომ ძლივს ატრიალებდნენ პირში. თქვენ რა გენაღვლებათ, თქვენი დრო მოჭამეთ და იმდენი დააგროვეთ, რომ სიკვდილამდე გეყოფათ.

განყოფილების გამგე ახალგაზრდა კაცი არ იყო, ორმოც წელს მაინც იქნებოდა მიტანებული, მაგრამ თავს ახალგაზრდად თვლიდა და ცდილობდა მოდას არ ჩამორჩენოდა. აღრე ჯინსებს არ იშორებდა, ახლა კი განიერი შარვალი, საყელოდმდგარი პერანგი და ზიზილ-პიპილოებიანი კურტაკი ეცვა. მისთვის რაიმეს ძიება, მეცნიერული პრობლემით დაინტერესება ახორება უფრო იყო, ვიდრე საქმე. საქმედ კარგად ცხოვრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიფათიანი, ᲞᲣᲠᲛᲐᲠᲘᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲭᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲕᲐ ᲛᲝᲐᲬᲘᲜᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲫᲒᲣᲚᲘᲐᲪ ᲐᲠ ᲰᲭᲘᲚᲜᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲐᲜᲛᲐᲓᲔ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲒᲘᲐᲜᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲯᲣ ᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲤᲐᲗᲝᲗᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲐᲢᲠᲝᲑᲣᲢᲘᲐᲜ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡᲑᲘᲗ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ ᲐᲢᲐᲠᲑᲔᲓᲐ ᲓᲠᲝᲡ, ᲖᲐᲛᲝᲠᲗᲝᲑᲘᲗ — ᲑᲐᲯᲣᲠᲘᲐᲜᲘᲗ. ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲗ ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲘ ᲣᲜᲐᲰᲐᲕᲓᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲡᲘᲓᲘᲓᲠᲘ ᲣᲖᲠᲓᲘᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲰᲭᲘᲚᲔᲓ ᲐᲬᲣᲛᲑᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲘᲣᲨᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲔᲝᲔᲠᲔ. ᲑᲣᲜᲔᲑᲝᲜᲔ ᲣᲮᲐᲡᲘᲐᲗᲝᲛ, ᲣᲮᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲔᲓᲐ, ᲤᲘᲖᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲘ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐᲯᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲜᲐᲒᲠᲔᲑᲐ. ᲛᲔᲪᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲘᲙᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲞᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲝᲚᲘᲐᲜᲘ. ᲛᲝᲣᲡᲘᲜᲔᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲒᲣᲜᲔᲑᲝᲗᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲐᲨᲜᲔ ᲓᲐᲪᲕᲛᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲛᲘᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲠᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲜᲐᲒᲠᲔᲑᲐ. ᲛᲔᲪᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲘᲙᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲞᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲝᲚᲘᲐᲜᲘ. ᲛᲔᲪᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲘᲙᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲞᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲝᲚᲘᲐᲜᲘ. ᲛᲔᲪᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲘᲙᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲞᲠᲘᲡᲢᲝᲤᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲝᲚᲘᲐᲜᲘ. ᲛᲔᲪᲘᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲐᲮᲚᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐᲯᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲠᲧᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲜᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘ. — ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲔ ᲛᲔᲜᲐᲑ? — ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲒᲣ.

— ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲛᲔᲪᲘᲜ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲗᲥᲕᲘᲜ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲒᲠᲜᲔᲗᲓᲐ, ᲗᲐᲕᲐᲮᲔᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲰᲭᲘᲜᲐᲗ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲐ ᲨᲝᲠᲡ ᲛᲘᲕᲓᲔᲗᲐᲠᲗ, ᲠᲘᲛᲗᲘ ᲛᲔᲢ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲚᲘ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲐᲒᲠᲜᲔᲗ ᲐᲠ ᲰᲭᲘᲜᲐᲗ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲐ ᲨᲝᲠᲡ ᲛᲘᲕᲓᲔᲗᲐᲠᲗ, ᲠᲘᲛᲗᲘ ᲛᲔᲢ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲚᲘ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲘᲣᲯᲔᲚᲝᲑᲗ, ᲗᲘᲗᲝᲭᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲔᲯᲑᲝᲛᲔᲗ.

— ᲩᲛᲘᲗ ᲓᲠᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲘᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲐᲕᲐᲓ ᲗᲣ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲕᲐᲠᲗᲘᲗ ᲗᲐᲕᲘ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲭᲘᲠᲕᲘᲗᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲛᲭᲘᲠᲕᲘᲗᲔᲡ, ᲘᲡᲔ ᲧᲣᲠᲯᲔᲠᲛᲘᲧᲠᲘᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲒᲘᲭᲔᲑᲓᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲜᲐ ᲮᲐᲠ. ᲧᲣᲠᲩᲐᲛᲘᲧᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲘ ᲘᲛᲘᲢᲛᲝ ᲗᲐᲠᲗ, ᲠᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲨᲔᲣᲩᲕᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ ᲛᲝᲡᲬᲚᲐ ᲒᲐᲬᲘᲜᲐᲗ. ᲪᲝᲢᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲡᲐᲠᲯᲝᲗ, ᲐᲛᲗᲝᲛ ᲥᲕᲔᲕᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲘᲕᲐ.

— ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐ ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲔᲗᲐᲗ. ᲘᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲝᲘᲐᲯᲐᲠᲗᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲪ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲛᲝᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲪ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲔ ᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲡ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲔᲠ

ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲪᲝᲓᲕᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲒᲚᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲒᲐᲮᲝᲪᲜᲝᲡ ᲮᲔᲚᲘ.

— ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲗ?

— ᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲔ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

— ᲣᲙᲐᲜᲘᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲓᲠᲝ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲝᲭᲠᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲖᲔᲓᲓᲔᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲔᲚᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲜᲘ. ᲐᲛ ᲣᲘᲡᲮᲚᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲓᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘᲗᲐ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲓᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲣᲘᲡᲮᲚᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲓᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲖᲔᲓᲓᲔᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲘᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲣᲘᲡᲮᲚᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲓᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲘᲛᲘᲡᲔᲚ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲤᲘᲠᲔᲑᲓᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲬᲔᲠᲔᲑᲘ.

— ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲣᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲬᲐᲕᲓᲐ. ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲭᲙᲕᲘᲐᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲣᲚᲘᲧᲝᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲑᲔᲩᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲝᲘᲚᲝᲜᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲡᲮᲔᲚ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲑᲘᲠᲘ ᲤᲣᲜᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲐᲠᲐᲛᲘᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ, ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ, ᲐᲡᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲛᲓᲒᲠᲜᲔᲑᲘ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲰᲛᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲰᲧᲐᲕᲗ. ᲘᲡᲝᲜᲘ ᲣᲙᲘᲗ ᲛᲬᲐᲓ ᲐᲠᲐᲜᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲨᲘᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲡᲐᲪᲔᲑᲐᲓᲐᲪ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲘᲑᲠᲘᲗᲘᲡᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲘᲐ. ᲛᲔ ᲘᲛᲐᲨᲘᲪ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲥᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲯᲝᲠᲕᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲑᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲐᲗᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ.

— ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲡᲘᲗᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲝ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲒᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲒᲐᲮᲝᲪᲜᲝᲡ ᲮᲔᲚᲘ.

— ᲘᲡᲘᲜᲝ, ᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲪ ᲣᲠᲐᲠᲛᲐᲠᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲑᲓᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲑᲓᲐᲜᲘᲡ.

— ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲠᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲗᲕᲔᲚ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲰᲠᲠᲓᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝᲛ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲬᲘᲜᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲠᲘᲜᲔᲑᲓᲐᲜ, ᲨᲔᲕᲘᲪᲓᲔᲗ, ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝᲛ. ᲐᲮᲚᲐ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲜᲔ ᲯᲔᲠ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲣᲪᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲣᲬᲐᲛᲔᲑᲐ.

— ᲙᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲕᲘᲗᲐᲠᲯᲘᲗ, ᲗᲣ ᲓᲔᲠᲘᲗᲣᲚᲘᲗ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲜᲘᲗ, ᲓᲠᲝ ᲩᲝᲛᲘ ᲓᲐᲕᲯᲐᲠᲒᲔᲗ, ᲪᲔᲜᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲔᲠᲘᲤᲘᲪᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲗᲘᲐᲮᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲯᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲣ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲯᲠᲔᲑᲘᲡ.

— ᲗᲣ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ, ᲠᲐ ᲣᲛᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲘᲫᲐᲠᲔᲑᲐ. ᲣᲮᲚᲔᲡᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲠᲐᲯᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲐᲬᲘᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯᲔ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲕᲝᲒᲘ ᲛᲔᲪ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერების დონეზე არ ვდგავართ, ჩვენი ცენზი და კვალიფიკაცია ცარიელი ქაღალდია. ჩვენ ვართ მთელის ნახევრები, ნახევრად მეცნიერები, ნახევრად მოქალაქეები, ნახევარი კი არავის არაფერში სჭირდება.

— არც თქვენი შრომები?

მის შრომებს მაშინაც კი არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, როცა დაწერა, უბრალოდ — მაშინ ყველაფერ საბჭოურს უსაშველოდ აზეიადებდნენ. ახლა კი მათზე ლაპარაკი არა მარტო ჩამორჩენლობა იყო, არამედ უწიგნურობაც. თავდან გამეცნიერება, დისერტაციის დაცვა აზრად არ მოსულია, არც არაფერში სჭირდებოდა. მაშინ დიდი ქარხნის დირექტორი იყო, მკერდი ორდენებითა და მედლებით ჰქონდა სავსე და იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ბოლო დროს ნომენკლატურული ყაჩაღები რომ შეარქვეს. ის მასალა, საკვალიფიკაციო შრომას რომ სჭირდებოდა, მის ხელში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა. მასალის დაგროვების მიზეზი ის იყო, რომ შორეული ქარხნებიდან გამოგზავნილი დაზგებისა და მექანიზმების წუნის აღმოსაფხვრელად უამრავი ფული იხარჯებოდა. ერთხელ ერთი ებრაელი ინჟინერი, რომელიც ლენინგრადიდან ჩამოიყვანა, კაბინეტში იხმო და სხვადასხვა დანიშნულების დაზგებისა და ჩარხების ტექნიკური და ფუნქციური მონაცემების დაწუსტება დაავალა. როცა ამ სამუშაოს დამთავრებდა, უნდა შეეფასებინა მათი მუშაობის ნაკლი და ღირსება, ერთიცა და მეორეც დაეხარისხებინა, გაეანალიზებინა და გაუმჯობესების სარეკომენდაციო შენიშვნები დაერთო. ის ებრაელი წიგნიერი, კეთილსინდისიერი ინჟინერი აღმოჩნდა, საქმეც ეხერხებოდა და წერაც, და წლის ბოლოს მის მაგიდაზე იმდენი მასალა აღმოჩნდა, რომ რამდენიმე საქაღალდეში ძლივს ჩაეტია. მას და მის ინჟინერს მხოლოდ ერთი რამ გამორჩათ მხედველობიდან: ჩარხებისა და დაზგების ტექნიკური და ფუნქციური წუნის აღმოფხვრით და მათი გაუმჯობესებით არც ზემდგომი ორგანოები იყვნენ დაინტერესებული და არც ჩარხმშენებელი ქარხნები. ბოლოს ისიც კი შემოუთვალეს, თავს ნუ იგდებთ, თქვენს ტყავში დაეტიეთო. ამის შემდეგ გაბერილი საქაღალდეები ხელუხლებლად ეყარა თაროებზე. ის ინჟინერი სამუშაოდ ისევ ლენინგრადში გადავიდა, მას კი რამეს გადაკეთებასა და გაუმჯობესებაზე აღარ უფიქრია. ამასობაში დრო შეიცვალა, ათიოდე წლის შემდეგ, უკვალიფიკაციო და უცენზო კაცი ნაკლებად დაცული აღმოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ალღო დაუწლუნდა, დროს ჩამორჩა და ამ ჩამორჩენას აღმოფხვრა სჭირდებოდა. სწორედ ამ დროს გაახსენდა გაბერილი საქაღალდეები. ფორმალური მხარე იოლად მოაგვარა და საქაღალდეები თაროდან გადმოიღო. ერთბაშად მის ხელში იმდენი სიმდიდრე, იმდენი გამოუყენებელი მასალა აღმოჩნდა, რომ რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციას ეყოფოდა, თანაც დასაკვნები იყო ისეთი, რომ წყალი არ გაუვიდოდა. მასალის დალაგებას, მონაცემების ანალიზს და განზოგადებას დიდი დრო და ჯაფა არ დაჯჭირვებია. დაცვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იმ თემაზე, მან რომ წარადგინა, არათუ საქართველოში, მთელ კავშირში არ ყოფილა არც ერთი დისერტაცია დაცული და ეს საგანგებოდ აღნიშნა მოსკოვიდან ჩამოსულმა ოპონენტმა. მისმა რეცენზიამ და შეფასებამ სხვებზეც მოახდინა ზეგავლენა და ეს ამბავი გახმაურდა, დაფიქსირდა. რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციას, საკანდიდატოსგან იგი იმით განსხვავდებოდა, რომ თეორიულ რეკომენდაციებს შეიცავდა, რომელთა განხორციელება მაშინ საბჭოთა კავშირში შეუძლებელი იყო და ამის გამო ერთმა ოპონენტმა ისიც კი თქვა, ნაშრომმა თავის დროს გაუსწროო. ამიტომ მისი ორივე ნაშრომი მეცნიერების დიდ შენაძენად მიიჩნიეს და მათ შესახებ არა ერთი რეცენზია დაბეჭდა ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი თბილისში. ასე გახდა დიდი მეცნიერი და ასე მოიპოვა ინს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტუტის დარსების უფლება. ეს მითი აქამდე არ იყო გაკარწყლებული.

— ჩვენი მეცნიერება ერთმანეთისათვის თვალში ნაცრის შეყრა უფრო იყო, ვიდრე კვლევა-ძიებისადმი საქმიანი დამოკიდებულება. ამის ჩვენ არც საშუალება გვქონდა და არც ჩვევა. თუ რამეს ვაკეთებდით, მხოლოდ ვალის მოსახდელად. ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების რეცენზირებული შრომები დღის სინათლეზე რომ გამოიტანო, ᲠᲚᲐᲒᲘᲐᲢᲔᲑᲐᲓ და თაღლითებად უფრო ჩაგვთვლიან, ვიდრე სწავლულებად. მალე, ალბათ, ყველაფერი გამომჟღავნდება და მაშინ საამბიციო და საყოფლოჩინო აღარაფერი გვექნება, — უთხრა მან განყოფილების გამეს და მიხვედა, რომ აზრი არ ჰქონდა იმ კაცისათვის ნუგეშის ცემას, ვისაც ტკივილს თვითონვე აყენებდა.

— თქვენ რომ კაცმა ყური დაგიგდოთ, ჩვენი საქმე წასულია და დროა, სხვა საქმეს მოვკიდოთ ხელი, სხვა მარჩენალი ვიპოვოთ.

— ძველ მარჩენალს ᲯᲔᲠ კიდევ სული უდგას და ამატომ ნუ იჩქარებ. მალე გამოჩნდებიან სხვადასხვა პარტიების ლიდერები, საზოგადოებების თავმჯდომარეები, ორატორები, რომლებიც მგზნებარე, ამაღლებულ, სარწმუნო სიტყვებს წარმოთქვამენ, სწორი გზისაკენ მიგითითებენ, დაგმოძღვრავენ და მაშინ უფრო ადვილი იქნება კანის გამოცვლაც და იმის გამოყენებაც, რომ მეცნიერების კანდიდატი ხარ და სადოქტორო დისერტაცია მზადა გაქვს.

— დამცინით?

— დაცინვა მაშინ იქნებოდა, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲣ რომ ᲬᲘᲜ არ ᲒᲔᲓᲝᲗ. შენ თუ გგონია, უანგაროდ აგინაზღაურებენ იმას, რაც დაკარგე, ძალიან ცდები.

— უანგაროდ არასოდეს არაფერს მინაზღაურებდნენ და რაღა ახლა ამინაზღაურებენ, მაგრამ თქვენ რომ გამობრძმედილი დემაგოგები არ ყოფილიყავით, ჩვენ ასეთ დღეში არ ჩავცვივდებოდით. სად იყავით აქამდე, რატომ მაშინ არ მითხარით სიმართლე, როცა ინსტიტუტში მიღებდით?

— ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, მე წინასწარმეტყველი არა ვარ; მეორეც, მაშინ რომ სიმართლე მეთქვა, ან დამაბეზღებდი, ანდა იფიქრებდი, ეს კაცი მტრულადაა ჩემს მიმართ განწყობილი, ჩემი სიკეთე არ უხარია, თორემ ასეთ რამეს როგორ მეტყოდაო.

— ვიფიქრებდი და მართალიც ვიქნებოდი. თქვენ ისე აბურდ-დაბურდეთ და დადვარჭნეთ ცხოვრება, ისე გაუბამსეთ და გაათახსირეთ, რომ სარწმუნო და საიმედო არაფერი დაგვიტოვეთ. თქვენი დღევანდელი აღმსარებლობა და სენტენციები ივივეა, კაცს რომ ᲯᲔᲠ ᲭᲙᲣᲐ გაუმრუდო, მერე კი საღად აზროვნება მოსთხოვო.

— მე შენთვის არც არაფერი დამიმალებია და არც არაფერი მომითხოვია. ტვინგამრუდებული შენ უკეკ მაშინ იყავი, როცა პროტექტორი გამონახე და კარზე მომადექი. ოცი წელიწადი უშრომლად და უზრუნველად იცხოვრე, ქვეყანა შენს საამბადად გეგონა გაჩენილი, მაგრამ, რას იზამ, ერთი დრო არავის შერჩენია და აწი მაინც ნუ აჰყვები გამობრძმედილ დემოგაგებს, იქონიე კაცობა და იცხოვრე შენი ᲭᲙᲣᲗᲝᲗ.

— ვიცხოვრებ კიდეც. ახლა მთელი ქვეყანა თქვენს გინებასა და ლანძღვაშია. იმდენი დანაშაული გაქვთ ჩადენილი, იმდენი ცოდვა გაწევთ კისერზე, რომ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲕᲧᲝᲤᲐ სამხილებლად და გასაკიცხად. ნუ გგონიათ, სხვებზე ნაკლები მამულიშვილი ვარ და სხვებზე ნაკლებად მიჭირს ენა. ერთხელ მოდით იმ მიტინგზე, მე რომ გამოვალ და ნახავთ, რა ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲐᲓ დავნთებ.

— ᲔᲭᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲯᲐᲠᲔᲑᲐ, მაგრამ ერთ რამეს მაინც ᲒᲔᲢᲧᲔ: თვალთმაქცობასა და დემაგოგობასაც ნიჭი უნდა და, კარგი იქნება, თუ ᲪᲝᲢᲐᲡ ᲬᲐᲘᲯᲐᲠᲯᲘᲡᲗᲘ. ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდე და, იმედი მაქვს, ᲚᲐᲜᲫᲦᲕᲐ-ᲒᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲓᲐᲘᲧᲕᲔ, — უთხრა მან განყოფილების გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს და კარი ისე მიიხურა, რომ იცოდა: ამ ოთახში ფეხს აღარასოდეს შემოადგამდა.

XVII

ბერიკაცს ყელი გაუშრა, მოსწყურდა, მაგრამ წყალი კი არ მოენატრა, არამედ ღვინო, ერთი ჭიქა თეთრი ღვინო, წყურვილს რომ მოუკლავდა, გაამხნევებდა, სულიერი წონასწორობის აღდგენაში დაეხმარებოდა. წყალი იმიტომ არ უნდოდა რომ წყლის სმას მიჩვეული არ იყო. წყურვილს ხილის წვენებისა და ჩაის სმით იკლავდა. ერთადერთი მაგარი სასმელი, რომელიც ხანდახან ენატრებოდა, თეთრი ღვინო იყო, მაგრამ ამ გამზირზე ერთ ჭიქა თეთრ ღვინოს არავინ მიჰყიდდა, რესტორანში შესვლა და მთელი ბოთლის ყიდვა კი არ უნდოდა. სანამ ცოცმსახურებოდნენ, აწონ-დაწონიდნენ, სურვილს მიუხდებოდნენ, თავისი დაემართებოდა, ღვინის დალევის სურვილიც კი გადაუვლიდა. არადა, შიგნით რაღაც ისე ბორგავდა, რომ მთელ მის სხეულს არყევდა. ხან აცივებდა, ხან აცხელებდა და ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ მზერა დაეწმინდებოდა, გონება გაუნათდებოდა. მის სულში რომ რაღაც მზადდებოდა, მწიფდებოდა, სხვავარ მნიშვნელობას იძენდა, ამას ცხადად გრძნობდა, მაგრამ ვერაფრით მიმხვდარიყო, რას სთხოვდა საკუთარი სინდისი, რით შეიძლებოდა მისი დაშოშმინება. კაცის მკლელი და გამცემი არასოდეს ყოფილა, არაფერი მოუპარავს, არაფერი გაუფლანგავს; რასაც მიაღწია, შრომითა და გარჯით მიაღწია. მიუხედავად ამისა, წარსული მაინც ძუნა ძალლივით მოსდევდა ფეხდაფეხ, წლობით დალაგებულ ცხოვრებას უწეწავდა და ისეთ რაღაცებს უცვლიდა ფერს, რაც გადასამოწმებელი და გადასაფასებელი არ იყო.

კრასნოიარსკში თითქმის ოთხი წელი დაჰყო. ამასობაში ქარხანა ააშენა, აამუშაა, საკავშირო ორბიტაზე გაიყვანა, სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა და მთავრობის სიგელები და ჯილდოები დაიმსახურა. ხელფასი დიდი ჰქონდა, ხელფასს პრემიებიც ემატებოდა და რადგან ფული თითქმის არაფერში ეხარჯებოდა, საკმაოდ დიდი თანხა დაუგროვდა. მართალია, შავი დღისათვის ნიკოლოზის ოქრის თუმნიანებიც და საასამურის რამდენიმე ბეწვიც იყიდა, მაგრამ ეს მის ჯიბეს არ დასტყობია. იმ თანხით, სალარაში რომ ჰქონდა შენახული, შეეძლო კრასნოიარსკში ორსართულიანი სახლი ეყიდა, დიდებულად მოეწყო, მოსამსახურე დაექირავებინა და დიდკაცურად ეცხოვრა. შეეძლო უფრო დიდი თანამდებობისკენაც გაქაჩულიყო, მთელი მხარის ან ოლქის პატრონ-პატრონი გამხდარიყო, მაგრამ საშინლად მობეზრდა გაუთავებელი ზამთარი, ჭუჭყიანი თოვლი, ქარები, სისხლით გაუმაძღარი კოღოები, უცხო, უხეში გარემო, უკინობა, უთავტრობა და უთვისტომობა. მოენატრა სითბო, ოჯახი, ადამიანურად ჩაცმა-დახურვა, ქუჩაში პერანგით გასეირნება, ქართული კერძები, ქართული ღვინო, ქართული სიტყვა და ქართული სიმღერა. ზოგჯერ ისეთი სევდა შემოაწვებოდა, ისე ღრღნიდა შიგნით რაღაც, რომ მისდაუნებურად კვნესაც კი აღმოხდებოდა ხოლმე. მართალია, არც მოვლა-პატრონობა აკლდა და არც ქალი, მაგრამ ქალთან გატარებული ღამის შემდეგ ბრალეულობის გრძნობა აწვალებდა, სიამოვნებას უშხამავდა, აცარიელებდა. მოუსვენრობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაეტყო, როცა ქარხანა მთელი ძალით ამუშავდა, ყოველდღიურობა ერთფეროვნებამ დაიასაკუთრა და ცხოვრებამ ის რიტმი შეიძინა, დროის დინებას რომ მონოტონურობას ანიჭებს. ამ ერთფეროვნებამ მოადუნა, სახე გაუნაცრისფრა. ბოლო დროს უკვე აშკარად გრძნობდა, რომ კრასნოიარსკში დარჩენა აღარ შეეძლო. არადა, სამსახურიდან ასე აღვილად არ გაათავისუფლებდნენ, ეტყოდნენ, პარტიის წევრი ხარ და იქ უნდა იდგე, სადაც პარტიას სჭირდებიო. ამიტომ სამშობლოში დასაბრუნებლად სხვა გზა აირ-

ჩია და უფრო გონივრულიც, — ოთხა წლის გამოუყენებელი შვებულება ერთად აიღო. ამას ვერც პარტიის სახელით დაუშლიდა ვერავინ. კრასნოიარსკში მიბრუნება რომ აღარ დასჭირვებოდა, შრომის წიგნაკი ბოლომდე შეავსებინა და მთავარი ბუხჰალტრის, იმ თბილისელი ებრაელის დახმარებით, ისე გაასწორა ანგარიში ქარხანასთან, რომ მისი არაფერი ემართა.

ამჯერად მოსკოვში კი არ ჩაიპარა, წელგამართული, გაჯარჯვებული ჩავიდა. არც იმის შიში ჰქონდა, რომ ორგანოები დაიბარებდნენ და არც იმაზე ფიქრით იმტვრევდა თავს, სად გაეთია ღამე. სასტუმროებში ძვირად ღირებული ნომრები ყოველთვის თავისუფლად იყო. გადაწყვეტა, პროვინციული სივიწროვისათვის თავი დაეღწია, მცირე ხნით მაინც ეცხოვრა კაცურად და ერთ-ერთ პირველხარისხოვან სასტუმროში ლუქსი დაიქირავა, სადაც აბაზანაც ჰქონდა, ტელეფონიც და რადიომიმღებიც. მოსკოვში იმიტომ შერჩერა, რომ ცოლ-შვილისათვის რაღაც-რაღაცები ეყიდა და ქარხნის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებულიყო. ამისათვის ისევ ძველი და ახალი თანამდებობის პირები მოინახულა, ხოლო ის, ვისაც მისი გათავისუფლება უშუალოდ ეხებოდა, იმ სასტუმროს რესტორანში დაპატიჟა, სადაც ცხოვრობდა. რესტორანი იმდენად პრესტიჟიული იყო, რომ მის დარბაზში პურის ჭამა არავის ეკრძალებოდა და ეთაკილებოდა. მათ ჯერ ძველი დრო, ძველი სპექტაკლები, ფილმები, ცეკვები და სიმღერები მოიგონეს, შემდეგ კი, როცა ცოტა შეზარხოშდნენ, მატუშკინმა ჰკითხა:

— რატომ ამბობ უარს თანამდებობაზე, თითქმის გაორმაგებულ ხელფასზე. დაწინაურების უტყუარ შანსზე. საქართველოში ინდუსტრიალიზაციას მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი და ჯერჯერობით არათუ დიდი, ერთი თანამედროვე ქარხანაც არაა.

რომ ეთქვა, ცოლ-შვილი, სამშობლო, სითბო მომენატრაო, მაინც ვერ გაიგებდა. იმ დროს ასეთი მონატრება საერთო საქმის დალატად, მეშჩანობად, წვრილებურჟუაზიული მორალის გადმონაშთად ითვლებოდა. კაცი ქვა და რკინა უნდა ყოფილიყო და არა ნერვებისა და გრძნობებისაგან შემდგარი ცოცხალი არსება. ამიტომ ისეთი რამ მოიმიზეზა, რასაც მატუშკინი მეტ ანგარიშს გაუწევდა.

— ერთი ადგილის დიდხანს ჯდომა არ მიყვარს, მბეზრდება, მწყინდება, მოსვენებას ვერ ვპოულობ. ის ქარხანა ახლა ისეა აწყობილი და დაკომპლექტებული, რომ თვალის მიდევნების მეტი არაფერი სჭირდება. სჯობია ახლა იქ დამჯდარი, ხანში შესული კაცი გაგზავნოთ, მე კი გამათავისუფლოთ.

— რომანტიკაოსის სახელი გინდა მოიხვეჭო? თუმცა რატომაც არა, ახლა მოდაშია და დიდადაც აფასებენ.

— მოდას აყოლილი კაცი არა ვარ. უბრალოდ, პერანგით გავლა, მზე, სითბო მომენატრა.

— ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად ოთხი თვე სრულიად საკმარისია.

— შეიძლება, მაგრამ კრასნოიარსკში დაბრუნება მაინც აღარ მინდა.

— სხვაგან გაგაგზავნით. ასაშენებელი იმდენი რამ გვაქვს, რომ დაპროექტებას ვერ ავუდიოვრთ.

— ჯერ დირექტორობისაგან გამათავისუფლე და დამასვენე, ძვალ-რბილიდან სიცივე გამომდევნინე. შემდეგ კი, ღმერთმა იცის, საით გამიწევს გული, შეიძლება ჩრდილოეთ პოლუსზეც კი ამოვყო თავი.

არასოდეს არ უყვარდა კატეგორიულობა, უკან დასახევი გზების მოჭრა და ამიტომ არც ამჯერად აუგდია ქვა და შეუშვერია თავი. ახლა, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერაფერს დაუშლიდა და ვერავინ ვერსად გაგზავნიდა, როგორც კი საქმეებს მოათავებდა, მატარებელში ჩაჯდებოდა და თბილისში დაბრუნდებოდა, მაგრამ ცხრა მთას იქით გადახვეწილს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა თბილისში, ითვოდა სამსახურს თუ ვერა? დირექტორობამ, პარტიის

სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრობამ ცოტათი გაადიდაცა, პრივილეგიებსა და მბრძანებლობას შეაჩვია და თბილისში დაბრუნების შემდეგ ესეც მხედველობაში იყო მისაღები. თუ მის დამსახურებას ანგარიშს არ გაუწევდნენ და შესაფერის თანამდებობას არ გამოუნაბავდნენ, შეიძლება ისევ მოსკოვში დაბრუნებულიყო და რომელიმე ახალი ქარხნის მშენებლობას ჩახდგომოდა სათავეში. მაღლობა ღმერთს, გამოცდილება დიდი ჰქონდა და ამიერიდან საქმეს უფრო იოლად გაართმევდა თავს.

— მართალია, დროის დაზოგვა ძნელია, მაგრამ თუ დაზოგე, ერთი ათად აგინაზღაურდება. არაფერი მშურს შენი ახლა ისე, როგორც ოთხი თვის შვებულება, ეს ხომ თითქმის ნახევარი წელიწადია. თქვენი მზე ისეთი მცხუნვარეა, ზღვა კი ისეთი ალერსიანი, რომ მისგან თავის დახსნა ჭირს, — უთხრა მატიუშკინმა და ახალგაზრდა ოფიცანტ ქალს ორაზროვნად გაუღიმა. ასეთი რამ მისგან მოსალოდნელი იყო და ამიტომ არ გაჰკვირვებია. შეიძლება იმ წუთში იმ ქალს ზღვის პირას ხედავდა სპანიო კოსტიუმში გამოწყობილს.

მატიუშკინი კაიფობდა, თვალს ახარებდა, მას კი, წლების მანძილზე უფერულად, უთვისტომოდ ცხოვრების შემდეგ, მართლაც ჭირდა უფლება საკუთარ თავთან დარჩენისა და დასვენებისა. მზეთუნახავივით გათუთრებულს არც ის აწყენდა, რომ ზღვის წყალში განბანილიყო და გაყავისფერებულიყო. ცხელ ქვიშაზე გაწოლილს ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა და ნიავი ისე შეაშრობდა ტანზე მარილიან წყალს, ისე გაწმენდდა და გალოკავდა, რომ გვერდის შეცვლასაც კი არ მოსთხოვდა. მეხსიერება თანდათან გაბუნდოვანდებოდა, ირგვლივ თბილი ბურუსი შემოადგებოდა და მას უკვე აღარ ეცოდინებოდა, — ვინ იყო, სად იყო, რამხელა გზის გაკლა დასჭირდა იმისათვის, რომ ამ ნაპირამდე და ზღვის ტალღების მიერ წარმოშობილ ზმანებებამდე მოეღწია. სწორედ იმ ზმანებებში იქნებოდა ჩაქსოვილი ის გარემო, წლების მანძილზე რომ ენატრებოდა და მხოლოდ სიზმარში ელანდებოდა.

— თანაც ახლა გაზაფხულია, ყიამეთიდან პირდაპირ აყვავებულ ბაღნარში მოხვდები, — განაგრძო მატიუშკინმა, — ასეთ ბაღნარს კი ყოველთვის ამდიდრებს სუფრა, ღვინო, მუსიკა და ამშვენებენ მხრბგაშიშვლებული ქალები. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ასეთ გარემოში სიკვდილსაც კი უფრო ლმობიერი სახე აქვს, ვიდრე ნისლიან ჩრდილოეთში.

— ყველაფერი ეს თუ ასე გენატრება, აიღე შვებულება და წამოდი ჩემთან ერთად.

— ვინ მომცემს, თორემ დიდი სიამოვნებით.

— რატომ არ მოგცემენ?

— შვებულებაზე ჩვენთან რიგია დაწესებული. შემოდგომამდე ფეხს ვერსად გავდგამ.

— ჩვენებური შემოდგომა გაზაფხულზე უფრო ალერსიანია. თუ სურვილი გექნება და უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ, მეწვიე თბილისში, ზღვაც იქვეა, ორ ნაბიჯზე.

— დიდი მადლობა. თხოვნა მერიდებოდა, მაგრამ რაკი შემომთავაზე, ამ შემოხვევას ხელიდან არ გავუშვებ. ხომ იცი, რა უენო და უცხვირპირო კაცი ვარ. შენს გვერდით რომ ვიქნები, იქნებ შენი შარმი და ენაწყლიანობა მეც გადმომედოს.

ამ უენო და უცხვირპირო კაცმა კარგად იცოდა, რომ სხვას ვერაფერს დასტყუებდა და მთლად ხელცარიელი რომ არ დარჩენილიყო, თავი დაუპატიჟებინა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კარგ დროსაც გაატარებდა და შვებულების ფულსაც დაზოგავდა. დიდი მოხელეები, რომელთა გულის მოგება ან განაწყენება ადამიანის ბედს, გადამწყვეტია, უკვე იბრუნებდნენ იმ უფლებებს, მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეებს რომ ჰქონდათ. სახელმწიფო კანცელარია მთლიანად მათ ხელში იყო და როგორც კი სადავეებს ცოტათი მო-

უშვებდნენ, ქრთამების აღებასაც დაიწყებდნენ და ხელის ბანასაც.

— კიდევ ხომ არ მიირთმევ რამეს, ივან ფეოდოროვიჩ? — ჰკითხა მატიუშკინს.

— ო, არა, ყველამდე ვარ.

— როდის მოგაკითხო?

— მოდი სამშაბათს და ბრძანება ხელმოწერილი დაგხვდება.

სამშაბათს ბრძანება მართლაც ხელმოწერილი დახვდა. იმ დახასიათებებისა და საბუთების მიხედვით, ჯიბეში რომ ედო, საქართველოში დაჯილდოებული, დაფასებული, წარმოების გამოცდილი ხელმძღვანელი ბრუნდებოდა. კურსკის სადგურზე უამრავი ხალხი ირეოდა, ამდენი ქართული სახე ერთად კარგა ხანია არ ენახა, მაგრამ ისე იყო დატვირთული ჩემოდნებით, რომ გაჩერებისა და ლაყბობის თავი არ ჰქონდა.

მაშინ არა მარტო მატარებელი მოძრაობდა ნელა, არამედ ორთქლმავალიც ქარხანასავით ბოლავდა და თეთრი პერანგი ერთ დღეში იქვარტლებოდა. ამიტომ იმას, ვინც ამ მატარებლით მგზავრობდა, პერანგების საკმაო მარაგიც უნდა ჰქონოდა თან, რადგან მატარებელი აღმოსავლეთიდან, ბაქოს გავლით შედიოდა საქართველოში და თბილისამდე მგზავრობას ხუთი დღე-ღამე სჭირდებოდა. ხუთი დღე-ღამე ხუთი საათიც არ იყო იმასთან შედარებით, რაც მას მატარებელში დრო ჰქონდა გატარებული, მაგრამ ახლა ისე ეჩქარებოდა შინასაკენ, ისეთი მოუთმენლობა იპყრობდა, რომ ყოველი გაჩერება უსაშველოდ გაჭიანურებული ეჩვენებოდა. მოსკოვიდან გამოსვლის შემდეგ ცა შავი დრუბლებით დაიფარა, ჩამობნელდა, გაწვიმდა, ფანჯარაზე წყლის მსხვილი წვეთები ჩამოიდვარა. დაკლაკნილი ზოლების ბუნდოვანება ბოძებსა და შენობებს ირიბად ტეხდა და რაც გასაშვებელი იყო, აშვებდა და რაც გასანაცრისფერებელი — ანაცრისფერებდა. კიდევ კარგი, საერთაშორისო ბილეთი იყიდა და მის პირდაპირ ერთი კაცი, სამრომბიანი გენერალი იჯდა, თორემ სხვა მგზავრებიც რომ ყოფილიყვნენ და ენა არ გაეჩერებინათ, მოლად მოეშლებოდა ნერვები.

გენერალი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსი აღმოჩნდა. მოსკოვში თათბირზე იყო დაბარებული და ახლა მასავით შინ ბრუნდებოდა. სუფთად გაპარსულს ხმა მკვეთრი, დაბალი ჰქონდა, ძზერა ძძიბე, ცივი, სუნი კვ ოდეკოლონისა და კრემწასმული ტყავეულობის უდიოდა. საყელოშეხსნილი გენერალი სველ ფანჯარაში იყურებოდა და რაღაც ისეთზე ფიქრობდა, რაც, ეტყობა, მართლა საფიქრალი იყო. როცა დაიღლებოდა, ზურგით საკარძელს მიაწვებოდა და თვალებს მიელულავდა. ასე უბრად იმგზავრეს მანამდე, სანამ არ მოშივდათ. ნიკოლოზის დროს გენერალს, მით უმეტეს — სამგარსკვლავიან გენერალს, ადიუტანტიც ახლდა-ყველგან და ჯარისკაციც ემსახურებოდა, საბჭოთა გენერალი კი მარტო მგზავრობდა და ახლა არ იცოდა, თვითონ გამასპინძლებოდა თანამგზავრს თუ თანამგზავრისათვის ეცლია გამასპინძლება. თანაც გენერალი ისეთ ხასიათზე იყო, რომ დანა პირს არ უხსნიდა. ამიტომ მასპინძლობა მან იკისრა. სურსათსანოვაგით გატენილი ჩანთა გახსნა, მაგიდაზე პური და ხორცეული დაახვავა და ერთი ბოთლი სამარკო კონიაკი დადგა. გენერალს კი მხოლოდ მაშინ სთხოვა, დამეწვიეთო, როცა სუფრა გაშლილი იყო. გენერალმა ცოტათი დაიმორცხვა, უთხრა, თქვენს გამასპინძლებას მეც ვაპირებდი, მაგრამ როგორღაც ვერ შეგებედეთო და ერთი ბოთლი სამარკო კონიაკი მაგიდაზე იმანაც ჩამოდგა. ჭიქები პერის გატეხამდე შეავსო, გენერალს კარგად ყოფნა უსურვა, გენერალმა მადლობა გადაუხადა და ასე გაიბა მათ შორის საუბარი.

— უცხოეთიდან მოემგზავრებით? — ჰკითხა გენერალმა.

— რამე მეტყობა, რომ უცხოეთიდან მოვდივარ?

— ჩაცმულობაზე, მეტყველებაზე, ქცევაზე, ბარგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქ, საიდანაც მე მოვდივარ, უცხოელის ჭაჭანებაც კი არაა. მე მგონი, იქაურებს აღარც კი ახსოვთ, რომ უცხოეთი არსებობს.

— რომელია ის მხარე, ასეთი მოკლე მეხსიერება რომ აქვთ?

— კრასნოიარსკის.

— აა, კრასნოიარსკის. კრასნოიარსკში მეცა ვარ ნამყოფი. მაშინ მდინარე ყინულით იყო დაფარული და ძლიერი ყინვებისაგან ხეები ყუმბარებივით სკდებოდნენ. ყველაზე მეტად მაინც იმ ღუმელმა გამაკვირვა, მთელ იმ მხარეში რომაა გამეფებული. მაგრამ მე ახლა სხვა რამ მაინტერესებს: გიყურებთ და ვერაფრით მივმხვდარვარ, რა უნდა ეკეთებინა თქვენისთანა კაცს კრასნოიარსკში?

— ჯერ გემშემკეთებელი ქარხანა ავაშენე, მერე მის დირექტორად დამნიშნეს. ახლა შვებულებაში ვარ, შინ მივემგზავრები, მინდა ცოტა ხანს მაინც დავისვენო ძმიმე შრომის შემდეგ.

როცა გენერალმა გაიგო, ვინ იყო და საიდან მოდიოდა, მის მიმართ მეტი ნდობით განიმსჭვალა, უფრო გაეხსნა ენა. იმ დროს საზღვარგარეთიდან მომავალი თანამდებობის პირები მეტისმეტად საეჭვო, არასანდო ხალხად მიაჩნდათ, იმ ორგანოს წარგზავნილებად, რომელიც ყველას შიშის ზარს სცემდა. გენერალი სწორედ იმიტომ მოლს, რომ ასეთი არ აღმოჩნდა, მაგრამ როცა საქართველო და დასვენება ახსენა. გენერალს მაინც დაუმძიმდა სახე და რალაცნაირად ორაზროვნად უთხრა:

— თუ დაგცალდათ.

— რა თუ დამცალდა?

— დასვენება.

— რა მოხდა, ინგრევა ქვეყანა?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ ხან აღმოსავლეთიდან და ხან დასავლეთიდან ისე აყალარუნებენ იარაღს და ისე აღრჭალებენ კბილებს, რომ ეს იარაღის ყღარუნი და კბილთა ღრჭენა უომრად არ დამთავრდება.

გენერლის სიტყვებმა მასაც მოუშხამა გუნება, მაგრამ თავდაპირველად მისი წინასწარმეტყველება უგუნებობას უფრო მიაწერა, ვიდრე მოსალოდნელ საფრთხეს. უსიამო გრძნობას კი ის ემბლემები და ჩინ-მედლები იწვევდა, რომლებითაც გენერალი იყო აღჭურვილი. ომს თავისი ატრიბუტები, თავისი ნიშნები აქვს და არავითარ გონივრულ მოსაზრებებს, არავითარ სულიერ მოთხრვინლებებს არ უწევს ანგარიშს. ამას გენერლის გამომშრალი სახე და ის ფერი ადასტურებდა, კბილეტებში გამოკეტილ პროფესიონალ სამხედროებს რომ ადევთ. ომი მათთვის იმდენად სისხლის ღვრა არ არის, რამდენადაც სტრატეგია, ტაქტიკა, პოზიციების სწორად შერჩევა, ძალების რაციონალურად განაწილება და სხვა ამდაგვარი.

— თქვენ რომ სახეედრო არ იყოთ, თანაც დიდი თანამდებობის პირი, ამ ამბავს გულთან ახლოს არ მიიტანდით. ახლა კი რა ვქნა, გენერალო, ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

— ყველაფერს აჯობებს, დავლიოთ.

გარეთ გაზაფხული იდგა, ვაგონს კი მაინც ისე ახურებდნენ, რომ დასცხათ, გაოფლიანდნენ. გენერალმა კიტელი გაიხადა და თეთრი პერანგის ამარა დარჩა. ეს კი ამას ნიშნავდა, რომ ცოტათი მოშინაურდა, მოთვინიერდა. იგი რომ ომის თეორეტიკოსი იყო და არა მებრძოლი გენერალი, გარეგნობაზე, ქცევაზე და აზროვნებაზე ეტყობოდა. წინადადების წარმოთქმისას სიზუსტესა და ლოგიკას უფრო დიდ მნიშვნელობას ანაჭებდა, ვიდრე ჟესტებსა და ემოციებს. საბჭოთა კავშირში ცოტა იყო ისეთი სამხედრო ოლქი, გენერალს რომ არ ემსახურა. დასავლეთშიც იყო ნამყოფი, შუა აზიაშიც, ციმბირშიც და შორეულ აღმოსავლეთშიც. რუკების მიხედვით თითქმის ზეპირად იცოდა საქართველოსა და მთელი ამერიკკანისის გეოგრაფია. ბოლოს საუბარი მოსკოვზე ჩამოვარდა. მართალია, გენერალს პირდაპირ, სალდაფონურად არაფერი უთქვამს, მაგრამ მაინც ისეთი ამბები უამბო, რომ მან ყურები ცქვიტა. ის თაობირი, რომელსაც გენერალი ესწრებოდა, გერმა-

ნიის მიერ ომის დაწყების შესაძლებლობასა და მისთვის მზადყოფნას ეხებოდა. თათბირს უმაღლესი მთავარსარდლობა და მთელი გენერალიტეტი ესწრებოდა. მათ შორის ბევრი იყო ახალდანშნული, ისეთები, პოლიტიკურ ვითარებაში რომ ვერ ერკვეოდნენ და ამატომ თათბირზე ერთსულოვნება არ სუფევდა. უმრავლესობა, უფრო გაუცნობიერებლები და გამოუცდელები, კატეგორიულად უარყოფდა ომის დაწყების შესაძლებლობას და მხოლოდ იმ არგუმენტებს იშველიებდნენ, მთავარსარდლობა რომ აწვდიდა, ზოგიერთები კი ამ აზრს არ ეთანხმებოდნენ და ფრთხილად, მაგრამ სარწმუნო ინფორმაციის მოშველიებით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მთავარსარდლობა, რომ შეიძლება ომი სულ მალე, ამ ზაფხულშიც კი დაწყებულიყო. იმათ, ვინც მთავარსარდლობის აზრს ეწინააღმდეგებოდა, კარგად იცოდნენ, რომ თავს კუნძზე დებდნენ, მაგრამ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ უკან არ იხევდნენ. მისი თანამგზავრი გენერალი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, უმაღლესი დონის თათბირზე აზრი რომ გამოეთქვა, საამისო ინფორმაცია მას არც გააჩნდა, მაგრამ გენერლებს შორის იყო ერთი კაცი, ერუდირებული, პოლიტიკურად განათლებული, ანალიტიკურად მოაზროვნე მხედართმთავარი, რომელთანაც მის თანამგზავრს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და იმ მხედართმთავარმა რესტორანში, როცა მარტონი დარჩნენ, უბრალოდ და პირდაპირ უთხრა, დაიხსომე ჩემი სიტყვები: თუ ამ ზაფხულზე ომი არ დაიწყოს, ნემსას ნურაფერს იწამებო.

გენერალი ყოველივე ამას ისე დაულაგებლად, ისე მიკბული-მოკბულად ამბობდა, ინტონაციაში იმდენ სკეპტიციზმს აქსოვდა, თითქოს იმ თათბირზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო, სხვა ამგვარი თათბირებისაგან არაფრით გამორჩეულიყო, მაგრამ რეგვენი ხომ არ იყო — ვერ მიმხვდარიყო, რა საშინელება ელოდა კაცობრიობას და, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირს. ამიტომაც შეძარწუნდა შინაგანად, ამიტომაც დასცა გენერლის სიტყვებმა თავზარი. როგორც იქნა, ცომბირს, სიცივეს, უთვისტომობას თავი დაადწია, შვებით ამოისუნთქა და ომი უნდოდა ახლა? შეიძლება ვიღაცა-ვიღაცებს პირველი მსოფლიო ომი და სამოქალაქო ომები არ ახსოვდათ, შეიძლება პროფესიონალებისათვის ეს მხოლოდ პრესტიჟისა და თავის გამორჩენის საშუალება იყო, მაგრამ მან ხომ იცოდა, *რა მასშტაბებს მიიღებდა მობილიზაცია*, როგორ გაძაღლდებოდა და გამურდლდებოდა ადამიანიც და ცხოვრებაც; რაც უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა ომი, მით უფრო მეტ ხალხს ჩათრევდა სისხლის ღვრაში და ამძორდებოდა, აქოთდებოდა მიწის დაგლეჯილი ზედაპირი.

— პირველ მსოფლიო ომში თუ მონაწილეობდით, გენერალო? — ჰკითხა თანამგზავრს.

— როგორ არა, პირველ მსოფლიო ომშიც და სამოქალაქო ომებშიც. ამ ომებში რომ არ მიმეღო მონაწილეობა, ალბათ, გენერალი არ ვიქნებოდი.

— რამდენად უფრო ინტენსიური და დამანგრეველი იქნება თანამედროვე ომის ცეცხლი წინა ომებთან შედარებით?

— შეიძლება ასჯერ, შეიძლება მეტჯერაც. თუ ომი დაიწყო, ამ ომში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თვითმფრინავები, ტანკები, მოტომექანიზებული შენაერთები, რეაქტიული ჭურვები და მთელი ის ძმლავრი იარაღი, ომის მსვლელობის დროს რომ გამოიგონებენ. ხოლო რომ გამოიგონებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება. ყოველი ომი ახალი იარაღის სამჭედლოა და სულ უფრო მეტ და მეტ ხარჯებს მოითხოვს. ყველაზე დიდ მსხვერპლს ის ქვეყანა გაიღებს, ვისაც ნაკლები ფული და ნაკლები სახსრები ექნება.

— შეიარაღების არსებულ სახეობათა შორის, რომელია ყველაზე ძვირი, საშიში და და დამანგრეველი?

— ავიაცია.

— რით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ავიაციას შეუძლია ქალაქების დანგრევა, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მოშლა, მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობა. თანამედროვე ომში ფრონტსა და ზურგს შორის განსხვავება თითქმის არ იქნება, შეიძლება ზურგში უფრო მეტი ხალხი დაიღუპოს, ვიდრე ფრონტზე.

— მერე ესაა ჭკუა, კანონიერება და სამართალი?

— ომმა კანონები და სამართალი არ იცის. კიდევ ვიმეორებ, თუ ომი დაიწყო, ეს იქნება უსასტიკესი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, სადაც აღარც ზნეობა იარსებებს და აღარც სამართალი.

ყელში მწარე სითხე მოაწვა, დასცხა, გუნება ისე მოეშხამა, რომ გენერალს პაპაროსი სთხოვა და, ცოტა რომ გაგრილებულიყო, დერეფანში გავიდა. გამოლებული ფანჯრის მიღმა ელექტრობოძების მეტი არაფერი ჩანდა, მაგრამ ამ გზით არაერთხელ უმგზავრია და იცოდა, რკინგზის ორივე მხარეს ვრცელი, ოდნავ ამაბინებული მინდვრები იყო გადაჭიმული. ახლა ამ მინდვრების მდუმარებასა და მყუდროებას არავინ არღვევდა, მაგრამ თუ ამ ზაფხულს ომი დაიწყებოდა, აჯეჯილებულ მინდვრებს ტანკებისა და თვითმფრინავების გუგუნი გაყრუებდა, განადგურდებოდა მოსავალი, გადაიბუგებოდა ქალაქები და სოფლები, დაიწყებოდა შიმშილი, ეპიდემიები, ყაჩაღობა, განუკითხაობა, დაიფლითებოდა მიწის პირი და გაათელებოდა ცხოვრება. ისევე დამახინჯდებოდა ყოფიერების შეთითხნილი სახე, სინამდვილე გაშიშვლდებოდა, გასასტიკებოდა და სისხლისა და ხორცის პატრონს მეტისმეტად გაუჭირდებოდა სისხლისა და ხორცის შენარჩუნება, განსაკუთრებით იმათ, მისი სარჩენი და საპატრონონი რომ იყვნენ და ყველაზე მეტად სწორედ ეს აფრთხობდა და აძრწუნებდა.

შეიძლება მისი მაშინდელი განწყობილება იმაზე უარესი იყო, ვიდრე ახლა აგონდებოდა. როცა მატარებელი რომელიმე სადგურში გაჩერდებოდა და დერეფანში მბეჟუტავი ნათურების შუქი შემოიჭრებოდა, ტანში ერუანტელი უვლიდა და ისე უკანკალებდა ხელი, რომ პაპაროსი ძლივს მიჰქონდა პირთან, ფერფლი კოსტუმზე ეყრებოდა და მანამდე ვერ დამშვიდდა, სანამ კუპეში არ დაბრუნდა და ისე არ დათვრა, როგორც არასოდეს.

თბილისის დილამ, სითბომ და ჰაერმა რამდენიმე წუთში გაუქარვა განწყობილება, გენერლის ავის მომასწავებელმა სიტყვებმა რომ მოჰგვარა. ნამთვრალევსა და ლოდინისაგან გაწამებულს მშობლიურ ქალაქში მზიანი დარი დახვდა. გაზაფხულის ნიავს არც სუსხი მოჰქონდა თან და არც ნესტიანი კედლების სუნი. სადგურის მოედანზე უამრავი ხალხი იერეოდა, მაგრამ არავის ეზურა ბეწვის ქუდი, არ ეცვა თექის ჩექმები, არ ჰქონდა გათეთრებული წარბები და წამწამები. სითბო და ურიამული ყველა ცივ მოგონებას ალხობდა, ყველ მკაცრ ხაზს არბილებდა, დაეჭვებულს აიმედებდა და სიზმრებისაგან გაწამებულს ამხნევებდა. ჩემოდნებით გარშემორტყმული ისე იდგა ერთ ადგილას, თითქოს აღარსად ეჩქარებოდა, არც დასვენება ენატრებოდა და არც ძილი. სადგურის მოედანი ნეიტრალური ზონა იყო, სადაც დგომას ვერავინ დაუშლიდა და ამიტომ არ ჩქარობდა ეტლში ჩაბარგებას. სინამდვილეში კი შინ მისვლა ცოტათი აკრთობდა, აშინებდა, ჩვეულ სითამამეს აკარვინებდა. არ იცოდა, როგორ მიიღებდნენ, როგორ აეხსნა მათთვის ის, რომ ოჯახი მოულოდნელად მიატოვა და ცხრა მთას იქით გადაიკარგა. მართალია, ოჯახს ხმას აწვდიდა, რითაც კი შეეძლო, ეხმარებოდა, საიმედო ადამიანების ხელით ფულს უგზავნიდა, მაგრამ მასა და მისიანებს შორის მაინც ბევრი რამ იყო გაუგებარი, იმგვარი ხინჯი, რასაც ადვილად ვერ აღმოფხვრი, ერთსა და ორ დღეში ვერ გაქარწყლებ. ის, რაც მან თავისიანებს წაართვა, მარტო წლებით არ იზომებოდა, დროის იმ მონაკვეთს სხვა გან-

ზომილებაც ჰქონდა და სწორედ ამიტომ რჩებოდა ფეხები უკან. მოედანზე მანამდე იდგა უცხო სტუმარივით, სანამ მასთან ერთად ჩამოსული მეზავრები პირწმინდად არ გაიკრიბნენ და მხოლოდ ამის შემდეგ იხმო მეეტლე. ზორბა, სქელულვაშიანმა მეეტლემ გამარჯობა უთხრა, ჩემოდნები ეტლში ჩაალაგებინა და მთაწმინდისაკენ გასწია.

XVIII

ბერიკაცი დარწმუნებული იყო, რომ დროს თავიდანვე აუღო ალღო, ახალი სწორედ იმ ნაშნებით გამოარჩია ძველისაგან, რა ნიშნებითაც ხასიათდებოდა, მაგრამ დღეს მის სულში დაღამებამდე ჩამობნელდა, რაღაც ჩამოინგრა და მტვერი და ბული დააყენა. ამ მტვრის გაფანტვა ვერც შემოდგომის ნაავი შქმლო და ვერც ცოცხალმა, მფეთქავმა აზრმა. მოულოდნელად ის მადლიერების გრძნობაც კი დაიწრეტა, მშობლიური ქალაქის მიმართ რომ ჰქონდა. ქალაქი იმრიზებოდა, ეკლებს ისხამდა, თავისიანად არ თვლიდა. ცის კიდურსაც კი ერღვეოდა ის კიდე, ერთ დროს მოვარაყებული და საამედო რომ იყო. ჩრდილები თანდათან მოკლდებოდნენ და თვალსა და ხელს შუა ქრებოდნენ. რაც უფრო მტკიცედ ადგამდა ფეხს ქვაფენილზე, მით უფრო უსუსტდებოდა მუხლი. იმ კითხვებზე პასუხის გაცემაც მობეზრდა, თვითონ რომ უსვამდა საკუთარ თავს. ვეიძლება მასაც ბევრი რამ ჰქონდა სასაყვედურო წუთისოფლისა და მისი მუხთლობის მიმართ, შეიძლება მასაც უშრობდა სისხლს ამ ქვეყნის უთავბოლობა და ცხოვრების მოუხელთებლობა, მაგრამ ამის გამო არ გაცოფებულა და გადარეულა. ვერც დღეს აშლიდა და აბობოქრებდა გარეშე ძალა და უსაბური ჩრდილები, თვითონ რომ არ აეფორიაქებინა წარსული, წაღმა დატრიალებული ბორბალი უკუღმა არ დაეტრიალებინა.

იმ დღეს თბილისმა მართლაც თბილისური მასპინძლობა გაუწია — მოეფინა ყვავრული, მოეალერსა, სახლამდე მშვიდობით მიიყვანა. როცა შინაურები მოიმშობლიურა, დაუჯილდოვა, დაარწმუნა, რომ აღარსად გაიქცეოდა, სახლში მიიხედ-მიიხედა, რაც შესაკეთებელი იყო, შეაკეთა, რაც საყიდელი, — იყიდა. შეხედა იმთავე, ვინც მათ ოჯახში ჯერ კიდევ დადიოდა, მაგრამ ამასობაში ცხოვრება თავის ჩვეულებრივ ფეხის ხმას აჰყვა და სახლში ვეღარ გაჩერდა, სივრცე, ხეტიალი და თავის თავთან მარტო დარჩენა მოენატრა. რამდენიმე დღე გამზირზე დახეტიალებდა, შემდეგ ძველი უბნებიც მოინახულა და ისეთ რამეებს მიაქცია ყურადღება, რაც ადრე მისი მხედველობის არეში არ ხვდებოდა. ზომაზე მეტად გამობარი ჰაერი დდი რაოდენობით ისრუტავდა მტვერს და ჯერ კიდევ ხასხასა ფოთლებს აყრიდა. მოედნები, ქუჩებთან შედარებთ, გამელოტებულები ჩანდნენ, უფერულობას ვერ იტანდნენ და რაღაცით მორთვას, შეეხებას. გაზონებს, ბეკლს ან ობელისკს ითხოვდნენ. სეირნობის ხასიათზე ისაც აყენებდა, რომ ქალაქში აღარ ოგრძნობიდა ის შაში, დამაბულობა და გულის ხეთქვა, მის გადახვეწამდე ყველა გაქუცული, საღებავდამსკდარი სახლის უკან რომ იმალებოდა და მანამდე არ ცხრებოდა, სანამ დაზაფრულებს ღამით ამოვარდნილი ქარი ამ სახლებიდან არ გამოხვეტადდა და ჯურღმულებში შეხვეტდა. მოქალაქეთა სახეებიც უფრო შემთბარი, წარბგახსნილი, სულმოთქმული ჩანდა. აღარ ჰგავდნენ იმ უმწეო, უნდო, უცხვირპირო სულდგმულებს, რომლებიც ამ ქვეყანაზე კი არ დადიოდნენ, არამედ დაიპარებოდნენ. არც წლევანდელი გაზაფხული ჰგავდა იმ გაზაფხულსა და ზაფხულს, როცა ელექტრონათურებიც კი შიშნეულად შიშინებდნენ, როცა აღარ არსებობდა შეუვალი კარი და სორო, როცა შავი მანქანებისათვის ყველა გზა ხსნილი და ყველა შუქნიშანი გაუქმებული იყო, როცა ყვავები ჩხავილს გადაეჩვიენენ და ქალაქიდან გაიკრიბნენ. ასე ჩანდა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგნულად, თორემ ის დრო რომ არსად წასულა, არ გადაშენებულა, ამაზე ყველაზე ცხადად ბელადის ტრაფარეტული პორტრეტები, გამომყვეყნებელი ლოზუნგები და წითელი დროშები მეტყველებდნენ. პორტრეტები ჯგუფურიც იყო და ინდივიდუალურიც, წარწერიანიც და უწარწეროც, მაგრამ მათზე გამოსახული წმინდა მამები მომაკვდინებლად სერიოზულები აღარ ჩანდნენ, აღარ აცმაცუნებდნენ სისხლიან ტუჩებს და ესეც დიდი შეღავათი იყო.

კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ ის დრო არ შეცვლილა, მეზობლების, ნაცნობების, ამხანაგების მისდამი დამოკიდებულება იყო. კი იცოდნენ, რომ სადღაც გადაიხვეწა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდათ, — სად, რის გამო, თვითონ დაამავა რაღა, თუ სხვების დასადანშაულებლად მიაკლინეს? ეს კითხვები მათ გულში ეჭვსა და უნდობლობას იწვევდა და როცა ელაპარაკებოდნენ, სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდნენ. ეს უნდობლობა ცოტათი მას შემდეგ გაიფანტა, როცა გაიგეს, რომ რუსეთის ერთ-ერთ შორეულ ქალაქში დიდი ქარხნის დირექტორი იყო და მთავრობის ჯილდოები და სიგელები ჩამოიტანა თან. ამან მის მიმართ დამოკიდებულება საგრძნობლად შეცვალა, შეხვედრისას აღარ იშმუშნებოდნენ, განზე არ იყურებოდნენ, ერთმა ისიც კი სთხოვა, რაცა უკან გაბრუნდები, თან წამიყვანე და რაიმე სარფიან საქმეზე დამაყენეო. მეზობლებისა და ნაცნობების ამგვარი ფერისცვალება არც აშფოთებდა და არც გულს უტეხდა. ისინი ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორებიც იყვნენ და სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ. ამიტომ არავის ეშღუროდა, არავისთან შეხვედრასა და საუბარს არ გაურბოდა. საუბრის თემა, რა თქმა უნდა, ვიწრო, ბანალური, უინტერესო იყო, ცხოვრებაზე ჩვეილს და ამაში ვინმეს ან რაიმეს დადანაშაულებას ისინიც კი გაურბოდნენ, რომელთა ოჯახებიც მძიმედ დაზარალდა, მაგრამ ამ საუბრებმა იგი ერთ რამეში მაინც დაარწმუნა: მისი თბილისიდან გადახვეწით არავინ დაინტერესებული, არავინ დაუბარებიათ, არავინ დაუკითხავთ. ხოლო თუ რატომ არ დაინტერესდნენ, რატომ არავინ დაიბარეს და არავინ დაკითხეს, ამის ნამდვილი მიზეზი მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა ერთ-ერთ იმ თანაკლასელს შეხვდა, ფუნიკულიორრზე მათთან ერთად რომ ქეიფობდა და იმ სკანდალის შემდეგ შინსახკომში იბარებდნენ.

იმ საღამოს ნელი ნაბიჯით შეუდგა აღმართს, თავისთვის რაღაცას ფიქრობდა და ამ დროს ვიღაც წინ გადაუდგა. დამხდურს არა მარტო სახე ჰქონდა ნაცნობი, არამედ ღიმილიც, მაგრამ გაკვირვებით იმან გაკაკვირვა, რომ მისი ბაკისფერი ხალათის საყელოზე შპალები იყო ჩამწკრივებული. თენგიზ ღვინერიაი პროფესიით იურისტი იყო, უნივერსიტეტი ლენინგრადში ჰქონდა დამთავრებული და ლენინგრადიდან მარტო დიპლომი კი არ ჩამოიტანა, არამედ ცოლიც ჩამოიყვანა, ახალგაზრდა, შავგვრემანი, ხორცსავსე ქალი, რომელსაც გარეთ ყოფნა, გართობა უფრო უყვარდა, ვიდრე ოჯახში ტრიალი. იმ ქეიფის ერთ-ერთი აქტიური მოთავე, ფუნიკულიორრზე რომ გაიმართა და საველალოდ დამთავრდა, სწორედ თენგიზი იყო. ჩრდილოეთიდან დაბრუნებულს ქართული სუფრა, ქართული გარემოცვა, სიყრმის მეგობრები ენატრებოდა. შეიძლება ცოტათი თავის გამოჩენაც სურდა. სუფრაზე დაუდალავად ხუმრობდა, ებრაულ ანეკდოტებს ყვებოდა, გეგმებს აწყობდა, მხოლოდ ის ვერ გაითვალისწინა, რომ ის დღე მის გეგმებს რადიკალურად შეცვლიდა.

— გამარჯობა, შენ გუგა არა ხარ? — ჰკითხა თენგიზმა და იმის მოლოდინში, მიცნობს თუ არა, უფრო სწორად, მცნობს თუ არაო, წარბი შეიკრა.

— კი, გუგა ვარ.

— მიცანი?

— ცნობით კი გიცანი, მაგრამ არ მეგონა, საველო თუ ამდენი შპალით გექნებოდა დამშვენებული.

— კაცს ყველაფერი ამშვენებს, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხდენს, განსაკუთრებით ფორმა და წოდება. მაგრამ ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა ის მითხარი, სად მიდიხარ.

— სახლში.

— იცი, რა? მოდი, ჩვენთან ავიდეთ, სახლში დედაჩემის მეტი არავინაა, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, მე ჩემს ამბავს გიამბობ, შენ შენი მიამბე და ბოლოს და ბოლოს გავერკვევით იმ გაუგებრობაში, დღემდე რომ ბნელითაა მოცული.

შპალებიან შინსახკომელთან სტუმრობა დიდად სასიამოვნო არ იყო, მაგრამ თენგიზს ბევრი რამ შეიძლებოდა სცოდნოდა ისეთი, რაც მას დიდად აინტერესებდა, რაც ხელ-ფეხს გაუხსნიდა და ორიენტაციის საშუალებას მისცემდა. ეს კი მისთვის, სამსახურისა და თანამდებობის მაძიებელი ცაცისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. კაცი ქუჩაში შეხვდა, შინ ეპატიჟებოდა, ძველ ამბებში გარკვევას ჰპირდებოდა და ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება სიტუტუცე იქნებოდა. გარდა ამისა, თენგიზის დედას კარგად იცნობდა, ბავშვობაში არა ერთხელ გამასპინძლებია შვილის ამხანაგებს, კეთილი, თბილი, გონიერი ქალი იყო და შვილის გვერდით მისი ძველი ამხანაგის დანახვა უთუოდ გაეხარდებოდა.

— ხომ არ აკეტანოთ რამე? — ჰკითხა მან, რომ ამ შემთხვევით შეხვედრაში და მომავალ ვახშამში მცირედი წვლილი თვითონაც შეეტანა.

— არაფერი არ გინდა. სახლში იმდენი ხორაგი მიყრია, ისეა გამოჭედილი განჯინები სასმელითა და საჭმელით, რომ ჩვენ ორს კი არა, ათ გოლიათს ეყოფა.

— ისევ ძველ ბინაში ცხოვრობ თუ დედაშენთან მიდიხარ სტუმრად?

— ბინა არ გამომიცვლია. თბილისში ერთ სულზე ოთხი კვადრატული მეტრია ნორმა, მე და დედაჩემს კი ორი დიდი ოთახი გვიკავია და რა სინდისით მოვითხოვო?

ღვინერიებს მართლაც ერთმანეთში გამავალი ორი დიდი ოთახი, შემინული შუშაბანდი და საერთო სამზარეულო ჰქონდათ. ეზოში ბებერი თუთის ხე იდგა და ის ხე ახლაც შეფოთლილი იყო. საერთო აივანზე ხვეული კიბით ავიდნენ. ღვინერიების ბინა დაწკრიალებული ახსოვდა და ახლაც დაწკრიალებული დახვდა. შეძენით თითქმის არაფერი შეუძენიათ. იგივე ხალიჩა, იგივე ტახტი, ბუფეტი, დიდი ოთხკუთხა მაგიდა, ვენური სკამები და ძველებური კედლის საათი. ერთ კუთხეში ბამბუკის დეკორატიული, ყვავლების დასადგმელი მაგიდა იდგა.

როგორც კი იცნო, დეიდა დარომ გულში ჩაიკრა, მოიკითხა, მოეფერა, შეათვალ-შემოათვალიერა, დავაჟკაცებულხარ, დამშვენებულხარო, უთხრა და მაშინვე სუფრის გაშლას შეუდგა. დედა მას უკვე დიდი ხანია არ ჰყავდა და დეიდა დარის სიხარული, მზრუნველობა, რადაცნაირი, ქალური რიდი იმდენად გულის ამაჩუყებელი იყო, რომ მან ამის ღირსად არც მისი შვილი ჩათვალა და არც საკუთარი თავი. როცა სუფრაზე ყველი, შემწვარი თევზი, ხაჩოლალა, მწვანილი, ჭაკვე და სასმელები ჩამოდგა, ახალი კერძის დასამზადებლად სამზარეულოში გავიდა. იმ დროს ძველი კერძის სტუმრისათვის მირთმევა სირცხვილად ითვლებოდა.

თენგიზმა ფორმა გაიხადა, თეთრი პერანგი და კოსტიუმი ჩაიცვა და ის სახე დაიბრუნა, ამ ოთხიოდე წლის წინათ რომ ჰქონდა. მანაც უფრო შინაურულად, უფრო თავისუფლად იგრძნო თავი. რა თქმა უნდა, არც სამოქალაქო ტანსაცმელში იყო თენგიზი ის კაცი, სუფრაზე რომ ებრაულ ანეკდოტებს ყვებოდა, მას შემდეგ მან გამორჩეულობის, უნდობლობის, სისასტიკის ბნელ დერეფნებში შეაბიჯა, თანამდებობა და გავლენა მოიპოვა, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ამის გამო არც გაუხეშებულა და არც გაყოყოჩებულა. შეიძლება იმ ჯურღმულებში თენგიზისთანა განათლებული ხალხიც სჭირდებოდათ და კბილს აღარ უსინჯავდნენ, მოსწონდათ თუ არა, მაინც იტანდნენ. ან შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი სამსახურში სხვა კაცი იყო და შინ სხვა. კრასნოიარსკში ერთი მაიორი ცხოვრობდა, ერთ-ერთი ბანაკის რეჟიმის უფროსი იყო, ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. პატიმრებს შორის უსასტიკესი დესპოტის, სადისტის სახელი ჰქონდა მოპოვებული, მეზობლები კი ამბობდნენ, უაღრესად ყურადღებიანი მეუღლე და სათუთი მამაო. მართალია, იმ რეჟიმის უფროსმა წერა-კითხვის მეტი არაფერი იცოდა, თენგიზს კი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ მას ისეთი ხალხიც უნახავს გაორებული, საქვეყნოდ ცნობილი სწავლულები და აკადემიის წევრები რომ იყვნენ.

— რა დაველოით? — ჰკითხა თენგიზმა.

— რასაც დამისხამ.

— აი, ეს კონიაკი რევოლუციამდეა ჩამოსხმული, შემთხვევით ჩამოვარდა ხელში. ვის შევუნახო, ჩვენზე უკეთესი ვინ დალევს?

— შემთხვევით სტუმარს ასეთი ძვირფასი სასმელით არ უმასპინძლდებიან, — უპასუხა მან.

— დედაჩემს რომ კაცის ნახვა ასე გაუხარდეს, ის კაცი ჩვენს ოჯახში შემთხვევითი სტუმარი არ შეიძლება იყოს.

ღვინერიების ოჯახში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი შავი, ვერცხლით მოვარაყებული ჭიქები და თენგიზმა სწორედ ის ჭიქები შეავსო.

კონიაკი მართლაც ძველი და მადის აღმძვრელი აღმოჩნდა. ადრე, როცა ამ ოთახში და ამ მაგიდასთან იჯდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ნამცხვრის რომელი ნაჭერი გადაეღო და ლიმონათი დაეყოლებინა თუ სიტრო, ახლა კი აზრი სიბნელეში შეღწევას და იმის დანახვას ცდილობდა, რით სულდგმულობდა თენგიზ ღვინერია, როგორ აწესრიგებდა იმას, რაც მისი იყო და იმას, რაც თავს მოახვიეს, ცალმხრივად იყო ორიენტირებული თუ რაღაც-რაღაცებს სკეპტიკურად უყურებდა. ზნეობაზე, ცხოვრებისეულ პოზიციაზე, მოვლენების შეფასებაზე ამ სალამოს არც ერთი დაძრავდა კრინტს და არც მეორე და იმას, რაც არ ითქმებოდა, მიხვედრა, შეფასება, გათვალისწინება სჭირდებოდა.

— არ ვიცი, რა გავლენა იქონია იმ დღემ შენს ცხოვრებაზე, ჩემი კი რადიკალურად შეცვალა. ჩეკისტებთან უშუალო კონტაქტმა ჯერ ირაციონალური შიშისაგან გამთავისუფლა, შემდეგ კი საკუთარი თავის დფასება მასწავლა, — უთხრა თენგიზ ღვინერიამ და ცხადად ივრძნო ის უპირატესობა, მის მასპინძელს ორგანოებში მუშაობა რომ ანაჭებდა.

— შენ წარმოიდგინე, ჩემსაზეც, თუ არ ჩავთვლით ამ ოთხ წელიწადს, ციმბირში რომ გავატარე და ცოლ-შვილი უპატრონოდ მყავდა მიტოვებული. საქართველოში მე არავინ მანდობდა იმ ხელა ქარხნის დირექტორობას, იქ რომ მანდეს და ისე არავინ დამიფასებდა შრომას, იქ რომ დამიფასეს. ჯილდოები არ დაუკლიათ და სიველება, არც პრესას დავუტოვებიავრ უფურადღებოდ. პარტიაშიც კი ისე მიმიღეს, რომ ჩემი წინაპრებით და სოციალური წარმოშობით არავინ დაინტერესებულა. ერთი სიტყვით, თუ მოვიგე რამე, თორემ წაგებით არაფერი წამიგია. მაგრამ მთავარი ეს არაა, მთავარი ისაა, რომ იმ დღემ ბევრი რამ დამანახვა ისეთი, რასაც მანამდე ვერ ვხედავდი.

— იმაზე, რაც ჩვენ შეგვემოხვა, არსებობს ერთი კარგი ქართული ანდაზა: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. იმ ჭირმა პირადად მე დროზე ამიხილა თვალები, დამანახვა, რომ საქმე მქონდა უწიგნურ, ჩლუნგ, მორჩილებას მიჩვეულ არარაობებთან, რომელთაც ჩემი ბედი უნდა გადაეწყვიტათ და ისე შევევიწროვებინე, როგორც მოესურვებოდათ. იმ ოქმში, ერთ-ერთი დაკითხვის შემდეგ ჩვენმა გამომძიებელმა რომ წამაკითხა, ათამდე შეცდომა მაინც ვიპოვე, თანაც ისეთი, მეხუთე კლასის მოწაფეს რომ არ მოუვიდოდა. სხვებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. აი, ასეთი ხალხი მიპირებდა შეში-

ნებას, გადაბირებას, თავიანთი ბინძური მიზნებისათვის გამოყენებას. ვიფიქრე, რაღა მე უნდა ვემსახურო ამ პირსისხლიან ღორებს, არ სჯობია თვითონ მემსახურონ-მეთქი და შევუფიქრე კიდეც საქმეს. დედაჩემის ერთი ახლო ნათესავი, რომელსაც ჩვენს ოჯახში ხშირად უპურმარილებია, იმ დროს შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე იყო. რადგან ვგავწვებოდნენ და დრო არ ითმენდა, მეორე დღესვე ვესტუმრე შინ, ვუთხარი, პროფესიით იურისტი ვარ, რუსულიც ისევე კარგად ვიცი, როგორც ქართული, ვეძებ ხელიან, მუდმივ სამსახურს, მინდა მუშაობა თქვენს კომისარიატში დავიწყო და მომეხმარე-მეთქი. კომისრის მოადგილეს გაეხარდა, ჩვენი ოჯახისათვის პატივისცემის გადახდის საშუალება რომ მიეცა. მითხრა, სიამოვნებით დაგეხმარები, ჩვენ სწორედ განათლებული ხალხი გვჭირდება, განსაკუთრებით — იურისტები, დაწერე განცხადება და ხვალვე გამოცხადდი ჩემთანო. მას შემდეგ ფორმა ჩავიცი, იერარქიული კიბე სწრაფად ავირბინე და ახლა მთელი კომისარიატის იურიდიული სამსახური ჩემს ხელშია. მართალია, ჩვენს მართლმსაჯულებას ფორმალური ხასიათი აქვს, მაგრამ ამ ფორმალობას მაინც უწევენ ანგარიშს, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეიძლება საქმე გახმაურდეს, ჩვენს საზღვრებს გასცდეს და იმათ ყურამდე მიაღწიოს, ვისაც სენსაციები, ანუ აურზაურის ატეხა უყვარს.

— შენს თანამდებობას რა ჰქვია?

— შინაგან საქმეთა კომისრის ერთ-ერთი მოადგილე ვარ.

— იმათთან რა კავშირი გაქვს, ვინც გადაბირებას გიპირებდა?

— პირადად მე არავითარი, მაგრამ მათ მსჯავრდებულებს ჩვენი ტრიბუნალები ასამართლებენ და მათ პატიმრებს ჩვენი ჯარები იცავენ.

მას კრასნოიარსკი და ის გრძელი კოლონები გაახსენდა, შეიარაღებულ ჯარისკაცებს სხვადასხვა ობიექტებზე რომ დაჰყავდათ. სასჯელად მათ ისიც ეყოფოდათ, პატიმრები რომ იყვნენ, მაგრამ ამგვარი სასჯელი მათთვის ეცოტავებოდათ და იმას, ვინც დღიურ ნორმას ვერ ასრულებდა, ან ულუფას უნახევრებდნენ, ან კარცერში ამწყვდევდნენ. წინასწარ არც ერთ მათგანს არ ეგონა, ისეთ დღეში თუ ჩავარდებოდნენ, როგორშიც აღმოჩნდნენ. ძველი პატიმრები უკვე სხვა განწყობილებით, სხვა საზოგადოებით, სხვა სულისკვეთებით ცხოვრობდნენ. ზოგიერთს ისეთი რამ ჰქონდა გადატანილი, რომ სათქმელადაც კი ძნელი იყო. სიკვდილი, ამ ქვეყნიდან წასვლა ბევრად სჯობდა მათ არსებობას, მაგრამ თავს მაინც არ იკლავდნენ, არ ჯანყდებოდნენ, ხიშტს არ ეგებოდნენ. მან არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი — შიში, სიბერეკე თუ გულგრილობა, მაგრამ ის ტრიბუნალები, მათ რომ ასამართლებდნენ, შიშის დამორგუნველ მეთოდს მაქსიმალურად იყენებდნენ. ეს გრძნობა რომ არა, პატიმრებს ციხეებსა და ბანაკებში ვერავინ ვაარერებდა, არ გაიყვანდნენ გზებს, არ მოიპოვებდნენ მადნეულს, არ გაჩეხავდნენ ტყეებს, არ ააშენებდნენ ქარხნებს. მას კი სწორედ იმით მოჰქონდა თავი, რომ ქარხანა ააშენა და ააშენა დაორგუნველია ექსპლუატაციის ხარჯზე.

— ნუთუ მხოლოდ იმან გადაგაგდეგინა ამხელა ნაბიჯი, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძენი? — ჰკითხა თენგიზ ღვინერიას და ტუჩს ზემოთ ისეთი ნაოჭი შეამჩნია, ორგანოების მუშაკებს რომ უჩნდებათ.

— მე ასე მგონია, მაგრამ ამაში, ალბათ, ის ბიძგებიც მეხმარებოდა, ქვეცნობიერი სამყაროდან რომ მოვდინება. ეტყობა, ყველა სხვა გზა გრძელი და მომქანცველი მომეჩვენა. რა ხეფროშიც უნდა მემუშავა, წლები უნდა გასულიყო, რომ რაიმესთვის მიმეღწია. აქ კი ყოველგვარი გარჯის გარეშე მაწინაურებდნენ და სულ უფრო პრესტიჟულ და დიდხელფასიან თანამდებობებს მთავაზობდნენ. გარდა ამისა, არ მინდოდა ამდენ არაკაცსა და გარეწრებს შორის უძლური და დაბეზღების ობიექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვყოფილიყავი. როცა ესარჩლები რაღაც ისეთს, რაც ყველას ფეხებზე ჰკიდია, კაცს იქ დიდი ჭკუა და გამჭრიახობა არ გეჭირდება.

— გეთანხმები. ჩვენ ის ხალხი არა ვართ, ვინც ცხოვრებას თავს დაავალებინებს, მაგრამ მე სულ სხვა რამ მაინტერესებს: სადაა ის გამომძიებელი, ჩვენი საქმე რომ ებარა?

— როგორც კი რეპრესიების დიდი ტალღა ჩაათვალ, ის გამომძიებელი დაატყმიჩვინა. ორი თუ სამი თვის შემდეგ ის ბობოლა დაიჭირეს, ტროცკისტობასთან ერთად ნაციონალისტობაც დააბრალეს და მანამდე არ მოეშვნენ, სანამ ორივე ბრალდებაზე ხელი არ მოაწერინეს. ეს ორი მცნება რომ ერთმანეთს გამორიცხავდა, სათვალავში არავის ჩაუდგია. იმ დროს მირიანი, რომელსაც მთავრობის ძალით დაჩხობის მცდელობა ბრალდებოდა, ჯერ კიდევ არ იყო გასამართლებული. შეიქმნა მეტისმეტად უხერხული მდგომარეობა. ქველი რევოლუციონერი და მთავრობის წევრი თვითონ აღმოჩნდა ქვეყნის მტერი და მოღალატე და ამიტომ მისი ხელმყოფელი საბჭოთა ხელისუფლების დამაშხობელი ვერ იქნებოდა. თუ იმ ბობოლას დასჯიდნენ, მირიანი უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ასე არ მოხდა. ტროცკისტი და ხალხის მტერი დახვრიტეს და მირიანიც გასამართლეს. მათ მშვენიერად იცოდნენ, ვინ არის მირიანი, რით სუნთქავს, რატომ შეასხა იმ ბობოლას სახეში ღვინო და, აბსურდული მდგომარეობიდან რომ გამოსავალი ეპოვთ, მირიანს მუხლი შეუცვალეს, ბორიტი ხულიგნობა დაუბრალეს და მაინც ციმბირში უკრეს თავი.

— ისეთ ამბებს ყვები, რომ მათთან შედარებით ყველაზე დიდი უაზრობაც კი აზრს იძენს. თუ მირიანის გამოხდომაში ანტისაბჭოური არაფერი იყო, ჩვენ რა შუაში ვიყავით, რატომ უნდა იდოს ჩვენი საქმე ჩეკაში?

—ესეც უაზრობისა და ულოგიკობის შედეგია, მაგრამ ახლა აღარ დევს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ამოღებით პირადად ვიყავი დაინტერესებული.

ბეჭვი მაღულარია

— შენ, ალბათ, კიდევ მეტყვი რაღაც ისეთს, რაც უაზრობის უახლესი ნიმუში იქნება.

— ის საქმე იქ რომ იდო, თქვენზე მეტად მე მაწუხებდა. არ მინდოდა ვინმეს რამე გამოეჩხრიკა, რამე წამოეძახებინა. ამიტომ როგორც კი ამის საშუალება მომეცა, კომისართან შევედი, ყველაფერი ავუხსენი და ვუთხარი, რომ ეურიდიული თვალსაზრისით ის საქმე ჩვენს კომპეტენციაში შემოდის, პოლიტიკური თვალსაზრისით აბსურდულია და თუ ჩეკას არ უნდა, რომ შემოწმების შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, მირიან ზარდაშელის, ანუ ბოროტი ხელოვნობის საქმე ჩვენ უნდა გადმოგვეცეს-მეთქი. შენ წარმოიდგინე, ჩემმა მოსაზრებამ გაჭრა და მთელი ის საქმე, რაც მირიანს ეხებოდა, მთლიანად ჩვენ გადმოგვიგზავნეს. ერთხანს უჯრაში მედო, ვიფიქრე, დავიცდი, ვინმე ინტრიგანი რამეში არ ვამომედავოს-მეთქი, მაგრამ, როცა დავრწმუნდი, რომ არავის გაახსენდებოდა და არავინ მოიკითხავდა, მოვსპე ყველა დოკუმენტი, რომელიც პირადად მირიანს არ ეხებოდა.

— კი მაგრამ, ისე მოსპე, რომ არც კი წაიკითხე?

— წაკითხვით როგორ არ წავიკითხე, უფრო სწორად — გადავხედე, წაკითხვით იმდენ სისულელეს რა წამაკითხებდა.

— მერე?

— შენ, ალბათ, იმის თქმა გინდა, გამოაცა თუ არა თქვენმა სულმდაბლობამ და სიგლახემ?

— რა თქმა უნდა.

— თქვენზე უკეთესად არც მე გამოვიყურებოდი. საერთოდ, წარმოუდგენელია კარგად გამოიყურებოდე ისეთ სიტუაციაში, ჩვენ რომ აღმოვჩნდით. მაშინ დაზაფრულები უფრო ვიყავით, ვიდრე გაბოროტებულები, ცოტათი გამოუცდელობამაც შეგვეკავებინა თავი და ამიტომ არც მირიანი გაგვიწირავს უღვთოდ და არც ერთმანეთისათვის დაგვბრალებია ისეთი რამ, რომ ერთმანეთს თვალებში ვერ შევხედოთ.

— ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობ, თუ მართლა არ დაგვლახებულვართ, არ წავმხდარვართ, არ შეგვირცხვენია თავი?

— მე რომ მკითხო, რასაც აღამიანი სჩადის, კონკრეტული ვითარების მიხედვით უნდა შეაფასო და არა ზოგადი კატეგორიებით, ანუ მაქსიმალისტური თვალსაზრისით. ის საქმე, თავს რომ მოგვახვიეს, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, არ ვიცოდით, რა უნდოდათ ჩვენგან, რას გვერჩოდნენ, რა სარჩულს დაუდებდნენ იმ საქციელს, მირიანმა რომ ჩაიდინა. ამიტომ პატარ-პატარა დათმობები და შეცდომები დიდ ცოდვად მიგვაჩნდა. ასეთია კაცის გაფუჭების კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მეთოდი. ამიტომაც შევფუცხუნდით მაშინ პროვინციელი ქალაშვილებივით, თორემ შენ რომ იცოდე, რანაირი საჩივრები შემოდის ჩემთან, რა სისაძაგლეებს და სიბინძურეებს არ კადრულობენ, თანაც ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით, მაშინდელი ჩვენი ჩვენებები კეთილშობილების ნიმუშად მოგვჩვენება. ახლა ხალხი სიბინძურესა და სისაძაგლეში ეჯიბრება ერთმანეთს და არა პატიოსნებასა და კეთილშობილებაში. კიდევ ერთი პარადოქსი ისაა, რომ, ჩემი თანამდებობის წყალობით, ნაძარალობამდე დამდაბლება არ მჭირდება, მაგრამ ყოველ მაოგანს, ვისაც ჩემთან საჩივარი შემოაქვს, მასზე უფრო დიდი ნაძარალა ვგონივარ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალილა ბედიანიძე

●

რუკაზე თითქმის არც კი ჩანს
დიდი ქვეყნების გვერდით
ჩემი პატარა სამშობლოს,
პატარა ქვეყნის ბედი.

მე კი — თუ რამე ვისწავლე,
მისთვის ვისწავლე დღემდი.
მისთვის ვიგემე ტკბილ-მწარე,
მისთვის — თუ რამეს ვწერდი.

და რა იქნება, მაშინებს
დიდი ქვეყნების გვერდით
ჩემი პატარა სამშობლოს,
პატარა ქვეყნის ბედი...

სახლები

სახლები, სადაც ვიმყოფებით, თბებიან ჩვენით
და ჩვენით უდგათ სული ყოველთვის.
მკვდარ სახლში სულიც ისე მკვდარია,
როგორ მკვდარი სახლიც მკვდარი პატრონივით უნდა დამარხო, ველარ
გაცოცხლდება.

ჩვენ ვირეკლებით ჩვენი სახლების ფანჯრის მინებზე.
ჩვენ იქ ვჩანვართ, როცა მივდივართ ან ვბრუნდებით.
შინ კი რჩება ჩვენი ნახევარი — სახლის ნახევარი.
ჩვენი სახლი, რომელიც გვათბობს, ჯერ ჩვენ გავათბეთ.
დგანან სახლები, დფიქრებულნი ადამიანთა სიცოცხლეზე
და საკუთარ ბედზე,
დგანან — ხან მზისგან გვიფარავენ, ხან წვიმისგან, ხან ქარებისგან,
დგანან — ზამთრობით თოვლს იხურავენ და თოვლს იცავენ,
თოვლში დგანან და ყინვაში დგანან
და იზიდავენ ყველას, ვისაც სითბო სწყურია.
აი, აფრინდა მტრედი და დაჯდა სახურავზე.
სახლი და მტრედი შუა ცაში და ჩვენი სული.
ჩამწკრივებული მიედინება თაობები
სიყვარულის და სიხსნის კავშირით
ერთიმეორეს გადაჯაჭვული.
ისინი, ვინც სახლიდან გავიდნენ და აღარ დაბრუნებულან,
ისინიც, ვინც სახლიდან გავიდნენ და შინ დაბრუნდნენ.
ჩამწკრივებული მიედინება სახლების რიგი,
სადაც დარჩენის იმედით მიედინება თაობები.
აი, აფრინდა მტრედი ერთი სახლიდან და მეორეზე გადაფრინდა,
ვაათბო ზზა ორ სახლს შორის და მესამისკენ იყურება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სახლი სახლს მისდევს, მტრედი მტრედს მისდევს.
ისმის ფრთების მშვიდი შრიალი.
ქვემოთ — მტკვარი. ტალღა ტალღას გადასცემს სურათს.

ᲓᲐᲠᲓᲘ

დარდი გაჩნდა ჩემი სახელით ამქვეყნად დარდი
ღარდმა დამრია ხელი დარდი მომერია დარდმა მაჯობა
დარდია ჩემი ლაპარაკი
დარდია ჩემი ღიმილი
დარდია ჩემი სიზმრები
გავიდა დღე და დარდმა არ მოიკლო
გავიდა კვირა და დარდმა მოიმატა
გავიდა თვე და დარდი გაიზარდა
დარდი გაიზარდა დარდი მომერია
მე ვეღარ ჩემი თვალებიდან ჩემი დარდი შემოვყურებთ
მე ვეღარ ჩემი ხმით ჩემი დარდი გელაპარაკებათ
არაფერია გადამივლის გაივლის დრო და გადამივლის
გაივლის შემოდგომა და გადამივლის
გაზაფხულდება ყვავილები გაიშლებიან გადამივლის არაფერია
მაგრამ დარდი გაზაფხულის გვერდით უფრო კარგად გამოჩნდა
არც შემოდგომას გაჰყვა არც ზამთარს არც თოვლს არც წვიმას
წელიწადმა გაიარა დარდმა არ გაიარა
ღარდმა დამრია ხელი დარდი მომერია დარდმა მაჯობა
დღითი დღე იზრდება დღითი დღე მძიმდება
არც არსად მიშვებს არც არსაით მახელებს
არც გულიდან გამოდის ვეღარც გულში ეტევა
მე აღარ ვცოცხლობ ჩემი დარდი ცოცხლობს ჩემში
და ჩემი დარდი დადის ქუჩაში ჩემი სახით
დარდმა დამრია ხელი დარდი მომერია დარდმა მაჯობა
დარდი დამდევს და დარდს დავყავარ...
თურმე დარდი დაბადებულა ჩემი სახელით ამქვეყნად დარდი.

ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲙᲝᲪᲝᲜᲘ

განა დამბადე? — ვეკითხები დედაჩემს, —
განა დამბადე და არ ვიყავი?
არ იყო ჩემი წვიმა?
განა მოვედი და წვიმის ცეცხლი მე მოვიტანე?
აი, წვიმის აუტოდაფე!
საით მიდიან შვილები? იქით, იქით, წვიმის კოცონისაკენ.
იქით, იქით, სადაც მათი მშობლები ჭიაკოკონობას თამაშობენ.
ეს ცხელი წვიმა საიდან მოდის სულშეგუბებულ დედამიწაზე?
წვიმაში სარეცხი არ შრება,
მაგრამ თბილისი ერთადერთი ქალაქია,
სადაც თვითეულ ბინას გამოუწვდია წვიმისაკენ
სარეცხის თოკები და ჯოხები წყვილი ხელებივით.
მგონია, თბილისი ერთადერთი ქალაქია,
სადაც სარეცხს გარეთ ფენენ თვით წვიმაშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიტყვა „ოვალი“ ინტიმურად უკავშირდება სიტყვა „სარეცხს“.
ორშაბათს ამოვა წვიმის კოცონი, ამოვა დედამიწიდან ცისკენ
და ბატიბუტის მარცვლებივით დასკდებიან წვიმის კვირტები,
დედამიწიდან ცას შეეფრქვევიან.
ორშაბათს მოვა ჩემი წვიმა და თავს მოიკლავს, რადგან მოვიდა.
ვინც მოდის, ის ხომ კვდება კიდევაც!
რომ არ მოსულიყო, არაფერი არ იქნებოდა.
აღარც სიკვდილი დასჭირდებოდა, აღარც — სიცოცხლე,
აღარც — მიწიდან ამოხეთქვა.
განა დამბადე? — ვეკითხები, შიშით ვეკითხები დედაჩემს, —
განა დამბადე და სულ არ ვიყავი?
მაშ, რადგან დამბადე, აღარ უნდა ვიყო?
მაშ, გაბედე და დამბადე, არა?
მაშ, წვიმის კოცონზე უნდა დაიწვას ჩემი დღეები?
ერთი კაცი ვიცი — ელექტროდენის შიში ჰქონდა,
დენს არ ეკარებოდა, მაგრამ ავარიით მოკვდა,
ასე რომ — წინათგრძნობაც ცრუდება ხოლმე.
მე — არა, ჩემი მშობელი ტყუის ისე, როგორც
წვიმის მშობელი.
ზოგჯერ რა მშვენივრად ააწყობ თვითმკვლელობას,
მაგრამ წინ წვიმის კოცონი აგიფეთქდება
და გონს მოგიყვანს — ჩაქრობას ითხოვს.
ზედმეტი არც წვიმა მიმითვისებია, არც — დღეები,
მხოლოდ ჩემი მოვიტანე და წვიმის კოცონი გამომვიდა.
ჭიკ-ჭიკ! — ბრძანა ჩიტმა, — ნუ ეძებ, სად არის შენი სული,
დევი ხომ არა ხარ, ზღაპრის დევი!
ჭიკ-ჭიკ! — იცოცხლე და ნუ მკითხავ, რამდენი დაგრჩა,
სულ ერთია, მაინც ვერ გაიგებ.
ერთადერთი, რაც ნამდვილად ჩანს, წვიმის კოცონია!
ქართულად წვიმს მხოლოდ საქართველოში.

მამალი

რა ხმაზე ყივის მამალი, რომელიც დილით უნდა დაკლან?
საკუთარი თავისკენ მიმავალი ნაბიჯების ხმა არ გაგონდება?
ისეთი რა დღესასწაული თენდება, ისეთი რა ხდება,
რომ მამალი გაიმეტეს დასაკლავად, შესაწირად?
თავმომწონე, დეზებიანი, მამლური გულით...
რა ხმაზე ყივის მამალი, რომელსაც საცაა დასაკლავად დაიჭერენ?
საკუთარ თავთან მისასვლელ გზაზე რამდენი ვინმე შეგხვდება კიდევ!
ნეტავ, გრძნობს რამეს?
თუ გრძნობს, რატომ არ იმალება?
განა შეიძლება ასეთი მამლის დაკვლა, ასე სამარცხვინოსი?
დღისით, მზისით შუა ეზოში ყველას თვალწინ ეროტიკას მართავს
დედლებთან და თან ჭკუას არიგებს:
„ვისი უნდა შეგრცხვეს? იმისი, ვინც დილით დაგკლავს?
ვისი უნდა შეგრცხვეს? აბა, ისეთი რა ჩაიდინე,
რაც ჯერ არავის ჩაუდენია?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც გარბის, თუმცა იცის: აბა, ვინ სად წაუვა პატრონს?
რა ხმაზე ყივის მამალი დაკვლის წინ?
დასაკლავი დაიკვლება
და წიწილები დედლებთან ერთად აკენკავენ,
თუ რამე დარჩა დაკლულისგან.

ირიბი სხივი

რაც უკვე მოხდა, იმისი შეცვლაც შეიძლება,
მხოლოდ სხვა მხრიდან უნდა შეხედო.
უნდა შეხედო სხვა თვალით და სხვანაირად შეაფასო,
რაც უკვე მოხდა.
თავიდან უნდა მოიშორო დამკვიდრებული მოტივები,
გაქვავებული მოტივები, ერთსახოვნება
და გადმოხედო საკუთარ თავსაც ცოტა ზემოდან —
ნახე, ნახე, რა საბრალო ხარ, რა პატარა!
და რას იკრძალავ, რას იკლებ და თავს რით იტანჯავ?
გამოდი გარეთ! მზე მოსულა შენს სანახავად!
რა დაგრჩენია წუთისოფელში ორი დღის გარდა?
კანარიის ჩიტებმა რა თქვეს?
რა და — კანარიის კუნძულზე ჩვენ არ დავბადებულვართო,
ჩვენ აქ დავიბადეთო, კანარიისა არაფერი გაგვეგებაო.
ოქროს თევზებმა რაღა თქვეს, რაო?
რომელი ზღვისა იყო ჩვენი წინაპარიო?
როგორ გააპო აკვარიუმი ირიბმა სხივმა
და თევზი როგორ მიეფიცხა უფრო სულის გასათბობად, ვიდრე — სხეულის.
თუთიყუშმა რა დაიჩხავლა? შე სულელო!
ყველაფრის შეცვლა შეიძლება.
შეიძლება, ის, რომ ფანჯარა ჩატყდა, კარგიც კი იყოს,
ვინ იცის, რა სიკეთე შემყარის ფანჯარაზე ზრუნვამ...
ერთადერთი, რასაც ვერ შეცვლი, სიცოცხლეა და ამიტომ
ყველაფერი უნდა შეცვალო სიცოცხლისათვის.
მხოლოდ სიკვდილი არ შეიცვლება, არ შეიცვლება,
მხოლოდ მკვდარს არ ეშველება აღარაფერი.
ყველაფრის შეცვლა შეიძლება.
მივეფიცხოთ ირიბ სხივებს და გავიღიმოთ —
მზე მოსულა ჩვენს სანახავად.

მუსიკალური საღამო

როგორ ვიმღერეთ, გახსოვს?
ჩვენგან პირველად ის წავიდა,
ვინც გიტარაზე კარგად უკრავდა,
ვინც ჩვენს ხმაზე აწყობდა სიმებს
და როცა ჩვენ ერთმანეთთან ვლაპარაკობდით,
ის ჩვენს ლაპარაკს მელოდიებით მოჰყვებოდა.
ჩვენგან მეორე ის წავიდა, ვინც ბანს მღეროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრჩით მე და შენ და რამდენი ვიმღერეთ, გახსოვს,
ასე ერთმანეთს შერჩენილებმა!
გათენებამდე, გათენებამდე,
გაძლებაზე და გადარევაზე.
მერე პირველი ხმა წავიდა.
არც დაღლილობა, არც უდროობა, არც სხვა მიზეზი...
აღვა. წავიდა.
მეორე დარჩა.
მაგრამ ვინ იყო იქ პირველი, ვინ კი მეორე,
ჩვენ არ ვიცით,
რადგან ორივე ერთმანეთს ისე ვენაცვლებოდით,
ისე კარგად გვეხერხებოდა პირველის თქმა და მეორისაც,
სიმღერა მუდამ გამოდიოდა.
ჩვენ წავედით, სიმღერა დარჩა
და ვინ იმღერებს იმ სიმღერას ახლა ნეტავი?
ნეტავ ისევე თუ იმღერებს, ჩვენ რომ ვმღეროდით?
თუ — გაერთობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეონა ბექიშვილი

მზის საპატარძლო

ჩემი დღეები ძირითადად ძებნაში გარბის.
არა იმიტომ, რომ გამაჩნია დასახული რამე მიზანი,
ანდა იმიტომ, რომ მჭირდება რაღაც ნივთები,
— ჩემი დღეები ძირითადად ძებნაში გარბის.
არეულია ჩემი სახლი, ჩემს მაგიდაზე ეშვიათად იხილავთ წესრიგს
და კაბაც, რომელიც მინდა ხვალ შენთან შეხვედრისას მამშვენებდეს,
დღესვე უნდა მოიძებნოს
და აზრებიც დღესვე დალაგდეს, —
ვინ იცის, რომლის ამოქქვა დამჭირდება, რომელს მოითხოვ.
ჩემი დღეები ძირითადად ძებნაში გარბის,
რადგან ყველაფერს, რასაც ვხედავ, რასაც განვიცდი,
— ბავშვის საწოვარს, ბორდიურზე რომ გდია და გამვლელები
ფეხს აბიჯებენ, თუ კაცის მზერას —
სულ ყველაფერს დაუდევრად ვისვრი ხოლმე საკუთარ თავში,
სადაც არ მიდგას არც კარადა,
არც მაგიდები
და ყველაფერი იატაკზე მიმოფანტული,
და ის — ყველაზე ძვირფასი ნივთი — ჩემი სათვალე,
დიდი ხანია, გადამეკარგა.
ჩემი სათვალე,
რომლის შუშებად ბევრჯერ ნაწრთობი წარსული მქონდა
და ჩემს ახლომხედველობას ამსუბუქებდა.
ვიცი, ხვალ ვერ შეამჩნევ ჩემს მზისფერ კაბას
და ისიც ვიცი, რომ ვერც ჭკუით ვერ გაგაკვირვებ,
ან ქალი განა იმისთვისაა, რომ რაიმეთი ჭკუა ისწავლოს,
მაგრამ იქნებ შეგაპარო მსგავსი ტყუილი, გამონაკლისიც დაგაშვებინო.
ამიტომ ვცდილობ, რომ მოვნახო ჩემი სათვალე,
იღონდ ძებნისას რამდენ რამეს ამოვქექავ, თვითონ არ ვიცი
(ეს, მაგალითად, ერთი საჭირო მოგონებაა:
ჩემს ბავშვობაში, როცა ქალაქი ერთიანად შეაწუხა სიღატაკემ,
გადავწყვიტეთ გვეყიდა ძროხა
და სოფელში წავსულიყავით.
მერე იმ ძროხამ უსინათლო ხბო გააჩინა და დაუდო დასაბამი
ჩვენს ხეტიალს მეზობლიდან მეზობლისაკენ —
ჭკუის საკითხად, მიზეზების მოსაძიებლად,
ან, თავის ვვერდზე გადასაგდებად, თვალების მწუხრად მისალულად...
შშვენიერი საბები იყო მსგავსი რამე, მით უფრო ჩვენთვის,
ქალაქიდან ჩამოსული ოჯახისათვის,
თვალები რომ მის გარეშეც სინანულით გვენისლებოდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მალევე ერთმა მოხუცმა დაგვამშვიდა — რატომ სწუხართ,
რა გადარდებთო,
ვიცი, ბრძები უფრო მეტსაც იწველიანო.
ვინა კითხავდა, დაეცლია!..).
ამის მერე ცოტა ხანში დავბრუნდით ქალაქს.
მე, რა თქმა უნდა, დიდხანს ვიდარდე, — მსგავსი დარდების
გამოზოგვა მშვენივრად ვიცი, —
და მაინც, როგორც მოხუცის პირში საყვარელი, გასაწყენი, ტკბილი კამფეტი —
რომ არ უნდა მალე გაუქრეს, ის კი მაინც ილევა და პატარავდება, —
ის დარდიც ისე შემომაცვდა
და დამრჩა ყელში გაჩხერილი გემო უცვლელი.
თუმცა ტყუილად ვიქექები, აქ ყველაფერი ბრძებზე ყოფილა,
ამას წინათ დავალაგე, დავახარისხე
და, ეტყობა, ბრძები აქეთ გადმომწყვია
(სულ ბოლოში ალაგია ჩვენი ბაღის მზესუმზირები, ცოცხალი თავით
რომ არ სურდათ მზისკენ ყურება).
მაგრამ რად ღირდა ეს ყველაფერი, მე მჭირდება მხოლოდ სათვალე,
რადგანაც მასში ერთადა მაქვს თავმოყრილი მთელი წარსული
და მიადვილებს დაბეცებულ თვალებით ხედვას.
(იქნებ აქეთ მოვიძიო, ამ ბუნდოვან წარმოსახვაში:
წვიმს, თქეში ასხამს, მოენატრა შუქი სამყაროს
და ყველაფერი უბრუნდება პირველად სახეს
და ისე ცდილობს ერთმანეთში გადაზავებას, თითქოს ვინმე
თვითნასწავლი მხატვრის მიერ ყოფილიყოს ნაქანდაკარი.
ერთმანეთში იზილება წყალი და მიწა
და მე, რომელსაც მომისხია საიმედო საწვიმარი,
ყველაფერი მთხოვს გადარჩენას;
მე კი, სულელმა, ერთადერთი თიხის კაცუნა შევიფარე ჩემი კალთის ქვეშ,
ისიც იმიტომ, რომ ეთხოვა, თაყვანი მეცა
და წაელო სიამაყის ბილო ნამსხვრევი.
ამ ამბის მერე მოწიწებით ვფიქრობდი მზეზე,
რომელიც ქმნდა ლამაზ სხეულებს, პატიოსნად გამოაშრობდა,
ოღონდ ბოლოს უკარგავდა თვალის სინათლეს
და ამიტომაც მის ნათელსაც ისევ აზრი ეკარგებოდა;
და მეშლებოდა ზღვარი წყალს და სინათლეს შორის.
მაგრამ ჩემი ძველი სათვალე აქაც არ არის.
იქნებ იქ გდია, ის დღეები ახურავს თავზე, როცა მე,
მზეზე შემომწყრალმა, ფული მოვპარე საკუთარ მამას,
საქმროსთან ერთად ვეწვიე ბაზარს,
რათა გვეყიდა მისი სახელით ქრიზანთემები დედაჩემისთვის.
ჯგუფელებმა კი მეორე დღეს დანბეულებმა მომახარეს —
სწორედ გუშინ აპოლონმა მოგიკითხაო.)
მაგრამ რად მინდა ამ დღეების გახსენება, —
ისინი ხომ ჩემი სათვალის მხოლოდ და მხოლოდ შავი პირია.
ეს მზეც, აგერ რომ ჩამინიშნავს, რომ წიკწიკებს საათივით,
წუთებს რომ მითვლის,
ყელში რომ მინდა ვწვდე და ხრიალში გამოვტაცო ჩემი ნადავლი,
ესეც ერთ-ერთი ნაწილია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ნაწილებს რატომ ძალუძთ გადაფარონ ერთი მთლიანი?
მიმოიფანტა შეჩვეული ოცნებები, ძილის წინ რომ მევაჭრებიან,
ატრიალდა ყველა ფიქრი და მოგონება
და უეცრად დავადგი თვალი!
და ახლა, როცა ის მიკეთია, აღარ ვაპირებ ხვალ შენთან მოსვლას,
აღარც იმ კაბის ჩაცმას აქვს აზრი.
გარეთ სიცხეა,
ამ ხვატში და მდუღარებაში
როგორმე უნდა გავაცივო, გავამკვრივო სხეული ჩემი
და დავადგე თეთრ ორღობეებს,
რომლითაც ყინულის დედოფლები მზესთან მიდიან.

●

ზამთრის ბაღში, დეკემბრის ბაღში
გამოდის წეროს თეთრი ფიტული.
ნაძვის ხეებზე შეყუჟული პოეტები
ფარფატ-ფარფატით ეშვებიან იმის ფეხებთან
და უძღვნიან თეთრ სტრიქონებს
ურცხვად, თამამად,
რადგან ფიტულის შუშის თვალები საუკეთესო გარანტიაა
 იმ ლექსების არწაკითხვის, ქარში გადაყრის.
ქარი ნაძვებს ცხვირში ახლის იმაო სტრიქონებს,
ნაძვები უფრო ქვევით სწევენ დაშვებულ ტოტებს
და დგანან ისე,
როგორც ქორწილში მოწვეული უღარიბესი ნათესავები
და შორიდან გასცქერიან საკუთარ თავებს
და ტკივათ, ტკივათ ფესვებიდან ამომავალი ცოცხალი
ძალა —
მიმართული სიკვდილისაკენ.

ეპიტათეზისი

რატომ მოდიან ეს ფიქრები
ან სად მიდიან?
ან მე თავად საით ვავრბივარ?
ანდა რატომ აღარ არის იმის გარჩევა, ვინ კრუხია და ვინ წიწილა?
რატომ მოდიან ეს ფიქრები
ანდა რა მოაქვთ?
რა გზები უჩანთ?

ახლა სიცხეა.
ზამთარში უფრო ადვილია საფრთხის ლოდინი.
გიჟი მამა კი, ეს წუთია, აღმოვაჩინე, გაპარულა თურმე სახლიდან.
ქუჩის ძაღლები, — არასოდეს არ ვაპატიებ,
აღარასდროს არ მეყვარება მაგათი მოდგმის არც ერთი წევრი.
ავერ, მეძავი ეძებს კლიენტს,
იქით ქურდი დაეძებს საქმეს,
ესენი მაინც ჩემს კვალს ადგანან, მაინც ჩემზე აიღეს გეში.

ლეჟანდიანი

მამაჩემი კი, ღმერთმა უწყის, რომელ გზას ადგას, სად აგდია,
სად გადავარდა.
მუხრუჭების მძაფრი ხმაა ღამის ქალაქში.
ერთი მხრიდან ძაღლი მიღრენს, მანქანიდან კი
ოქროს კბილები გადმოუყრია ვიღაც ადიოტს
და გულმოდგინედ მეპატიჟება,
და პირობითი ხდება უცებ არჩევანი კაცს და მხეცს შორის,
რადგან ძაღლი ბევრად უფრო საპატიო
მიზეზის გამო მემუქრება — ის მშიერია.
შიში სიცხეში უფრო ძნელია,
რადგან ჰაერში არ იგრძნობა, საფრთხე სად არის,
მტვრის ნამცეცებად გაბნეულა, ერთიანად გხუთავს, გამძიმებს
და გაიძულებს, ძაღლისაკენ წარსდგა ნაბიჯი.
ქუჩა კი ბავშვობიდანვე ხულიგნად იზრდებოდა,
ტყუილად ვაჩრით ქურთ მეეზოვეს, სასტვენიან მილიციონერს, —
ჭუჭყი, მტვერი, ფურთხი, გინება — დედის რძესავით შერგებია;
ახლაც უტიფრად შემომყურებს, როგორ ვეძებ თავშესაფარს
და იმ ძაღლის მხარე უჭირავს.
და ამ ქალაქში,
ბნელ, ჭუჭყიან, ღამის ქალაქში,
ერთადერთი, ვინც ქუჩაში გამოსულია, ვის გამოც დავძრწი
შეშინებული, ვისაც დავეძებ,
მხოლოდ ისაა ჩემი დამცველი, შემფარველი.
ვზადაკარგული, გიჟი მამები დააბიჯებენ ღამის ქალაქში,
რათა შეხედნენ საკუთარ შვილებს და დაიცვან, დაიფარონ,
და მორჩილად წაყვნენ სახლებში.
ხოლო ცხოვრება ავსებულია კრუხ-წიწილის უხმო ძახილით
და არც ქორები აკლია ზეცას.

●

შავი, ბებერი, სნეული ყვავი ჩამომჯდარა ჩემს წინ, სუფრასთან,
ნასვრეტებიან ყველს მიირთმევს დანა-ჩანგლით.
მე შევციცინებ, მიხარია და ვეფერები,
რადგან სულ ძალე ის აიწევს წინსაფრის კალთას, ნისკარტს
მდუმარედ მოიწშენდს,
მერე მოიხსნის სულაც წინსაფარს და მიმღერებს ლამაზ სიმღერებს.
შავი, ბებერი, სნეული ყვავი...
მერე ჩვენ ერთად წავალთ მმაჩის ბიუროში და ვიქორწინებთ
და გვეყოლება გაბურტყნული შავი ბახალა,
რომელსაც მოვრთავთ თეთრი ბაფთებით და ვატარებთ გიმნაზიაში.
მაგრამ დავწყეველის იმათი მოდგმა
და ის, ბებერი, სნეული ყვავი, სპორტულ შარვალსა და
თეთრ მაისურში გამოწყობილი
მშვიდად გამოვა პალატიდან, გადაგვკოცნის, გაუყვება მრუმე დერეფანს,
საოპერაციოში შესვლისას მხრებს მდუმარედ შეიბერტყავს
და გაიყოლებს თეთრბაფთიანი გოგონას მზერას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესო სოლომანაშვილი

კონტრაბანდისტები

მოთხრობა

1

ქათამი რომ კვერცხის დადებას დაუპირებს, აკრიახდება და ამოჩემებული ადგილისაკენ მიდის. იქ თუ სხვა კვერცხი არ დახვდა, ვეღარ სცნობს საბუდარს და, კაცმა არ იცის, რომელი ხის ძირას, რომელ ბუჩქთან, რომელ ზვინში მოისურვებს ჩაბუდებას. ამიტომ გლეხები ხისგან გამოთლიან ხოლმე კვერცხს, კრით თეთრად შეღებავენ და ატყუებენ ქათამს. ნამდვილის დატოვება არც შეიძლება. ნამდვილს, აღრე თუ გვიან, დაუკითხავად შემოხეტტეული მაწანწალა ძაღლი ან მისი მსგავსი შეესანსლავს; კვერცხს რომ გემოს გაუგებს, შემოგეწვევა და მერე თვითონ ქათამზეც არ იტყვის უარს, ხისგან გამოთლილი კვერცხით კი, თუ მოტყუვდა და პირი სტაცა — კბილებს წაიმტვრევს და სათოფეზე აღარ მოგეკარება, მაგრამ მაწანწალა რისი მაწანწალაა, ყნოსვა რომ არ ჰქონდეს გავარჯიშებული, ხის კვერცხს დაყნოსავს, ჰაიჰარად ენითაც ალოკავს და მეორედ ზედაც არ დახედავს, ის კი არა, იმ ადგილისაკენ არც გაიხედავს.

თუ ქათამმა მაინც და მაინც დაკარგა საბუდარი, რომ აკრიახდება და საღმე მოფარეულში ჩაჯდება, მამალი უნდა მოძებნო — ის აუცილებლად სადმე, იქვე იქნება კისერმოღერებით აყვავებული, თავისი უფლება-მოვალეობების დასადასტურებლად. ზრდასრული, ჯანმრთელი მამალი ათიოდ დედალს მაინც უნდა პატრონობდეს, თორემ სამსა და ოთხს მეტისმეტად ერევა. აფოფრილი და ძალამოზდვავებული, დედალზე წამომჯდარ-წამოფრენილი მამალი მეტისმეტი ღონით უხათქუნებს თავ-კისერში ნისკარტს და გასისხლიანებულ-დაჩაჩანაკებული დაჰყავს, დაჩაჩანაკებული კრუხი კი ვერაფერ მწყემსად ვერ გამოადგება ათიოდე წიწილასაც. ისე, დედალი უმამლოდაც კარგად გადის იოლს, კვერცხს ისედაც დებს — ისეთივე მრგვალს, ისეთივე ნაჭუჭიანს, ისეთივე ყვითელგულას, ისეთივე გემრიელს ტაფამწვარისათვის, მაგრამ ეგ არის, იმ კვერცხიდან, წლობით რომ ოჯდეს ზედ, წიწილა ვერაფრით ვერ გამოიჩეკება. უდედლოდ მამალიც ძლებს, თუმცა უდედლო მამალი ვის რაში სჭირდება, შობამდეც კი არავინ აცლის, პირველივე შემოსული სტუმრის გასამასპინძლებლად აგდებინებენ თავს.

მამამ ხისაგან კვერცხის გამოსათლელად ვერ მოიცალა და ერთი ძველი კვერცხით ატყუებდა დედალს... და ეტყობა, ამჯერადაც გაუსინჯა გემო დაუპატიჟებელმა სტუმარმა სატყუარას, ჰოდა, ისევ დაკარგა დედალმა საბუდარი და ერთ დღესაც კრიახი რომ ატეხა, მამამ თავისი საქმე შეწყვეტა და მამლის ძებნას შეუდგა, ცოტა ხნის შემდეგ გაღიმებული მობრუნდა:

— ვიპოვე, — ამაყად უთხრა შვილს, — აიღე ძველი კვერცხი და ახალ საბუდარში ჩაუდე, სანამ კიდევ რამე შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხეტება და შეჭამს, ახალი კი წამოიღე. — ადგილიც მიასწავლა, თვითონ შინდის ჩაგროვება განაგრძო უშველებელ კალათში.

შინდის ხე პატარა ყვითელი ყვავილებით ყვავის ადრეულ გაზაფხულზე და ვეიან შემოდგომაზე მწიფდება წვრილი, მუქი წითელი ნაყოფებით. ყველა ხეხილზე ადრე იძლევა იმედს და ყველაზე მეტად გაჩვევს ლოდინს. ისეთი მჟავეა, მარტო გახსენებისას თბილი ნერწყვით გევსება პირი. წვენი ჯანმრთელზე ჯანმრთელი კაცის სისხლის ფერი აქვს და ერთი ნაყოფის ჭრილობიდან გამოსული მეორე ნაყოფსაც აიარავებს და წვენს აღენს. რაზეც ერთი წვეთი დაეცემა და ლაქად დაეტყობა, იმის ამორეცხვაზე არც უნდა იფიქრო, თითქოს ამოწვაო, ისეთ კვალს ტოვებს.

ყველა სოფელს თავისი შემოსავალი აქვს, — ამბობდა მამა, შვილთან ერთად რომ ავსებდა კალათებს, — ჩვენ სოფელს ეს. — და წითელ ნაყოფებში ურევდა ხელს. — აი, მაგალითად, ხანდაკი: როცა დრო მოვა, ხანდაკელები ოჯახებით იყრებიან, ჩრდილოეთის მთებში მიდიან, იქ ჯონჯოლს კრეფენ, იქვე ამწილებენ და მერე აქ ჰყიდიან. აი, ეგრე მთელი ოჯახებით ქარავნებად ეწყობიან და დიდ-ან-პატარიანად მიდიან.

— ჩრდილოეთის მთები ხომ ძალიან შორს არის? — ჰკითხა შვილმა.

— მაინც მიდიან, — თქვა მამამ და გავსებულ კალათს წითლად დალაქავებული ნაჭერი გადაკრა.

ბიჭმა ახალი კალათის გავსება დაიწყო.

იქვე ბიჭის ძმა ჩამომჯდარიყო პატარა სამფეხა სკამზე. წვრილი, ყვითელი წნელის რტოებით მყარი კედლები უკვე ამოეკვანა და ახლა კედლიდან კედლამდე გადასულ სახელურს აწნავდა. იქვე, მის ფეხებთან რამდენიმე მკვრივად მოწნული ძირი ეგდო. მუხლებს შორის მოქცეული კალათის დამთავრებას კი ერთი-ორი რტოს ამოქსოვა აკლდა.

— ჩემს ჩამოსვლამდე იქნებ მეორეც მოასწრო, — თქვა მამამ და ერთ ძირს ფეხი გაჰკრა.

მანქანა გვიან დამით მოვიდა, მძღოლი კარგი კაცი იყო და მოვიდავე შვილი ჰყავდა. მძღოლის მამა კი ჭიდაობის დროს დოლზე უკრავდა დღესასწაულებისას. მანქანაში სხვებიც იყვნენ. იმათაც ბევრი კალათი ჰქონდათ და ყველა სათვის წითლად მოთხვრილი ნაჭრები გადაეკრათ.

მანქანის ძარაზე ადამიანები და კალათები ერთმანეთში არეულიყვნენ. მამამ, ბიჭმა და მისმა ძმამ თავისი კალათებიც შეყარეს ძარაზე და თვითონაც ზედ ავიდნენ.

— წადი! — დაარტყეს სახურავს ფართო გლეხური ხელი წინ მდგომებმა და მძღოლმა მანქანა დაძრა.

ამ პატარა გახუნებულ ქალაქში ელექტრონის განათება მხოლოდ მატარებლების სადგურს და გამყოვანი საყვირით აკავლებულ პოლიციის მანქანას ჰქონდა, რომელიც დროდადრო ჩაავლიდა ხოლმე ქალაქში მოქალაქეთათვის ყანონ-წესრიგის შესახსენებლად. ხოლო ქალაქის განაპირას ჩამდინარე ქვეყნის უდიდეს მდინარეს მკვდრები მოჰქონდა მდინარის სათავეში ატეხილი ომებისას. ახლაც ორი გვამია გამორეყულიო, — ამბობდნენ.

სატვირთო მანქანა სწორედ იმ ერთერთ განათებულ სადგურთან მივიდა და სადგურის ყვითელი შენობისაგან კარგა მოშორებით გაჩერდა. მგზავრებმა ძარიდან კალათები გადმოცალეს, ყველამ მადლობა მოუხადა მძღოლს, რომელსაც მოჭიდავე შვილი ჰყავდა და, რადგან კარგი კაცი იყო, გასამრჯელოც არავისგან აუღია.

ახალმოსულებმა მალვით შეიტანეს კალათები ბაქანზე. იქ ლიანდაგების გასწვრივ ისეთივე კალათები დახვდათ ჩალაგებული, ყველა ერთნაირი და ყველა წითლად მოთხვრილი ნაჭრებით პირგადაკრული, თუმცა პატრონებს მაინც არასოდეს არ ერეოდათ თავისები

ხვეასაში უფრო მფრთხალებს მოფარებულში მიეწყოთ საკუთარი ქონება. დამზვლურები მოსულებს დაუფარავი უკმაყოფილებით ხედებოდნენ, რადგან ყოველი ახალი კალათი მათი კალათების ფასს დასცემდა.

მატარებელი იგვიანებდა. ქალაქში ცხელოდა, სადგურში ჩაგუბებული ჰაერი თითქოს დაძველებულიყო. მამაკაცები ერთად შეკრებილიყვნენ, სიცხის გამო პერანგები ჩაეხსნათ და ბალნიანი მკერდი და მუცელი მოუჩანდა ყველას. იდგნენ და კამათობდნენ.

ერთმა მათგანმა გაკაშკაშებულ ლამპიონს ახედა:

— შუქის ფული არ შევაგროვოთ? — იკითხა.

ყველამ შეწყვიტა კამათი, ჯიბეები მოიქექეს და საქმის წამომწყებს ქაღალდის ფულები ჩაუკუნქეს კოჭრიან ხელში. იგი სადგურის შენობისაკენ წავიდა მორიგე გამეცილებელთან, რომელსაც ორიოდე დღის წინ ვაჟი დაქორწინებინა. და ახლა დიდი წვეულების ნარჩენებს შეეძეცოდა სამსახურში.

კაცები ისევ გაცხარებით კამათობდნენ, როცა ვერცხლისფერი და ყავისფერი სატვირთო ვაგონებისგან აკინძულმა შემოგენლოსამ ჩაიარა გრუხუნით და მათი ყაყანი დაფარა.

ამასობაში შუქიც ჩაქრა. ახლა ისინი სიბნელეში იდგნენ, სადგურის შენობასთან ანთებული ლამპიონებიღა ანათებდა მათ სახეებს მკრთალად.

მამა ახალგაზრდა, მაღალ კაცს ესაუბრებოდა, კაცს ერთი წინა კბილი არ ჰქონდა. ბიჭი და მისი ძმა იქვე, ბეტონის ბორდიურზე ჩამოსხდარიყვნენ, თავები ჩაეკიდათ და ფილაქანს ჩაშტერებოდნენ.

მამასთან და მაღალთან ცისფერთვალება კაცი მივიდა, ხელი გაუწოდა — ჩამოართვეს, გაუღიმა, გამოელაპარაკა და წავიდა.

— ესეც მოდის? — იკითხა მამამ.

— ჰო, — უპასუხა მაღალმა.

— ოფუ! — გადაფურთხა მამამ.

ცისფერთვალება ხშირად იცვლიდა მოსაუბრეებს, ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდა, ხან მეორესთან.

— მოდის! — დაიძახა უცებ ვიღაცამ სადგურის შენობის მხრიდან. შორს მატარებლის შუქები გამოჩნდა. სადგურში ყველა ლამპიონი ჩაქრა და უკუნი სიბნელე ჩამოწვა.

— ეს იმიტომ, რომ არავინ დაინახოს ჩვენი გამგზავრება, — უთხრა მამამ შვილებს, — ჩვენ ამას არ გავცვებთ.

სადგურს მატარებლის შუქებიღა ანათებდა, ისიც მხოლოდ წინ— გზას. მატარებელთან კი ლანდები დაბორიალებდნენ, განქარებთან დარბოდნენ, ვაგონებში ტვირთს ალაგებდნენ, მხოლოდ მამაკაცებს ხენეშა ისმოდა და ჩუმი ჩქარა, ჩქარა, ჩქარა...

— მორჩა! — დაიძახა ვიღაცამ. მატარებელი ნელა დაიძრა, გამცილებლები ბოლოს შეახტნენ უკვე დაძრული მატარებლის კიბეებს და ტამბურები ჩაეტეტს. მატარებლის ბოლო ვაგონი ჯერ კიდევ არ გასცილებოდა სადგურს, რომ ყვითელ შენობასთან ისევ აინთო ლამპიონები, ბაქანზე ჩალაგებული, მქრქალად განათებული კალათების რაოდენობა განახევრებულიყო, მამაკაცებს ნახევრიც აღარსად ჩანდა.

მამა ისევ მაღალ კაცს ელაპარაკებოდა. ბიჭი და მისი ძმა ბეტონის ბორდიურზე ისხდნენ. მათთან ულვაშა, მხარბეჭიანი კაცი იდგა ბატარა ბიჭთან ერთად.

— მოგყავს? — ჰკითხა მამამ ულვაშას, და ბავშვისკენ თითი გაიშვირა.

— მომყავს, — უპასუხა ულვაშამ, — თან ზღვას ნახავს, — დაამატა.

მამამ აქეთ-იქით გაიხედა, თვალები მოჭუტა და ისევ ჰკითხა:

— ბევრი გაქვს?

ულვაშამ მზერით ბნელი, ხეებში ჩარგული ადგილისაკენ მიუთითა. იქ მართლაც ბევრი კალათა იდგა.

— უჰ! — გაიკვირვა მამამ.

— სხვა გზა არა მაქვს, — თქვა ულვაშამ და იქითკენ მიაჩერო მზერა, საიდანაც მატარებელს ელოდა ყველა. სადგურის თავში წითელი შუქი ციმციმებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ არ გინდა ზღვა? წამოდი, — დახედა ბეტონის ბორდიურზე მჯდარ ბიჭს მამამ.

— არა, — უპასუხა ბიჭმა.

— რა, არ გიყვარს?

— მიყვარს, — თქვა ბიჭმა. — წყალს დავლევ, — და სადგურის მოსაცდელისაკენ წავიდა.

ცისფერთვალება ერთ ჯგუფს მოსცილდა და მეორისკენ გაეშართა.

წყლის ონკანთან მერხი იდგა, მის ერთ ბოლოში ორნი ისხდნენ, გარშემო კალათები ჰქონდათ შემოლაგებული და როცა ბიჭი მიუახლოვდა, გაჩუმდნენ. მერხის მეორე ბოლოში ვიღაც იწვა და ღრმა ძილით ეძინა. იქვე, გაზეთების ჯიხურთან წვერგაუპარსავი კაცი პატარა ბიჭს ელაპარაკებოდა, ბავშვი ხელებს იქნევდა და — აუაა, უაა! — იძახდა. წვერგაუპარსავს ეტყობოდა, ავად იყო — ღრმად, ხრინწიანად ახველებდა, თან სურდოსაგან დასველებულ ცხვირს იმშრალებდა გამუდმებით, ბავშვთან ღიმილით განაგრძობდა საუბარს, ბავშვს კი არც ესმოდა და ვერც ლაპარაკობდა.

ბიჭი სადგურის შენობას მიუახლოვდა, იქვე, შენობის კუთხეში წითელი მანქანა იდგა, ორი კაცი საბარგულს მიყრდნობოდა, პოლიციელს ესაუბრებოდნენ. სუფთად გაპარსულ პოლიციელს გრძელი ულვაში დაეყენებინა, იღლიაში ყავიაფერი საქაღალდე ამოეჩარა. ბიჭმა იცნო: პოლიციელს საბრეველიც ისევ ისეთი ჰქონდა, როგორც მაშინ — რამდენიმე წლის წინათ, იღლიაში ამოჩრილი საქაღალდე და ულვაშის სიგრძეც კი. ბიჭს რატომღაც მკვდარი გახსენდა, ქვეყნის ყველაზე დიდ მდინარეს რომ ჩამოეტანა თავისი სათავეებიდან.

მოსაცდელში, მწვანე კედლზე მატარებლის მისვლა-მოსვლის განრიგი ჩამოეკიდათ. განრიგის ქვემოთ, პატარა სარკმელზე რკინის თეთრი ბადარა იყო მიკრული, სარკმლის იქით ბნელოდა. ბიჭი განრიგს მიაშტერდა. იქვე, სარკმელთან მიკრულ განცხადებას შეხედა, რომელიც ციხიდან გაქცეულ პატიმარზე იტყობინებოდა. განცხადება გაქცეულის დაჭერაში დახმარებას სთხოვდა ხალხს. განცხადების კუთხეში პატარა ფოტოსურათი ისე გაცრეცილიყო, ვერაფერს გაარკვევდი. ნაწერი პატიმარზე ამბობდა — მკლავზე ქალთევზა აქვს ამოსვრინგებულიო. სულ ქვემოთ წითელი ასოებით, გამაფრთხილებლად ეწერა: „დამნაშავე შეიარაღებულია და ძალზე საშიში“.

ბიჭმა მიკრული განცხადების ერთ აწეულ კუთხეს მოკიდა ხელი და კუთხიდან კუთხემდე გადახია. კარებიდან შემოსულმა ნიავმა კუთხეებით მიკრული ორი ნაფლეთი ფრთებივით ააფრიალა. ბიჭმა უყურა, უყურა მოფარფატე ნაფლეთებს და როცა მობრუნდა, მოსაცდელის შემოსასვლელში ქალი დაინახა. ქალი ზურგით იდგა, შავ კაბაზე ჯინსის უსახელო ქურთუკი ეცვა. გარუჯული, ახალგაზრდული ხელები და კანჭები ჰქონდა, მაღალი იყო, მაგრამ უსაშველოდ მოუელელი ფეხსაცმელი და თმა იმედგადწურული შუახნის ქალისას მიუგავდა.

ბიჭი ქალს უყურებდა, მის წინ ბავშვი რომ აისვეტა.

— აუაა, უაა, — უთხრა ბავშვმა ხელების ქნევით.

— ვერ გავიგე, — აიჩეჩა ბიჭმა მხრები.

— აუაა, უაა, აუაა, — გაიმეორა ბავშვმა, რაღაცას ეკითხებოდა.

— ვერა, ვერ გავიგე, — გაუმეორა შეწუხებულმა ბიჭმა და ძალიან მოუნდა ბავშვს დახმარებოდა. ბავშვმა ხელი ჩაქნია და იქით წავიდა, საითაც სკამზე წამოწოლილ კაცს ეძინა.

— აუაა, უაა, — უთხრა კაცს. კაცმა თავი წამოსწია. ბავშვს მიბინდული თვალებით შეაცქერდა, მიდო თავი და მიიძინა.

ქალი მოსაცდელიდან გამოსულიყო, ბიჭიც გავიდა. ქალი კარებთან მიდგმულ გრძელ სკამზე იჯდა. ბიჭმა შეხედა, ხელში ოცდაოდ წლის, სისხლჩაქცევებისაგან თვალებჩალურჯებული ვოგო შერჩა. ვოგოს მართლაც გრძელი ფეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ჰქონდა, თავი ჩაეკიდა და წარბებს ქვემოდან იცქირეზოდა.

ბიჭი ბაქანს გაუყვა, გოგომ ჯინისის ქურთუკი გაიხადა, კალთაზე დაიდო და რაღაცის კეთება დაიწყო. რომ ჩაიცვა, ქურთუკს უკვე გრძელი სახელოები ჰქონდა. გოგომ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და მოიბუზა.

— აქ რას უცდით? — გაიგონა ბიჭმა პოლიციელის ხმა. გოგო არ განძრეულა. ბიჭმა მათკენ გაიხედა და შეჩერდა. — ახლა მატარებელი აღარ იქნება, — თქვა ისევ პოლიციელმა გოგოს მისამართით. — ახალაზრდავ, ამიოღეთ ხმა! — გაღიზიანდა. — აბა, წამობრძანდით აქეთ! — დაიქანქა. გოგო წამოდგა და მოსაცდელში შეჰყვა მასზე ტანდაბალ პოლიციელს.

— მოდის! — დაიძახეს უცებ. შორს მატარებლის შუქი გამოჩნდა. საგზურში ისევ ჩაქრა ლამპიონები.

„ეს იმიტომ, რომ არავინ დაინახოს...“ — გაიფიქრა ბიჭმა და სიბნელეში მამისა და ძმისაკენ გაიქცა. მატარებელი გაჩერდა, აბორიალდნენ ლანდები. ბიჭი კალათებთან მივარდა, მამამისა და მისი ძმა თავის წილ ტვირთს მიათრევდნენ. მამა მატარებელში ახტა. გამცილებელი ჩუმად იძახდა: „თქვენ იქით, თქვენ აქეთ“. — სიბნელეში მისი ფართოდ გახელილი თვალები ციმციმებდნენ.

ბიჭი და მისი ძმა კალათებს აწვდიდნენ მამას. ტვირთაკიდებული მამაკაცები აქეთ-იქით დარბოდნენ. „ჩქარა“, — ჩურჩულებდა გამცილებელი. „მოიცადეთ, ცოტა დარჩა“, — ამბობდნენ მამაკაცები. „მომეხმარე“, — იძახდნენ ქშენით. ბიჭმა თავისი კალათები რომ ატვირთა, ახლა სხვებს მიეხმარა, „უჰ! რა მძიმეა!“ — ამოიხვნეშა, ღრმად ჩაისუნთქა, სხვულის ყველა კუნთი ერთბაშად ისე ღონივრად დაძაბა, თითქოს გაწურვას უპირებსო, სუნთქვა შეიკრა და კალათი მატარებლის ტამბურში ააგდო. „მოვერეე!“ — გაიფიქრა ბიჭმა. „მარტოს რამ აგაწვინა“, — უთხრა ვიღაცამ და მატარებლის კიბეზე შეხტა. „ეგ არაფერი“, — გაეპასუხა კიბეზე მდგომ სილუეტს ბიჭი. მატარებელი დაიძრა. „მალე ჩამოვალ“, — გადმოსძახა მამამ ვაგონის ფანჯრიდან.

საგზურზე ლამპიონები აანთეს. ბაქანზე აღარავინ აღარ იყო: აღარც ადამიანები. აღარც კალათები. გაზეთების ჯიხურის გვერდით, მერხზე ისევ ეძინა ვიღაცას. დასალევი წყლის შადრევანიც ჩვეულებრივად ჩხრიალებდა, ბავშვიც კი აღარ იძახდა: „უუა, უუა“.

— წავედით? — ჰკითხა ძმამ ბიჭს.

— წავედით, — უპასუხა და როცა ბაქნიდან ლიანდაგზე უნდა გადაერბინა, წელთან — სადაც თირკმელებია, საშინელი ტკივილი იგრძნო. ცივმა ოფლმა დასხა.

— უხხხ! — გამოსცრა კბილებში.

— რა მოხდა? — ჰკითხა ძმამ შეშინებული ხმით.

— არ ვიცი, არაფერი, — ბიჭმა წელზე ხელი მიიჭირა და ნელა, ჯიხურის ახლოს, მერხამდე მივიდა, ძძიმედ დაეშვა ძმინარის გვერდით. „მოდიოდნენ და მერე, მოდიოდნენ და მერე“, — წაიბუტბუტა ძილში ძმინარემ.

— ძმიმეების ბრალია, — თქვა ძმამ და შადრევანზე დასველებული ხელი შუბლზე მოუსვა.

მალე წამოდგა.

— წავედით, — უთხრა ძმას და რადგან მანქანა, რომლის ძძღოლი ძალიან კარგი კაცი იყო, უკვე წასულიყო, ფეხით მოუხდათ შინ დაბრუნება. წელი ყრუდ სტკიოდა და ნელა მიდიოდნენ.

გზად ქვეყნის ყველაზე დიდ მდინარეზე გაკიდებულ საცალფეხო ხიდზე უნდა გაეველოთ. ბიჭი ჩუმად მიუყვებოდა უსწორმასწოროდ, გარდიგარდმი დაკრულ ხის ლარტყებს, მისი ძმა მდინარეს გადაჰყურებდა ხიდიდან.

— ეს რა არის? გვამია? — იკითხა ბიჭის ძმამ შემკრთალი ხმით.

ბიჭმა მდინარეს გადახედა, დააკვირდა.

— არა, კუნძია, კუნძი მოაქვს, — უპასუხა მოგუდულად. ცოტა ხანი ისევ ჩუმად მიდიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზღვასაც მოაქვს, ნეტა, გვამები? — იკითხა ისევ ბიჭის ძმამ.

— აღბათ, ზღვა ხომ უფრო დიდია, — კვლავ მოგუდული ხმით თქვა ბიჭმა. ხიდის ბოლოს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭის ძმამ კიდევ ერთხელ გადახედა მდინარეს, წამით გაჩერდა და:

— ისე, ნეტა რამდენი მდინარე ჩაეტევა ერთ ზღვაში?

გოგო მთელი ღამე არ გამოსულა სადგურის შენობიდან. იმ ღამეს, პოლიციის ოთახში მას ხუთმა კაცმა დასდო პატივი. პირველობა, რა თქმა უნდა, პოლიციელს ეკუთვნოდა, მეორე ყველაზე მძიმე ტანისა იყო, ზანტად მოძრაობდა და ოფლი ღვარად გასდიოდა, მესამე თუ მეოთხე კაცს, ზუსტად აღარ ახსოვს გოგოს, ემჩნეოდა, რომ პირველად იყო ქალთან. თავიდან ცივი ხელები ჰქონდა და მუხლები უკანკალებდა, შემდეგ კი გამბაგებით ეხეთქებოდა მის მუცელს, თითქოს გაქცევას აპირებდა სადღაც უსამართლოდ დატყვევებული. მერე მკვდარი, უსიზმრო ძილით ეძინა თვალებჩალურჯებულ გოგოს. დილით, მზის ამოსვლამდე ისევ გაალვიძეს, ახლა მხოლოდ სამნი იყვნენ. პოლიციელი არ ჩანდა, ერთი სულაც უცნობი იყო. როცა გათენდა და გარეთ გამოვიდა, ტანში ამტკრევდა. უკან პოლიციელი გამოჰყვა.

— ეხლა საით? — ჰკითხა.

გოგომ მხრები აიჩეჩა.

— აბა, გამომართვი, — უთხრა პოლიციელმა და ჯინსის ქურთუკის ჯიბეში რრი ათმანეთიანი ჩაუკუჭა.

გოგოს არაფერი არ უთქვამს — არც მაღლობა, არც „ნახვამდის". პოლიციელი მოსაცდელში შებრუნდა. სადგურში მატარებელი შემოჩაქრაქდა.

ოციოდე დღის შემდეგ პოლიციელი, რომელსაც გაპარსული საახე და გრძელი ულვაში ჰქონდა, თეთრხალათიანი კაცის წინ მუხლამდე შარვალჩაჩაწული იდგა. თეთრხალათიანს მზერა დაეძაბა და მუცლის ქვემოთ აკვირდებოდა. ერთხელ სათვალე მოიხსნა, ისე დააკვირდა და ჩაფიქრებული სკამის ზურგზე გადაწვა. სათვალე მაგიდაზე დადო, პოლიციელს ახედა.

— აჰაა?! — თქვა და ვიღაცას დაუძახ ისე, თვალი არ მოუცილებია მის წინ მდგომისათვის.

ოთახში ზონზროხა ქალი შემოვიდა. ისიც თეთრ ხალაში გამოწყობილიყო. პოლიციელმა სასწრაფოდ აიწია შარვალი, ქალისაგან ზურგით დადგა და ხვანჯრის შეკვრას შეუდგა.

— სისხლი, — უთხრა თეთრხალათიანმა კაცმა თეთრხალათიან ქალს.

ზონზროხა ქალმა ჭანჭრობის კოლოსავით ხარბად ამოსწოვა მკლავიდან სისხლი პოლიციელს. შპრიციდან პატარა მინის კოლბაში გადაასხა, ფურცელზე რამდენიმე ასო დაწერა, გაიღიმა და ოთახიდან გავიდა.

— როგორ თქვით, რამდენი ხნის წინ იყავით? — იკითხა თეთრხალათიანმა.

— სად? ჰოო, ოცი დღის წინ, — უპასუხა პოლიციელმა შეშინებული ხმით.

— აჰაა! — თქვა თეთრხალათიანმა და დასძინა: — ცოლი გყავთ?

— არა, — გაუღიღდა თვალები პოლიციელს.

— კარგია! თქვენს გარდა კიდევ ვინმე ხომ არ იყო? — გულგრილად იკითხა ექიმმა.

— კი, ექვსნი ვიყავით, — დაირცხვინა პოლიციელმა.

— ცუდია, ყველა უნდა მოიყვანოთ, ცოლი ჰყავს რომელიმეს? — განსაკუთრებით ეს ამბავიც არ შეუცხადებია ექიმს.

— ორს. რა მჭირს, ექიმო? — ეელარ მოითმინა პოლიციელმა.

— უჰ! ცოლებიც უნდა მოიყვანონ, თვითონ იმას თუ იცნობთ?

— ვის?

— ქალს, ვისთანაც... — რატომღაც გაღიზიანდა ექიმი.

— არა, სულ არა.

— აბა, ეგრე შეიძლება? — უკმაყოფილოდ თქვა ექიმმა. — გარეთ დამელოდეთ, — და რიცა პოლიციელი ოთახიდან გავიდა, კარები ჩაკეტა, წამლის სხვადა-

ხნა ფერის კოლოფებით და ბოთლებით გატენილი მაცივრიდან ერთი ბოთლი ღვინი გამოიღო, გახსნა, პირზე მოიყუდა და ნაბახუსევ, გამომშრალ სხეულში ერთი ამოსუნთქვით გადაცალა. ტუჩები მოიმშრალა, ბოთლი მაცივრის უკან, სანაგვე ვედროსთან მიდგა, — უჰ! — ამოიხვნეშა. კარი გააღო და დერეფანში გაიხედა. პოლიციელი ბოლთას სცემდა. ექიმმა დერეფანი გადაკვეთა და მოპირდაპირე ოთახში შევიდა.

ღიდი ხნის შემდეგ ისევ გადმოკვეთა დერეფანი და თავის ოთახში დაბრუნდა, პოლიციელი ამჯერად გულხელდაკრეფით იდგა, კედელზე გაკრულ უამრავ თვალსაჩინოებას გულმოდგინედ ეცნობოდა და შეგიდამეზე ირავდა. ექიმმა რომ გამოიარა, ხელები ჩამოუშვა, მაველრებელი თვალებით შეხედა და რადგან ყურადღება არ მიაქცეს, უიმედოდ დაეშვა სკამზე. რამდენიმე წუთის შემდეგ დერეფანი ზონზროხა ქალმა გადაჭრა, პოლიციელი სკამიდან წამოიწია, ქალმა დაინახა და მხოლოდ თავი გააქნია. პოლიციელი კვლავ სკამზე დაჯდა, ქალი კი ექიმის ოთახში შევიდა. ექიმმა რომ ოთახიდან დაუძახა, წამოხტა და თითქმის სირბილით მივიდა კარებამდე. ოთახში მაინც მორიდებული ნაბიჯით შეაბიჯა. „დაჯექით“, — მიუთითა ექიმმა; ქალმა შეხედა და:

— უჰ! უუუჰ! — ამოიოხრა ფილტვების სიღრმიდან წამოსული ოხვრით.

ექიმმა პატარა ფურცელი ააფრიალა ხელით, სათვალე მოიხსნა, მაგიდაზე დადო.

— რთულად არის საქმე, — თქვა და მაგიდაზე სათვალით დაკაკუნა.

— უუუჰ! უჰ! — ამჯერადაც ამოიოხრა ქალმა, შეწუხებული სახით შეხედა პოლიციელს და, დინჯშემორტყმული, ბუზღუნით გავიდა ოთახიდან. პოლიციელი მთელი სამძიმით დაეხეჭა სკამზე და ის დღე დასწყევლა, როცა ქალს შეხვდა, იმ დღეს კი, უფრო ზუსტად — იმ ღამეს თითქმის ცარიელი ვაგონით ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვა, მოაბრუნა, ჯიბიდან დაჭმუჭნილი ქაღალდის ფული ამოიღო და ხელში ჩაუდო. ზურგიდან მაღალი და ცისფერ-თვალება წამოადგნენ, თითო ქაღალდის ფული მათაც გაუწოდეს.

— აუა! — თქვა ბავშვმა, გაიცინა და გაიქცა.

ღამის გათევა მაგიდასთან მოუწევდათ მამაკაცებს, რადგან იმ ლეიბებსა და თხელ საბნებში, რომელიც გამცილებელს უნდა მიეცა მათთვის, საბაჟოს მოხელეთა თვალის ასახვევად კალათები იყო გახვეული და სანამ მამა, მაღალი ახალგაზრდა და ცისფერთვალება უმილო, მომქანცველი, საბაჟოს მოხელეების გამოჩენას დაყურადებული ღამასათვის ემზადებოდნენ, ბიჭმა და მისმა ძმამ ქვეყნის ყველაზე დიდ მდინარეზე გაკიდებულ ხიდზე გადაიარეს, სოფელში შევიდნენ და პირდაპირ პურის მცხობელებს მიაკითხეს. ყველაფერი თეთრი იყო მცხობელებთან — ჭუჭყიც კი, — მხოლოდ პურები იყო მოყავისფრო წითელი. გამყიდველობა დიდძუუებიანი ქალისათვის მიენდოთ. ქალს სიცხისაგან მკერდზე ხალათი შემოეღეღა, ძუძუებს შორის ღარი ფქვილით ამოვსებოდა და შიგ იფლის თეთრივე წვეთები მოუცურავდა წაანწკართ.

ორი პური იყიდეს, მათი სიმხურვალისაგან ხელები ეწვოდათ, ამიტომ რიგრიგობით მიჰქონდათ. ბოლოს ბიჭმა პერანგი გაიხადა, პურები შიგ გაახვია და გახურებულ ხელისგულებს შვება მისცა. შიშველ სხეულზე საღამოს ნიავმა დაურბინა, დროდადრო ხორკლებს აყრიდა ტანზე. ცხელი პურის სურნელი შამშილის გრძნობას უღიზიანებდა და შინ მისვლამდე ერთი პური შემოეჭამათ. შინ კი წყალი გააობეს, შიგ პამიდორი ჩაჭრეს, მარილი ჩაყარეს, წითელ წვენში ცხელი პური ჩაწეს და ხმის ამოუღებლად შეჭამეს. ბიჭს წელი ისევ სტკიოდა, სტკიოდა ყრუდ — თირკმელებთან.

— კიდევ გტკივა? — შეეკითხა ძმა.

— რა ვიცი! — უპასუხა სუსტი ხმით.

ბიჭს დილაუთენია გაეღვიძა. საბნის ქვეშ წამოყელყელავებული სარცხვინელი გაისწორა და დაამთქნარა. ფეხსაღაგში გასვლა უნდოდა, მაგრამ წამოდგომა ეზარებოდა.

ბიჭის ძმა ოთახის ბოლოში მდგარ რკინის საწოლში იწვა, საწოლის თავებს ოთხივე კუთხეში ვერცხლისფერი, დილის მზის სხივზე ალიცლიცებული ლითონის ლომის თავები ედგა. ბიჭის ძმა ცხვირს აცემინებდა, ცემინებისაგან ცხვირი და ქუთუთოები გასიებოდა და გაწითლებოდა: — ოოთხმეტი, — თქვა ბიჭის ძმამ და დააცემინა.

— ეეჰ, ავდეგ, ვეღარ მოვითმენ, — გადაწყვეტა ფეხსალაში წასვლა ბიჭმა, საბანი გადაიხადა და წამოდგა.

— უბხხ! — იყვირა უცებ, წელზე ხელი იტაცა და სუნთქვა შეეკრა.

— რა მოგ... — შეშფოთებული ხმით უნდოდა ეკითხა ძმას, მაგრამ ისევ დაააცემინა, — ცხრამეტი, — თქვა, — რა მოგვიდა? — დაამატა, ისევ დააცემინა; — ოცი, — მიათვალა.

— მეტკინა, — უპასუხა ბიჭმა და გაახსენდა, რომ მთელი ღამე ჩუმი, თითქოს დილისათვის ჩასაფრებული ტკივილი აწუხებდა. ხელმეორედ სცადა წამოდგომა, მაგრამ საშინელი ტკივილისაგან გულშეწუხებული საწოლზე მიესვენა.

2

საშინელი ტკივილისაგან გულშეწუხებული ბიჭი გაუნძრევლად იწვა დიდი, ხმაურიანი ქალაქის საავადმყოფოს ერთ ატარა ოთახში, მხოლოდ მედიცინის დის შემოსვლის იგებდა, რომელსაც სხვა წამლებთან ერთად ტკივილგამაყუჩებელი აბებიც მოჰქონდა და როდესაც ტკივილები მთლად დუამდა, თანაც აღარც გამთანგავი სიცხე ახევევდა თავბრუს, გაბედა და ნელი, ფრთხილი მოძრაობით საწოლზე წამოჯდა; მეზობელს, რომელიც გვერდითა საწოლში მშვიდად იწვა, გუუბედავად მიესალმა. „გა-ა-უ-მარჯოს“, — ძლივს ამოთქვა მეზობელმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ოდნავ ასწია, რომ ფერდის პატარა ჭრილობაში ჩადგმულ გამჭვირვალე მილს არ შეხებოდა. მილიდან ყვითელი სითხე წვეთავდა და საწოლის ქვეშ მდგარ ქილას ავსებდა. „სტკივა“, — გაიფიქრა ბიჭმა: თვითონაც მოიკიდა ხელი, მაგრამ ტკივილი აღარ უგრძვნია. ნელა წამოდგა და საავადმყოფოს ზოლიანი ხალათი ჩაიცვა. გაიარა. ფანჯრის რაფას დაეყრდნო, გარეთ მაღალი ქვის გალავნით გარშემორტყმული შენობა ჩანდა პატარა ბაღით.

„ზზზუნგ! — ბზუილით ეხეთქებოდა ბუზი ფანჯრის მინას. ბიჭი ფანჯარას მოსცილდა და კარისაკენ წავიდა. დერეფანში ხელჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი დადიოდა, ხელში კრიალოსნით. ყველგან ქაფურისა და კომბოსტოს ნახარშის სუნი იდგა. გარეთ გასვლა გადაწყვიტა. დერეფნის ბოლოსკენ წავიდა. „უკაცრავად“, — მხარი გაკრა თეთრხალათიანმა უცნობმა და ჩაიქროლა. ბიჭი კიბეს ჩაუყვა, ყოველ სართულზე ისვენებდა. ეზოში თავბრუ დაეხვა, გრძელ მერხზე ჩამოჯდა. მის ზურგს უკან უშველებელი ქვის გალავანი გაწოლილიყო, ზემოდან დალეწილი შუშის ნამტვრევები ალესილი კბილებივით ჰქონდა ჩასმული და ჩამავალი მზის სხივებზე ლაპლაპებდა.

ცა შეეწითლებინა მზეს.

მერხის კიდეზე თხელი რეზინის გახეული სათითური შემჩნია, ხელი ზანტად გასწია და სათითური ვადაადგო. გაყუჩდა...

„აბა, როგორ შეიძლება, ეხლავე ადექი, გაცივდები“, — ჩასძახა ბიჭს ვიღაცამ და ძილბურანიდან გამოაფხიზლა, ბიჭს შერცხვა და წამოდგა. მედიცინის დამ იდაყვში ჩაავლო ხელი და კიბისაკენ წაუძღვა. ბიჭს ნაბიჯი ერეოდა. მედიცინის დამ პალატამდე მიაცილა. „შედი და შემოვალ“, — უთხრა. ბიჭი თავის საწოლთან მივიდა და გაუხდელად დაწვა. „დაგეფარებინა რამე“, — ურჩია მეზობელმა, მაგრამ ბიჭმა ვეღარ გაიგო, ღრმად ეძინა უკვე. ამასობაში მედიცინის დაც შევიდა. — „უკვე დაეძინა? — იკითხა. — ესე უპატრონოდ რომ მიატოვეს, შეიძლება? ნეტავ ვინ ჰყავს სახლში? ეეეე!! — ამოიხვნეშა. — თან რომ არც დაუფარეთია? — ფრთხილად გამოსწია ბიჭის ქვემოდან საბანი, გადაფარა და მის მეზობელს მიუბრუნდა. ფერდის პატარა ჭრილობაში ჩადგმული მილი მოუსინჯა და ხელის ერთი გაკვრით სხარტად გამოაძრო. ავადმყოფი ზამბარასავით შეიკუშა ტკივილის მოლოდინში და მყისვე გაიშალა. მედიცინის დამ თეთრი ღილებანდი დაუფარა ჭრილობაზე, ქილა აიღო, შიგ ჩაგროვილ სითხეს გახედა, „ბევრია“, — თქვა და ოთახიდან გავიდა.

„ეჰეჰე! რამდენი ხანი გეძინა, ბიჭო“, — შეიცხადა კრიალოსნიანმა მოხუცმა და ღიმილით შეაცქერდა თითქმის ორღლიანი ძილის შემდეგ გამოღვიძებულ ბიჭს. ბიჭმა შეშუპებული სახე ხელისგულებით მოიფშვნეტა და საწოლზე წამოჯდა. „ეტყობა, ტიტლიკანა გოგოებს ზედავდა სიზმარში და რა გააღვიძებდა“, — კენესა-ქირქილით ამოღერღა ბიჭის მეზობელმა. ბიჭმაც გაიცინა, მკლავები გაშალა, თვალები მოჭუტა, კმაყოფილებით გაიზმორა, საოცრად ჯანმრთელად და ლაღად იგრძნო თავი. ფანჯარაში გაიხედა, გარეთ ბინდდებოდა. ის იყო წამოდგომა დაეპირა, რომ ოთახში მედიცინის და შემოვიდა: „უუუ! მადლობა ღმერთს!, — გაიკვირა ქალმა, — რა არის ამდენი ძილი, ბიჭო! ჯანმრთელობისათვის კი კარგია... ზომ არაფერი გაწუხებს?“

— არაა, — უპასუხა ბიჭმა.

— აი, ჭამომართვი, — გაუწოდა გაკეცილი ფურცელი.—მგონი, შენი ძმისაგან არის — წერილია, ვიდაც ქალი იყო, ქალაქში მოდიოდა და გამოუტანებია თურმე... გეშიება?

ბიჭმა ფურცელი გამოართვა, გახსნა და უგერგილოდ უპასუხა: — არ-ა-რაა.

— როგორ არა, მოიცადე, ამას მიეხედავ, — გახედა ქალმა მეორე საწოლს. — ისე, თვითონ რატომ არ გაკითხავენ?

— რა ვიცი, — ამოხედა ბიჭმა და დაიმორცხვა. — გზა არ იციან, საავადმყოფოს ვერ მოაგნებენ. — საბანი ცხვირამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე აიქაჩა, თან ხელი არ გაუშვია ფურცლისათვის.

— ეგ არაფერია, მერე რა მოხდა, — თან გამჭვირვალე მილი გამოსწია მედიცინის დამ, ბიჭის მეზობელს რომ ჰქონდა ფერდის ჭრილობაში. — მივხედავ ამას და საჭელსაც შემოგიტან. — და მილი ჭრილობიდან გამოაძრო, დოლბანდი მიაფარა, ქილა მაღლა ასწია, „ბეერია“, — თქვა და კრიალოსნიან მოხუცს ვეერდით ჩაუარა.

მედიცინის და რომ გავიდა ოთახიდან, ბიჭი საწოლზე წამოჯდა, ბალიში ზურგს უკან გაისწორა, მიეყრდნო, მუჭში მოჭმუჭნილი ფურცელი გაშალა, გაასწორა და კითხვას შეუდგა: „გამარჯობა, როგორა ხარ, კარგათა ვარ. ის კალათები რომ იყო — დიდები, მე უფრო პატარების დაწვნა დავიწყე, მამა რომ ჩამოვიდა, არ მოეწონა, მაგრამ მერე მოეწონა. რო მოეწონა, მერე წავიდა, და ისევ ჩამოვიდა და ისევ წავიდა. ქათამმა ისევ დაკარგა საბუდარი, მამა რომ ჩამოვიდა, უთოვა, რომ წავიდა, ისევ დაკარგა. ახლა მე უკვე ვიცი, როგორ ვუპოვო დედალს საბუდარი, ჰოდა მე თვითონ ვუპოვე, ისევ დაკარგა და ისევ ვუპოვე. მამალი ყოველთვის გაპოვნინებს დედალის დაკარგულ საბუდარს, ოღონდ მამამ თქვა, მამალი ნამდვილი უნდა იყოსო, ისეთი კი არა, როგორც ხის კვერცხია, არა, ნამდვილი — აი, ნამდვილი, დეზებიანი, ბიბილოიანი და დალას რომ ყივის და კიდევ მამამ თქვა, ათ დედალს უნდა პატრონობდეს და წიწილებს უნდა აჩეკინებდესო. გიგალოს ვცემე. ცხვირიდან ისეთი სისხლი წამოუვიდა, შინდს რომ წვენს გამოწურავ. მამა კიდე ჩამოვა, კიდე წავა და კიდე ჩამოვა. ქათამმა საბუდარი თუ დაკარგა, ნუ გეშინია, ვიპოვი. ძალიან ხომ არ გტკივა. ძმა“.

ბიჭმა კითხვა დაამთავრა, თავი არ აუწევია, იჯდა საწოლზე თავჩაკიდებული და შეუმჩნევლად იღიმებოდა.

„ეეჰ, ჩემთვისაც დრო“, — ჩაიბურტყუნა კრიალოსნიანმა მოხუცმა, ყავარჯნებს დაეყრდნო, გაჭირვებით წამოდგა და კარისკენ წავიდა. ბიჭის მეზობელმა საავადმყოფოს ჭრელი ხალათი ჩაიცვა, სკამი აიღო და დერეფანში გავიდა, ბაღდ წამით შეყოვნდა: „მერე გამოდი, რაღაცას გაჩვენებ“, — ძლივს გასაგონად უთხრა ბიჭს. ბიჭს თითქმის არ გაუგია მეზობლის ნათქვამი, საწოლიდან ჩამოვიდა, მეზობელს თვალი გააყოლა: „ეეჰ-ეჰ“, — თქვა თავისთვის, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა — მაღალ გალავანს იქით მოპირდაპირე შენობის შესასვლელი ცისფერი სინათლეთ იყო განათებული, შენობის წინ, ბაღში ფიჭვების სილუეტები იკითხებოდა კუნაპეტ სიბნელეში. შესასვლელთან ვიღაც გამორნდა. ბიჭმა ყურადღება დამბა და „ეეე!?“ — წამოიძახა გაოცებისაგან, დაუნებით დაკაკიდა, სწრაფი ნაბიჯით დერეფანში გავიდა. კარს არ იყო გაცილებული, უკან შებრუნდა და ფანჯრის გამოღება სცადა. ფანჯარა ჩალურსმული აღმოჩნდა. ქვემოთ, ცისფერი სინათლის ფონზე მაღალი, აწოწილი ქალის სხეული ილანდებოდა. ბიჭი დერეფანში გავარდა, კართან წონასწორობა დაკარგა და დერეფანში ფანჯარასთან მიმჯდარ თავის მეზობელს გადაესწყდა.

— რა იყო, კაცო? ფრთხილად, — გაოცებულმა იკითხა მეზობელმა, — სად გარბიხარ?

— ბოდიში... ქვემოთ.

— მოიცა, მოიცა... გაჩვენო... საღ გარბიხარ, — მეზობელი მაჯაში ჩაფრინდა და — აგე, ნახე, ნახე, ახლა დაიწყება, — ჩაიჩურჩულა აფორიაქებული ხმით. ბიჭმა წასვლა სცადა, მაგრამ მიხვდა, თავს ვერ გაითავისუფლებდა და ფანჯარაში გაიხედა: მოპირდაპირე შენობის ერთადერთ განათებულ ფანჯარაში ორი თეთრხალათიანი მორნანდა, აქეთ-იქით დადიოდნენ, შუაში კი ვერცხლისფრად მოლაპლაპე, თეთრ ზეწარგადაფარებული უცნაური მაგიდა იდგა. მალე მათ მესამეც მიემატა — ქალი იყო.

— ახლა დაკვირდი, — მოუთმენლად თქვა მეზობელმა, კისერი ისე წაიგრძელა, თითქოს იქით, ფანჯარაში აპირებდა თავის შეყოფას, თან პაპიროსს მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდა. კვამლის რგოლი ფანჯრის მინას შეეხეთქა, დაიშალა, მინაზე აიკლაკნა და გაქრა.

იქით ახალგამოჩენილი ქალი წვალებით აბობღდა უცნაურ მაგიდაზე. მერე, უცებ, წელს ქვემოთ გაშიშვლდა, მაგიდაზე გადაწვა და ფეხები ზემოთ შეაწყო, ბიჭს მოულოდნელობისაგან ყელი გაუშრა.

იქით იმ ორმა ხელები და ფეხები დაუბა ქალს, მაჯაში ნემსები უჩხვლიტეს, თვითონ დოლბანდებით აიკრეს სახეები და თეთრ ხალათებზე წინსაფრები აიფარეს.

ერთი ვერცხლისფერ იარაღებს აწვდიდა მეორეს, ის კი ამ იარაღებით სისხლიან ნაფლეთებს აცლიდა ქალს მუცლის ქვემოდან.

— ნახე? — უსაშველოდ სევდიანი სახის გამომეტყველებით ჰკითხა მეზობელმა ბიჭს, მხარზე ხელი დაარტყა და ის იყო ბიჭის ცხვირწინ კვამლის აფარფატებული რგოლი დაიშალა, რომ ზურგს უკან მედიცინის დის გაანჩხლებული ხმა გაისმა: „აიი! ისევ იქით იყურები, არა? შე, შე... ამისგან რაღა გინდა, ამას რატო აყურებინებ...“

ბიჭის მეზობელი დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით მოიბუზა: „იქით არაა, ვის ვაყურებინებ?... არაფერს ვაყურებინებ“, — წაიბუზღუნა, სკამიდან ბეჭებში მოხრილი წამოდგა, თავი ჩაღუნა და პალატაში შეეიდა. უკან მედიცინის და მიჰყვა, ხელში ერთი ჯამი მოხარშული კომბოსტო ეკავა და გაბარაზებული დაკაოდა ავადმყოფს: „პაპიროსი ჩააქრე... ჩააქრე და დაწექი... ვერ მოგაშლეევინე, კაცო, ვერა“.

ბიჭმა კვლავ ფანჯარაში გაიხედა. იმ უცნაურ მაგიდაზე სხვა ქალი წვებოდა, მანაც ზემოთ შეაწყო ფეხები; მუცელს ქვემოთ შავი სამკუთხედის დანახვისას ისევ გახევდა ბიჭი, გულიც აუჩქარდა. თეთრხალათიანებს წითელი წერტილებით დალაქავებოდთ წინსაფრები.

— ისევ იმას უყურებ... ის ძლივს მოვაცილე და ახლა... — უბიძგა ბიჭს პალატიდან გამოსულმა მედიცინის დამ. ბიჭი შეკრთა და დაბნეული გამომეტყველებით მიაშტერდა. — გაიწიე, გაიწიე... თანაც მშიერი ხარ, წადი, საჭმელი შემოგიტანე, — განაგრძო მედიცინის დამ და უფრო ღონივრად უბიძგა ბიჭს, ფანჯარასთან მდგარ საკმეზე ჩამოჯდა, იდაყვებით რაფას ჩამოეყრდნო და მოპირდაპირე შენობის ერთადერთ განათებულ ფანჯარას მიაცქერდა.

ბიჭი კიდევ ცოტა ხანს იდგა ფანჯარასთან, მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, შებრუნდა, სწრაფად გაირბინა დერეფანი, კიბეც ერთი ამოსუნთქვით ჩაირბინა. ეზოში ძველი, დამტვრეული საწოლის ფეხი იპოვა, ქვის გალავნის ძირში მდგარ მერხზე შედგა, გალავნის პირზე ჩასმული შუშის კბილები მოამტვრია და ზედ აცოცება დაიწყო, მომტვრევას გადარჩენილმა შუშის ნატეხებმა საავადმყოფოს ზოლიანი შარვალი მუხლთან გამოახია და ბარძაყიც გაუჭრა. ზოლიან შარვალზე სისხლის პატარა ლაქამ გამოიჭინა.

გალავანს იქით პატარა ბაღი იყო, ბაღს იქით შენობა იდგა. ეს გალავანი სწორედ ამ შენობას ერტყა გარს, რომ ღმერთი არავის გაჩწყრომოდეს და იქიდან ის ბინძური სენი არ გამოეტანა დანარჩენი ქალაქისათვის, ყველა რომ ასეთი ამრეზით იხსენებს. ცისფერი სინათლით განათებულ შესასვლელში აღარავინ იდგა, მთვარის ნათლის შუქი მქრქალ სვეტებად აღწევდა ხეების სილუეტებს შორის. ბიჭმა ბაღის სიბნელეს თვალი შეაჩვია, ფრთხილად მიდიოდა, აქეთ-იქით იცქირებოდა, უცებ გაჩერდა და ყურადღება დაძაბა, ბაღში, ხეებს შორის გამოპარულ სინათლეში პატარა სკამი იდგა. სკამზე გოგო იჯდა, ოცოიღე წლისა იქნებოდა, მაგრამ ფეხსაცმელი და თმა ისეთი მოუვლელი ჰქონდა, როგორც იმედგადაწურულ შუახანის ქალს. თვალებთან სისხლჩაქცევებისგან გაჩენილ სილურჯეს გიყვლი და წითელი ლაქებიღა დარჩენოდ სახისოვრად. გოგო ხმას არ იღებდა, თითქოს ვერც აჩჩევდა მას. ბიჭიც ვერ ბედავდა გამოლაპარაკებას. გოგოს არც კი სცა-

ლოდა ბიჭისათვის, შენობისკენ იცქერებოდა დაყურადებული და იქიდან გამოსულ პატარა ხმაურზეც კრთებოდა და იბუზებოდა. დიდი ხნის შემდეგ წამოდგა, ბნელი ბალი გაიარა და შენობაში შევიდა. ბიჭმა მზერით გააცილა და როცა გოგო თვალს მეფარა, ისევ ქვის გალავანს გადაბობდა.

თავის პალატაში ჩუმად შეიპარა. მეზობელს ეძინა და გულის გამაწვრილებლად აკრაჭუნებდა კბილებს. საწოლის გვერდით, პატარა მაგიდაზე ერთი თეფში მოხარშული კომბოსტო იდგა, ერთი ნაჭერი გამომშრალი პურიც იდო, ზედ ბუზი დაბორიალებდა. ბიჭმა მწერს ხელი აუქნია და საწოლზე ჩამოჯდა. მადიანად ილუკმებოდა. თეფში პურის ბოლო ნატეხით მოაპრიალა და წამოწვა. მეზობელი შეუსვენებლად აკრაჭუნებდა კბილებს.

მეორე დღეს მთელი დღე მოხარშული კომბოსტოს სუნი ისუნთქა ბიჭმა. რამდენიმე ამი გადაყლაპა, მედიცინის დამრომისცა. კრიალოსნიანი მოხუცის მონაყოლ ამბებს მოუსმინა, ახალი გაზეთებიდან რომ ამოეკითხა: „აიო, კაცო, შორს რომ ქვეყანაა, — დინჯად ყვებოდა მოხუცი, — რა ქვაან, აღარ მახსოვს, გამახსენდება — გეტყვითო, იმის დედოფალს დიდძალი სიმდიდრე ჰქონდა და მიწისძვრა რომ მოხდა, სულ იმ ქვეყნისათვის მიუციაო... იქა და იქ, კარგად არ მახსოვს—სად, ასი ათასი მილიონნი წლის კაცის ჩონჩხი უპოვიათო... იმ ქვეყნის ფეხბურთელებს ამ ქვეყნის ფეხბურთელებისათვის ათით ნოლი მოუგიათო... ერთი ქვეყნის მთავრობას ბომბები ესროლეს და გააგდესო... მფრინავი თეფში გაუგონარი სისწრაფით მიფრინავდა და ხუთფერად ანათებდაო...“

რომ მოსაღამოდა, ღერეფნის ფანჯარასთან მიმჯდარ მეზობელს ყურადღება არ მიაქცია. კიბე ჩაირბინა, მაღალ გალავანზე გადაძვრა და ბნელ ბაღში გოგო მოძებნა, გოგო ისევ სკამზე იჯდა და გაფაციცებით შესცქეროდა შენობას. შენობიდან გინება და მტვრევის ხმა ისმოდა. ბიჭი ჩუმად ჩამოჯდა სკამზე, გოგომ არც გამოხედა. ბიჭმა ვეღარ გაუძლო სიჩუმეს: — რა ხდება შიგნით? — იკითხა ჩურჩულით, ხმა ჩაეხლიჩა და ნერწყვი გაეჭედა ყელში.

— შემოსვლა უნდათ... ჩხუბობენ, — უფრო თავისთვის თქვა გოგომ, ვიდრე ბიჭს უპასუხა.

— ვინ, ვინ? — იკითხა ბიჭმა; გოგოს ხმა რომ გაიგო, ერთბაშად დამშვიდდა.

— რა ვიცი... მე მეშინია, ვეჟები არიან.

— მე ვერ მიცანი? — ჰკითხა ბიჭმა და გოგოსთან ახლოს გადავჯდა.

გოგომ ფრთხილად მოაბრუნა თავი და ბიჭს დააკვირდა, მთვარის შუქზე რომ ვაერჩია მისი სახე. ბიჭმა კისერი წაიგრძელა, სახე ახლოს მიუტანა, მიხვდა — ვერ იცნო. ძალიან მოუნდა, რომ ვიცნობენინა.

— აი, იქ, სადგურში პოლიციელმა რომ წაგიყვანა.

— რაა? — შიშისაგან თუ ბრაზისგან სახე მოექცა გოგოს.

— ჰო, სადგურში, მატარებლების სადგურში, შენ ჯინსის ქურთუკი ვეცვა. პოლიციელი რომ გაგიწყრა... მე, მე იმ კაცებს ვეხმარებოდი, მატარებლებს რომ მიჰყვებოდნენ.

— არ ვიცი, — გოგო ალარ უსმენდა ბიჭს, წამოდგა, შენობისაკენ ფრთხილად წავიდა, ყური მოუგდო: შენობიდან ჩამოჩუმი არ ისმოდა. გოგომ ბიჭს არც კი გამოხედა, ისე თქვა: „მეორნი წავიდნენ, ჰო, ეტყობა წავიდნენ“, — დარწმუნდა და უფრო გაბედული ნაბიჯით მიუახლოვდა შენობას, კართან გაჩერდა, ცისფერ შუქზე მისი მაღალი სილუეტი გამოიკვეთა, მობრუნდა, ბიჭს ვეღარ ხედავდა. მაგრამ მაინც დაუქნია ხელი და შენობაში მიიმალა. ბიჭს დაენანა, გოგო რომ წავიდა, გაყოლაც კი დაპირა, მაგრამ ვერ გაბედა, მხოლოდ: ხვალაც მოვალო, — დაუძახა და ისიც ისე ჩუმად, თვითონაც ვერ გაიგო. გალავანზე გადაბობღდა. ხის მერხზე ფეხი დაადგა თუ არა, მის წინ მოულოდნელად მედიცინის და აისვეტა: — რა გინდოდა, ბიჭო, იქით? — ეკითხა, — იქ, იცი, როგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ავადმყოფები წვანან? ვინმემ ხომ არ შეგაცდინა, გამოტყდი, გამოტყდი, არავის არაფერი გადასდო, მთელი ქალაქის აყროლებული ბოზები მანდ არიან, შე გაფუჭებულო, რა გინდოდა იქით! — ბიჭს სახელოზე მოქაჩა და კიბისკენ წაართია. — წადი, ეხლავე კარგად დაიბანე ხელები, პირი და ყველაფერი, ან დაბანა რას გიშველის თუ ვინმეს მიეკარე. მიეკარე? ვინმეს რამე ხომ არ უქენი? სულ ბოზები არიან მანდ, შე ღლაპო, უყურე ამას, უყურე, ეს გათახსირებული!

ბიჭი შეშინებული მიჰყვებოდა მედიცინის დას და დრცხვენილი ლუღლუღებდა: — არაფერი, არა... არა... არავის მიეკარებივარ, მაპატიეთ... ხელიც არ დამიდია... ისე, ნაცნობი დავინახე და... არავის მიეკარებივარ... ბოზები? არ ვიცოდი... არავის მიეკარებივარ... ნაცნობი დავინახე.

მედიცინის და არ ცხრებოდა: — არ მიკარებიხარ, არა? არ იცოდი, არა? ხვალვე სულ პანლურის კვრით გაგაგდებთ აქედან, არა, ხვალ არა, ხვალ ექიმები არ იქნებიან, ზვე, ზვე გაგაგდებთ, შე გაფუჭებულო... ნაცნობიო, უყურე შენ! — ვერ მალავდა აღშფოთებას.

პალატამდე სულ მუჯლუგუნის კვრით მიიყვანა ბიჭი: — შეეთრიე და. დაეგდე, შე გათახსირებულო!

ბიჭი უწუმრად ჩაეშვა ლოგინში. მეზობელს ეძინა და გულის გამაწვრილებლად აკრაჭუნებდა კბილებს.

დილით, ბიჭმა რომ გაიღვიძა, მისი მეზობლის საწოლის ქვეშ მდგარ ქილაში უკვე ქანაობდა გამჭვირვალე მინის ბოლო. ბიჭმა გვერდი იცვალა, თავიდან აპირებდა ძილის მოხმობას, წინა ღამეც გაახსენდა, მედიცინის დასთან შეხვედრის სურვილი არ ჰქონდა. „სულ არ ავდგები დღეს ლოგინიდან“, — გაიფიქრა. ჩათვლიმა კიდეც, მაგრამ ვიღაცამ ღონივრად შეანჯღრია, გადასაფარებელი გადახადა და დასძახა: — არ დგები, არა, ლოგინიდან? გრცხვენია, ხომ? კიდევ კარგი. დღეს ეგრე ეგდე და ფეხი არ გაადგა არსად, აჰა, ეს ჩაეცხლე! — დაუდგა წინ ერთი თეფში მოხარშული კომბოსტო და ნაჭერი პური. — ხვალ აუცილებლად გაგწერთ. — მერე წელში მოიხარა და ბიჭს ყურში ჩასჩურჩულა — ბიჭო, წუხელ იმ საავადმყოფოში მარილა ვინმე ქალთან ხომ არ იყავი, თავი ხომ არ გაიუბედურე, გამოტყდი, დროზე რომ გიმკურნალონ. ვის არ მოსვლია, ახალგაზრდა ბიჭი ხარ, მეც შენი ტოლი ბიჭი უნდა მყოლოდა — ვიცი თქვენი ხუშტურები, დიდი რამე, ვის არ მოსვლია.

ბიჭს თავი არ გადმოუბრუნებია, გაწითლდა, დასცხა და: — არა, მართლა არავისთან ყოფილვარ, ხელიც არ დამიკარებია, მართლა, გეფიცებით...

— კარგი, კარგი, — ჩაიბუზღუნა მედიცინის დამ, — კარგი, ხვალ შენს ტანსაცმელს მოგცემთ და სახლში წახვალ, გაიგე!

ბიჭი მთელი დღე ლოგინში იწვა, დროდადრო ჩაიძინებდა ხოლმე. გარეთ ღამდებოდა უკვე. ბიჭის მეზობელი დერეფანში, ფანჯარასთან მიმჯდარიყო. ბიჭმა იფიქრა, ალბათ, ეს ბოლოს მაინც წამოდგა. უხმაუროდ ჩაიცვა, ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი, ფრთხილად ჩაუყვა კიბეს და გალავანზე გადაძვრა. დიდი ხანი ელოდა, ვოო არ გამოჩნდა, შენობისკენ წავიდა, ცისფერ შუქში შევიდა და თეთრი მეტლახით მოპირკეთებულ გრძელ დერეფანში აღმოჩნდა. დერეფნის ბოლოდან ხმაური მოდიოდა, ვიღაცას აწყნარებდნენ, ხან უყვავებდნენ და ხანაც ლანძღვითვე პასუხობდნენ. ბიჭი დერეფანს გაუყვა და ბოლოში დატანებული კარი ფრთხილად გააღო. უშველებელ ოთახში რამდენიმე პოლიციელი საშინლად გაბრაზებულ კაცს აკვებდა. ოთახის კუთხეში, სკამზე თეთრხალათიანი კაცი იჯდა და ცხვირ-პირიდან სისხლი გასდიოდა, თან გვერდით მდგომ პოლიციელს უყვებოდა: „რა ვქნა, კაცო, იარაღით მაშინებენ, ბოზებთან შეგვიშვიო, ვუხსნი — რამეს აიკიდებთ-მეთქი, მაგრამ გაგიგია, აი — მცემენ, მეც ვუშვებ ხოლმე, ერთ კვირაში ისევ ჩემთან მოდიან ტრირილით — მოგვარჩინეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კიდე, ესეც არ იკმარეს და ქალს სცემეს, შეიძლება მოკლეს კიდეც, ვითომ მიხმარება მინდოდა და აი, რა დღეში ჩამაგდეს. ეგ ყველაზე ნაკლებს ჩხუბობდა, დანარჩენები გააქცნენ, ორი ავტომატი ჰქონდათ, რა ვიცი, კაცო, გიჟები არიან, რომ დალევენ, ეტყობა ტვინთ კი არა, იმით ფიქრობენ", — ექიმმა რამდენიმე ფუნად დაკეცილი ბინტი მიიღო ტუჩზე და ოთახის მეორე კარისაკენ გაიხედა. კარი გაიღო — სანიტარმა თვლებზე შემდგარი საკაცე შემოაგორა. საკაცეზე გოგო იწვა, თეთრი ზეწარი მკერდამდე გადაეფარებინათ, სახე ისე გასიებოდა, თვალებიც კი ალარ ემჩნეოდა, შუბლი დოლბანდით ჰქონდა გადახვეული და ზედ სისხლის ლაქა ეტყობოდა. ეს რომ პოლიციელებმა დაინახეს, კაცს, რომელსაც აკავებდნენ და რომელიც უკვე დაწყნარებულიყო, ღონეები ალიყური უთავაზეს, სანიტარმა საკაცე იმ კართან მიაგორა, რომლის უკანაც ბიჭი ატუზულიყო, საკაცით მიაწვა და გააღო, ბიჭი გაისუსა და როდესაც საკაცემ მის წინ ჩაიხრგინა, იცნო გოგო. დერეფნის სიბნელეში ბიჭის ფართოდ გახელილმა თვალებმა გაიელვა. სანიტარს იგი არც შეუმჩნევია, ისე გაუყვა დერეფანს. საკაცის თვლების ჭრიალი მარტმა ატეხილი კატების ყნავილს ჰგავდა.

მიხრიგინებდნენ თვლები ფილაქანზე.

სანიტარმა მკვეთრად მოუხვია და ბიჭმა ახლადა შეამჩნია, რომ დერეფანს კიდევ ერთი კარი ჰქონდა, საკაცეც იმ კარს იქით მიიმალა. ბიჭი ეზოში გავიდა და მთვარის შუქით განათებულ სკამზე დაჯდა. ალარ ახსოვდა, რამდენი ხანი იჯდა ასე — გაყუჩებული. მერე იქვე, სკამის გვერდით, ხესთან მიდგა და მის ხეშეშ ქერქზე სველი, მუქი ლაქა დატოვა ჩხრიალ-ჩხრიალით; ხვანჯარი გასსწორა, ჯალავანს გადაფორთხდა. კიბე და დერეფანი ისე გაიარა, ფანჯარასთან მიმჯდარმა მედიცინის დამაც კი ვერ შეამჩნია და ანაზდად გასხლტა თავის ოთახში, საბანში გაეხვია. ვვიან ღამემდე არ დაამინა მეზობლის კბილების კრაჭუნმა, მაგრამ ბოლოს ძილის ბანგი მაინც მოერია მეზობლის კბილებს.

— ადექი, ადექი, ჭამე და დღეს წახვალ, ვაგვ?.. დროზე, დროზე! ხომ გითხარი, დღეს გაგწერთ. — მზე გვარიანად ამოწვერილიყო, ბიჭი რომ გაალვიძეს.

— მიდიხარ, ბიჭო? — სიცილით ჰკითხა მეზობელმა ძალ-ბურანიდან გამორკვეულ ბიჭს. ზანტად წამოიწია ბიჭი, წამოჯდა, თვალები მოიფშვნეტა და საწოლის თავზე გადაკიდებულ თავის საგარეო ტანსაცმელს გაოცებული შეაცქერდა.

— ჰე! რა მოგივიდა, ბიჭო, შენი ტანსაცმელია, ვეღარ იცანი? ამით მოგიყვანეს. აი, ეს კიდე ფეხსაცმელია, ჩემი ბიჭივით შენც გვერდებში ცვითავ ქუსლებს. ადექი! ჭამე და წახვალ. გზის ფული გაქვს? — მომბალი ხმით ეუბნებოდა მედიცინის და. — სად არის შენი ხალათი და შარვალი — აქ რომ მოგეცით, აბა, მაჩვენე? — დაინახა სკამზე მიგდებული ზოლიანი შარვალ-ხალათი, დაწვდა და დათვალიერება დაიწყო, სახე დაემანჭა: — ეს რა არის? აა, იქ რომ მიძერებოდი, მაშინ დახიე, ხომ? მოიცადე! — ისევ სკამზე მიაგდო სამოსები და საქმიანი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

ამასობაში ბიჭი საბოლოოდ გამოფხიზლდა და შეშფოთებული მზერა მიაჭყრო მეზობელს.

— ოჰ, ეგ არაფერია, — დაამშვიდა მან.

უკან შემობრუნებულმა მედიცინის დამ ნემსი და ძაფის კოჭი შემოიტანა.

— აბა, ახლავე გაკერე, შე ტუტუცო! — მისცა ბიჭს ნემსი და ძაფი. ბიჭმა ნელა აიღო ნემსი, ძაფი კოჭიდან კბილებით ამოწყვეტა და შარვალი ოჯახის ქალის ოსტატობით ამოკერა.

— ესეც ამოვრეცხო? — ჰკითხა მედიცინის დას და შაურისოდენა სისხლის ლაქა აჩვენა.

— აბა, რა უნდა ქნა?

ბიჭმა ისე ჩაიცვა, არც მორიდებია მედიცინის დას. საპირფარეშოში გავიდა, ჯერ პირი დაიბანა, მერე სისხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქა ამორეცხა. მედიცინის და დერეფანში შეხვდა, საავადმყოფოს ზოლიანი, გაკეშილ-გამორეცხილი შარვალი დაუბერუნა. თავის ოთახში შებრუნდა, ქურთუკი მოიცვა, ჯიბე მოიჩხრიკა. ორასი ცალი ქაღალდის ფული ამოაყოლა ხელს: „ეეყოფა“, — ჩაიბურტყუნა თავისთვის.

— წავედი, ნახვამდის, — უთხრა მეზობელს, გაუღიმა და ოთახიდან გავიდა.

მედიცინის და თავის ოთახში, საექიმო ტახტზე ჩამომჯდარიყო, ხელში ბიჭის ნაცვამები ეკავა, გარინდებულიყო და დროდადრო ხან შარვალს ყნოსავდა, ხან ხალათს.

3

ბიჭს მთელი დამე გაუნძრეველად ეძინა მატარებლის მაღლითა ნარზე. რწევა-რწევით მიჰყავდა მატარებელს და მასაც არაფერი გაუგია, როგორ ჩავიდა სისხამ დილას პატარა, გახუნებულ ქალაქში. მხოლოდ ეგ იყო, ფეხსაცმელი მოკარა ვიღაცას და ფეხშიშველს მოუწევდა შინ მისვლა. წინდებიც გაიძრო, ერთმანეთში ამოაბეა და ჯიბეში ჩაიდო. ტამბურში გამოსვლის წინ შარვლის ტოტებიც აიკეცა ორ-სამ პირად და ბაქანზე გადავიდა. დანარჩენი ვაგონებიდანაც მგზავრები გადმოხტნენ, ყველას ცარიელი კალათები ეკავა ხელში. ერთმანეთს ეძახდნენ, ხელს უქნევდნენ, სმენის წამდები ყვირილი იდგა. „უ-უუ“! — იკივლა მატარებელმაც და ხვნეშა-ბუბუნით დაიძრა.

კალათიანები ერთი მიმართულებით გარბოდნენ. ბიჭიც მათ აედევნა.

საღგურთან, ქუნის პირას, სატვირთო მანქანა იდგა, რომლის მძღოლი ძალიან კარგი კაცი იყო და მოჭიდავე შვილი ჰყავდა. საბარგულში კაცები და ცარიელი კალათები ერთმანეთში არეულიყვნენ. ბიჭიც მათ შორის ჩაჯდა.

სოფელში რომ შევიდნენ, ვიწრო შარაზე, ხის ღურჯად შეღებილ მესერთან მომჯდარ გადახრჩუებულ მოხუცს მიესალმა ყველა. ამ კაცზე ამბობდნენ, ქვეყნის უდიდესი მდინარის საათვალებში დაწყებული პირველი ომების მომსწრეა და უბრძოლია კიდეც. მოხუცმა მისალმებაზე თავის კანტურით უპასუხა და მანქანას სქელმინებიანი სათვალით გახედა, სათვალის შიგნიდან უშველებლად გადიდებული თვალები მოუჩანდა.

— ისევ დაკარგა საბუდარი, — უთხრა მამამ კარებში შემოსულ შვილს, — ფეხსაცმელები რა უყავი? — დაამატა გაკვირვებით.

— მომპარეს, — თქვა ბიჭმა, იქვე მდგარ, მჟავე შინდით ნახეკრად ავსებულ კალათთან მივიდა, ჩაიმუხლა, მუქი წითელი ხილის გროვაში ხელები ამოურია და პირი თბილი, წებოვანი ნერწყვით აევსო.

— ეეჰ! როგორ მოგპარეს? — ჩაიქნია მამამ ხელი. — წავალ, საბუდარს მოვძებნი, — ხელში კვერცხი აათამაშა და აკრიახებულ დედალს უკან გაჰყვა.

— თორმეტი, — ცხვირი დაეცმინა აივანზე გადმომდგარმა ბიჭის ძმამ, სახეზე ხელები აიფარა და ისევ დაიცხიკინა: — თოთხმეტი, არა, ცამეტი, — მიათვალა. — რას ეძებ? — ჩაეკითხა აივნის ქვემოთ მიბოდიალე ბიჭს, რომელიც გაფაციცებით ეძებდა რაღაცას.

— ვეძებ, რას ვეძებ? — თავის თავს ჰკითხა ბიჭმა, — მე ვიცი, რასაც ვეძებ.

ბიჭი ხან სარდაფის კუთხეებში იქექებოდა, ხან საკუჭნაოში, კედელში აკრულ თაროებზე აფათურებდა ხელს — ჯერ ხერხი გამოათრია, მერე ეზოში გავიდა, ღუმელში დასაწვავ შეშის გროვასთან ჩაიმუხლა და ნაჭრების არჩევას შეუდგა; აიღებდა პატარა მინაჭერს, დახედავდა, შემოაცლიდა ქერქს, მიატრიალ-მოატრიალებდა ხელში და მოისროდა. როგორც იქნა, ერთი ცალი აარჩია, ქერქი შემოაცალა, თვალით გაზომა და ხერხის გვერდით დაადგა.

ბიჭის ძმა ქვემოთ ჩამოვიდა და გაკვირვებით შესცქეროდა.

— დანა მინდა, ბასრი დანა, — უთხრა ბიჭმა ძმას და იქ, სადაც დასამთავრებლად გამზადებული კალათები ეყარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც მართლა უფრო პატარები იყო, ვიდრე ძველები, დანის ძებნა დაიწყო.

— აჰა, მე მაქვს, — უთხრა ძმამ, — ჩვიდმეტი! — ცხვირი დააცემინა და დანა მიაწოდა. ბიჭმა დანას პირი გამოუხსნა, ერთი მომსხო წნელი აიღო და ბოლო წაუთალა.

— კარგია, მაგრამ აკლია — ჩაიბუტ-დღუნა, ეზოში სიპი ქვა მოძებნა, დანის პირი და ქვა რუში მოწანწკარე წყალში დაასველა და ღონივრად გაუსვ-გამოუსვა ერთმანეთს, კიდევ ერთხელ წაუთალა წნელს ბოლო.

— ახლა მართლა კარგია, — დაასკვნა.

ხერხი და ქერქგაცლილი შეშის ნაჭერი აიღო, დაბალ სკამზე მოხერხებულად მოკალათდა ნახევრად დაწნული კალათების ახლოს.

— ხელს ხომ არ შეგიშლი? — ჰკითხა ძმას, ახედა და გაეღიმა.

— ოცი, ოცდაერთი! — დააცხინკა ერთმანეთის მიყოლებით ძმამ, — არა, არა, — უასუხა, — რას აკეთებ? — მეტისმეტისმეტად დაინტერესა ძმის საქმიანობამ.

ბიჭმა ხერხით შუაზე გადაჭრა ხის ნაჭერი, დარჩენილი მუხლებს შორის მოიქცია და დანით გათლა დაიწყო.

— ვიპოვე, — ამაყად უთხრა მობრუნებულმა მამამ შვილს. — რას აკეთებ? დაანებე თავი და კალათების ავსებაში დამეხმარე.

— არ მცალია, — უპასუხა ბიჭმა და დანის პირი მოხერხებულად აუსვა ხის ნაჭერს. თხელი ანათალები აქეთ-იქით ცვიოდა და ნაჭერი თავში და ბოლოში მომრგვალებულ ფორმას იძენდა.

— არ არის მაგის დრო, დამეხმარე! — გაწყრა მამა.

— ის თუ კალათს წნავს, შენ მაგ კალათებს შინდით ავსებ, მეც მინდა ჩემი საქმე, — შშვიდად მიუგო ბიჭმა და უშველებელი კვერცხის ფორმის ხის ნაჭერს გახედა: — დაპატარავება უნდა, — დასძინა და დანის პირით ოსტატურად ათალა ხის სქელი ფენა. მალე კვერცხმა ქაძმის კვერცხის ზომა და ფორმა მიიღო.

— კირი, კირი სად არის? — იკითხა ბიჭმა.

— რახან არ იშლი? — ადგა მამა, გავიდა და სარდაფიდან ერთი მუჭა კირი გამოიტანა, პატარა ჯამში ჩაყარა, ზემოდან წყალი დასხა. როცა კირი რძესავით გახდა, შიგ ხის კვერცხი ჩადო. კვერცხს სალებავის ზედაპირის ზემოთ შაურისოდენა ადგილი დარჩა შეუღებავი, მამამ თითი გაკრა და ის ადგილიც შეთეთრდა. შეღებილი კვერცხი ჯამიდან ამოიღო. სველი იყო და თეთრი წვეთები გასდიოდა.

— ჯარგაა! — გაბალისდა მამა, — აბა როდემდე უნდა იპაროს ნამდვილი კვერცხი ათასმა შემოხეტებულმა მაწანწალა ძაღლმა და ღორმა, — თქვა და მზეს ახედა, რომელსაც ცის კამარის წვერისთვის მიეღწია, ბარაქიანად აცხუნებდა, ედამიწაზე კი ჩრდილ-ნათელით ნახატებს აკეთებდა და მამამაც ხის თეთრი კვერცხი ნათელში, მზის სიმხურვალეზე გაავორა გასაშრობად.

ბესო ხოლომანაშვილის „კონტრაბანდისტები“

ავტორის გვარი „ცისკრის“ მკითხველისათვის უკვე ნაცნობია, ერთ-ერთ წინა ნომერში დაიბეჭდა ბესოს უმცროსი ძმის — ირაკლის პიესა „ქაღალდის ფრინველი“.

ამ მოთხრობამ რატომღაც ბოსნიელი კინორეჟისორის — კუსტურიცას ფილმი გამახსენა, იქაური ბიშების ცხოვრებაზე რომ არის გადაღებული. აქაც ის საკვირველი, უაღრესად ტევადი უბრალოებაა, აქაც ის უკიდეგანო სიმარტოვეა, ანუ ტკივილია, რომელიც ადამიანთა მიდგმის წარმომადგენლებს ასე ანათესავებს. ზუსტი დეტალებით იქმნება ყოფის პლასტიკური სურათები, თანდათა-

ნობით ჩვენს თვალწინ თავად ცხოვრება დაიწყებს დინებას იმ მდინარესავით, რომელიც, ავტორის თქმით, ადამიანთა გვამებს ჩამოატარებს ხოლმე. მწერლის მიერ შექმნილი სამყარო ახალგაზრდა კაცის სევდითა თუ უცნაურად ამაფორიაქებელი, მისთვისაც გაურკვეველი უმისამართო ლტოლვით არის დრამატიზირებული. ამ ლტოლვას კიპლინგმა „გაზაფხულის ღელვანი“ უწოდა, ოღონდ კიპლინგის ლაღი და თავისუფალი გმირისაგან განსხვავებით, თითქოს ციხეში დაბადებული, უადრესად ლოკალიზებულ გარემოში გაზრდილი ჭაბუკის გაუბედავ და, ამდენად, ამაო გაბრძოლებების მოწმენი ვხდებით. ამიტომაც მისი სიყვარული — დიახ, ეს გრძნობაც ამ დიდი სახელით უნდა აღვნიშნოთ, რადგან ყოველდღიურობის ნაცრისფერ ზღვაში შეიძლება ერთადერთი რომანტიკული ჩვენება იყოს — განთიადის მეწამული ფერებით ცისკენ კი არ მიიღტვის, არამედ ვენდისპანსერის ჭუჭყიან კედელს ეხეთქება...

თითქოს ყველაფერი სიზმარში ან სხვა პლანეტაზე ხდება, სადაც ჩვენი ხალხი გადასახლებულა დიდი უბედურების შემდეგ; თითქოს ამ ხალხს სხვა ვერაფერი მოუგონებია და აქაც ძველებურად, თავისი წესითა თუ ჩვეულებით ცხოვრობს, მაგრამ მთავარია, რომ მაინც ცხოვრობს და ეს არის ამ, ერთი შეხედვით, მშვიდი მოთხრობის დედაარი. აქ ყველაფერი პოეზიის ენით მეტყველებს. აი, თუნდაც ერთადერთი ხასხასა ფერი — ფერი შინდისა, რომელიც მოულოდნელად ხან აქ და ხან იქ გამოანათებს — აღიქმება როგორც ფერმწერის ხელით სურათზე დასმული ლაქა, ერთადერთი ფერადი, მუსიკალური ბგერა, რომელიც უნებურად აქ დატრიალებულ უბედურებასა თუ დაღვრილ სისხლზე დაგვაფიქრებს.

მოთხრობაზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, შეიძლებოდა გაგვეხსენებინა ნამდვილი მხატვრის თვალით დანახული ბევრი დეტალი, მაგრამ ალბათ სჯობს, ისევ მკითხველს დავუთმოთ საბოლოო „მსჯავრის“ გამოტანის უფლება.

დაკვირვებული მკითხველი კი ალბათ ადვილად შეამჩნევს არა მარტო ავტორის უდავო ნიჭიერებას, არამედ იმ სასიხარულო ფაქტსაც, რასაც ახალი მწერლის დაბადება ჰქვია.

თამაზ ჭილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანონ ბულისკერია

●

რასაც საქართველოს ვეძახით,
ის ნაქართველარი ხდება,
ამოძირკულია ვენახი,
მუხა ურკოობით ხმება,
დავიწყებულია სიკეთე,
გაღმერთებულია მტრობა,
ყველა თავის საქმეს იკეთებს,
არის დაბეზღება, გმობა...

ლაჩარს მიუშვია სადავე,
განზე გამდგარია მკვირცხლი,
ეშმაკს ანგელოზად ნათლავენ,
გაწყალებულია სისხლი!
მონატრებულია მშვიდობა,
გაკერპებულია დენთი!
შეუძლებელია გმირობა,
უარყოფილია ღმერთი!

მიყვარს!

ულვთოდ დაჩეხილი ბროწეული...
ტუჩებზე — დაღვრილი მეწამული...
ცივი გაღიმება — სასწაული...
მიყვარს!
ხმაში — სინანული შენეული...
თმაში — ვერცხლისფერი შერეული...
მშვიდი, ოდნავ თრთოლაგარეული
სიტყვა!
ვერაც არყოფილზე — სინანული...
უკვე გარდასულზე — სიხარული...
თოვლში და წვიმაში სიარული...
მიყვარს!
მიავლ... თოლიები — ზღვის შვილები,
ჩემი სიყვარულით შეშლილები
(ბოლოს ალბათ მეც ზღვას ვეშვილები),
მიყვარს!
ხელში — დაჩეხილი ბროწეული...
ტუჩებზე — დაღვრილი მეწამული...
ჩემი აღსარული — სასწაული...
მიყვარს!

უნდა აპატიო

ვიცი, არ დაგკარგავ, მაინც მეშინია...
გზიდან გადადგომა ფიქრშიც არ გაბედო,
სისხლი დასაღვრელი ცოტაც შეგრჩენია,

ერთხელ გაიბრძოლე კიდევ, აფხაზეთო!
რაკი წარღვნისაგან რწმენა გადაგირჩა,
ძალგიძს გრძელი ღამე თეთრად გაათიო...
ბევრმა ალალ-მართალ გულზე დაგაბიჯა —
ღმერთის სწორი ხარ და უნდა აპატიო!
კვლავ ხომ სიყვარულის მზისფერ გზაზე მიხვალ,
მტერმა რომელზედაც ულვთოდ დაგარბია!
შენ თუ მავანისგან მკერდში დაჭრილი ხარ, —
სიკედილს როდი ნიშნავს უსამართლო ტყვია!
გულით მომენატრა შენთან საახლოვე,
ისე ჩაგეკვრები, როგორც გეკადრება!
ვიცი, სამუდამოდ აღარ მიმატოვებ,
მალე მწუხარების ცრემლი შემაშრება...
მაგრამ იდუმალმა ფიქრმა შემაწუხა,
ძილი დამიფრთხო და ფხიზელს არ მასვენებს,
გრძნობაწართმეულმა, აბა, ვის რა ვუთხრა,
დიდი სიყვარული, ღმერთო, გამახსენე!
შენ კი... აფხაზეთო, რწმენა გადაგირჩა,
ძალგიძს გრძელი ღამე თეთრად გაათიო!
მტერმა ალალ-მართალ გულზე დაგაბიჯა,
ღმერთის სწორი ხარ და უნდა აპატიო!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ

ისე უსაშველოდ მენატრები —
ყველა მონატრება მიმიქარავს...
მე იმ თოვლისფერი მოგონების
მზიან უდაბნოში ვიშლი კრავს
და არ მეშინია სიმარტოვის,
შენზე ფიქრებია ოაზისი!

ახლა აღარავის ვეხმარები,
აღარც შველა მინდა არავისი...
მე თუ გადამარჩენს — მონატრება,
შენზე ფიქრები და სიმარტოვე!
ვივლი ამ სამივე სამეფოში
და შენს კარგად ყოფნას ვიმათხოვრებ!

●

ამ თვალებს ვერავინ დახატავს ტილოზე —
ზღვისფერს და დარდიანს...
და ველარც ამ მიხაკს — თეთრ მარმარილოზე
უსულოდ აგდია...
მხრებს წვიმა გისველებს და თვალებს ცრემლები
ნიაღვრად ასკდება,
არ გინდა იცოდე — რა გელის შემდეგში,
ან ახლა რაც ხდება!
შენ მხოლოდ წარსული, ის — უკვე ყოფილი
გტკივა და გაღელვებს,
ლოცვისას ახსენებ ძეს ღვთისას ცოდვილი
და ძვირფას სახელებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ბათიაშვილი

საკუთარი თავის პოვნა წითელ კუთხეში, ლენინისა და სტალინის პორტრეტების ქვეშ

მოთხრობა

არავის ახსოვს, ამ დაბაში როდის დაბანაკდა სამხედრო ნაწილი. მართალია, ამ ნაწილის თეთრი საღებავით გადახაზულ-გადმოხაზული, უცნაურ კვადრატებად დაყოფილი ტერიტორია იოსებ ხახიაშვილის ეზოს ემიჯნებოდა — ერთი ყავისფრად შეღებილი, მაღალი ღობე ჰყოფდათ, — მაგრამ ზუსტად იოსებიც კი ვერ ვეტყოდათ თუ როდის მოვიდნენ აქ წითელარმიელები. ბუნდოვნად ახსოვს: ჩემს ბავშვობაში აქ სამხედრო ნაწილი არ იყო, ალბათ, ომის წინა წლებში თუ მოვიდნენო.

— კი, კი, მგონი, ასე იყო, ომის წინა წლებში იქიდან გადაძახილ-გადმოძახილი ისმოდა: სმირნო, ნალევო-ნაპრავოს იძახდნენ სულ!

ეს იყო და ეს. ნაწილი იმდენად მცირეიცხოვანი გახლდათ, ჯარისკაცები იმდენად შეუმჩნეველ ცხოვრებას ეწეოდნენ, დაბაშიც ისე იშვიათად გამოჩნდებოდნენ, და თუ გამოჩნდებოდნენ, იმდენად მოკრძალებულად იქცეოდნენ, რომ მოსახლეობა კი არა, იოსებიც — ახლო მეზობელი — ვერ გრძნობდა მათ არსებობას. ან როგორ უნდა გამოეჩინა თავი ამ სამხედრო ნაწილს — დაბაში სამი კაციც რომ მისჯდომოდა სუფრას, უწინარესად დიდი ბელადის — იოსებ სტალინის სადღეგრძელოს შესვამდნენ. კმაყოფილი იყვნენ თავიანთი ყოფისა თუ უკმაყოფილონი, ცხოვრების ჭაპანს მოთმინებით ეწეოდნენ. ამის გამო მალიციაც კი უსაქმოდ იჯდა. შეიძლება ითქვას, თვლემდა. ხანდახან რკინიგზის სადგურში ან ბაზარში გოჭის ან ჯიბის ქურდებს თუ დაიჭერდა, თორემ ხალხი უხმოდ, გატრუნული ელოდა თუ რას მოუტანდა ხვალინდელი დღე. მისთვის მთავარი ოჯახის შენახვა იყო. ამიტომ ძალიან ფრთხილად იქცეოდნენ, ათასიგვარ ჰქონდათ სათქმელი, ერთსაც კი არ იტყოდნენ — რაიმე შარში არ გაგვხვიონო.

ერთი სიტყვით, ის მინდა გითხრათ, რომ დაბაში სიმშვიდე სუფევდა და წითელი არმიის № 7546751 ნაწილი თავისი ჩვეულებრივი, საარმიო ცხოვრებით ცხოვრობდა — დაბისა არც რა იცოდა და არც რა აინტერესებდა. დაბამ კი სამხედრო ნაწილისა არა იცოდა რა. მაგრამ ყველაფერი ეს ადრე იყო, ომამდე.

ომის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა.

ომის შემდეგ იმ სამხედრო ნაწილში მფრინავები დაბანაკდნენ. დაბა ამ ცვლილებას, ალბათ, ვერც ივრძნობდა, რომ არა ერთი გარემოება: სამხედრო ნაწილის ტერიტორია და, ცხადია, მფრინავთა რაოდენობა ლამის ყოველდღიურად იზრდებოდა. მადლობა ღმერთს, სამხედრო ნაწილს მარცხენა მხარეს დიდი მინდორი ეკრა, რომელზეც მეტწილად ძროხები ბალახობდნენ. სწორედ იმ მინდვრის ტერიტორია მცირდებოდა დღითიდღე. ამის გამოისობით იყო, რომ სამხედრო ნაწილის ტერიტორიის ზრდა იოსებ ხახიაშვილის კარ-მიდამოს არ შეხებია. „ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდორი რო გვერდით არ ყოფილიყო, რა მეშველებოდა, — ფიქრობდა იოსები, — ამათ გერმანია აიღეს და ჩემს ეზო-კარს მოერიდებოდნენ?!“

დაბაში რომ მფრინავები დაბანაკდნენ, ეს უკვე გითხარით, მაგრამ ის არ მითქვამს, ეს ამბავი როგორ ახარებდათ დაბელებს: ქუჩაში კოტტად მორთულ მფრინავებს რომ ზედავდნენ, სიამაყით ევსებოდათ გული. თუმცა დაბის ინტელიგენციისა და სამხედრო სტრატეგიის ცოდნაზე პრეტენზიის მქონე პირთ უკვირდათ: ახლომახლო აეროდრომი არსად არის და მფრინავებს აქ რა უნდათო. ცხადია, არავინ იცოდა, რომ დაბის განაპირას, სულ რაღაც სამიოდ კილომეტრის მანძილზე საიდუმლო სამხედრო აეროდრომი შენდებოდა. აქედან ისეთი ძლიერი თვითმფრინავები უნდა აფრენილიყვნენ, რომ აფრენიდან შვიდრვა წუთში სტამბოლის და ანკარის დაბომბვა ყოფილიყო შესაძლებელი. ეს ის დრო იყო, როცა სტალინი თურქეთთან საომრად ემზადებოდა — ოსმალთა მიერ სამი საუკუნის წინათ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნება და თურქეთის დასჯა ეწადა: ეგენი ომის დროს ფაშისტურ გერმანიას თანაუგრძნობდნენო.

საიდუმლო სამხედრო მშენებლობის ამბავი დაბაში, ცხადია, არავინ იცოდა. რაიკომის მდივანიც კი არაფრად ჩაგდეს, ისამაც კი არ გააგებინეს და სხვებს, უბრალო მოკედავთ, ვინ რას ეტყოდა. მით უმეტეს, არაფერი იცოდა დაბის ებრაულმა მოსახლეობამ.

მთავარი ის იყო, რომ დაბელები ძალიან ხარობდნენ: ჩვენს ქუჩებში გმირული საბჭოთა ავიაციის კოხტად მორთული მფრინავები დასეირნობენო. ყველა მიინნეედა, რომ საბჭოთა კავშირის სამგზის გმირი კოჟედუბიც ამ ნაწილში უნდა ყოფილიყო და, თუ ჯერ არ ჩამოსულიყო, უახლოეს დღეებში ჩამოვიდოდა.

ცხადია, ყველაფერი ეს ზრდიდა დაბელთა სიამაყის გრძნობას.

მაგრამ რამდენიმე თვეში ყველაფერი აირია, დაიწყო მფრინავებისადმი დამოკიდებულების შეცვლის პროცესი. ჯერ სიხარული და სიამაყის გრძნობა გაუნელდათ დაბელებს, მერე გაჩნდა ფიქრი იმაზე, თუ რატომ დასაჯა ღმერთმა ეს დაბა ასე.

რაც უფრო იზრდებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორია, რაც უფრო მატულობდა მფრინავთა რაოდენობა, მით უფრო სწრაფად იცვლებოდა დაბაში მათდამი დამოკიდებულებაც.

თუ ადრე დღეში ორი-სამი მფრინავი გაივლიდა დაბის ქუჩებში, ახლა ისინი ჯგუფებად დადიოდნენ — ხუთ-ხუთნი, შვიდ-შვიდნი, ზოგჯერ მეტიც. ერთი აურზაურით, ხმაურით მოედებოდნენ დაბის ქუჩებს, ვოგონებს გზას გადაუჭრიდნენ, რაღაც-რაღაცებს ეუბნებოდნენ და, რაც მთავარია, არაყზე ნადირობდნენ. რამდენჯერ ყოფილა, ბაზარში გასაყიდად გამოტანილი არაყი ხელიდან წაუგლეჯიათ ბლეკაცისათვის. მერე სადღაც მიიმალებოდნენ, დალევდნენ და დაბის ქუჩებს მთვრალნი მოედებოდნენ. ხალხმა მოსვენება დაკარგა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დაბელები სახლის კარს კი არა, ჭიშკარსაც კი კეტავდნენ, შინ არ შემოგვიარდნენო, მაგრამ მფრინავებზე არაფერი არ სჭრიდა. ჭიშკრის გაღებას არც ცდილობდნენ, ღობეს მარდად გადაევლებოდნენ, ეზოს გადაირბენდნენ და ისე დაიძახებდნენ: Хозяин, дай водку! — კარგი შვილი იყავი, იმწამსვე არ გამოგეტანა არაყი. ეზოში ერთი შემოვიდოდა, სამოოთხი ჭიშკართან ელოდებოდა. თურმე ამას წინათ ვალიკო ძაძამიას ერთი ამბავი აუტეხავს: რა მომაბარეო, ახლა რომ მთხოვთო. ამის გამო ოთხ მფრინავს ისე უბეგვია, ათი დღე ბალიშიდან თავი ვერ აუწევია.

ამიტომ ის, რაც დაბელებს შარშან სიამაყეს ჰგვრიდა, დღეს შიშის აღმძვრელი იყო. აკაკი შანავას კი ყველაფერი ეს სიცილის გუნებაზე აყენებდა — ჩაიხითხითებდა და ამბობდა:

— ა! ასე მოუხდებათ მაგათ! ხო არ უნდოდათ დამოუკიდებლობა! იცით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქვენ, რომელი ხალხი ინახავს სხვის ჯარს? ის, რომელმაც თავისი ჯარის შენახვაზე თქვა უარი. მაგენი რომ 1924 წელს ჩვენ, მენშევიკებს ამოგვდგომოდნენ გვერდში, დღეს რუსის ჯარი არ იქნებოდა საქართველოში.

შანავას მოსმენა კი არავის უნდოდა — ეს კაცი შარს გადაგვკიდებსო, და თუ უმალ არ გაეცლებოდნენ, თავი ისე ეჭირათ, ვითომ არაფერი გაგვიგონიაო. უკვირდათ, რას შვრება ეს ჩვენი უშიშროება, ამნაირ ხალხს როგორ აჩერებსო. ამ კითხვას ხუხუტი ადამიამ ისეთი პასუხი გასცა, ყველა დაფიქრდა:

— მაგი უშიშროების კაცია, ასე იმიტომ ლაპარაკობს, აინტერესებს, ჩვენ რას ვფიქრობთ, რას ვეტყვით, რო ხვალ ყველაფერი ჩაუკაკლოს უშიშროებას.

სამამული ომიდან ცალი ფეხით მობრუნებულმა ალექსი როგავამ კი მფრინავებზე ასეთი რამ თქვა:

— პოლიტიკურად ბეცია ის, ვისაც თავი მაგათ მოვალედ არ მიაჩნია. ეგენი ომში იბრძოდნენ, თავს სწირავდნენ, თქვენ კი აქ სხვების ცოლებს ჯიჯგნიდით!

როგორც უკვე გითხარით, სწორედ ოისებ ხახიაშვილის სახლი ემიჯნებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორიას. ამიტომ ყველაზე მძიმე დღეში ამ საბრალო ებრაელი კაცის ოჯახი ჩავარდა — კვირა ისე არ გავიდოდა, მფრინავები ჭიშკარს სამჯერ-ოთხჯერ არ მოსდგომოდნენ და არ დაეძახათ, მასპინძელო, არაფი მოგვეცეო. უკვე ღობეზე გადმოხტომისთვისაც კი არ იწუხებდნენ თავს, ჭიშკართან დადგებოდნენ და იქიდან ეძახდნენ — იცოდნენ, მაინც გაურბენენებდნენ არაფს. მაგრამ ამ ბოლო ხანს არაფს აღარ სჯერდებოდნენ, მისატანებელი სადღააო, — ისეთი კილოთი ვეტყოდნენ, ნამდვილად დამნაშავედ იგრძნობდი თავს.

ოისები საგონებელში ჩავარდა. აღარ იცოდა, რა ეღონა. რამდენჯერაც მოადგნენ, არაფი იმდენჯერ მისცა მფრინავებს, ერთი ბოთლიც კი აღარ დარჩა სახლში, შაბათ დილას, სინაგოგაში სალოცავად წასვლის წინ ძლიერ უფვარდა ასი გრამის გადაკვრა — ხენაგს მიაფოლებდა ხოლმე. ახლა საამისო არაფიც აღარ დარჩა შინ. „ჩემი თავი ჯანდაბას, აღარ დავლევ შაბათ დილაობით ამ არაყს და ეს იქნება, — ფიქრობდა ოისები, — მაგრამ ესენი რომ მომდგებიან და არაფი მომეცეო, რომ მეტყვიან, რა ვქნა? დაიჯერებენ, რო არაფი არ დამრჩა?“

ხომ შეიძლებოდა, ოისებისთვის ვალიკო ძაძამიაზე უარესი ექნაო? ვალიკო ძაძამია მეზობლებმა მაინც გამოსტაცეს ხელიდან მფრინავებს, ოისებს ვინ დაიცავს? ვინ არის ოისების დამცველი, გამჩენის გარდა, გამჩენს კი სცალია მისთვის? იმის დარდი აქვს, ოისებს მფრინავებმა არაფერი დაუშავონო?

ყოველ დილას, გაიღვიძებდა თუ არა, ეს საფიქრალი ჰქონდა:

— ეს ოჯახქორები ცოლ-შვილს დამიზაფრავენ, ლაას ისედაც გული აწუხებს და რამე ხიფათს არ მწეინ!

ცოლ-შვილს ნაშუადღევს ეზოში გამოსვლა აუკრძალა:

— ნუ გახვალთ, იყვირებენ, იყვირებენ და, რომ არ გაეპასუხებით, წავლენ, აბა, რაღას იზამენ.

ცოლ-შვილი ასე კი დაარიგა, მაგრამ ერთი ბოთლი არაყი მაინც მოიტანა ბაზრიდან და ბუხრის თავზე შემოდო. ლაას უთხრა, თუ არაფერი გაგვივიდეს, მიაშავე ეს არაყი, ცეცხლად და ნავთად შეარგოთ ღმერთმაო. ლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, როგორც დანიშნულ ქალს, საქმროს კოცნისას ვინმე თვალს რომ მოპკრავს. ლია ეზოში თევზს ასუფთავებდა —იოსებს ბაზრიდან კარგა მსუქანი ქამბალა მოეტანა — ორი მფრინავი ისე სწრაფად გადმოვევლო ღობეს, ვეგონებოდათ, ხანძარია, ყველაფერი იწვის, შეეყოვნება არ ივარგებსო. ერთ-ერთი მფრინავი ლიას მივარდა, მხარში წაავლო ხელი, აჯანჯღარებდა და უყვიროდა, ჭიშკრიდან რომ ვეძახდით, სად გვემალებოდით, არაყს რატომ არ გვაძლევდითო. ლიამ, რასაკვირველია, რესული არ იცოდა, მაგრამ ყვირილის მიზეზის გაგებას, თვალების ბრიალსა და მხარში წვდომას, აბა, რა რუსულის ცოდნა სჭირდებოდა, მიხვდა, რომ ყმაწვილები კარგს არას უქადდნენ, სამზადში შესვლა მოინდომა, ბუზრის თავზე რომ არაყი მაქვს შემოდებული, იმას მივაშავებ ამათო, მაგრამ წამოდგომისთანავე ჩაიკეცა — გული შეუღონდა. მფრინავები ჯერ ვერაფერს მიხვდნენ, მერე კი, ბავშვებმა რომ ტირილი მორთეს, დაფაცურდნენ — მაღალი, წითური იქვე ოჯახს მივარდა, პეშვში წყალი დაიგროვა და ქალს სახეში შეასხა. ლია ისევ უაზროდ იწვა. ახლა მეორემ მოარბენინა პეშვით წყალი. ქალს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო. Спасласъ падла-ო თქვეს და ნელი ნაბიჯით დატოვეს ეზო.

ლია კი ნელ-ნელა მოვიდა გონს. მიიხედ-მოიხედა, მფრინავები რომ ვეღარ დაინახა, ცრემლი წასკდა. უძლურების, უღონობის იყო ეს ცრემლი. ბავშვები დედის ტირილმა უფრო დააფეთა— ერთი ღრიალი მორთეს.

●

იოსები, ისე როგორც ამ დაბის მცხოვრებთა უმრავლესობა, ერთობ ფრთხილი, აუჩქარებელი კაცი იყო. იმდენად ფრთხილი, რომ თავის აზრს არასოდეს გაამხელდა, საუბრისას გრძელ-გრძელი პაუზები სჩვეოდა, ისეთი არაფერი წამომცდესო. კარგადაც რომ სცოდნოდა ესა თუ ის ამბავი და დაეინტერესებოდა ჩაჰკითხოდი, მაინც იტყოდა: „არ ვიცი, ბატონო“, „მე არც არაფერი მინახავს, არც არაფერი მსმენია“. მოუფიქრებლად ნაბიჯს არ გადადგამდა. ამიტომ არის გასაკვირი ის, რაც იმ საღამოს გააკეთა: ჯიქურ მიადგა სამხედრო ნაწილს და უფროსის ნახვა მოითხოვა. გასაკვირი იმიტომ არის, რომ ჩვენი არ ახასიათებდა, ყოველ გასაჭირს, წესისამებრ, იტანდა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, ამ ინციდენტსაც მოინელებდა — მაგრამ იმ საღამოს ჯიქურ მიიჭრა სამხედრო ნაწილში. იქ, ცხადია, შესასვლელთან, სამორიგეოში შეაჩერეს: რა გესაქმება, ვინ ხარო, შესძახა მორიგემ და შაშხანაც შემართა. იოსებს შაშხანის ასეთი მოძრაობა, ცხადია, არ მოეწონა, მაგრამ მორიგეს მაინც არ შეეპუა: უფროსის ნახვა მინდა, ვიდრე უფროსს არ მაჩვენებთ, აქედან ფეხის გამდგმელი არა ვარო. ნაწილის მორიგემ ხელი აუქნია, აქაურობას გაშორდი, ხელს ნუ მაშლიო, მაგრამ იოსები შესასვლელი კარის ზღურბლზე ჩამოჯდა: სანამ უფროსს არ მაჩვენებთ, აქ ვიჯდებიო (ესეც ერთობ დაუჯერებელი საქციელი იყო იოსებისაგან, მაგრამ ერთი რამ ხდის სარწმუნოს მის საქციელს: ებრაელ კაცში არის თვისება, რომელიც, შესაძლოა, ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ გამოავლინოს — სწორედ მაშინ, როცა იმ თვისების გამოვლენის ჯერი დგება). მორიგეს ეს ამბავი სასაცილოდაც კი არ ეყო, შაშხანა ისევ მხარზე გადაიკიდა და იოსებს მკლავში ჩაავლო ხელი, წადი, აქაურობას გაეცალეო, მაგრამ ძვრა რომ ვერ უყო, გაიკვირვა: ეს რა ღონიერი ყოფილაო და ისევ შაშხანას სწვდა. სამამდე ვითვლი, თუ აქედან არ მოუსვამ, ადგილზე გესვრიო. ის-ის იყო, თვლა უნდა დაეწყო, სამორიგეოს ერთი ჭაღარაშერეული, დაბალ-დაბალი, ცისფერთვალა ოფიცერი მოადგა. მშვიდად იკითხა: რა ხდება, რა ცირკი გაგიმართავთ აქაო. იმ კაცის დანახვაზე მორიგე სარგადაყლაპულივით გაიჯგიმა, ხელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლილი მტევანი საფეთქელთან მიიტანა და სხაპასხუპით წარმოთქვა:

— ამხანაგო უფროსო, მოგახსენებთ, რომ ვიღაც აბეზარს თქვენი ნახვა სურს. აქაურობას არ სცილდება, სამხედრო ნაწილის რეჟიმს არღვევს.

ჭაღარაშერეული იოსებს მიუბრუნდა, ფიქრიანად აათვალიერ-ჩაათვალიერა, მობრძანდითო, კვლავ ხმადაბლა, მშვიდად თქვა და წავიდა.

იოსები მონუსხულივით იდგა. იმ კაცმა — მიხვდა, რომ ის იყო ნაწილის უფროსი — მობრძანდითო კი თქვა, მაგრამ უცებ ერთმა ფიქრმა გაუნათა გონება: „ეს ერთი პატარა კაცი ერევა იმ მგლებს, მთელი დაბა რომ ვერ მორევია და თვითონ რავარი მგელი იქნება. მამა აბრაამის ბატკნად იმიტომ მოაქეს თავი, რომ ნამდვილი მგელია! ამასთან ლაპარაკი რავა იქნება!“

ეს ფიქრი ერთობ დამაჯერებლად ეჩვენა. იმდენად დამაჯერებლად, რომ საკუთარ თავს ჩაეგონა:

— სად მობრძანებულხარ, იოსებ! ეს კაცი იქით რო გეძახოდეს, თავს უნდა არიდებდე, და საკუთარი ფეხით რამ მოგიყვანა აქ! — ეს შეგონება იყო, ალბათ, იმის მიზეზი, რომ გაუხედნავი კეიცის სიმარდით გაიქცა შინისაკენ.

●

იოსებმა კარგად იცოდა: კაცს რო ძაღლი დაედევნება, ან უფრო დიდი ძაღლი უნდა შეაბვედრო, ან ისეთი ლუკმა უნდა ჩასჩარო პირში, რომ გემრიელი ლუკმით პირგამოტენილმა შენ აღარ დაგკბინოს.

სხვა რაღა დარჩენოდა, დამორჩილდა ბედს. მეორე დილასვე გავიდა ბაზარში, რამდენიმე ბოთლი არაყი იყიდა და ბუხრის თავზე შემოაწყო. ეს სწორედ ის ლუკმა არი, რომელიც მაგ ძაღლებს პირს გამოუტენისო. ლიას კი უთხრა, ეზოში გასვლას მოერიდეთ, სახლის კარიც დაკეტილი გქონდეთ და, თუ არაფერი გაგვიდგა, თუ ეზოში შემოვიდნენ, მიაშვავეთ არაყი, სხვა რაღა გზა არისო.

ასეც იქცეოდნენ: ლია და ბავშვები ეზოში ყოფნას ერიდებოდნენ (ეს კი ძლიერ ჭირდა — უკვე აპრილი მიილია, გაზაფხულმა მხრები გაშალა, ეზოში ისეთი სუნი ტრიალებდა, კაცს, სხვა რომ არაფერი, ეს აცოცხლებდა), უმეტესწილად სახლში იყვნენ ჩაკეტილი, მაგრამ თუ მფრინავები ღობეს გადმოვლებოდნენ, ლია სიცილ-ღიმილით შეაგებებდა არაყს, მჭადს და ყველს, ისინიც ყველაფერ ამას ჩანთაში გადაუძახებდნენ, ეს რა არი, ეს ერთი ბოთლი რამდენ კაცს უნდა ეყოსო, დაიბღვირებოდნენ და ლიას, ცხადია, ნაკლები ხალისით გამოჰქონდა მეორე ბოთლი არაყი.

მფრინავთა სასახელოდ ერთი რამ კი უნდა ითქვას: რამდენიც უნდა ყოფილიყვნენ, ერთი ოჯახისგან ორ ბოთლზე მეტს არ თხოულობდნენ.

ამგვარმა ყოფამ იოსები ერთობ მძიმე დღეში ჩააგდო.

— ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან? — ეკითხებოდა თავს, — გამოდის, რომ ამათ ყოველდღე არაყი უნდა ვაძლიო. ახლა კიდო დასაყლეველს თხოულობენ — ჭადი ან პური და ყველი მაინც მოგვეცითო. გაუძლებს ამას ჩემი ჯიბე? ვერა, ჩემი ჯიბე ამ ამბავს კერ გასწვდება — ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან: ან ეს ჯაფა უნდა გავწიო, ან ამ ნაწილს უნდა მოვშორდე. ამ ნაწილს ორი გზით შეიძლება მოვშორდე: ან ის უნდა გადაიტანონ სადმე, შორს, ან მე უნდა გადავსახლდე. არ უნდა დიდი სწავლა-განათლება იმას, რომ ჩემი გულისთვის ნაწილს აქედან არავინ გადაიტანს. ესე იგი, მე უნდა წავიდე, მე უნდა გადავსახლდე იქით, შორს, ან სტალინის ქუჩაზე, ან მოედანზე, მილიციასთან ახლოს — კარგი საყურებელია ყოველ დილას მილიცია, კარგი მაგათ მისცეს ღმერთმა! — დაასკვნა იოსებმა და დაიწყო ფიქრი სახლის გაყიდვაზე. ამ დაბაში ბინის გაყიდვა არც ისე იოლი საქმე იყო. ბინის გაყიდვა იქ არის

ᲘᲝᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲓᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ; ᲐᲛ ᲓᲐᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲬᲐᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠᲐ ᲛᲘᲖᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲛᲓᲘᲓᲠᲓᲘᲓᲘᲡ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ — ᲩᲕᲔᲜᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲪᲔᲑ, ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲛᲔ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲣᲪᲔᲑ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲐ, ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲚᲝᲜᲐᲡ ᲘᲝᲚᲘᲡᲐᲛ ᲣᲒᲠᲔᲑᲡ ᲙᲘᲡᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲜᲐᲨᲝᲕᲜ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲯᲐᲠᲒᲕᲘᲜᲔᲑᲡ.

ᲝᲤᲘᲯᲠᲐ ᲘᲝᲡᲘᲑᲛ, ᲝᲤᲘᲯᲠᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲡᲬᲝᲠ ᲐᲮᲠᲘ ᲛᲘᲐᲒᲜᲝ: ᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲓᲒᲔᲚᲘ ᲘᲛᲐᲛ ᲨᲘᲠᲘᲡ ᲖᲝᲕᲝᲕᲘ, ᲖᲝᲚᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲠᲐᲚᲙᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲐᲡ ᲑᲐᲮᲐᲠᲨᲘ ᲞᲠᲝᲛᲔᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲪᲕᲚᲔᲡ; ᲑᲐᲮᲐᲠᲘ ᲐᲒᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲧᲣᲠᲜᲘ ᲫᲘᲠᲨᲘ, ᲛᲐᲒᲜᲐᲘᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲑᲐᲮᲐᲠᲘ ᲐᲠᲘᲡᲘᲡ.

ᲓᲐ ᲬᲧᲠᲘᲓᲔ ᲐᲛᲜᲐᲘᲠ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲫᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ.

ᲓᲠᲛ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲝᲓᲐ. ᲛᲐᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲓᲒᲐ. ᲐᲠᲐᲧᲝ ᲒᲐᲛᲘᲠᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲚᲔᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲡᲘᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲨᲛᲝᲕᲔ ᲘᲬᲐᲧᲓᲜᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲡᲐᲯᲘᲠᲘ — ᲙᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲧᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲧᲝᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲯᲚᲔᲑᲓᲔᲜᲔᲜ.

ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔ, ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲯᲘ, ᲘᲝᲡᲘᲑᲘ ᲨᲘᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲐ (ᲘᲛᲜᲘᲡ ᲠᲝᲠᲘᲝᲛᲔ ᲚᲣᲛᲐ ᲨᲔᲣᲭᲐᲛᲝᲛ) ᲓᲐ ᲭᲐᲨᲙᲐᲠᲘ ᲐᲪᲘᲓᲐ, ᲘᲡᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲚᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲐᲓᲒᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲯᲚᲐᲧᲣᲓᲐ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ, ᲔᲚᲓᲐ ᲔᲪᲐ. ᲯᲐᲤᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲐ ᲐᲠᲪ ᲗᲕᲗᲝᲛᲜᲔ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚ ᲙᲐᲪᲘ — ᲓᲘᲐᲡᲰᲠᲜᲐᲨᲘ, ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲚᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲐᲓᲒᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲯᲚᲐᲧᲣᲓᲐ ᲓᲐᲐᲮᲠᲗᲮᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲯᲚᲐ-ᲧᲣᲓᲐᲛ ᲓᲐᲐᲮᲠᲗᲮᲝᲜᲓᲐ ᲯᲘᲓᲔᲪ. ᲛᲘᲝᲜ ᲣᲛᲔᲢᲩᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲐ ᲐᲠᲐᲧᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲐ, ᲛᲙᲚᲐᲕᲘ ᲩᲐᲡᲭᲘᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲓᲘ ᲩᲘᲛᲗᲐᲜ, ᲗᲘᲗᲮᲠᲐ.

— ᲐᲒᲐᲠ, Ა, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ, ᲐᲛ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲬᲐᲛ ᲐᲠᲐᲧᲣ.

— ᲬᲐᲛᲝᲓᲘ, ᲬᲐᲛᲝᲓᲘ ᲩᲘᲛᲗᲐᲜ! — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲐ, — ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲮᲐᲠ? — ᲓᲐ ᲘᲝᲡᲘᲑᲘ ᲛᲙᲚᲐᲕᲘᲗ ᲯᲘᲓᲘᲗ ᲣᲤᲠᲛ ᲛᲝᲣᲭᲘᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ. — ᲘᲡ ᲠᲐ ᲙᲣᲜᲗᲘᲗᲐ ᲒᲙᲝᲜᲐᲐ?! — ᲒᲐᲣᲪᲘᲓᲐ.

ᲘᲝᲡᲑᲘᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲡᲛᲐ, ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲘᲗᲔᲓᲐ.

— ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲐ?! — ᲕᲘᲪ, ᲨᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘ, ᲘᲝᲡᲑᲘ! ᲐᲮᲚᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ! — ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲔᲚᲓᲐ ᲔᲪᲐ ᲘᲝᲡᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲰᲥᲘᲜᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲔᲚᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲠᲘ: ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛ ᲮᲐᲮᲛᲔᲑᲘ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲘᲪᲘᲓᲔᲑᲓᲔᲜᲔᲑᲘ, ᲔᲡᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲑᲝᲜᲔ ᲐᲜ ᲮᲐᲮᲐᲛᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲝᲠᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗ, ᲘᲯᲐᲠᲓᲔᲜᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲓᲐᲓᲐᲡᲘᲜ ᲐᲛᲐᲕᲐ ᲩᲐᲛᲘᲗᲘᲓᲐ: ᲗᲣᲠᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲐᲮᲐᲛᲘ ᲙᲘᲪᲘ ᲓᲐᲣᲞᲐᲢᲐᲜᲘᲠᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲑᲗᲘᲡ ᲤᲠᲘᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲫᲕᲠᲘᲐᲗ. ᲕᲘᲜᲪ ᲔᲡ ᲙᲐᲛᲘ ᲒᲐᲐᲪᲔᲗᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲤᲘᲯᲠᲝᲓᲐ, ᲐᲛᲝᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲕᲐᲤᲠᲗᲮᲝᲜᲓᲐ, ᲣᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲨᲕᲘᲗᲔᲚᲗᲐᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲕᲐᲤᲠᲗᲮᲝᲜᲓᲐ, ᲣᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲨᲕᲘᲗᲔᲚᲗᲐᲡ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲨᲘ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲫᲕᲔᲚᲘ, ᲓᲐᲤᲡᲔᲗᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲓᲐᲡ ᲗᲘᲗᲝᲡ ᲐᲠᲐᲠᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲪᲕᲚᲗᲐ. ᲘᲡ ᲙᲘᲪᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ — ᲐᲡᲘᲗᲝᲛ ᲠᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲤᲠᲗᲮᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲙᲘᲪᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲓᲐ: ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲝᲪᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲫᲠᲝᲑᲓᲜᲔᲚ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲐᲡᲐᲯᲠᲝᲑᲓᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲯᲠᲝᲑᲓᲜᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ... ᲐᲛᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲛᲯᲝᲑᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲘ, ᲗᲣ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲕᲣᲯᲘᲠᲔᲑᲓᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲛᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲒᲔᲑᲓᲐ.

ᲘᲛ ᲠᲐᲞᲐᲠᲐ ᲓᲐᲑᲝᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲝᲑᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲠᲐᲡ ᲐᲠᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲚᲔᲣᲚᲐᲓ ᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲓᲜᲔᲚ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲚᲔᲣᲚᲐᲓ ᲐᲢᲐᲠᲑᲔᲑᲓᲜᲔᲚ ᲠᲐᲑᲝᲗᲐᲛᲐᲡ. ᲘᲝᲡᲘᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲯᲐᲕᲐ ᲓᲐᲝᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲕᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲡᲘᲑᲐ ᲮᲐᲮᲐᲛ ᲘᲪᲮᲝᲙᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲠᲐᲕᲚᲐ.

„ᲐᲛᲐᲗ ᲠᲐ ᲓᲐᲓᲛᲐᲚᲔᲑᲐᲜ, ᲛᲘᲬᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲡ ᲘᲪᲘᲐᲜ, — ᲒᲐᲘᲤᲘᲫᲠᲐ ᲘᲝᲡᲘᲑᲐ. — ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲗᲣ ᲛᲘᲭᲘᲠᲔᲜ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔ. ᲠᲐᲮᲐᲜ ᲔᲡᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲐᲮᲝᲛᲠᲔᲑᲔᲜ, ᲒᲘᲡ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ — ᲩᲛᲘᲡ ᲛᲭᲠᲘᲡ!“

ᲐᲡᲘᲗᲘ ᲤᲘᲯᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲝᲡᲘᲑ ᲮᲐᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ, ᲐᲛ ᲙᲐᲪᲘᲡ, ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ, ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲛᲯᲝᲑᲘᲠᲔᲑᲓᲘ, ᲗᲣ ᲐᲛᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოყვანა, ჩემი საქმე გათავებულიაო.

— ძმობილო! — დაიწყო იოსებმა. — მოდი, ერთი სამი წუთით შევალ სახლში, არაფერზე არ დავიხევ უკან... ჩემზე იყოს.

— არა, არა, გველოდებიან! — თქვა მფრინავმა და ნაბიჯს აუჩქარა. რატომღაც მთავარ შესასვლელს — სამორიგეოს გვერდი აუარა და ბაზრის მხარეს გასწია.

— ძმობილო, — ისევ დაიწყო იოსებმა, — ოჯახი მყავს, შვილები, ჩვენ, ებრაელებს სხვანაირად არ შეგვიძლია... ჩვენ თორა უნდა ვისწავლოთ...

მფრინავმა იოსებს გადმოხედა, კმაყოფილმა გაუღიმა.

„რას იკრეჭება ეს შობელძაღლი, იმ ღმერთმა დაგცეთ თქვენ მეხი!“ — გაიფიქრა იოსებმა, მფრინავს კი უთხრა: — შევალ სახლში და ახლავე გამოვალ, პატივისცემა ჩემზე იყოს... ჩვენ საიდუმლოს შენახვა ვიცით. კაცისშვილი ვერ გაიგებს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ ახლა მოდი, აქ შეიდეთ, — იოსებმა სამხედრო ნაწილის ღობეს ლამის ცხვირი მიარტყა, — აბა, თავი დასწიე, — მფრინავმა ყავისფრად შეღებილი ღობის სამი ფიცარი გადასწია, იოსებს თავი დაახრევინა, თავადაც დიახარა და ორიევნი მყის № 7546751 სამხედრო ნაწილის ეზოში აღმოჩნდნენ. მფრინავმა ღობის თითო ლურსმანზე ჩამოკიდებული ფიცრები ისევე გაასწორა, როგორც ადრე იყო.

— წავედით!

„არ შემინახა გამჩენმა, არ დამიფარა ამათი ხელისგან!“ — გაიფიქრა იოსებმა. სასოწარკვეთილი, მუხლებში ძალაგამოლეული მიაბიჯებდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მილასლასებდაო.

მფრინავმა ორიოდ ნაბიჯით წინ გაუსწრო, თუმცა ხელი არ გაუშვა, და დიდ დარბაზში შეუძღვა.

დარბაზის კედლებზე ეპოლეტებიანი, ჩინ-მედლებიანი რუსი გენერლების სურათები ეკიდა, მაგიდის თავზე კი — ლენინის და სტალინის დიდი სურათები; იქით, მოპირდაპირე მხარეს სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა და ვიღაცას ხელს უქნევდა, თან ობილად იღიმებოდა. იოსების გვერდით, ცოტა მაღლა დიდი ფოტოსურათი ეკიდა: საბჭოთა არმიის ოფიცრები ვერმანელების დროშებს ძირს ყრიდნენ.

„შეხედე, შეხედე! რაკა პადმეტკაშმიძერალი ფეხსაცმელებივით ყრიან იმ დროშებს!“ — გაიფიქრა იოსებმა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი სტალინს, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! — ამას აქ რა უნდა! — მოღიმარი სტალინის ფოტოსურათის ქვეშ ხახამ იცხაკი იჯდა.

იოსებმა ხახამს მეესვე აქცია ზურგი.

„აბა, მთლად გლახად ყოფილა საქმე! ხახამ იცხაკიც დაუპატიმრებიათ! ესე იგი... რას უნდა ნიშნავდეს ახლა ეს? რას უნდა ნიშნავდეს და... — დაძაბულად მუშაობდა იოსების ტვინი, — ეს იმას ნიშნავს, რომ... მოდი, აქედან დაეიწყოთ: ვინ არი იცხაკი? ხახამი. ეს ერთი. მელამედი, ესე იგი, თორის მასწავლებელი. ეს მეორე, და აქ გავჩერდეთ კიდევაც. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ეს იმას ნიშნავს, იცხაკი ქეიფში კი არ არი დაპატიეებული, საქეიფოდ კი არ მოიყვანეს, დაუპატიმრეს. ჰატომარია, მარა თვითონ არ იცის. ამიტომ ზის აქ რაიკომის უფროსივით, — იოსები შეყოვნდა, ნაფიქრი გონების თვალით გადაამოწმა. ზუსტად ასე უნდა იყოსო, სწორ გზაზე ვდგავარო, დაასკვნა და ანალიზი განაგრძო: — თუ ხახამ იცხაკი დაპატიმრებულია, ვინ ვარ მე, რატომ ვარ აქ მე?.. ახლა ისიც ეიკითხოთ: რატომ მკითხა იმ რუსმა, ებრაელი ხომ ხარო? ჰა? ესე იგი მოწმე უნდათ, იმის მოწმე, რომ ხახამ იცხაკი ბავშვებს თორას ასწავლის, ესე იგი არ ასრულებს მთავრობის დადგენილებას. რა გამოდის ახლა აქედან? მე მოწმედ ვარ დაძახებული. მე უნდა ეთქვა: ეს არის ის კაცი, რომელიც ბავშვებს თორას ასწავლის. აჰა, მე უნდა დავაღო ხელი იცხაკს. მაშინ გახმეს ეს ხელი! — გადაწყვიტა იოსებმა და იცხაკს მალუ-

ლად შეავლო თვალი. — მე რა ვიცი, ვინ არი ეს კაცი, მე რა საქმე მაქვს მაგასთან! მაგ კაცი რკინიგზის გადაღმა ცხოვრობს, მგონი. მე კიდევ აგერ, ა, აქ ვცხოვრობ, თქვენს გვერდით. არ იცოდით? თქვენი მეზობელი ვარ. შეიძლება თქვენი მეზობელი უწესო კაცი იყოს და ხახამებთან რამე საქმე ჰქონდეს? მე თქვენი მეზობლობა მახალისებს კიდეც და ბევრ რამესაც მასწავლის. რა? რას აკეთებს ეს კაცი? რა საქმიანობას ეწევა? არა, არ ვიცი მარა... წვერი მოუშვია... წვერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოლშევიკი-რევოლუციონერი უნდა იყოს ან კიდო რუსეთიდან ჩამოსული ბოსიაკი... კი, კი, ალბათ, ბოსიაკია, თორემ ბოლშევიკი, რევოლუციონერი ახლა საიდან, კი ბანაა მაგ სიკეთეს გვწია ღმერთმა! სახელი? სახელი... სახელი, მგონი, იაკობი უნდა ერქვას თუ მიხეილი?! ხო, მიხეილი, კი, ბატონო. ასეა! რა? იცხაკიო? ხოო... თქვენ უკეთ გიცოდნათ".

იოსებს სამოქმედო ველმა მზად ჰქონდა. ახლა მოავარი იყო ერთი რამ — მანამდე, ვეკი იგი დაკითხვის დაწყებამდე ხახამთან არაკეთილი საუბარი არ გაება.

მფრინავი, რომელმაც იოსები აქ მოიყვანა, მაგიდაზე მდგარ ტელეფონს მიუახლოვდა, ყურმილი აიღო და ისე უპატაკა, — ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი დავალება შესრულებულიაო, იოსებს ლამის გული შეუწუხდა.

„ეს მილიციაზე უფრო დიდი მილიციაა!" — გაიკვო გულში.

მფრინავმა კიდევ სადღაც დარეკა და საუბარი გააბა. სწორედ ამ დროს მოესმა იოსებს ხახამ იცხაკის ხმა:

— რა იყო, იოსებ, ხო არ მემდური!

— ხო არ მემდურიო?! — გაბრაზდა იოსები. ამდენი არ უნდა იცოდეს? ამდენს არ უნდა ხვდებოდეს? თორეს კი ასწავლის ბავშვებს!

— იოსებ, რა მოხდა ამიხსანა, რატომ მაქცევ ზურგი! — ისევ მოესმა იცხაკის ხმა.

„არა, რადაც უნდა დამიჯდეს, პასუხი არ უნდა მივცე. მაგისთვის სჯობია ასე! არ ვიცნობ, არ მიცნობს. საიდან უნდა ვიცნობდე? რა? ჩემი ბავშვი დადის მაგასთან? ჰი-ჰი-ჰი! ბაღანა სად არ დარბის, ბატონო, დილა რომ გათენდება, მთელ დაბას შემოირბენს, მაგი სად არ დადის, მოეტეხავ ფეხებს თუ ვყოფილვარ იოსებ ხახიაშვილი!" —ვეგეპას კიდევ უფრო ხვეწდა, ამუშავებდა იოსები, მაგრამ ეს საქმე ხმაურმა შეაწყვეტინა. მერედა მიხვდა — ხმაური კი არა, მწყობრად, გამართული ნაბიჯებით მომავალი ადამიანების ფეხის ხმა იყო. „მოდიან", — გაიფიქრა იოსებმა. ფეხის ხმა რაც უფრო ახლოდებოდა, მით უფრო დამორგუნავი ხდებოდა. იოსებს ეჩვენებოდა, რომ ჩექმების ქუსლებს იატაკს კი არა, მის გულს ურტყამდნენ. ამიტომ გული ეკუმშებოდა, ეწურებოდა.

ოთახში რამდენიმე კაცი შემოვიდა. შემოსულთ წინ ის ჭაღრაობმიანი, ცისფერთვალება — ნაწილის უფროსი მოუძღოდა. იოსებმა უცებ დაიფიცა, რამდენიც იყვნენ.

„ხამხედრო ტრიბუნალი! ესე იგი შვიდი კაცია სამხედრო ტრიბუნალში!

რავა უცინის სახე ამ უფროსს. ქორწილში მოხვედი, შე შობელძაღლო?!"

ნაწილის უფროსი იცხაკისაკენ გაეშურა („აჰა, ხომ მართალი ვიყავი, აბა, ჩემთან რა საქმე აქვს!"), ხელი ჩამოართვა და რაღაც უთხრა. იოსებმა ვერ გაიგო, რა თქვა უფროსმა. კი გაიგონა, მაგრამ ვერ გაიგო. ვერც იცხაკმა გაუგო. მერე აქეთ, იოსებისაკენ მიბრუნდა ნაწილის უფროსი, ხელი გამოუწოდა, ჩამოართვა და თქვა:

— შალომ! თქვენი სახელი?

— იოსები, ბატონო!

— შალომ, იოსებ, შალომ!

სიტყვა „შალომის" გაგონებამ იოსები, ცხადია, დაანანა, მაგრამ მალე მოვიდა გონს:

„ამაო ხომ ყველაფერი იცინ, ყველაფერს სწავლობენ. ახლა მომეფერებიან, რომ უცებ დავამღერო ყველაფერი, რაც

ვიცი. სწორედ მაგ ჭკუაზეა იოსები!“ — გაიღიმა.

ნაწილის უფროსის მომყოლნი ჯერ იცხაკთან მივიდნენ, პატივისცემით ჩამოართვეს ხელი, მერე — იოსებთან. ყველა „შალომს“ ეუბნებოდა, ლამის ეხვეოდა იოსებს.

ნაწილის უფროსმა დარბაზში მყოფთ თვალი მოავლო, შეკრებილნი დაითვალა და თქვა:

— ესე იგი მინიანი[1] ვართ, ხომ?

— მინიანიო?! — ყურები ცქვიტა იოსებმა.

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი დავალება შესრულებულია. მინიანს თავი მოვუყარე. მთელ ნაწილში რვა ებრაელზე მეტი არ აღმოჩნდა, ჰოდა ორი...

იოსების ყურს რაღაც უცნაური სიტყვები ესმის. რა ხდება დღეს აქ?

ნაწილის უფროსმა მარჯვენა ხელი ასწია.

— გმადლობთ, მიხეილ ლაზარიჩ. მთავარია, რომ რაბი მოობრძანდა ჩვენთან, — ხახამ იცხაკს შეხედა და ისე თბილად გაუღიმა, გული გაგინათდებოდათ.

მერე წითელმაუდგადფარებულ მაგიდასთან დაჯდა. ჩაფიქრდა, თავი ასწია, რაღაცის თქმა დააპირა. აღარ თქვა. სავარძელს შეხედა, არ მოეწონა, სავარძელში რომ იჯდა, მყისვე წამოხტა:

— ამხანაგებო! — ხმაში ისეთი სიუსტტე ეტყობოდა, იფიქრებდით, წამოიკივლაო.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, რა ხდება? — ხმადაბლა, დინჯად იკითხა ვიღაცამ.

ნაწილის უფროსი კვლავ დაჯდა, მაგიდაზე გადმოიხარა და ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, წამოდგა. აშკარა იყო, რაღაც არ მოსწონდა, რაღაცას ეძებდა და ვერ ეპოვნა.

— ბატონებო! — თქვა მერე, მაგრამ უცებ ლენინისა და სტალინის პორტრეტებს მოკკრა თვალი და შეკრთა. კვლავ პორტრეტებს ახედა. იოსებმაც ახედა ლენინისა და სტალინის პორტრეტებს. ორივე იღიმოდა. სტალინი, როგორც ჩანს, ვიღაცას ესალმებოდა. შეკრებილნი დაიძაბნენ. ნაწილის უფროსს ზოგი გაოცებული მისჩერებოდა, ზოგიც — კითხვის გამომხატველი მზერით, უფრო მეტი კი — გაოცებული.

ნაწილის უფროსმა, ისე, რომ პორტრეტებისათვის თვალი არ მოუცილებია, უცებ წამოიძახა:

— ებრაელნო! — და სახეზევე დაეტყო, რომ იპოვა ის სიტყვა, რომელსაც დაეძებდა, ამიტომ საოცრად კმაყოფილმა და აღტაცებულმა უცებ, ხხაპასხუპით წარმოთქვა: — ისრაელთა შვილნო, მოგილოცავთ, ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი სახელმწიფო: გუშინწინ, 15 მაისს დავით ბენ გურიონმა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა გამოაცხადა! — წამოიძახა და, როგორც ყოველმა ვალმოხდილმა ადამიანმა, თავისუფლად ამოისუნთქა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

მერე ერთი — ყველაზე ხანდაზმული, თეთრწარბება, სქელი ოფიცერი წამოდგა, მას მეორე მოჰყვა — სათვალიანი, მერე — მესამე... მალე ნაწილის უფროსის ირგვლივ წრე შეიკრა. ადამიანები უხმოდ მოძრაობდნენ, თითქოს მეტყველების უნარი წარმოეკარგათო. იმ სქელმა, თეთრწარბებამ იკითხა:

— არკადი იოსიფოვიჩ, — მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა, — არკაშა, რას ამბობ, შენ იცი, რა თქვი?!

— მოგილოცავთ, ძმებო, მოგილოცავთ, გუშინწინ, გუშინწინ!

— ამხანაგო პოლკოვნიკო!

— არკადი იოსიფოვიჩ!

— რას ამბობთ!

— საიდან გაქვთ ეს ცნობა!

— დამშვიდდით, მეგობრებო, დაწყნარდით! ეს დღეები ისტორიულია ჩვენი ხალხისათვის — გამოცხადდა ისრაელის სახელმწიფო! აი, ამიტომ ვთხოვეთ საპარადოდ მორთულნი მოსული-

1. მინიანი — ქვორუმი. იმისათვის, რომ ლოცვის რიტუალი ჩატარდეს, ათი სრულასაკოვანი ებრაელი უნდა შეიკრიბოს.

ყავით წითელ კუთხეში. დღეს ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ღმერთს იმით, რომ ერთად ვილოცოთ. მინიანი შევკრიბე, რაბიც აქ არის. ქუდი ყველას გახურავთ.

ნაწილის უფროსმა გაშლილი ხელისგული თვალებზე აიფარა და მკაფიოდ, შთამაგონებლად წარმოთქვა:

— შემა ისრაელ, ადონაი ჰელოენუ ადონაი ეხად!

ყოველ სიტყვას ისე აგრძელებდა, ისეთ გემოს ატანდა, რომ ცხადი იყო, სიტყვასთან განშორება უჭირდა.

მართალი გითხრათ, ჩემი ძვირფასო მკითხველო, იოსების გაბეჭებული წამოდგა. თვალებზე ხელი აიფარა, რათა წარმოეთქვა „შემა,, ისრაელ“, მაგრამ ვერ მოახერხა — ენა დაება, თუმცა, ბოლომდე ვერც მიმხვდარიყო, რა მოხდა. აშკარა იყო, რომ აქ არც პატიმრად მოუყვანიათ და არც მოწმედ. ამას კი ხვდებოდა, მაგრამ... ამ ხალხს რაში ეკითხებოდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნ ან ამ ფაქტის გამო სიხარული? მაგრამ „შემა, ისრაელი“ რომ წარმოთქვეს? ის იყო იცხაკთან მისვლას და ამის გარკვევას აპირებდა, რომ იცხაკმა ხმამაღალ, ხალისიანად საღამოს ლოცვა დაიწყო.

ხახამ იცხაკს ისედაც კარგი ხმა ჰქონდა, დღეს კი მის მოსმენას არაფერი სჯობდა — ღვთის ანგელოზივით გალობდა. იოსები კი, თითქის ძალისგან გამოფხიზლდაო, გაოცებული შესცქეროდა დარბაზში შეკრებილთ — არაქართულად მოლაპარაკე ამდენი ებრაელი არასოდეს ენახა; ცხადია, იცოდა, ებრაელები რუსეთშიც რომ იყვნენ, მაგრამ ასე კარგნი, ასე წარმოსადეგნი, ასეთი სიტყვა-პასუხის პატრონნი და ამისთანა ებრაული სულისკვეთების? აბა, ეგენი ღორის ხორცსაც არ ერიდებიანო? შეხედე, რა მოწიწებით დგანან სალოცავად!

მაგრამ უფრო გამაოგნებელი ის იყო, რაც ნაწილის უფროსმა თქვა — მისი ნათქვამის არსს სწორედ ახლა, ლოცვის პროცესში მიხვდა იოსები.

„ისრაელის სახელმწიფო გამოცხადდაო, ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან? ისრაელის სახელმწიფო, ესე იგი, ისრაელთა, ებრაელთა, ჩემი სახელმწიფო?! ამას წინათ თბილისიდან ჩამოსული იანკელი რო ლაპარაკობდა... მოიცა, მოიცა... ვის არ უნდა, ისრაელიშვილებს თავისი სახელმწიფო ქონდეთ? ინგლისი! კი ბატონო, ინგლისიო! და დავთ ბენ გურიონმა ინგლისს მოუგრიხა კისერი? ბიჭი მაგ ყოფილა, მაგან უნდა თქვას, კაცი ვარ, ქუდი მხურავსო გამჩენს უცვნია ჩემი საქმეო! ესე იგი რა გამოდის ახლა აქედან? თუ ებრაელებს თავისი სახელმწიფო აქვთ, იქ ჩასვლაც შეიძლება, ესე იგი შეიძლება იქ წახვიდე და იცხოვრო?“

იოსებს ამ ფიქრისას გააჯრჟოლა.

ორმოც წელს მიღწეული, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო და გულის ასეთი შეფრთხიალება, როგორიც გაჯრჟოლებას მოჰყვა, არასოდეს უგრძვნია. გული ისე შეუფოფოქიალდა, საშინელი ტკივილიც კი იგრძნო მკერდის არეში.

ულონდ დაეშვა სკამზე.

ხახამ იცხაკი კი ანგელოზივით გალობდა.

„ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან? შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, ღმერთმა აკურთხოს ის დღე, ადგე და ისრაელში წახვიდე! ჰაი, გიდი, რას მოგვასწრო ღმერთმა! კი ვყოფილვართ ჩვენ მადლიანი ხალხი!“

თავი ასწია. სამხედრო ფორმაში მორთულ ხალხს გადახედა. რა ლამაზები იყვნენ, როგორ უბრწყინავდათ სახეები! ის ოფიცერი, რომელმაც იოსები აქ მოიყვანა, მაგიდაზე თეფშებს, ჭიქებს, არყით სავსე ბოთლებს, ხილს, კონსერვებს, ხაზილალათი სავსე ჯამებს ალაგებდა.

ხახამ იცხაკმა ლოცვა დაამთავრა თუ არა, ნაწილის უფროსმა ჭიქა აიღო ხელში.

— მობრძანდით, ებრაელებო, დავლოცოთ ჩვენი სახელმწიფოს დაბადება. ბედნიერი იყოს! — შესძახა, არაყი გადაჰკრა და ისეთი ებრაული სიმღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოიწყო, იოსებს ლამის არაფი გადასცდა ყელში. სიმღერა სწორედ ეს იყო. აბა, ის არის სიმღერა, შალიკო მეგარმონე რომ დაადებს პირს და ყროყინებს?

სიმღერა დამთავრდა თუ არა, ოფიცრები ნაწილის უფროსს მივარდნენ, ხელში აიყვანეს და ბურთივით ისროლეს ჰაერში, თან შესძახეს:

— ლეხაიმ!

ისევ მაღლა ააგდეს და ისევ შესძახეს:

— ლეხაიმ!

მერე ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო: ლეხაიმ, ლეხაიმი, სულ გაიძახოდა.

— ისრაელები ესენი ყოფილან, რამდენი სიმღერა სცოდნიათ, — ჩაილაპარაკა სიხარულმორეულმა იოსებმა. სიხარულის მიზეზი კი ისიც იყო, რომ ამ სანახაობის მონაწილე გახდა.

არაფერი დაუკლიათ იმ საღამოს ოფიცრებს: არც სმა, არც სიმღერა, არც ცეკვა. ისინი რომ ცეკვას იწყებდნენ, იოსებს ეგონა, სადაცაა იატაკი ჩაინგრევაო.

იოსებიც კი ჩაიყენეს წრეში. ხელიხელგადახვეულნი ცეკვავდნენ, ერთმანეთს ფეხს უწყობდნენ, შესცინოდნენ. დღეს პირველად გულის ტკივილი იგრძნო იოსებმა, ისიც იგრძნო, რომ ამ ხალხს ძმად ეგულვებოდა. იოსებიც ძმად ეგულვებოდათ და ხახამ იცხაკიც. ეს რომ იგრძნო, უფრო ღონივრად ჩასჭიდა ხელები თავის აქეთ-იქითა მეზობელს, თავი მაღლა ასწია, მათთან ერთად წარმოიდგინა თავი ისრაელის მზის ქვეშ და შაბათის მობრძანების მაუწყებელი სიმღერა „ლეხა დოდი“ ისე მხნედ წამოიწყო, ოფიცრები შეჩერდნენ, იოსებს ყური მიუგდეს. ხახამ იცხაკმა უცებ აუწყო ხმა იოსებს, მერე რომელიღაც ოფიცერმა აუწყო ხმა, მერე კიდევ სხვამ და მალე ყველა ერთად ამღერდა. ეს ათი კაცი ისე მღეროდა, გამგონე ფიქრებდა, დიდი ჯარი შეკრებილა და ამღერებულაო.

სახეები უბრწყინავდათ.

ბედნიერნი იყვნენ.

— რას მოგვასწრო ამას, იოსებ, გამჩენმა, რას მოგვეწყარით, ჰა? — უთხრა იცხაკმა იოსებს, სამხედრო ნაწილიდან რომ გამოდიოდნენ.

— აბა რა გეგონა შენ! ღმერთი არ მიგვატოვებს...

— ესე იგი, აწი ხო უნდა შეიძლებოდეს ისრაელში წასვლა?

— აბა არა?

— გაგახაროს გამჩენმა!

იოსები და იცხაკი იქვე, სამხედრო ნაწილის სამორიგეოსთან დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ორივენი ბედნიერნი იყვნენ, ორივე ღიღინ-ღიღინით გაუყვა თავის გზას. იოსებს შინ მისვლა არც ეჩქარებოდა, ეწადა, ასე ღიღინით ე�eლ ქუჩა-ქუჩა, ამიტომ შინ მისასვლელად შორი გზა აირჩია — ბაზარს შემოუარა და შებინდებისას მიადგა ჭიშკარს. ეზოშიც ღიღინით შევიდა, იმედით სავსემ ალერსიანი მზერით გადახედა არემარეს. და ის იყო უნდა დაეძახნა, ლია გამოდი გარეთ, რა გახარო, ორი კაცი დალანდა ეზოში.

— ესენი ვინ არიან აქ და რა უნდათ! — თავის თავს შესძახა და სტუმრებს მიუახლოვდა. რა გინდათ აქ, ჩემს ეზოშიო, მკვახედ შეეკითხა, თუმცა დიდი მიხვედრა არ უნდოდა, თუ რატომ უნდა მოსულიყო ეს ორი მფრინავი აქ.

— Дай водку! — გოროზად თქვა ერთმა.

იოსები უცებ წამოეწინთ, სიბრაზე სახეზე მოაწვა.

— არ არი ვოდკა, მარშ, მარშ აქედან! აბა, ახლავე მოუსვით!

არაყზე მისულ მფრინავებს ასეთი სიტყვები არასოდეს სმენიათ, ამიტომ ერთ-ერთმა მფრინავმა იოსებს მხარში ჩაავლო ხელი, შეაჯანჯღარა და უყვირა:

— Ты что, не слышишь! Дай водку!

ფრაზა დამთავრებული არ ჰქონდა, იოსებმა რომ შესძახა:

— ვის უბედავ ამას, შე ლაწირაკო! - და მარჯვენა ხელი ქვევიდან ისე ძლიერ ამოჰკრა ყბაში, რომ მფრინავი შებარბაცდა. ეს დარტყმა თითქმის არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა: — იოსები მიადგა მფრინავს და მოსცხო და მოსცხო. მეორე მფრინავმა ის კი იყვირა, რას შვრები, ვის ურტყამო, ხელიც მოიქნია, მაგრამ სხვა კი ვერაფერი მოასწრო. იოსების ნიჩაბი ვით ფართო ხელი ისე მოხვდა სახეში, რომ თვალებიდან ნაპერწკლები ჭყარა და სიმწრისაგან იკივლა. ამ კივილმა მოახედა თურმე შარაზე მიმავალი კალე წულაია. მერე კალე წულაია მეზობლებს უყვებოდა: ჩხუბი ბევრი მინახავს, მაგრამ ამნაირს არაფერს შევსწრებივარო. ეს იოსები ვინ ყოფილა, განსაკუთრებით მას მერე გადაარია, რაც ერთმა მფრინავმა ქამარი შეიხსნა და იმით დაუბარაო მოგერიება; ჩემი თავი კინოში მეგონა, იმ ჩხუბს ისე ვუყურებდი, როგორც კინოს, ამტომ ის ბიჭები რომ გაიქცნენ, გული დამწყდა, რა კარგი კინო რა მალე დამთავრდა-მეთქი.

მფრინავები მართლა გაიქცნენ. თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ ეზოდან. იოსები მისდევდა და რომელსაც მოიხელთებდა, იმას ურტყამდა. ერთმა ჭიშკართან ღობის მოგლეჯა და იოსებისათვის თავში ჩარტყმა მოინდომა, მაგრამ ფიცარი ეგრე იოლად ვერ მოგლიჯა, ამიტომ მიასწრო იოსებმა, თავში იმდენი უბაძუნა, კალემ შესძახა კედეც, ხო არ უნდა მოკლა ეგ ოხერიო.

— შეგრჩა ეგ მარჯვენა! — ჩაილაპარაკა და ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას.

იოსები ჯორკოზე ჩამოჯდა. მძიმედ სუნთქავდა. სიბრაზე კი არ მორეოდა, ფიქრი და ცრემლი აწვებოდა. მერე ისე ჩაფიქრდა თავის ცხოვრებაზე, ხვალინდელ დღეზე, რომ ვერც იგრძნო, ორი შვილი — რვა წლის დათო და ხუთი წლის ზურიკო — როგორ ამოუდგა გვერდში.

●

მეორე დილას იოსები ადრე ადგა, ეზოში თუ რამ რკინისა ეგულებოდა, ხელში მარჯვედ რომ დაეჭირა, კართან დადო, მერე ქორწილში ნაჩუქარი ხანჯალიც მოძებნა, ბალიშის ქვეშ ამოიდო: მაგათ ნდობა არ შეიძლება, იქნება გალახულებმა რაიმე სიგლახე მოინდომონო.

მერე ბაზარში გავარდა. ქათმები იყიდა, სალოცავში წაიყვანა, დაკვლევინა. ლიას ხუთი დაკლული ქათამი რომ დაუყარა წინ, ქალი გაოცდა, რა ამბავია, ქორწილი რა ხანია გადავიხადეთო.

— შაბათს დიდი, კარგი სტუმრები უნდა მოვიყვანო სახლში! — თქვა იოსებმა.

დაბაში ძროხას ხუთშაბათობით კლავდნენ. ხუთშაბათს ხორციც მოიტანა შინ, სხვა სანოვაგეც მოზიდა და პარასკევს, დილაადრიან მიადგა სამხედრო ნაწილს, რათა უფროსისთვის ეთქვა, ხვალ შენ და შენი მეგობრები სადილზე უნდა მესტუმროთ, აგერ ვცხოვრობ, მეზობლადო. სამორიგეოში შევიდა და მორიგეს მოახსენა, ნაწილის უფროსის ნახვა მინდაო.

მორიგე ზანტად მოუბრუნდა, ერთხანს უხმოდ უყურა და მერე თქვა:

— ორი დღეა, ჩვენს ნაწილს უფროსი არა ჰყავს. ეგეცა და სხვა ჟიდებიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურაში წაიყვანეს. შემცვლელი ჯერ არ დაუნიშნავთ.

იოსები, ცხადია, ვერ მიხვდა, ნაწილის უფროსი რატომ უნდა წაეყვანათ სამხედრო პროკურატურაში, მაგრამ გული კი დაწყდა, ასეთი კარგი ხალხი ოჯახში რომ ვერ მიიწვია. უხალისოდ გამობრუნდა შინისაკენ, რათა ლიასთვის ეთქვა: „ხომ იცი სამხედრო ხალხის ცხოვრება — დღეს აქ არიან, ხვალ კიდევ შორს ვზავნიან; ის საპატივცემული ხალხიც წასული ჩვენგან, ტყვილა ნუ შეასკდები მაგ საქმეს“, მაგრამ ჭიშკარს რომ მიადგა, მოულოდნელმა აზრმა გაუნათა გონება:

„ამოდენა ამბავი მოხდა — ჩვენი სახელმწიფო შეიქნა. თუ ისინი წაიყვანენ, ჩვენს ჯამაათს დავპატიჟებ, ერთმანეთს ხომ უნდა მივულოცოთ ისრაელის სახელმწიფოს შექმნა?!“

და ხალისით შევიდა ეზოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ხუნდაძე

რედაქციისაგან: ქართველი მკითხველი ნოდარ ხუნდაძეს პროზაიკოსად, მთარგმნელად, პუბლიცისტად იცნობს. მაგრამ იმ მწარე სინამდვილემ, რასაც. ეს ბოლო წლებია, მთელი ჩვენი ქვეყანა განიცდის, აფხაზეთიდან დევნილ, მრავალჭირნახულ ჭარმაგ მწერალს თვითგამოსახვის სხვა ფორმა მოსთხოვა და თავისი გულისნადები ლექსებად გამოათქმევინა. ამ ნათქვამს ჩვენი საერთო სატკივრის ბალღამი სცხია, ყოველივე ეს ჩვენი რთული, ტკბილ-მწარე აწმყოს სახსოვარია... ამიტომ „ცისკარი“ თამამად უთმობს თავის ფურცლებს ნოდარ ხუნდაძის ლექსებსაც.

●

გულმა ახარა ეს ბაღი,
სისხლის წვეთებით რწყავდა,
თავგადაკლულმა მებაღემ,
გულს სულ რომ არა ჰგავდა,

აკურა სისხლი წვეთობით, —
შეუძლებელი ვერ ჰქნა:
იფეთქა, სანამ შეიძლო,
სანამ არ დაიფერფლა.

არა მაქვს ფრთები

ზამთარია და ცივა,
უნაბდოდ ვერა ვთბები,
ცაში გაფრენა მინდა, —
რა ვქნა, არა მაქვს ფრთები.
ჯანს არ ვუჩივი, მაინც
მტანჯავს ცხოვრება რთული,
ძმებთან ქეიფი მინდა, —
რა ვქნა, არა მაქვს ფული.

გული გამიხდა ცუდად,
შენს უნახავად ვკვდები,
მე შენთან მოსვლა მინდა
და მოჭრილი მაქვს გზები.
ზამთარია და ცივა,
უნაბდოდ ვერა ვთბები,
ცაში გაფრენა მინდა, —
რა ვქნა, არა მაქვს ფრთები.

●

თუ გულში გამკრავს ავი რამ ზრახვა
და ბორიტებამ თუ დამაბრმავა,
მყისვე მაძგერებს ფინთიხს ან ლახვარს
და მეტყვის: — ფრთხილად, მე ჯერ
აქა ვარ!

შერჩეული აქვს ადგილი მყუდრო,
არსების, მსგავსის, არ ვარ მნახველი
და მე მაოცებს ყველაზე უფრო —
დღესაც არ ვიცი მისი სახელი.

●

მშობელი მიწა მომნატრებია,
დოლაბად მაწევს გულს მძიმე დარდი,
მტერი იხტიბარს მაინც არ იტეხს,
ამიტომ ვღელავ და ვერ დავწყნარდი.

საოცარია, ეს სამი წელი
გამოვიფიტე, კაცი გავთავდი,
ახლა ქუჩაში რომ მიფარფატებს,
ეს მე ვარ, ჩემი წარსულის ლანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მალე წავალ,
ვინ დამტოვებს ამქვეყნად,
სულს დაარბევს
ქარი-ქარაშოტი,
მალე წავალ —
სანამ მარტი დადგება...
მარტი უკვე მოახლოვდა,
მოდის.

აღელდება ზღვა,
ნაპირებს შეუტევს,
ქვიშას ფერი
შეეცვლება მაშინ
და ნაკვალევს,
ქვიშაზე რომ დავტოვებ,
ისევ ქარი-ქარაშოტი
წაშლის.

ჰა, მობრძანდება მეუფე დავით

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის
დავით ჭკადუას ხსოვნას.

ილორს სტირიან ანგელოზები,
სისხლი ზღვას ერთვის, ღვარი
ვითარცა,
ვიღაცა ჰკივის თავგამოდებით
და თმებს იწეწავს სიმწრით ვიღაცა.

...უცებ დამყარდა სიმშვიდე სრული,
ყველამ დაჰხარა მორჩილად თავი,
მათ მოეფლინათ უდრეკი სული, —
ჰა, მობრძანდება მეუფე დავით.

შემინდე

გაგრას რომ ჩავალ,
მე გეტყვი, გინდაც მენცარი მიწოდე:
კაცზე არ ვამბობ,
ჩიტებიც
აუცილებლად მიცნობენ.
კაცებზე მონადირენი,
ალბათ,
დღეს ჩიტებს არ კლავენ,
და ის ჩიტები
მისხლობათ
ყველაფერს ჩამიკკლავენ.

მეტყვიან,
არ დამალავენ,
ვინც აკაცობა იტვირთა,
ვინ გაიმეტა — ვინ დაწვა
ჩემი
გაგრა და ბიჭვინთა.
ვინ დამიხოცა მოძმენი,
ვინ ლეწა უკუღმა კალო,
მე იმას დავსჯი...
შემინდე,
შენ გევედრები, უფალო!

მაშინ ვნახოთ

ვიცი, გაგიჭირდება,
მაგრამ წარბს არ შეიხრი,
ახლოს არს დაბინდება, —
დრო მტრის მწარედ შერისხვის.
ნაპირს უახლოვდება
გემი შურისძიების,

არა, არ დაყოვნდება
გაზაფხული იებით.
მაშინ ვნახოთ, ვინ არის
გმირი ანდა ჯაბანი,
სხვის იმედზე ვის ჰხურავს
ფართო, თბილი საბანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლავრელაშვილი

რომის ნაცვალი

მოთხრობა

I

„...და რადგან, მეუფეო, ადამიანის სიცოცხლე ამქვეყნად ხანმოკლეა, უპირველეს ყოვლისა, მართებული იქნებოდა, შეგვეცნო იდუალი თვისებანი სულისა, ნაყოფიერებითა და გარყვნილებით დაძაბუნებულ ჩვენსავე სხეულში რომ იტანჯება... შეგვეცნო სწორედ იგი, რომლის ძალითაც ჩვენთვის მისაწვდომია ყოველგვარი ღვთაებრივი სიბრძნე და ურომლისოდაც მიუღწეველია მადლი და სიმშვიდე კაცისა, ვინც საკვდილის წინაშე შეუფერებელი შიში დასძლია ღმერთის სიყვარულით მადლმოფენილმა. ნუ დაივიწყებ, რომ მხოლოდ ხრწნადი და მოწყვლადი ხორცეულებისაგან შედგენილი სხეულია ბოროტებისა და მუდმივი შიშის სათავე. სხეული გვაიძულებს, მონურად მოუფრიკოთ ქედი მდაბალ სურვილებს, ხოლო გამუდმებული შეგრძნება საფრთხისა, ამ უგვან თიხის ჭურჭელს ყოველ წამს რომ ემუქრება, ნებისყოფას გვიდუნებს და სინდისის სამარადჟამო მძევლად გვაქცევს. სული კი, — მარადიული, უკვდავი და ნათლით მოსილი, ტყვეობიდან განთავისუფლებას ისწრაფვის. ნეტარია იგი, ვინც ღვთის მოწოდებას დაემორჩილება, ვინც სულის ღვთიურობას იწამებს და ყოველი ქმედებით უფლის მიერ დადგენილ ცნებებს აღასრულებს. აი, ჩვენი სიმტკიცისა და უშფოთველობის მდგრადი საფუძველი! უფლის ამ რჩეულს მზერა მშვიდი აქვს, სახე — სათნო და ლმობიერი. სხეული მისი გრილია ვნებისათვის და ოქრის შეხებით არ ათრთოლდება ხელი მისი. და რაღაა მაშინ ამქვეყნიური დიდება?! ძალადობა ხომ შვებას ვერ მოგვიტანს, რადგან ძალადობით იქნებ სხეული მოვაკვდინოთ კიდეც, მაგრამ ზეაღვლენილი სულის შეპყრობა შეუძლებელია...

ამიტომ, მეუფეო, ნუ იჩქარი რისხვით აღძრულმა განსაჯო ადამიანთა ქმედებანი და, თუ მათ სიტყვებში ღვთაებრივ სიბრძნეს ვერ წააწყდები, ნუ შეურაცხყოფ თავად სიბრძნეს. მრავალნი გრძნობენ და განიცდიან, მაგრამ მხოლოდ რჩეული ძალუძთ ადამიანური ბაგით ამცნონ სხვებს ეჭვშეუფარავი ჭეშმარიტება. გახსოვდეს, რომ ჩვენ თანასწორნი ვართ ღვთის წინაშე და მის საბრძანებელსაც აუმღვრეველი სინდისითა და კრძალვით უნდა ვეახლოთ...“

II

ტეტრარქმა აგრიპამ თვალი გაახილა. სავარძელში გადაწოლილს ცალი მკლავი ჩამოვარდნოდა და დაბუჟებული მხარი სხხვლეტდა. რამდენი ხანი ეძინა? ჯერ მხოლოდ დილის თერთმეტი საათია. მას კი გამთენიისას გამიღვიძა, როცა, თუ ცნობილ მეტაფორას მოიშველიებდა, ახალშობილი ეოსი ვარდისფერ თითებს გამოაჩენს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნიერებას მეწამულ მოსასხამს გადაიფენს, მაგრამ ტეტრარქის ძალ-ფხიზლობას ერთობ პროზაული მიზეზი ჰქონდა; წარჩინებულთათვის ესოდენ შეუფერებელი აღრიანი ადგომის ჩვევა აგრიპას საპატიმროდან გამოჰყოლოდა, სადაც, შეთქმულების მონაწილის ცრუ ბრალდებით შესმენილი, ტიბერიუსმა ჩააგდო.

ტიბერიუსი!

ტეტრარქმა თითეი მომუშტა, თითქოს მკვდარ იმპერატორს ყელში სწვდებოდა. ტიბერიუსი კუტიკით დაარჩევს, თავად კი კვლავ თავისუფალი და იუდეის ტეტრარქია. მაგრამ თანამდებობა აღარ ახარებდა. რომში ცხოვრებას აქაურობა დიდი ხნით დაეშორებინა, წინაპართა სამშობლოსთან შეგუება უჭირდა. ერთ დროს ნაცნობი ქალაქები უცხო ეჩვენებოდა. ვეღარც კეისარია იცნო, სადაც იძულებული იყო, წინა დღით ახალ პროკურატორს ხლებოდა. ცერემონიები ღლიდა, დილით მოქანცული და უძინარი იღვიძებდა. ბერძენი, მკურნალი ჰავის გამოცვლას ურჩევს, მაგრამ იუდეას ვერ მიატოვებს; ახალმა იმპერატორმა, ვისგანაც თავისუფლებით იყო დავალებული და ვის ოფიციალურ მეგობრადაც ითვლებოდა, ამ ურჩი ქვეყნის შემორიგება სთხოვა. პატიმრობის შემდეგ რომს ისედაც აღარ დაედგომებოდა, რადგან აგრიპამ მოულოდნელად იგრძნო, რომ უდარდელი და გარყვნილი ცხოვრება მობეზრებოდა. წარსული აგრერიგად რიდი ენაღვლებოდა, უფრო მეტად ძალაუფლება აზიდავდა, ძველი ოცნება, მბრძანებლის ტიარა, აღრე ძალშიც რომ არ ასვენებდა, ახლა ცხადი გამხდარიყო. თუმცა აგრიპა არც იმდენად გულუბრყვილო იყო, მხოლოდ ძალაუფლების სიყვარულით ეზიდა მმართველობის ტვირთი. სხვებს მოღალატე და რომის ჯამილოკია ჰგონიათ, მან კი დიდი ხანია მიზნად დაისახა, იუდეა ცივილიზებულ ქვეყნად ექცია.

სასახლის ეზოდან ყვირილი მოისმა. აგრიპამ დამძიმებული ქუთუთოები ასწია, მისი მზერა დარბაზის კუთხეში იმპერატორის ქანდაკს შეხვდა. თვალდაშრეტილი იმპერატორი ცივად შემოჰყურებდა. ტეტრარქმა უნებურად ტოგა შემოიხვია, თითქოს შეამცივნო, წამოსასხამში მჭიდროდ გაეხვია. რა იმალება ამ ნაცნობი სახის მიღმა? თუმცა ახლანდელი იმპერატორი მისი მეგობარია, ამ მკაცრმა, პირწმინდად რომაულმა სახემ შეაკუნტა.

ეალვინის გადაღმიდან ისევ მოისმა ყვირილი. იერუსალიმიდან ტეტრარქს მრავალი მთხოვნელი გამოჰყოლოდა, დილიდანვე სასახლის წინ რომ ირეოდნენ. მათი გაუთავებელი ზრინი აგრიპას ძილს არ ანებებდა. გუშინდელი შეხვედრისას, რიცა პროკურატორმა მოსალოდნელ აჯანყებაზე ჩამოუგდო სიტყვა, მაშინვე ენიშნა, ფანატიკოსების თავშეყრა კარგს არას მოასწავებდა. ბრბოს გაავება სახუმარო არ იყო. პროკურატორი საიდუმლოდ გაეწყო, რომ მოსალოდნელი არეულობის შიშით აჯანყების მოთავეები სირიის პროკონსულთან შეუთანხმებლად შეეპყრო და საქმე, შესაძლოა, სახიფათოდ შემობრუნებულიყო, რაკი თანამოაზრენი ჯიუტად მოითხოვდნენ ბელადების განთავისუფლებას.

ტეტრარქი წამოდგა და სარკმელს მიუახლოვდა. ზიზღით შეუფრთხილდა ნესტორი, როცა მცხუნვარე მზის ქვეშ მოლასლასე ბრბოში მღვდელმსახურთა წოწოლა ქუდები შეამჩნია. უთუოდ რაღაც განუზრახავთ, რაკი იერუსალიმიდან აქამდე გამოსდიან! ყველაზე მეტად ეს ბნელმეტყველი ხალხი სძულდა, ქვეყანას მუდმივი ჯანყითა და შფოთით რომ ამღვრევენ. როგორც სულით ჭეშმარიტ რომაელს, აგრიპას სასტიკად სძულდა ფანატიკოსები. ფანატიზმი სამართლიანობას ეწინააღმდეგება. იმპერატორის ქანდაკს გადახედა და კვლავ მშვიდი, ძალით განმტკიცებული რწმენა იგრძნო. ვეღარფერი შეარყევს ამ რომაულ სიმშვიდეს. რომი ხომ ყველგან შინ არის, ხოლო ეს უგუნური ბრბო...

„შეშლილები! ვის ეტოქებიან!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიმროში აგრიპას საფუძვლიანად შეესწავლა თანამედროვე ფილოსოფოსები და მათ მსგავსად მიაჩნდა, რომ იმპერიის მარტოოდენ იარაღით შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ერები შუდამ განცალკევებას ესწრაფვიან. მხოლოდ კულტურაა მათი შემაკავშირებელი ერთადერთი საიმედო დუღაბი. რომის უძველესლობაც კულტურას ემყარება. და მისი, როგორც მმართველის ვალი მხოლოდ იუდეის ეკონომიკური აღორძინება კი არა, მსოფლიო ცივილიზაციის, დიდ და ნათელ რომაულ კულტურასთან ზიარებაც არის. რა სიგიჟეა, უარი თქვა ამ სიკეთეზე! საკუთარი თავლით უნახავს რომაელ პოეტთა დამსხვრეული ქანდები იერუსალიმის საზოგადო ბაღებში. სიგიჟეა და მეტი არაფერი! იმ პოეტის დაუვიწყარი სტროფები მოაგონდა, პოეზიის დაუმხობელ უძლეველობას რომ განადიდებდა.

„ძვალი ავიგე ხელოუქმელი...“

ამ ველურ ქვეყანაში კი არათუ მეგლებს, პოეტთა წიგნებსაც ცეცხლს აძლევენ შესაუსრავად. თავადაც იუდეველს, აგრიპას ორმაგად შეურაცხყოფდა ბრძოს სიბნელე და სიჯიუტე. ცივილიზაციის წინსვლას ვერაფერი შეაჩერებს. ეს იგივეა, მზის დაბნელება თვალზე ხელის აფარებით სცადაო...

ბრაზოთან ერთად მსუბუქმა გულისრევამ წამოუარა. სარკმელს მოშორდა და საკარძლის ვეერდით ვრაგნილს მიაკრა თვალი. აი, თურმე რად ჩაუმწარდა დილა! ეს ბარათი უკანასკნელი წვეთი იყო რისხვის თასში. საკარძელში ჩაესვენა, ვრაგნილი უწადინოდ აიღო და გაშალა. ის, რაც აქ ეწერა, აგრიპამ აღრევე იცოდა, რადგან იუდეაში ჩამოსულისთანავე შესდგომოდა წინასწარმეტყველთა ნააზრევის შესწავლას. ბერძენ ფილოსოფოსებთან შედარებით, ებრაელთა ქადაგები ნამდვილი ბალღები ჩანდნენ, მაგრამ პოლიტიკური სიბრძნე ისულებულს ხდიდა, მათ ბნელმეტყველებას ბოლომდე ჩაჰყოლოდა. ძალზე ხშირად ხმამ მოჩვენებითი იდუმალების მიღმა შფოთისა და ჯანყისადმი. მოწოდება იმალება! და აგრიპაც მოთმინებით ცდილობდა, ერთი შეხედვით უწყინარ ტექსტში სავარაუდო პოლიტიკური სვლა ამოეცნო.

ახლაც გულდასმით გადაიკითხა ვრაგნილი და ხელი მორიგი ამდაუბდა შერჩა. თუნდაც ეს სტრიქონები რად ღირს!

ნაწერი გაასწორა და მოლუშულმა ჩაყოლა თვალი ასოებს, პერგამენტზე შავ ობობებად რომ იჯაგრებოდნენ.

„ადამიანი ჩელის ცეცებით დაეძებს ამქვეყნად სავალს, მაგრამ უფლის ნათლის გარეშე მისი სვლა ბრმისას ემსგავსება. ვიკითხოთ, მეუფეო, რად ხდება ასე? პასუხი მხოლოდ მან უწყის, ვისაც სიყვარული მადლი მოეფინა და დვთაებრივი ჭეშმარიტება შეიცნო. უწყოდე, მეუფეო, რომ ბედისწერას მინდობილი ადამიანი მძლეველია და ადრე თუ გვიან უფლის მიერ შექმნილი ეს ხილული სამყარო, სადაც თვალი ავახელეთ, ბნელეთის სამეფოდ წარმოუდგება მის მწუხარე მზერას.

და ეს იმიტომ ხდება, რომ უარვყავით უფალი ჩვენი, ღმერთი სიყვარულისა, ვის ხილვასაც ყოველ წამს სასოებით უნდა მოველოდეთ. ნურც შენ შეგაკრთობს მისი ხილვა, მეუფეო, ნიადაგ ემზადე ნათელფენისათვის და მაშინ მიხვდები, რომ უზენაესის ხილვა, დიად განსაცდელთან ერთად, დიდი და განუზომელი სიხარულია...“

ტეტრარქმა კითხვა შეწყვიტა, საკარძელს ღონემიხდილი მიესვენა. იუდეის მეხუთვარე მზე თავბრუს ახვევდა, ჩვილივით უმწეოს ხდიდა. ასოება კვლავ უდაბნოს შავი მორიელებივით ‘ამოძრავდნენ და უძილობით მოქანცულმა ტეტრარქმა თვალები დახუჭა. ახლაც ხედა, რა უმადურ საქმეს შეუდგა, როცა იმპერატორის მიერ შემოთავაზებული წინადადებას დაეთანხმა და იუდეის უსისხლო შემორიგება მოიწადინა. პირველად დაეჭვდა, იქნებ სამართლიანობა და წესრიგი მხოლოდ პირობითი ცნებებია და სინამდვილესთან არაფერი აკავშირებთ, რაკი ყოველივე

ასე უმდგრადი და ცვალებადიაო. დღეს, როცა, უმეცრებით გატანჯული, წინა დღის კორესპონდენციებს არჩევდა, ამ ბარათისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ამ წუთას ყველაფერს მიხვდა. მცხუნვარე მზის ქვეშ მოლასლასე ბრბოდ და წოწოლაქუდიანმა მღვდელმსახურებმა მიახვედრეს. უეჭველია, მორგი შეოქმულება მზადდება, მას კი ნართაულად აფრთხილებენ! ფარისეველთა ზნეს იმდენად იცნობდა, რომ არ მოტყუებულიყო. ქადაგების კელი მხოლოდ ხრიკი იყო ბნელ ზრახვათა შესანიღბად. მმართველობის რამდენიმე თვემ ტეტრარქს უნდობლობა ასწავლა და, თუმცა ორმაგი თამაში ღლიდა, რაკი რომიც უნდა ესიამოვნებინა და ჯიუტი ფანატიკოსების გულიც მოეგო, აგრიპა ყოველთვის მზად იყო ქმედებისათვის. ახლაც რამე უნდა იღონოს, ვიდრე სასახლის გალავანთან შეყრილი ბრბო კვლავ უგუნურებას ჩაადენდეს! მათი ღრიანცელი ტეტრარქს გუნებას უშხამავდა. იდეალი რიდია, სამოსდაგლეჯილ და შეშლილივით თვალებანთებულ პატრიოტებს ხმა ჩააწყვეტინო! პრეტორიის მცველებს ბრბოს გაფანტვა არ გაუჭირდებათ, მაგრამ აგრიპა აქ სტუმარია და მისი ძალაუფლებაც კეისარიის საზღვრებთან თავდება. ტეტრარქმა ამოიხვნეშა. ახალი პროკურატორი ერთობ დამთმობი კაცი ჩანს. თავად კი ევრე არ ელოლიავება ამ უქნარათა კრებას! ბრბოს ხომ მუდამ გმირი სჭირდება, რათა ყოველი ამაო ცდა ამპერიის დამანგრეველ საქმედ გამოაჩინოს! და ამ ველურ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ოდესღაც უდაბნოში მოხეტიალე მწყემსის მიერ დადგენილ უთავბოლო ადათ მორჩილებენ და არა სამოქალაქო კანონმდებლობას, ძნელია ვინმეს სიმართლე გააგებინო. მხოლოდ არისტოკრატების მცირე ნაწილი ხვდება, რომ წინააღმდეგობა უაზრო და მავნებელია. ძველი, კულტურული ქვეყნები კარგა ხანია, რომის პროვინციებად იქცნენ. ვერც იუდეა ასცდება ამ ხვედრს, რაც მას, ბრწყინვალე და მოწინავე რომაული კულტურით აღზრდილ იუდეველს, სრულიად მართებული ეჩვენება. ერთი მუჭა ფანატიკოსები კი ქვეყანას სიბნელისაკენ ეზიდებიან, მუდამ მესიას მოელიან, ჰოროსკოპებს ჩხრეკენ და არც ტეტრარქს ივიწყებენ. ამკარად თუ ფარულად აგრძნობინებენ, რომ ხანდ ადრე ახლოა...

აგრიპამ გრაგნილი მოიხსნა და სავარძელს ჩაეჭიდა. თანამოძმეთა სარწმუნოებრივი დავა ყოველთვის სისულელედ მაჩნდა, რაკი მსოფლიო მოქალაქედ წარმოიდგინა თავი. რად უნდა შეიზღუდოს ამ ქვაღორღიანი ქვეყნით, ერთიანი სახელიც რომ არ გააჩნია? იუდეაშიც ხომ ისეთი ამბები ხდება, რაც იმპერიის სხვა კუთხეში. განა იმდენად მნიშვნელოვანია, სად იცხოვრებს? განათლებული და დახვწეული კაცისათვის მხოლოდ ერთი სულიერი სამშობლო არსებობს. აქ, იუდეაში, იგი მკაცრ მმართველად მიაჩნიათ, სინამდვილეში კი მისთვის პრინციპებია მთავარი...

ტეტრარქი სავარძელში გაიშოტა და ფეხები გაწვართა. მკერდში ერუ ტკივილი იგრძნო. შეეცადა, ტკივილს არ დაჰყოლოდა, ხელები მკერდზე დაისვენა და სუნთქვა შეიკრა. ეს ხერხიც საპატმროში ესწავლა, მაგრამ აღარც გარნდება შველოდა. ბრბოს ღრიანცელი სიმშვიდეს უკარგავდა. აგრიპამ ხელები მომუშტა, კბილები გააღრჭიალა. ბრბოსაც რომ ტიბერიუსივით ერთი თავი ჰქონოდა! მაგრამ ამ ჭრელ, უსახურ მასას ვერაფერს დაკლებ. მათი შეკავება დღითიდღე უფრო ჭირს. ბრბოზე მეტად კი იუდეის მცხუნვარე მზესთან ბრძოლამ მოქანცა. აქაური ჰავა ვნებდა, ოღონდ, ფიზიკური სისუსტესთან ერთად, უცხო და იდუმალ თრთოლასაც განიცდიდა. ამ გრძნობას საფრთხის შიშიც ახლდა, რაკი გონიერებას წალეკას უქადდა. იტალიისა და საბერძნეთის სახელგანთქმულ კურორტებზეც კი არ უგრძვნია ეს მწველი, ნეტარი და შაშით აღსავსე ტკბილ-მწარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრობა, მისტიკოსების აღწერილს რომ ჰგავდა. უდიდესი თავდავიწყების ჟამს, მაშინაც კი, როცა თრიაქით და გარყვნილებით დამძიმებული ლამობდა იმ კარიბჭის გაღმა გაედწია, რომლის იქით სხვებს შვება და ფიქრისგან თავისუფლება ეგულვოთ, მუდამ რაღაც აკავებდა, ვიღაც უხილავი და ფხიზელი ცენზორი ელობებოდა წინ და აგრიპამაც კარგად გაიგო, რომ ბედნიერება სულაც არ ნიშნავს ამქვეყნიდან გაქცევას. პირიქით, კაცი მაშინ ხდება დემონის მსხვერპლი, როცა გონების მოჩვენებითი ტირანიისაგან თავისუფლებას ელტვის. აზროვნება და ტანჯვა ერთია, არც ადამიანად ყოფნაა მთლად სასიამოვნო (აგრიპამ ძრწოლით გაიფიქრა, რაოდენ უგვანი ეა ამაზრზენია ეს ორ ფეხზე მოსიარულე არსება და რაოდენ ბილწია ის ენებებიც, რომელსაც ივი მორრილებს). მაგრამ გონებრივი ტანჯვა თავისუფლების საწინდარიც არის, იმ მიუწვდომელი თავისუფლებისა, რომელთანაც არც ღმერთებსა და არც დემონებს არაფერი ესაქმებათ. მხოლოდ გონებას შეეძლო თვითგვემის სიმწარე შეენელებინა, უწყინარი და უშფოთველი ირონიით შეერბილებინა ყოფიერების სასტიკი ხელები და საკადრისიც მიეზღო ზენაარ ძალთა მზაკვრული ჩანაფიქრისათვის, რიცა მათ ესოდენ საბარალო არსების შექმნა განზრახეს. მწარე და დაუზოგველი თვითირონიის მიუხედავად, აგრიპა ცინიკოსი არ იყო. დახვწილობა და მშვენიერების იღუმალი ალღო საამისად არ განაწყობდა. ქვეშეცნეულად სძულდა კიდეც ეს ტლანქი და უხეში ხალხი ორიგინალობას რომ იჩემებდა. შეუძლებელია, წარჩინებული და კულტურული ადამიანი ცინიკოსი იყოს! სულ ცოტა ხნით, თუნდ ერთი წამით, ზოგჯერ ცხოვრება მშვენიერია და თუ შემდეგ მას არყოფნის ბურუსი დანისლავს, ამ მშვენიერების ხსოვნა გაუმქრალი რჩება...

ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე, რაც ამქვეყნად დაჰყო, ტეტრარქს ორი მოგონება შემორჩენოდა, მისთვის სასწაულს რომ ნიშნავდა: მთვარიანი ღამე უდაბნოში და ვოგონის სახე, ბავშვობისას რომ უყვარდა. იუდეის მზით ტკბობაც ამ მოგონებათა თანაზიარი იყო, ოღონდ უკეთური და თითქოს დემონური ბუნებისა. აგრიპა მიხვდა, მისთვის ძვირფასი პიროვნულობის დაკარგვა რომ აშინებდა და წინაპართა საგვარეულო სენს — ამაოების კაშანს უღვიეებდა. ყრმობისდროინდელი ალტყინება ალარსოდეს მობრუნდება, ახლანდელი თავდავიწყება კი რომის დიდგვაროვან მოხელეს არ შეჰფერის.

ტეტრარქს სახე შეეცვალა, მწარე ღიმილმა ბაგე დაულრიცა. იმ წუთებს ველარ დაიბრუნებს! წუთებს, როცა ღამეული უდაბნოს პირისპირ იდგა და უეცრად ღმერთად იგრძნო თავი. მსგავსი რამ ალარასოდეს განმეორებულა. ალტყინებულმა ყრმამ მუხლებზე წამოიჩოქა, ქვითინით განერთხა უდაბნოს ქვიშას. მთვარის წყნარი და წყალივით მოლივლივე ნათელი არყოფნის სიმძიმილს ჰფენდა, მაგრამ რა ნეტარების მომვრელი იყო ამ იდუმალი არარსებობის შეცნობა! მაშინ ეგონა, ქვეყნიერების ჭაპს ჩაეხვია, უდაბნოს ქვიშა ბაგეებზე ეკვროდა, თითებით ქვიშასვე ეხეტეტებოდა და მომთაბარე წინაპრების გაორებულმა ნაშიერმა, ჭაბუკმა აგრიპამ ყოფიერების მიღმური არსებობა შეიცნო. ის იყო! არყოფნით არაფერი თავდებოდა, ხოლო სიცოცხლის ყოველისშემძლე ნიშატი, უეცრად რომ გამოეცალა ძარღვებიდან, თითქოს თითის წვერებიდან რომ ამოსწოვა უდაბნოს ქვიშამ, იმ სამყაროსეული ლანდების, იმ შორეული სამშობლოს სუსტი ფეთქვა იყო. აგრიპამ მხოლოდ წამით გაიგო ძახილი, მხოლოდ წამით შეეხმა არყოფნის ღუმელით აღბეჭდილი მოწოდება და ბნელით გასულრული უდაბნოს წიაღში ჩაიკარგა.

მერე კი, რაცა ბედის წყალობით რომის ქვეშევრდომად იქცა, რიცა მძლავრ, ნათელ და სიხარულის მომნიჭებელ ბერძნულ კულტურას ეზიარა, მოწოდების

ექო მისუსტდა და ალარც სმენია. აგრიპამ უდაბნო შეიძულა. ახლა იუდეის ვრცელი და შიშველი ტრამალები მისთვის შკვდარი, უსიცოცხლო, უნაყოფო მიწა-იყო და მის ხილვას ერიდებოდა. გუმანით გრძნობდა, თუკი უდაბნო შეიტყუებდა, თუ იუდეის მზე კლანჭს დასაბობდა, თავს ვერ დაიხსნიდა, რადგან წინაპართა საკვირველი სენი — ამაოების განუქარვებელი სევდა უკვე გვამში მოსდებოდა.

მზის ლაქა, მოზაიკურ იატაკზე რომ ლივლივებდა, ტეტრარქს ფეხზე მიელამუნა. აგრიპა შეკრთა, ფეხი მოარიდა. მაგრამ უგუნებობას და უმიზეზო კაეშანს ვერსად დაემალებოდა! წყენით გაიხსენა, რომ მალე პროკურატორთან შეხვედრა ელის და ისევ თავაზიან და მოიმენ რომაელ მოხელედ უნდა იქცეს. აქ, პროვინციაში, ბევრის მოიმენა უწევს. რაც ტეტრარქობა მიიღო, რომაელი ხელქვეითები ფარულ უკმაყოფილებას ვეღარ მალავდნენ. უფროსები ცივად ექცეოდნენ. წინა პროკურატორი არაფერს ეკითხებოდა, თუმცა რომაული კოლონიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი შემწყნარებლობა იყო. ახალი პროკურატორი თავაზიანად შეხვდა, მაგრამ აგრიპამ იგრძნო, რომ მისთვისაც მზოლიდ იმპერატორის ახირების წყალობით წარჩინებამიღებული ბარბაროსი იუდეველი იყო, რომელიც უფრო ხელისშემშლელ დაბრკოლებად უნდა მიეღოთ, ვიდრე სახელმწიფო მმართველობის ერთგულ ჭანჭიკად. აგრიპა ხვდებოდა, რომ უნდობლობის უფსკრულს ვერასოდეს ამოავსებდა და ბრაზი იპყრობდა. რა ამაო გამოდგა მისი ოცნება, იუდეაში საქმე ერთხელ და სამუდამოდ მოეწესრიგებინა! მას კვლავ არავინ არაფრად თვლის. თანამომძეებს რომის ლაქია ჰგონიათ, რომაელები კი ეჭვით უყურებენ, რადგან მისი სამშობლო ჯერაც ჯანყისა და შფოთის კლასიკურ ქვეყნად რჩება.

ერთადერთი იმედი იმპერატორია, ვისი ცივი სახე დარბაზის კუთხიდან შემოპყურებს. იმპერატორი ენდობა და ეხმის მისი.

და მანაც ერთგულება უნდა დაუმტკიცოს, რაც უნდა ილაპარაკონ პროვინციელმა ჭორიკანებმა და სარწმუნოებრივი ფანატიზმით გონდაბნელებულმა პატრიოტებმა. დრო მოვა და ყველა ჩახვდება მის ზრახვათა სიბრძნეს. ამჯერად კი მოთმინება მართებს. მოთმინება, რომ ბრბოს ყვირილს გაუძლოს, მის შინაგან სიმშვიდეს რომ აფორიაქებს. იოლია, სიტყვით თავისუფლება იქადაგო, საქმით კი არაფერი შეეგებლოს. დე, მოღალატე ეძახონ! წყევა და კრულვა არ აშინებს. რადგან საქმე ამქვეყნად ყოველივე არსებულის საფუძველთა საფუძველს შეეხება — გონიერებას.

„ბაშ, ასე, ჩემო გაიუს! მე აქა ვარ. ამ ველურ ქვეყანაში, უგნური ხალხითა და ფანატიზმით გარშემორტყმული, ჩემს სიკვდილს რომ ნატრობენ!“ — ტეტრარქმა გრაგნილი აღმართა, სახეზე თრთოლამ გადაუარა. მოეჩვენა, რომ წამით ქანდაკის უმოძრაო სახე შეირხა, მაგრამ ეს მხოლოდ მკვნიერი ჩვენება იყო — „მე მარტო ვარ, მაგრამ მარტოობა არ მაშინებს. რა არის ჩემთვის ბრბის ხმაური, როცა ვიცი, რომ ქვეყნის გადარჩენა მე ერთადერთს შემიძლია!“

ქანდაკის პირისპირ უძრავად იჯდა, მაღლა აწეულ მარჯვენაში ვრაგნილი ეჭირა და იმპერატორს ჩაციებით მისჩერებოდა. რწმენის მოზღვავება იგრძნო. იმპერატორთან გასაუბრებამ კვლავ რწმენა და სიმხნეევ მოაფინა, როგორც მაშველი სიგრილე იუდეის ცხუნვარებასთან ჭიდილში.

როცა ნახევარი საათის შემდეგ აგრიპა პროკურატორთან შესახვედრად გაემართა, სახეზე წელანდელი მღელვარების ნატამალიც ალარ ემჩნეოდა. ვრაგნილი იღლიის ქვეშ ამოეყო და რომელი დიდვაკეის ღინჯი და მრეზიმალი ნაბიჯით მიდიოდა, ვინლებით კი იმ ლა-

ინი პოეტის ციტატას იმეორებდა, პროკურატორთან საუბრისას რომ უნდა ეხსენებინა.

III

პორგიუს ფესტუსი, იუდეის ახალი პროკურატორი აგრიპას ბაღში ელოდა. სტუმარს გულღიად შეეგება, ჩარდახქვეშ ჩამოჯდომა შესთავაზა.

— ჩემმა წინამორბედმა ფელიქსმა, ტეტრარქი, ეს ბაღიღა დამიტოვა, სადაც კაცი ცოტა ხნით მაინც იქნება მშვიდად. რომში ტყუილად როდა მაფრთხილებდნენ, რომ აქ დიდი ჯაფა დამადგებოდა.

აგრიპამ პასუხი დაუგვანა, თუმცა საუბრის ეტიკეტი სამაგიერო გულითადობას ავალებდა. პროკურატორი ფესტუსი მის დუმილს, ალბათ, ბედის წყალობით განებივრებული კაცის ქედაღლობად მიიღებს, ტეტრარქს კი წყენა ვერ დაეძლია. წინამორბედი ფელიქსის შემდეგ, რომში ვადაზე ადრე რომ გაიწვიეს, ფესტუსი იუდეასთან დათმობის გზას ადგა, საჭიროშანო საქმეებს სინედრიონს გადასცემდა და დამნაშავეთა ბედსაც ხშირად მას ანდობდა. გულისხმიერი კილოც ოგივე დამობის პოლიტიკის შედეგი იყო. საუკეთოდ გასხლული კეპპაროსების ჩრდილში აგრიპას უეცრად ბრაზი მოერია. ფესტუსს ბაღის არქიტექტურითაც დაეშმო ალმოსავლეთისათვის, სირიულ ყაიდაზე მოეწყო. პატრონის რომაელობას მხოლოდ კეპპაროსების ხეივანი ამყოვანებდა. ამან გააღიზიანა და მოკლედ მოუჭრა:

— ვიდრე თქვენთან მოვიდოდი, იერუსალიმელი მოვდელმსახურნი შევნიშნე! რაიმე ცვლილებას ხომ არ უნდა ველოდეთ? იერუსალიმიდან რელიგიური ცენტრის გადმოტანას ხომ არ აპირებთ?

პროკურატორი შეიჭმუხნა. აგრიპამ კარგად იცოდა, იუდეველთა სარწმუნოებრივ საქმეებში რომი არ ერეოდა. სინედრიონს ხელშეუხებლობა იმპერატორის საგანგებო ედიქტით ჰქონდა ნაწყალობევი და ელოდა, რომ ფესტუსი ამ უფლებას მოიშველიებდა, მაგრამ პროკურატორმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— წარმოიდგინეთ, ტეტრარქო, თქვენი თანამოძმეების დავამ კინაღამ ნაღვლა ჩამიქცია! — ფესტუსმა განზრახ მდაბიური გამოთქმა ამოიშველია, თითქოს ტეტრარქს უფრო მეტად შეპარალებდა თავს. მაგრამ უეცრად გაზუმდა და მოსაუბრეს თვალი მოარიდა, რადგან მიხვდა, იუდეველობის ხსენება იმპერატორის მეგობარ ამ ბარბაროს მოხელეს დიდად არ ეამებოდა. დასახანებლად ღვინის კრატერს მისწვდა და სულმოუთქმელად გამოცალა.

— ძალზე ჩახლართული ამბავია! — წარმოთქვა უკვე მშვიდად, როცა კრატერი მაგიდაზე შემოდგა, — თქმას არც ვაპირებდი, მაგრამ ჩემმა კანცელარიამ ვერაფერი გაგწყო! — პროკურატორმა ხელები უმწეო თეატრალური ჟესტით გაშალა, — ორი წლის წინ ფელიქსმა ვიღაც რომაელი მოქალაქე, პავლუსი თუ ავლუსი იხსნა ბრბის ანგარიშწორებისგან და აქაურ საჭირობელეში ინახავდა. ამ დღეით კი იერუსალიმიდან დეპუტაცია მეწვია, რათა ის უბედური დავასჯევინო. წარმოიდგენიათ, რომ ორი წელი საქმე უპატრონოდ იყო მიტოვებული? რას იტყვიან პალატინზე? იმ კაცმა რომ იმპერატორთან იჩივლოს, უსაამოვნება არ აგვცდება, — ფესტუსის ხშირი წარბებიდან აგრიპას ორმა გამჭრიახმა თვალმა შემოხედა. რომაელი დიდმოხელის ცბიერმა და დაკვირვებულმა თვალმა, — ტეტრარქო, იქნებ, მოცალეობის ჟამს მაინც გასაუბრებიდით ამ კაცს, სინედრიონშიც თქვენს სიტყვას უფრო ენდობიან. ეშმაკმა, მეტისმეტმა გაჭიანურებამ ახალი ზღვლვარება არ გამოიწვიოს. ეს კი, როგორც ჩვენი იმპერატორის მეგობარს, არც თქვენ გაგახარებთ.

პროკურატორი დადუმდა და ღონიერი, მხედრული მარჯვენით ისევ ცარიელ კრატერს წაეტანა: „თუ მოინდომა, დაამსხვრევს“, — გაიფიქრა აგრიპამ და ტკივილი იგრძნო. იუდეაც ხომ კრატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივით ხელში ჰყავთ! ფესტოსთან საუბარმა საკუთარი გეზის უტყუარობა დაანახა. მას შემდეგ, რაც ღვინისაგან გამოსცლიან, იუდას აუცილებლად დამსხვრევენ. გადარჩენის იმედად ისღა დარჩენოდა, რომ ქანაანურ ჭურჭელში რომაული ღვინო ჩაესხა. იქნებ მაშინ მაინც გაფრთხილებოდნენ და შემოინახეთ. მაგრამ მღვდელმსახურთა უგუნური კაპრიზები ამ შანსს მინიმუმამდე ამცირებდა. ტეტრარქმა მაგიდის ქვეშ ხელი მომუშტა, სტოიკური შეუპოვრობით შეეცადა, მღელვარება დაეძალა.

ფესტოსმა სტუმარს ჭოჭმანი შეატყო, ისევ გულითადი კილო ირჩია.

— აჯანყებები ძვირი გვიჯდება. ხაზინა თითქმის დაცარიელდა. შემოსავალი განახევრდა. ლეგიონები მუდმივ მზადყოფნაში თუ არ ვიყოლიეთ, აქაურობას, სისხლი და ცეცხლი წალეკავს. ეს კი, მოგეხსენებათ, ტეტრარქი, დიდ ხარჯს მოითხოვს. მშიერი ჯარისკაცისაგან ხვირს ნუ ელი. ეგ კი არა, ლამის, ვეტერანთა შორისაც იფეთქოს უკმაყოფილებამ, ვისაც აქ მიწები დაუგიეთ. მოკლედ, თქვენი სამშობლო, ტეტრარქი, წესრიგის დასამყარებელ ხარჯსაც ვერ ანაზღაურებს! — ფესტოსის მზერა აგრიპას სულს უშფოთებდა. მიხედა, ორმაგი თამაშით ვითომცდა ამ დამოძმობ მოხელეს ვერ მოატყუებდა. რა ჩაფიქრეს? წეღანდელი წერილი მოაგონდა და ეჭვი გაუქლიერდა. ვინ უნდა იყოს ეს ავლუსი თუ პავლუსი, პროკურატორმა რომ ახსენა? აგრიპას მტკაცედ სჯეროდა, მღვდელმსახურთა ინტრიგაში გავებაონ და ბრძოლის დაწყებას აკვიანებდა, მაგრამ მეტი ლოდინი არ შეიძლებოდა. ფესტოსმა მის სულში ფთფურს თავი ანება და პირდაპირ ჰკითხა:

— აბა, რას იტყვით, ტეტრარქო, მოელაპარაკებით თუ არა იმ კაცს? — აგრიპამ ახლაც დაყოვნა.

მერე დინჯი, ფრთხილი კილოთი იკითხა:

— რა დაშავა? აჯანყების მოთავეა თუ რელიგიური მეამბოხე?

— ვგონებ, ერთიც უნდა იყოს და მეორეც, — ფესტოსმა კვლავ მხრები შეჰყარა, — თქვენს სამშობლოში, ტეტრარქო, რელიგია და აჯანყებულთა რწმენა დიდად არ განსხვავდება. მეც სწორედ ეგ მინდა, გაარკვიოთ და, საქმე თუ სამოქალაქო კანონმდებლობით გადაწყდება, ანგარიშს პალატინს გავუგზავნი...

პროკურატორმა სიტყვა აღარ დასარულა, მაგრამ აგრიპა მიხვდა, მოსალოდნელი ამბოხის პასუხისმგებლობას ფესტოსი ირიდებდა. თუ არადა, პატიმარს სინედრიონს გადასცემდა! აგრიპა ახლადა დარწმუნდა, რა ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო ეს პორგიუს ფესტოსი, აღმოსავლეთი რომ შეეყვარებინა, აღმოსავლურად გაკრეჭილ ბაღში იყდა და აღმოსავლური ქვეყნის სიმშვიდეზე ფიქრობდა! დიახ, აჯანყება გარდუვალია, რადგან ეს უჭკუო სინედრიონი რომაელი მოქალაქეს დასჯას ითხოვს! იმპერიის მიზეზი ეძლეოდა, იუდეა კიდევ ერთხელ ცეცხლითა და მახვილით გავლილი და გზად ყოველივე შემეხვა, რაც მცირე ხნის სიმშვიდეს მოეტანა! ტეტრორისა და სისხლის სიმძიმე კი მის მხრებს დაწვება. მისი. აგრიპას მხრებს ვისაც ისედაც მოლალატედ თვლიან.

ტეტრარქმა ბაგეები მოკუმა, სისხლი მოაწვა სახეზე. დილანდელი უგუნებობა ამ წუთებთან შედარებით უმნიშვნელო უსიამოვნება ყოფილა! საფიქრებლად დრო აღარ რჩებოდა. ეამი დადგა და თავად უნდა შეეტია.

— სიამოვნებთ, ფესტოს! თუ ვსურთ, ამ კაცს ვინახულებ, მაგრამ უნდა ვიცოდე, რა უფლებებს მატანთ. მინდა ვიცოდე, შემიძლია თუ არა, შეწყალება აღვუთქვა, თუ რომაული კანონმდებლობით დამნაშავე არ აღმოჩნდება.

ამჯერად ფესტოსმა დაუგვიანა პასუხი. პროკურატორის მოქრუშულ წარბებს ყოყმანი დაეტყო. ნუთუ ისევ ნართაული ლაპარაკი გაგრძელდება? არა უშავს, აგრიპას ეყოფა ძალა თამაშისათვის, რადგან იუდეის კეთილდღეობას ვერავის დაუთმობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ პროკურატორმა მხოლოდ ამ-ოიოხრა და მაგიდას ხელისგული მსუ-ბუქად დაჰკრა.

— გაინტერესებთ, სინედრიონს გადა-ვცემ თუ არა? ეგ საუკეთესო გამოსავა-ლი იქნებოდა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდე-ბა, რომ ის კაცი რომის მოქალაქეა.

— ვინ არის? იუდეველი?

— ვერაფერს გეტყვით, — ფესტოსმა კვლავ ამოიოხრა. — მე მგონია, შეცდო-მა იყო, როცა დაპყრობილ ქვეყნებს ეს-ოდენ გულუხვად მივუბიძეთ მოქალაქ-ეობის უფლება! — პროკურატორი გაჩ-უმდა და აგრიპას დაბნეულად შემოხე-და, — ამას თქვენ თავზე ნუ მიიღებთ, თქვენ ხომ იმპერატორის მეგობარი ხართ.

VI

სამხრობის ჟამს სასახლეში მობრუ-ნებული აგრიპა პროკურატორთან ნაუ-ბარის განსჯას შეუდგა. უპირველეს ყო-ველისა, უნდა გიერკვია, რაც ფესტოსმა დაუშალა და ბოლომდე არ უთხრა. ნუ-თუ მართლა არ იცოდა პატიმრის ამ-ბავი? აგრიპა ეჭვობდა, მოსალოდნელ აჯანყებასა და იერუსალიმელ მღვდელ-მსახურებს შორის უტყვარი კავშირი არსებობს და ამ ინტრიგაში მეც ჩართვ-ული აღმოვჩნდიო, მაგრამ ჯერჯერობ-ით აშკარა სამხილი ხელთ არ ჰქონდა. ფესტოსმა ბევრი რამ დაუშალა. თავის მხრივ, არც თავად გაუმხელია დილან-დელი ბარათის ამბავი. ახლა კი ჭოჭ-მანობდა. ფესტოსს უთოდ ეცოდინება. დუმილს აზრი არ ჰქონდა. ეს შეცდომა იყო და დროულად უნდა გამოესწორე-ბინა. მაგრამ აგრიპას სურდა, კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, სად იყო ინტრიგის სათავე: იერუსალიმში თუ იმპერატორის კარზე. ფესტოსთან საუ-ბარმა ტყუილად რიდი დაიჭვა. გარდა იმისა, რომ თანამომძეებს სძულთ, იქ, რომში, ბერძენი წარმოშობის კარისკა-ცთა შორის მრავალი მტერი ეგულება, რომელნიც დინტერესებულნი არიან, იუდეის მმართველად თავიანთი წრის კაცი ჰყავდეთ და ყოველმხრივ ეცდები-ან, იმპერატორის წინაშე ჩირქი მოსცა-ხონ. შურისა და პალატინისთვის ჩვეული ღვარძლიანობის გარდა, რომლის შხამიან ისრებს ვერ ასცდებოდა, ამ ამ-ბავში ოდინდელი და დაუძლეველი მტრობა იმალება. ელინოფილობის მიუხედავად აგრიპა კარგად ხვდებოდა, რა დაუნდობელი ბრძოლა იყო გამარაუ-ლი სასახლის კარზე პირველობისათვის ბერძნებსა და იუდეველებს შორის, რო-მელთაც წინა ორი იმპერატორის მმარ-თველობის დროს სწრაფად მიადწიეს წარმატებას. რომელები ხალისით უღ-ებდნენ კარს იუდეველთა ღვთაებებს, ყოველივე აღმოსავლური მოდად იყო ქცეული და ელადის დიდების მზე ნელ-ნელა მკრთალდებოდა. დიახ, ის ხალხი, ვინც დამპყრობელი ბარბაროსები თანა-მედროვე კულტურულ ერად აქცია და, ცნობილი პოეტის მოსწრებული თქმით, თავის მხრივ კულტურით დაიპყრო, თანდათან ჰკარგავს გავლენას რომზე. უეჭველია, იუდეის ტეტრარქად მისი დანიშვნაც დიდად არ გაახარებდათ. გა-ნა ყოველ წუთს არ გრძნობს ფარულ მუქარას და ყოველ ფეხს ნაბიჯზე ხა-ფანგს არ ხვდება. მხოლოდ გამჭრია-ხობისა და იგივე ბერძნული პოლიტი-კური სკოლის გამოცდილების წყალ-ბაა, რომ აქამდე თანამდებობაც და იუ-დეის სიმშვიდეც შეინარჩუნა. მაგრამ ზავი დიდხანს როდი რჩება ურღვევი. ეს თავად ზავის კანონია: სწრაფცვლებად-ობა და უხანონა. ადრე თუ გვიან მშვი-დობას ომი შესცვლის და მისი ეალია, ომის წინსვლა შეაჩეროს.

და თუმცა ჯერ კიდევ უგუნებობის ტყვე იყო, თუმცა კიდევ ერთხელ უაზ-ნოდ წამოუარა საგვარეული სენმა, აგ-რიპამ უადგილო კეშანი სძლია და ბერ-ძენი მდივანი იხმო.

ბერძენი მაშინვე გამოცხადდა.

აგრიპამ სამოსის ნაოჭებიდან გრაგ-ნილი ამოიღო, მდივანს დაანახვა.

— ეს ბარათი, ნიკოდემოს, გუშინ ვი-ღაც უცნობმა გამომივზავნა! ზედმეტია, გითხრა, რომ ამ კაცმა სასახლეში საი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმლოდ შემოადწია, რადგან სურდა, ინკოგნიტოდ დარჩენილიყო! — აგრიპამ გრაგნილი ორი თითით აკიწყალა, თითქოს მარმარილოს იატაკზე უძრავად გაშეშებულ ნიკოდემის საქმის სიმსუბუქესა და საკუთარი მიხვედრილობის სიმახვილეს უჩვენებდა, — თუ რისთვის, ამჯერად ეს არ გვაინტერესებს! საკვირაველია, რომ ჩვენი შეწუხება კიდევ ერთხელ მოისურვონ. ეფიქრობ, ხელი არ უნდა შევუშალოთ.

ბერძენმა დუმილით დახარა თავი. მდიენის სახეზე აგრიპამ მხოლოდ ქვეშევრდომული მორჩილება ამოიკითხა.

— ისე კი, ნიკოდემოს, შეუძლებელია, ბარათის მომტანი ვინმეს არ ენახა, — აგრიპამ თავზემოთ ასწია გრაგნილი, როგორც ამ დილით, როცა პროკურატორს ებაასებოდა. თან მის წინ გაშეშებული ბერძენი მოხელის ფერმკრთალ სახეს მაშტერებოდა, კანცელარიის მოხელის უპატრობითა და უძრაობით ფერდაკარგულ სახეს, — ბოლოს დ ბოლოს, ის კაცი დემონივით ან ქაჯივით უსხეულო ვერ იქნებოდა.

ნიკოდემოსის სახე კვლავ მშვიდ, კანცელარიული გულგრილობის ნიღაბს ინარჩუნებდა. აგრიპამ იმედი დაკარგა, რომ ამ გამხდარ მოხელეს რაიმეს წამოაცდევინებდა, მაგრამ ნიკოდემოსმა ანაზდად შუბლი მოიჭუხნა და თითქოს გახსენებას ცდილობსო, ყოყმანით წარმოთქვა.

— ამ დილით, ტეტრარქო, ყური მოვკარი. პრეტორიის მცველებმა ვიღაც ებრაელი ბიჭუნა შეიპყრესო. სწორედ მაშინ მიუსწრეთ, როცა ის ბიჭი კედელზე გადმოფოფხებულა. უბეში გრაგნილს მალავდა თურმე.

— გრაგნილს?

ნიკ. დემოსმა გულგრილად შეათვალიერა ტეტრარქის მაღლა აწეულ მარჯვენაში დახვეული პერგამენტი, თვალებში გამომკრთალი წამიერი აღგზნება ჩაუქრა, ტოკა მჭიდროდ შემოიხვია. აგრიპა მიხვდა, ნიკოდემოსს სურდა, საუბარში გამოეწვია და განზრახ მიუკერძოებელ მეთვალყურედ აჩვენებდა თავს. ამ წუთას აგრიპამ რომის ორბუნებოვანი სახე დაინახა, ნიკოდემოსის ნიღაბივით უძრავ სახეს წამით იმპერატორის მედიდურობა გადაეფარა. ამ ცვალებად, მოუხელთებელ იანუს ვერსად გაექცევა! უჩვეულო სიფრთხილე მარიგება, რომ არ წაებრძანებინა. ეკრძნო, როგორ დამძიმდა მის გარშემო ჰაერი. ინტრიგებთა და დაუნდობლობით გაჟღენთილ წყვდიადში ბრმასავით ხელისცეცებით მოუხდებოდა სიარული. გრაგნილი დაუშვა და ბერძენს საგანგებო სილაღით ჩაეკითხა:

— იმედია, ბევრს ვერაფერს შეიტყობდნენ ამ პატარა ონავრისაგან! აქაური პატრიოტები, ნიკოდემოს — დიდებიც და პატარებიც, ჩემთვის და თქვენთვის გაუგებარი ფანატიზმით გამოირჩევიან.

ბერძენის უსიცოცხლო სახეზე მოწითალო ლაქა გამოჩნდა.

— ბიჭი მართლაც, უჯიათო გამოდგა, ტეტრარქო. პროკურატორის ბრძანებით, მონათა სადგომში ჩაამწყვდიეს და ახლაც იქ არის. თუ გსურთ, მცველებს მოვაყვანინებ.

აგრიპამ ენერგიულად გაუქნია თავი. ვინ იცის, რა ჭორებს არ შეიხზავენ! ეგზა აკლდა, ჰეროდ დიდივთ ყმასთა მეულტის სახელითაც მოეხსენებინაო. თანაც ეს გაურკვეველობა მხსნელად ეკლინებოდა. ახლა მხოლოდ მოომინება სჭირდება, მისი მზრუნი კი თავს ისევაც გაამეღავნებენ.

— მადლობა მომიხსენებია, ნიკოდემს. მაგრამ პროკურატორის უფლებებში ვერ ჩავერევიო. ისლა დაგვრჩენია, ბარათის მომტანს მოომინებით ველოდოთ.

მდიენის წასვლის შემდეგ აგრიპა კვლავ პროკურატორთან საუბარს ჩაუფიქრდა. ტუსაღს მალე უნდა გაესუბროს, თუმცა მისი როლი ამ ფარულ ინტრიგებში ჯერაც ვერ აუხსნია. ვერც საიდუმლო სამსახურის იქმეებიდან. შეიტყო რაიმე. ერთადერთ საბოლოდ ისევ ჰატმორის წერილები რჩებოდა. ტეტრარქს არ გაჰკვირვებია, რომ ტუსაღი ეპისტოლეებით იქცევდა თავს — მამერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტინის ციხეში თავადაც ხომ ძველი დრიის ფილოსოფოსების მიბაძვით, ტრაქტატებს თხზავდა და გულს ამით იოხებდა. წერილის აღრესატებად ნაცნობები და ის მეგობრები ჰყავდა, ვინც კარგა ხანია დაივიწყა ან თავად მათ დაივიწყეს და მათი კეთილხმოვანი სახელები მხოლოდ სტილის გასაკვირჯიშებელ სათაურად თუ გამოადგებოდა. უსაქმობით შეელინებული ეს ავლუსიც, ალბათ, რომელიმე რელიგიურ ან ესოტერიკულ საკითხს თუ უტრიალებს — ღღეს თვით უბარი ვირების მარეკი ან ქალაქელი შარახვეტია, ფორუმისა და ბაზრის სტოას წინ რომ ირევიან, საკაცობრიო პრობლემებზე ფიქრობს და თავი მოვალე ჭგონია. საკუთარი ნაზრევი შთამომავლობას წერილობით შემოუნახოს. მისი საუკუნე ინტელექტუალური ჭარით არის სნეული და თვითშემეცნების ამ ულმობელი კერპის წინაშე ეერაფერს გახდები. პროტესტის ნიშნად ტეტრარქმა მსუბუქად ამოოიხრა. გუმანი კარნახობდა, იქნებ ტუსაღის მარტოობით შთაგონებული აღსარებაში თანამდროვეობის ჭეშმარიტი სული ჰპოვო და იმ მარადიული ინტრიგის სათავესაც მიაგნო, შემეცნება რომ ჰქვიაო, მაგრამ იმედ გაუცრუდა: ეს წერილები, ვიღაც რომაელთ რომ ეძღვნებოდა, მდარე ოპტიმიზმისა და უგემოვნო სიტყვათწყობის ნიმუშს წარმოადგენდა. სიმარდგვ რომ ითქვას, აგრიპა მეტს არც მოელოდა. წინასწარმეტყველთა ქადაგებებმა დიდი ხანია, ლიტერატურულ უგემოვნებას შეაჩვია, მაგრამ ეპისტოლეები მაინც ბოლომდე წაიკითხა. რაღა თქმა უნდა, აქ ახალი არაფერი იყო. ტუსაღი ვერც რელიგიური ორიგინალობით მოიწონებდა თავს. წერილები მთლიანად სექტანტური თვითგვემისა და ცოდვათა შენდობის მოწოდებით იყო გაჟღენთილი. როგორც ჩანს, ორი წლის პატიმრობას ტუსაღისთვის თავისი ტეფრი დაეშნია. ეპისტოლეს ავტორი დაჯინებით მიანიშნებდა ზეციურ გამოცხადებას, რაც მის წინაშე. ცოდვიანის და უღირსის წინაშე, უფლის ნათელი გაიხსნა და ჭეშმარიტება გარდმოეცინა. ხოლო აქქვეყნიური არსებობა წუთიერ და ამაო ძნელებეფიბად გამოუჩნდა. წერილის სერიოზულმა ტონმა აგრინა გაართო. ნაწერს სწორედ ეს სკეპტიკური, მახვილ ირონიასთან შერეული სიმსუბუქე აკლდა, ბერძენ ფილოსოფოსთა წიგნებს მზის სხივებივით ნათელ უმშვენიერეს ქმნილებებად რომ აქცევს. კითხვისას ეპისტოლეთა ავტორის სახე წარმოიდგინა — ჩია, სნეული ტუსაღი საკნის კუთხეში მიმჯდარა და აცახცახებული ხელით სტილეტს გასანთლულ დფაზე დაატარებს. მაგრამ რაოდენ დიდი იყო აგრიპას გაოცება, როცა პრეტორიელმა ჯარისკაცმა სასტიმროს კარი გაუღო და მის შესახვედრად ბრგე, ტანადი, აღმოსავლური სილამაზით გამორჩეული მამაკაცი წარმოდგა, იუდეველი სექტანტების უშნო სამოსი რომ არა, ამ კაცს პალატინის დიდებულთაგან ვერც გამოარჩევდა. ტუსაღს მიმოხრითა და თავდაჭერით ემჩნეოდა, რომ არისტოკრატთა სალონები მისთვის უცხო არ ყოფილიყო. აგრიპას მაშინვე თვალში მოხვდა პატიმრის სათუთი და მოვლილი ხელები. ბეჭდებთთ და მანაკიურით გამშვენიერებული ეს ხელები წარსულის დიდ მოქანდაკეებს უთუოდ აღტაცებას მოჰგვრიდა.

ტეტრარქმა ანაშნა და მცველი გავიდა. ტუსაღი თავდაზრილი იდგა, ძირს დაშვებული ხელები ნებით შეეტყუპებინა. მის პოზაში გარეგნული მორჩილებით ცუდად შენიღბული, მედიდურობა ოგრძნობდა.

აგრიპამ უბიდან გრაგნილი ამოიღო. ტუსაღს ახლო მიუტანა და მოღუშული დაეკითხა:

— იცნობ? განა შენი დაწერილი არ არის?

პატიმარმა მშვიდი მზერა შეაგება. მერე წყნარი და რბილი ხმით წარმოთქვა.

— არა, ტეტრარქო, მე არ დამიწერია.

— ნუ უარყოფ! შენი თუ არა, ვინმე შენი თანამომძმის დაწერილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველი კაცი მარტოოდენ საკუთარ თავზეა პასუხისმგებელი, ტეტრარქო! — პატიმარმა ნებებით ერთმანეთს შეტყუპებული ხელები ასწია და მკერდზე მიიკრა. — უფალმა ჩვენმა ყოველ მოკვდავს საიმისო ძალა მომადლა, რომ ცოდვათა აღიარება შესძლოს და სული განიწმინდოს.

აგრიპამ შენიშნა, რომ პატიმარმა სექტის საიდუმლო ნიშანი გამოსახა. მარჯვენა ხელით ქვეყნიერების ოთხივე კუთხე მიანიშნა, ბაგეებთან კი ლოცვას ჩურჩულებდა.

ტეტრარქმა გრაგნილი დაახვია.

— კეთილი, პავლუს! როგორც ვხედავ, აჯანყებასთან არაფერი გაკავშირებს, მაგრამ ვერ გამაცურე, იცოდე. მთელი შენი სიბრძნე აქ მიდევს, — აგრიპამ ხელისგული გამოშალა, — გაგრთხილდი, პავლუს! შენი ქადაგებანი იქნებ უფრო ურჯნი გამოდგეს, ვიდრე ყველა მოსალოდნელი ამპოხი.

ტუსაღმა ამჯერადაც გაუძლო ტეტრარქის მზერას. ერთმანეთს მინდობილი ხელები მკერდზე მიეკვეხებინა და აგრიპას მშვიდად შეჰყურებდა.

— მე მხოლოდ ღმერთს ვესავ, ტეტრარქო — წარმოთქვა ბოლოს. — ღმერთს ვემორჩილები და შენც ამასვე გირჩევ. თუ ყოველი კაცი ღმერთს შეუდგება, დედამიწაზე ყოველგვარი ამბოხი მოისპობა.

აგრიპა შეცბა. ტუსაღის დამაჯერებელი კილო ეპისტოლეთა ფიცხ ტონს არ ესადაგებოდა. იქნებ შეცდა და ეს კაცი დამნაშავედ ტყუილად მიიჩნია?! აშკარა სამხილი არც ამჯერად ჰქონდა ხელთ, ხოლო რელიგიურ საკითხებზე დაე, სანედრიონმა იფიქროს! გრაგნილი ალლიაში ამოიდო და შეეცადა, საუბრის თემა შეეცვალა.

— ვფიქრობ, აქ ურიგოდ არ მოწყობილხარ! როგორც ვხედავ, არც ვონებრივი მუშაობისთვის საჭირო პირობებს უნდა უჩიოდე! — ტეტრარქმა საკანში გაიარა და პატიმარს უცებ ჯიქურ მიადგა, — მითხარი, პავლუს, შენს სიკვდილს რისთვის ითხოვს ეს ხალხი, გალავანს რომ მოსდგომია? თუ ყოველგვარ ამბოხს უარყოფ, შენი თანამოძმენი ასე რამ გააგიჟა? რა გსურს, მითხარი!

ტუსაღის თვალებში წამით უცხო ცთომელი გაკრთა.

— ოდესმე იუდეაც ჭეშმარიტ გზას დაადგება, ტეტრარქო! მტკაცედ მწამს და მჯერა, ეს დღე მალე მოვა.

ტეტრარქმა გაიღიმა.

— რა ცუდად ვცნობია ხალხი, პავლუს! შენს ადგილას თავს უადგილო ოპტიმიზმით ვერ მოვიტყუებდი.

— კარგად იცი, ტეტრარქო, ბნელს მუდამ ნათელი მოსდევს. უფლისათვის კი ბნელი არ არსებობს. ბნელი მხოლოდ სინათლის არყოფნაა.

— ოჰო! — გაიკვირვა აგრიპამ, — არ მეგონა. თუ რელიგიურ საკითხზე კამათი მომიწევდა. თუმცა, მართალი გითხრა, პროკურატორმა სწორედ ამისთვის მთხოვა შენთან გასაუბრება. მაგრამ იმედი უნდა გაგიქარწყლო, პავლუს! მოკამათედ ვერ გამოგადგები, რადგან გამოუსწორებელი ათეისტი ვარ.

— ადრე თუ გვიან · შენც ეზიარები ჭეშმარიტ რწმენას, ტეტრარქო! ნუ გგონია, შენი ნებით ხარ ურწმუნო. ის კი არ უწყი, უფალი ჩვენი მაინც გაიძულებს, მის ფერხთით დაიჩოქო.

— რა გაეწყობა! ვიდრე ეგ დრო არ მოსულა, მანამდე ისევ ჩვენს ცოდვილ საქმეებს მივხედოთ, — აგრიპამ ხელი იმგვარად გააქნია, გლადიატორებს რომ აქებებდა ცირკში, — მართალი გითხრა, სულაც არ მინდა შენს წინაშე სასტიკ მსაჯულად გამოვჩნდე და იმ ხალხს ხახაში მიგცე. კარგად ხვდები, რაც მოგელის, თუმცა ჯიუტად არ გსურს, მიზეზი გაამხილო.

— ამქვეყნად ყოველივეს ერთადერთი მიზეზი ღმერთია.

— უგუნურო! — აგრიპამ იგრძნო, მოთმინებას კარგავდა, — საქმე ხომ შენს სიცოცხლეს ეხება. ერთი სიტყვაც საკმარისია და ეგ ბრბო ჯვარს გაცვამს.

— ვითარცა უფალსა ჩვენსა, — ტუსაღმა თავი დახარა და კვლავ საიდუმ-

ლი ნიშანი გარდაისახა. — სიკვდილი არ მაშინებს. ისინი კი მებრალება და არ მძულს, რადგან არ უწყიან, რას იქმან.

— მაგას კი ვერ დაგიჯერებ, პავლუს! — ტეტრარქს ბაგეებზე მჭმუნვარე ღიმილი დაანნდა, — როგორ თქვი, სიკვდილი არ მაშინებსო?! ერთიც ვნახოთ და, მართლა ჩამოგკიდეს ჯვარზე!

— შენ ამას ვერ მიხვდები, ტეტრარქო. შენ ხომ ღვთის რწმენა არ გამოგიცდია.

— სიამოვნებით ვიწამებდი, რომ შემეძლოს, მაგრამ ისევ ჩემი ცარიელი, ახრს მოკლებული თავისუფლება მირჩევია, თუმცა, შენ ხომ ეგ თავისუფლებაც საეჭვო გამიხდე! — ტეტრარქს ირთობდა ეს შემწყნარებლური საუბარი, ბრძოლის სიფიცხეს უფრო მეტად რომ ავრნობინებდა, ვიდრე ვლადიატორთა ცქერა, — მაგრამ რომ მოკვდე, ჯერ უნდა იცხოვრო! — ფილოსოფიურად შენიშნა მან, — ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უნდა იცოდე, რისთვის კვდები.

— ჩემთვის ნუ სწუხარ, ტეტრარქო. ჩემთვის ყოველივე გარკვეულია. შენს სულს ჰკითხე, როგორ და რისთვის ცხოვრობ.

—ჰმ! — აგრიპამ წარბი აზიდა, — მაშასადამე, პავლუს, მაინც მოახერხე და შენი რელიგიური რწმენა გამიზიარე. შენი აზრით, მე სისხლისმსმელი და სასტიკი მსაჯული ვარ, ვინც ძალაუფლებისადმი სიყვარულის გამო არავის ინდობს. და ეგ ცრუ აზრი რომ გაიფენტო, ხვალვე რომს წახვალ.

— რომს?

— განა არ გსურს. ღვთის სიტყვა იქაც მიიტანო? შენი პატივმოყვარეობისთვის სწორედ რომ მშვენიერი შემთხვევაა. ვფიქრობ, უარს არ იტყვი.

— მაგრამ, ტეტრარქო...

— ბოლოს და ბოლოს, პავლუს, — სიტყვა გაუწყვეტინა ტეტრარქმა, — ჩვენს შორის ხომ არც ისე დიდი განსხვავებაა. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ორივენი ერთ საქმეს ვემსახურებით: იმპერიის ძლევამოსილებას.

— მხოლოდ ზეციური მეუფეებაა ჭეშმარიტი. ხოლო ის, რასაც თქვენ ძლევამოსილებას ეძახით, უფლის წინაშე არარაობაა. — ტუსაღს ოდნავი მღელვარება დაეტყო, მაგრამ თავს სძლია — ნუთუ არ იცი, რომ ბოროტებას ემსახურები!

აგრიპამ ნელა გააქნია თავი.

— ჩემი ნათქვამი იქნებ მკრეხელობად გეჩვენოს, პავლუს, მაგრამ რატომღაც მგონია, ბოროტების მოსპობა ან ის, რასაც ბოროტებას უწოდებ, არც შენ გინდა. ხვდები, რას ვგულისხმობ? მაშინ ხომ შენს არსებობას აზრი არ ექნება. ტანჯვა თუ ვერ მიიღე, ეგ შენი ღვთიური თავისუფლება არარაობად გექცევა. — აგრიპამ შეიცადა და მერე გულგრილი ხმით განაგრძო: — იუდეის წინანდელი მმართველები ცუდი პოლიტიკოები იყვნენ. თქვენი ეშინოდათ და ჯალათს იხმარებდნენ. რას იტყვი, მე რომ წამეპულის უპირატესობა წაგართვა და რომს გაგამგზავრო?

— სადაც უნდა მომისაჯო წასვლა, მუდამ ღმერთთან ვიქნები. ღმერთს ვერ დამაშორებ.

— ჩემი ნება რომ იყოს, უდანაშაო წასვლას გირჩევდი. შენნაირი ხალხი აქ ხშირად მიდის. შენ კი რომი ირჩიე, მისი მოქალაქე ხარ, ამიტომ რომში წახვალ, თუმცა ეს ხომ ერთი და იგივეა! — ტეტრარქმა კვლავ გაიღიმა. — იმპერატორი უამრავ ადამიანს სიკვდილით სჯის, რათა საკუთარ პერსონას მნიშვნელობა შესძინოს. მართალი გითხრა, არ მესმის, სხვისი სიცოცხლით საკუთარი არსებობის განმტკიცება ან გაბათილება თუ შეიძლება, მაგრამ მინდა, შენი და იმპერატორის ბრძოლა ვნახო. თუ ბედმა გაგიღიმა, პავლუს, იქნებ სიკვდილიც ჰპოვო.

ტუსაღმა არ უპასუხა და აგრიპა მიხვდა, უპირატესობა მისი იყო.

— იქნებ ბედმა გაგიღიმოს, — გაუმეორა და პატიმრისკენ მიიწია, — მე კი ამას ვერ მიიტანდა, იუდეას ვერ დაგითმობ.

— ღვთის ნებას წინ ვერავინ დაუდგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა! — ტუსალმა თავი აიღო და მის მზერაში აგრიპამ ფანატიკოსის ურყევი რწმენა შენიშნა, — შენ სატანა ხარ, ტეტრარქო!

— ოღესღაც მეც მომეფინა ნათელი! — აგრიპამ ტოგა გაიღელა, თითქოს, პატიმრის ნათქვამი არც კი გაეგონოს. — ზუსტად ისე, როგორც შენს გამოცხადებაში ადწერ. მაშინ ვერ ვიფიქრებდი, რომ შენთან შეხვედრა მომიწევდა, თორემ იმ ამბავს მეც საგულდაგულოდ აღ-ვწერდი.

ტეტრარქმა სიტყვა ვეღარ დაასრულა, რადგან დილეგის კარს გალაკნიდან გამოტყორცნილი ქვა მოხვდა და ვიღაცის ყვირილმა მოაღწია.

— გესმის, პაველს! — აგრიპამ თითი აღმართა, სმენად იქეა, — ვიდრე ჩვენ აქ ზეციურ ამბებზე ვბჭობთ, ბრბო კვლავ მსხვერპლს ითხოვს! რა სამწუხაროც უნდა იყოს, ამჯერად ეგ მსხვერპლი შენა ხარ! შესაძლოა, მათ შორის მომხრეებიც გყავდეს. მაგრამ უმრავლესობას შენი სიკვდილი უნდა, რადგან შენი არ ესმით და ეშინიათ! — აგრიპა კვლავ პატიმარს მიუახლოვდა და დაჟინებით დააცქერდა, — ჩემს მეტი ვერავინ გაგიგებს. მე კი მესმის შენი და თავისუფლებას გისჯი.

პატიმარს ზურგი შეაქცია, კარისკენ წავიდა, როცა ტუსაღის ხმა მოესმა.

— შენ სატანა ხარ, ტეტრარქო!

აგრიპა შემობრუნდა, გაიღიმა.

— ოღესმე მეც ვიტყვი, რომ ამ ქვეყანას ჩემთვის ფასი არა აქვს! ახლა არა. ახლა რომს უნდა წახვიდე.

— მე აქ ვრჩები.

— აქ მე ვრჩები! — ცივად გაესწვეტინა ტეტრარქმა. — აკი გითხარი, ოღესღაც მეც მომეფინა ნათელი.

— მით უმეტეს, ტეტრარქო! თუ უფლის სიტყვამაც მოაღწია შენამდე...

— რა გითხრა! — აგრიპამ მხრები აიჩეჩა, — მტკიცებას აზრი არა აქვს. ეს იყო ნათელი და მეტი არაფერი.

— მაგრამ ღვთის ნება, ტეტრარქო...

— ჩუ! — აგრიპამ თითი მიიდო ტუჩზე. სახეზე ონავარული გამომეტყველება დაჩნდა, — მერე, საულ, მერე! — დაყვავებით, ებრაული სახელით დაბოლოშინა ტუსაღი და პასუხისათვის აღ-მოუცდია, საკნიდან გავიდა.

V

გრილ დარბაზში აგრიპამ კიდევ ერთხელ შეაჯამა ყველა შესაძლო არგუმენტი. შეიცადა, წვრილშინაც არ გამოპარვოდა, რათა მოსალოდნელი ტრაგედიის შედეგები ადრევე ამოეცნო (ბერძენ ფილოსოფოსთა ის ცნობილი აზრი, ქვეყნიერებას თეატრის არენად რომ მიიჩნევს, აგრიპას განსაკუთრებით ეძვირფასებოდა). ეს ტარსელი პაველსი მისთვის უკვე ნიღაბახდილი პერსონაჟი იყო. ახლა ისღა დარჩენოდა, სასაღლის კარის განწყობა შეეტყო და შესაბამისად ემოქმედა — მარტო პროკურატორს ვერ დაენდობოდა. მართალია, ფესტოსი მკაცრად იცავდა რომიდან მითითებულ კურსს, მაგრამ თუნდაც უნებლიე შეცდომის გამო შეიძლებოდა, გამოუსწორებელი მარცხი ეწვნიათ. სამოქმედო გეგმის შესადგენად დილის კორესპონდენციები გადაათვალიერა და გაუკვირდა, როცა სენატის დადგენილებებსა და ოფიციალურ უწყებებს შორის იმპერატორის წერილი არ დაუხვდა (როგორც ყოველთვის, სენატის დადგენილებები პურის ფასსა და პროვინციებში გადასახადთა სისტემას შეეხებოდა). სამაგიეროდ, პალატინის კანცელარია ატყობინებდა, იმპერატორი რომს არ იმყოფება და მიცდა გმართებთო. აგრიპა დიდ მნიშვნელობას არც ანდევდა ამ წერილს, მხოლოდ რამდენიმე საჭიროებიანი საკითხზე ითხოვდა განმარტებას. ივი უფრო იმ ამბავმა შეაშფოთა, ოფიციალური შეტყობინების მიღმა რომ იმალებოდა. ოუდეაში ჩამოსვლის შემდეგ აგრიპა რეგულარულად უგზავნიდა იმპერატორს მოკითხვის ბარათებს, მიმდინარე საქმეებს ამცნობდა, ზშირად კი რომელიმე საკამათო ფილოსოფიურ პრობლემაზე აზრს უზიარებდა. იმპერატორიც დაუყოვნებლივ პასუხობდა, რა-

ფან სულიერი ამლილობის ჟამს, — ეს ძალებს მოკვდავთა ენებანი არ აღელ-
ა ხშირად ემართებოდა, — მეეობრის ვებოდა. ტეტრარქს კარგად ახსოვს, რა
ეგეშში მისთვის იმედის ბოლო ნაცვა- ცივი დუმილით დაჰყურებდნენ სასახ-
ულელი იყო. აგრიპამ იცოდა, როგორ ლის ზეთავს შორეული ვარსკვლავები,
უფრთხილდებოდა იმპერატორი მათ გარს უტყვი და ბნელი სამყარო შემოს-
მეგობრობას და სწორედ ამ ორჭოფულ- დგომოდათ. ამაო იყო ყოველგვარი ძა-
მა უარმა შეაშფოთა. მიხვდა, პალატი- ხილი, ყოველი მოწოდება! ბნელი ღამე
ნის ცნობა უფრო უარესს მალავდა, ვი- თვით უმწვავესი ტკივილის ქვოსაც არ
დრე აქამდე ეგონა. აღარ ეეჭვებოდა, აბრუნებდა. აგრიპა მალე მიხვდა, დალუ-
რომ იმპერატორს მიზანთროპიის შემო- პვა რომ ელოდათ. მაშინ იყო, მხსნელად
ტევა სტანჯავდა და ქვეყანა არად ენაე- ტეტრარქობა მოეელინა, კოშმარულ
ვლებოდა. ტეტრარქმა ბეჭდიანი პერგა- ყოფას გამოეხსნა და მზის საუფლოს
მენტი დაიგდო და საფეთქლებზე ხელ- მიაშურა. მას შემდეგ იმპერატორის სუ-
ბი წაიჭირა. შეიძლებოდა გეფიქრა, ლიერ განწყობას მხოლოდ ეუწი, მოკ-
უოუოდ ნევრასთენიკი უნდა იყოთ, რათა ლე პასუხებით იგებდა. დღეს კი პასუხი
იმპერატორი გახდეთ! — ყველაფერი კი არ მოვიდა.
დემონური საუკუნის ბრალია. მხოლოდ და აგრიპა მარტო დარჩა. მარტო ამ
მან, ტეტრარქმა აგრიპამ იცის, იმპერა- ცბიერი, დემონური ქვეყნიერების პირ-
ტორის უცნაური ზნის მიღმა, ხშირად ისპირ, დროებით ტკივილი რომ დაუა-
საშლელეს რომ ემსგავსება, მარტოობის მა, მაგრამ ჭრილობამ მაინც ბოლომდე
ძრწოლაშეყრილი კაცის უსასოო შიში არ შეკრა პირი. ტუსაღთან საუბარსაც
იმალება. მხოლოდ მას, იმპერატორის თავდან აუშალა სატკივარი. აქამდე
ახლო მეგობარს შეეძლო განეჭვრიტა, ეგონა, გონიერებას ემსახურებოდა, მაგ-
რა უდრეკი ძალა სჭირდებოდა საკუთ- რამ ახლადა დარწმუნდა, ეს მსახურება
არ სიგიჟესთან ბრძოლას, მით უმეტეს, რა ხშირად ემსგავსებოდა ჯალათობას.
რომ უმიზეზო კაეშანი არც მისთვის დიდი ვერაფერი ნუგეშია, თუ ის კაცი,
იყო უცხო. ქვეყნიერება სისხლიან ცრ- ვის მოკვლასაც აპირებ, არამზადა და
კას არენას ჰგავს, ყველაზე ნაკლებ და- ბოროტია. მკვლელობას ვარდა გონიე-
მნაშავე კი (თუკი, საერთოდ აქვეყნად რებას სხვა გზა არ ჰქონდა წესრიგის
ვინმე შეიძლება დამნაშავე იყოს) იმ- დასამყარებლად. დღემდე ტეტრარქი
პერატორია. ტეტრარქს მოაგონდა დამ- ფიქრობდა, გონიერია ის, რაც სა-
ეული საუბრები ტუსკულანუმში, იმპე- ხელმწიფოს უკეთ მოწყობას წაადგებაო,
რატორის ვილაზე, რიცა ორიგენნ ცხა- მაგრამ ეს კლასიკური ბერძნული იდეა-
რედ მსჯელობდნენ ესოდენ საჭოჭმანო ლი, რომელიც რომმა აიტაცა და ზენ-
ამპეზზე, ამკამადაც რომ აღელვებს, ეიტს მიუახლოვა, აშკარად საჭოჭმანო
როგორი აღტყინებით ეჭიდებოდა მაშინ ჩანდა. მართალია, მისთვის არც ის იყო
ეს კაცი იმედის უმცირეს ფესვს, რა ახალი, რომ პიროვნებასა და საზოგა-
უნუგეშო ოპტიმიზმით ებღაუჭებოდა დოებას შორის გზა ვვამებზე გადადის,
ყოველვარ ნამცეცა შეგონებას, რათა მაგრამ იუდეის მმართველობის სისხ-
კაეშნის შემოტევის ჟამს უეცრად ძარ- ლიანმა პერიოდმა ადამიანური ქმედე-
ღვი არ გადაეხსნა. ბოლო დროს სულ- ბის უსუსურობაც ცხადად დაანახვა.
თა გადასახლების თეორიამ გაიტაცა და ნუთუ ეს ტარსელი პაულუსი მართალია
აგრიპაც აიყოლია, საეჭვო მისტიკოს- და ყოველივეს ღმერთი განაგებს?! ამ-
ბთან გაადა კაეშარი. ღამეებს სასახლის გვარი რწმენა ჰქონდათ დიდ ბერძენ
ბანზე ათენებდა, ტოგაშემოხვეული, ტრაგიკოსებსაც, მაგრამ მათი ღმერთე-
ტერასაზე მიკუნჭული ზეციურ ნიშანს ბი სასტიკნი და შურისმაძიებელნი იყვ-
ელოდა, რათა ღვთიური წარმომაფლო- ნენ. ეს უცნაური კაცი კი სიყვარულის
ბის დასტური მიეღო, მაგრამ ზეციურ და შენდობის ღმერთს ახსენებდა. ვინ

იყო მათ შორის მართალი? ამჯერად ტეტრარქს უშუალოდ ჭეშმარიტება რიდი აინტერესებდა. მას გუნება წაუხდინა თავად იმ ფაქტმა, რომ მის ნებას ვიღაც წარმართავდა. მაშასადამე, ის, რასაც აგრიპა ფიქრობს, უკვე ვიღაცის ნაფიქრია! ყოყმანით მიმოიხედა და ხელი გაუბედავად ასწია. ამ ხელსაც ვიღაც წარმართავს, რადგან სამყაროში ყოველივე ღმერთის ნებას ემორჩილება. ტეტრარქმა ნელა მოიშუტა და კვლავ გაშალა თითები. ღმერთი ვერ იგრძნო. შემდეგ დრმად ჩაისუნთქა და შეეცადა, ამოსუნთქვისას მაინც განეჭვრიტა უზენაესის ნება, ღმერთი არსად იყო. გონება ეჭვშეუვალად აღიარებდა, რომ სიცოცხლე უნივერსუმისაგან ეხოძა, მაგრამ ფაქტის გარდა ხელთ არაფერი რჩებოდა. თავად კი საღღაა ტეტრარქი აგრიპა, — მამით იუდეველი, აღზრდით და განათლებით კი რომაელი! ტუსალი ამბობდა, რომ მისი ღმერთისთვის ტომსა და წარმოშობას მნიშვნელობა არა ჰქონდა. არც ასაკსა და სქესს, აგრეთვე კანის ფერსა და სოციალურ მდგომარეობას. მაგრამ აგრიპას ამგვარი აბსტრაქტული ყოფიერების გააზრება გაუჭირდა. ბერძენი ტრაგიკოსები (ტეტრარქმა სიამით ამოიხვნეშა) გააფთრებით იცავდნენ ადამიანის თავისუფალ ნებას. აგრიპა გრძნობით მან ემხრობოდა. მაგრამ ვინება უტყუარი ლოგიკურობით არწმუნებდა, რომ ეს თავისუფლება ძალზე წაგავდა მონობას. ღმერთსა და ადამიანს შორის სამსხვერპლო ბომონია აღმართული. ტეტრარქისათვის ადმოჩენა იყო ის ღელ, როცა მიხვდა, რომ სამყაროს უზენაესი კანონი მსხვერპლშეწირვის კანონია. გრძნობა, რომელიც აგრეთვე ღმერთისაგან ეხოძა, ამ კანონს მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ განა ასე დიდად მნიშვნელოვანია, უარი თქვა გონებაზე და მხოლოდ გრძნობად სამყარო აღიარო ჭეშმარიტად! აქაც არანაკლები საფრთხე იმალებოდა. მთ, ვისაც გრძნობის ტირანია არ გამოუცდია, როდი იციან, რა უძირო უფსკრულისაკენ მიაქანებენ ვნების ქარები მოკვდავთა სულებს. განა გრძნობათა სფეროში კი ნაალებ სახტიკია მსხვერპლშეწირვის დემონი?! აგრიპამ თითები გაფარჩხა და თვალთან მიიახლოვა. ხელისგულზე მოელი სამყარო ეტეოდა. შემდგ სახეზე ხელები აიფარა და საკუთარ შინაგან არსებას მიაყურადა. შიგნით წყვდიადი იყო. ტეტრარქს სუნთქვა შეეკრა და თვალი გაახილა. მზის შუქი თვალს სჭრიდა და აბრმავებდა. დიახ, სინათლეც და წყვდიადიც ერთია, ერთი ბუნებისა, ხოლო ადამიანი — ბრმა და უსუფრო არსებაა, რომელიც შეუცნობელად აწყდება ჯრუ და გაუვალ კედელს. ტეტრარქმა კვლავ თვალი დახუჭა, თითქოს მის წინ აღმართულ კედელს გაურბოდა. ეს ჯრუ კედელი სიკვდილი იყო.

VI

ბრძი, რომელიც ორი დღე სასახლის გალავანს აწყდებოდა, შუადღისას პრეტორიელ ჯარისკაცთა რაზმმა გაჰფინტა. სამხრობის ჟამს აგრიპა პროკურატორმა მიიწვია და ოციოდე წუთი ეთათბირა. როცა უდანაშაულობის ვერდეტი მოისმინა, ფესტუსმა ტეტრარქს სხვა გადაუდებელ საქმეზე გაუბა საუბარი. აღმოჩნდა, რომ ტარსელი ქადაგის სიკვდილის გარდა, იერუსალიმის დეპუტაცია იმ მეამბოხეთა შეწყალებას ითხოვდა, კეისარიის დელეგებში რომ გამოეწვედიათ. კლასიკური ტალიონის პრინციპი, რომლითაც ადმოსავლური ზნეობრივი ადათი ხელმძღვანელობდა, ამჯერად საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ერთი კაცის სანაცვლოდ მღვდელმსახურნი აჯანყებულთა ჯგუფის შეწყალებას იმედოვნებდნენ. ამგვარი შემთხვევა კოლონიური მმართველობის ისტორიას არ შემოენახა. ექნებ შესაძლებელია, საქმე კომპრომისით მოვგვრდეს?! ფესტოსის ფრთხილმა ვარაუდებმა აგრიპა მიახვედრა, რომ საქმის მთელ სიმძიმეს ამჯერადაც მას ანდობდნენ. რატომ არ შეიძლება, ამბობდა ფესტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი, რომ მეამბოხენიც შეეწყალოთ, მით უმეტეს, რომ დეპუტაცია ტარსელი პტიმრივ დასჯას ითხოვს. ვინც, ტეტრარქის აზრით, სრულიად უდანაშაულია. მას იუდეველთა წყენა არ სურს. როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი და რომის კეთილმოსურნე მმართველობის წარმომადგენელი, ხალხის ნებას სათანადო პატივს მიაგებს. თუ ტეტრარქიც ამ აზრისაა, მეამბოხეთა შეწყალებაც შესაძლებელია.

იმ ხნის მანძილზე, ვიდრე პროკურატორი ლაპარაკობდა, აგრიპა თვლს ადევნებდა მისი ტოგის კალთას, ფესტოსის ხელის მოძრაობით რომ ირხეოდა. როდისღა აიწევა ის თხელი ფარდა, რაც ამ კაცს ნამდვილ ზრახვებს ჰფარავს? ფესტოსი აშკარად ცუდი პოლიტიკოსია, თუ ჰგონია, რომ თვალთმაქცური თანაგრძნობით ტეტრარქს მოატყუებს. აგრიპა მოქანცა ამ ნატიფი ზიკვრობის ცქერამ. ის აზრი, რომ მას დაჟინებით უპირისპირებენ იერუსალიმელ მდედლმსახურთ, შეთქმულების მხოლოდ საბაბს ხსნიდა. ინტრიგის სათავე კვლავ საიდუმლოდ რჩებოდა, ფესტოსი თითქოს გამოჰყოფს მას საკუთარი ხალხისაგან, ამავე დროს, რომისაგანაც აცალკევებს, რადგან აშკარად აგრძნობინებს, რომ პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ტეტრარქისაგან გარანტიას ითხოვენ. უარის შემთხვევაში, ხალხის უკმაყოფილება ისევ მას დაატყდება, ხოლო თუ მეამბოხეებს შეიწყალებენ, აჯანყება გარდუვალია. აგრიპას ძალზე ცოტა დროდ რჩება მოსაფიქრებლად. ფესტოსმა ერთი ინკვისიც გადმოუგდო, შეაპარა, იქნებ აჯანყებულთა ბელადსაც მოთათბირებოდთო, მაგრამ აგრიპამ მძიმედ გააქნია თავი. მას არ ენდობიან. ფანატიკოსებს საკმაოდ იცნობდა, რომ მოლაპარაკების შედეგი წინასწარ ამოეცნო. გონიერება დამარცხდა. დიახ, მარცხი აშკარა იყო და ბედს უნდა დამორჩილებოდა, უშიშარი, ფართოდ გახელილი თვალებით პირისპირ უნდა დამდგარიყო მკბილის წინაშე.

თათბირი მალე დასრულდა. სასახლის დერეფანში მძიმე ნაბიჯით მიმავალი ტეტრარქი სულიერ სიცარიელეს და უმწეობას გრძნობდა. იგი ყველამ მიატოვა. მარტოოდენ მცირე ინდიელი ჭიატებს დერეფნის ბოლოს, — ათინათის რუხი ლაქა, რომელსაც სინათლედ ქცევა არ უწერია. ტეტრარქმა ხელი გაიწოდა, სითბო ეძია და ვაიღიმა. გონიერება დამარცხდა. სად შეცდა? კედელს მიეყრდნო და სული მოითქვა. უფრო ადრე აუცილებლად შეეცდებოდა, მიზეზი ეპოვნა, მაგრამ ამჟამად მხოლოდ მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობას შეეპყრო. მიზეზი არ არსებობდა ისევე, როგორც არ არსებობდა დანაშაული და სასჯელი, მოვალეობა და ამპარტავნობა, გონიერება და უგუნურება. არის მხოლოდ კედელი, რომელსაც წამით შეგიძლია მიეყრდნო. კედელი უსასრულობისკენ მიემართება და თან მიგიყოლებს, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გაქვს, იგი საყრდენად მიიჩნიო. კედელი სხვამ ააგო, ვიღაც სრულიად უცხო და მზაკვარმა, ადამიანს კი ჰგონია, რომ თამაშის წესებს კარგად იცნობს და იმედი აქვს გამარჯვებისაც. აგრიპამ ხელით მოსინჯა მოჭიქული შორნეკეცი. ყველა კედელივით ესეც ყრუ და გაუდწეველია, ოღონდაც ბრბოს ყვირილი მაინც ატანს. ტეტრარქმა მაყურა. ახლაღა გაახსენდა, რომ ბრბო ლეგიონერებმა გარეკეს. მაშ, ვინღა გაჰკივის? ექო ყურებში მოაწვა, საფეთქელში ურაკუნებდა და ტვინის ჯურღმულში მიიწევდა. აღარაფერი არსებობს. მალე ყველაფერს ბნელი დაფარავს და მარადიული წყვდიადი ჩამოდგება. კვლავ კედელს მააშველა ხელი, რომ არ დაცემულიყო, დარბაზში შევიდა, სავარძელში ჩაესვენა და მდივანი იხმო.

ბერძენი ჩვეული ოპერატიულობით გამოცხადდა. მოთმინებით ელოდა, რას ეტყოდა ტეტრარქი, გამხდარი მარჯვენთ ტოგის ქობა ჩაებღუჯა. აგრიპამ წამით შეაჯო თვალი ბერძნის უსიცოცხლო სახეს. ახლა აღარც ის იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი, ვისი ჯაშუში იყო ნიკოდემოსი ან რას იტყოდნენ პალატინზე, როცა მის პოლიტიკურ კრახს შეიტყობდნენ. ტეტრარქმა თვალი მილული და სახეზე ხელები აიფარა.

— ნიკოდემოს! — ფრუ ხმით წამოიწყო, როცა სული მოითქვა. ჩემს სახელზე კიდევ ხომ არ მოსულა წერილი?

— არა, ტეტრარქო.

აგრიპას სმენას უსიამოდ მოხვდა ბერძნის მჭახე ხმა. თითქოს ახლაღა შეამჩნია, რომ მისი მდივანი ლათინურს ცუდად ლაპარაკობდა. ამ წამს ბერძენთა ყოვლისშემძლეობა სასაცილო ეჩვენა. რად ჭრონათ, რომ დაამარცხებენ? ამ ბრძოლაში თავიანთი კანონები და სიბრძნე ვერ გამოადგებათ, რადგან სხვაზე გამარჯვებამდე ყოველმა კაცმა ჯერ საკუთარი თავი უნდა დაამარცხოს.

ამ ფილოსოფიურმა სენტენციამ ტეტრარქს შვება აგრძნობინა, ნიკოდემოსს არეული მზერა მიაჭერო. მერე იმპერატორის ქანდაკს გადახედა.

— ალბათ, გახსოვს, გუშინ ბიჭი რომ ახსენე, — მძიმედ დაიწყო ტეტრარქმა, — რა ბედი ეწია? ისევ მონათა სადგომში ჰყავთ? მინდა, ენახო და ველაპარაკო. — ამას რომ ამბობდა, აგრიპა თან ნიკოდემოსის ნაოჭიან სახეს აკვირდებოდა. ბერძენმა სულ ერთი წამით გამოხატა ყურადღება, ზუსტად იმდენი ხნით, რამდენიც სიტყვის მოსმენას სჭირდებოდა. თავი მორჩილად დახარა და ვულგრლად წარმოთქვა:

— მესმის, ტეტრარქო.

შემდეგ მატრიალდა და მარმარილოს იატაკზე წაფლატუნდა. აგრიპამ თვალი გააყოლა. კვლავ სიცარიელის განცდა ჰქონდა და მარჯვენა ხელის თითებს ნერვულად კუშშავდა. მისი აზრით, ამ თითებს შორის მოელი სამყარო უნდა დატეულიყო, სამყარო რომელიც უცნაურად ხელიდან გაუსხლტა.

VII

ბიჭთან საუბარმა აგრიპაკ მოლოდინი არ ეაუმართლა. როცა ფეხშიშველა ყრმა დარბაზის კუთხეში გამოჩნდა, ტეტრარქი ჯერაც ვერ გამორკვეულიყო ბუნდოვანი წინათგრძნობისგან, თვალწინ კვლავ სიმბოლური მინიშნებანი რიალებდნენ და შუადღის ხვატს ერწყმოდნენ.

აგრიპამ ნიკოდემოსს ანიშნა და ისიც გავიდა. მერე ბიჭი მოიხმო.

ბიჭმა მორჩილად გადმოდგა ნაბიჯი.

— ახლო მოიწიე! — უბრძანა ტეტრარქმა, მაგრამ ბიჭი შეშინებული იდგა, ფეხი შეებორკა, — ნუ გეშინია, მიმიახლოვდი! — აგრიპა ცდილობდა, ალერსიანად ელაპარაკა, მაგრამ ამ მდაბიო არსებისადმი ზიზღი ვერ დაეშალა.

ბიჭი კვლავ მილურსმულივით იდგა. აგრიპამ მოთმინება დაკარგა, საუბრის ხალისი ჩაუქრა.

— რა გქვია?

ბიჭი დუმდა.

ტეტრარქი მიხვდა. ბიჭს ლათინური არ ესმოდა და ნათქვამი უთარგმნა.

— აგრიპა! — მკვირცხლად უპასუხა ყრმამ, თითქოს ეშინოდა, პასუხის დაგვიანებით ტეტრარქი არ გარისხებინა.

აგრიპა შეკრთა. ნუთუ ოინს უწყობენ? ბიჭს სახელი გაამეორებინა და ბაგე მწარე ღიმილმა დაუმანჭა. ეს ფაქტი იუდეის საბოლოო მარცხს მოასწავებდა. მალემრწმენი მისტიკოსი რომ ყოფილიყო, მაშინვე დაკითხვას შეწყვეტდა, უდანაშაულ განმარტოვდებოდა და არსებობას დუმილით გალევდა. ამის ნაცვლად, თვალები მილული და ბიჭს ჰკითხა, შენი მშობლები ვინ არიან და სად ცხოვრობენ.

ბიჭი ბორძიკით პასუხობდა. ტეტრარქმა შეიტყო, რომ ბიჭი იუდეველი იყო, ადრე მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და მხოლოდ ცოტა ხნის წინ გადმოსულიყვნენ იერუსალიმის გარეუბანში. აქ რას აკეთებს? ბიჭი კვლავ დდუმდა და შეშინებული მისჩერებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა, რომ მამის სანახავად ჩამოვიდა, სხვა შეთქმულებთან ერთად კეისარიის ღილეგში რომ გამოემწყვდიათ. ჯარისკაცებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც სწორედ მაშინ შეუპყრიათ, როცა მამამ სასაბიმროდან დაუძახა და ახლო მისვლა სთხოვა. რა დაუბარა? ბიჭს არ ახსოვდა. ჯარისკაცებს სწორედ მაშინ შეეპყროთ, მამის ძახილი რომ მოესმა და კედელზე აფოფხდა. მერე შოლტის ტკაცანი გაიგონა და ვიღაც ქერა ლეგიონერი მხარში სწვდა. ამის შემდეგ აღარაფერი ახსოვდა, სად მიიყვანეს ან რად შეიპყრეს. მას ხომ მხოლოდ მამის ნახვა უნდოდა.

აგრიპამ ნაძალადევი ყურადღებით მოისმინა ბიჭის ნაამბობი, მერე შეეცადა, საუბარი სხვა საგანზე გადაეტანა და უდაბნო ახსენა. ეშინია თუ არა ღმით უდაბნოში ყოფნისა? ან შეუძლია თუ არა, დიდი მანძილი აქლემზე ამხედრებულმა შეუსვენებლად გაიაროს? როგორ თავსაბურავს იხურავენ მომთაბარე გოგონები? სად შლიან კარვებს, როცა ახალ სამოვრებს მიადგებიან?

ბიჭი უნდობლად უყურებდა, მერე გაუბედავად ალაპარაკდა. აგრიპა ხარბად უსმენდა, მაგრამ ნანატრი ვრძნობა აღარ დაუფლებია. უდაბნო სამუდამოდ ჩაკკდარიყო მის სულში. ბიჭის არეული, მომთაბარეთა კილოზე წარმოთქმული სიტყვებიც ეხამუშა. ძალზე დიდი უფსკრული აშორებდა ამ ბიჭისგან. ან იქნებ უდაბნო მართლაც აღარ არსებობს, რადგან მასზე ცივილიზაციის ეცილოდვანმა ეტლმა გადმოიარა?! ტეტრარქი შეიჭმუხნა. ეს აზრი უადგილოდ მიიჩნია. ბიჭს ოქროს მონეტა გადაუგდო და ხელი აუქნია.

— წადი! — მიაძახა და სახე ხელებში ჩამალა. არ განძრეულა, ვიდრე ბიჭი არ გავიდა და დარბაზში დუმილი არ ჩამოწვა. ტეტრარქმა თავი აიღო. კვლავ მარტო იყო, მხოლოდ სასახლის გალავნიდან აღწევდა სუსტი ხმაური, ითქოს დილანდელი ბრბო ხმიანობსო, მაგრამ აგრიპამ ვერ გაარკვია, მართლა ბრბოს ხმაური ესმოდა თუ იუდეის ტეტრუნვარე მზე გამოსცემდა იდუმალ ბგერას.

VIII

იმავე საღამოს აგრიპამ შეთქმულთა სიკვდილით დასჯის განაჩენი დადასტურა, მერე წამოსასხამში გაეხვია და სასახლის ტერასაზე გავიდა. ხმელთაშუა ზღვიდან ბინდი მოიპარებოდა, თბილი საღამო იდგა, მაგრამ ტეტრარქს მაინც შეაძრივნა. როგორ იცხოვრის? პრეტორიანელთა ყაზარმებიდან გალეშილი ჯარისკაცების ღრიანცელი აღწევდა, სასახლის გადაღმა კი სიკვდილისჯილთა საკნებთან ხელახლა შეყრილი ბრბო ხმამაღლა მოთქვამდა.

ზოგჯერ მრავალხმიანი გოდება ანაზდად წყდებოდა და მაშინ ნიავს კედლის ნაპრალებში მიმალული ჭრიჭინების კრუალი მოჰქონდა. მზე, მხოლოდ მზე გადაარჩენს! ტეტრარქი ლიბანური კედლის მოაჯირს გადაეყრდნო, სიბნელეს ხარბად ჩააშტერდა. სასიკვდილოდ განწირულებმა მოთქმა განაახლეს, გალავნის იქით ერთმორწმუნენი გამოეხმაურნენ. აგრიპას მუქარა და წყევა შემოესმა. კოცონების შუქზე მორიალე ბრბოს ადრევე შეენიშნა ტერასაზე გადმოხრილი ტეტრარქი. ფანატიკოსები ჩირაღდნებს აქნევდნენ და ყვირილით ემუქრებოდნენ. უგუნურებ! განა თავად ბედნიერი არ იქნებოდა, მათი ბრმა რწმენა რომ ჰქონოდა! მარტო იდგა წყვდიადში მოზიმზიმე ბრბოს წინაშე და ყოყმანი ვერ დაეძლია. მათ მსხვერპლი სურთ. მხოლოდ მაშინ დაცხრებიან, როცა სხვისი სიცოცხლის ფასად საკუთარ უბადრუკ არსებობას განიმტკიცებენ. აქამდე აგრიპას ასე ძლიერ არ შესძულებია ბრბო, მის სახელს ექოდ რომ იმეორებდა ბნელ ღამეში. მათ სურთ, მუდამ ერთი კაცი იყოს მსხვერპლი და ეს უმაღლეს სამართლიანობად მიაჩნიათ, მაგრამ როდი იციან, რომ სამყაროს მსხვერპლშეწირვის კანონი განაგებს. ტეტრარქის აზრით, ბრბო დანაშავე იყო, რაკი არსებობდა, თუმცა და ნაშაულის პრობლემა დიდად არ აღელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებდა. მრავალ სხვა ადამიანურ ცოფილებათა დარად, ზნეობრივი თვითგვემა მრავე საცთურად მიაჩნდა, რადგან ჭეშმარტებას ისე არაფერი გვაშორებს, როგორც მორალის ცრუ საბურველი. ხვალ მაღლიერნიც იქნებიან, როცა მიხვდებიან, რა სისხლის წარღვნა ააცილა მეამბოხე ფანატიკოსების დასჯამ. მაგრამ ეს ხვალ იქნება. დღეს კი ბრბოს მის სახელს წყველით იმეორებს, მოღალატის სახელს, რადგან ტეტრარქი რომის ლაქია ჰგონიათ, ნამდვილად კი მან შედარებთ უვნებელი ბოროტება არჩია. ტეტრარქი წელში გაიმართა, მკერდზე ხელები დაიკრიბა. თუ ჭეშმარტებას ბოლომდე ჩაეძიებოდა, იქნებ მეამბოხეთა განაჩენი არც იმდენად სასტიკი გამოჩენილიყო. ბოლოს და ბოლოს, აჯანყებულებიც ქკვლილობასა და სისხლისღვრას ქადაგებდნენ. განა ასე მნიშვნელოვანია, მკვლელობის სურვილი თავისუფლების დაფნით შენიღბი?! აგრიპას ოცნება უსისხლო და მშვიდობიანი ზავია. ეს ყველას არ ესმის. მარტო იმ ტარსელმა მეოცნებემ გაიგო. ამიტომ იყო, უფიქლად რომ დაეთანხმა რომს წასვლას. ტეტრარქმა კმაყოფილებით და თითქმის პატივმოყვარული სიამოვნებით გაიხსენა ტუსაღთან შეხვედრა. მისი, როგორც მმართველის ღვაწლი ამგვარი უსახელო გამარჯვებებით იგება. ვინ მიხვდება, რა ფასად ფიორდა ქვეყანაში წონასწორობა! მიზანი კვლავ ცხადი და უცდომელი ეჩვენებოდა, მაგრამ სულის სიღრმეში წუხდა, რომ ბრბოზე ალმატებულების შეგნება მისთვის ბოლო დროს სიკვდილით დასჯის განაჩენის უფლებად ქცეულიყო. ტეტრარქს ეჭვი აწამებდა, ყველაფრის მსხვერპლშეწირვის კანონთ გამართლება ვეღარ ანუგეშებდა, რადგან თვით უზოგადესი კანონის შეცნობა ჭეშმარიტებასთან მიახლოებას არ ნიშნავს. ამქვეყნად მუდამ არის მსხვერპლი, მაგრამ მართებული იქნებოდა, არ ყოფილიყო. აგრიპას სიბნელეში ჩაეღიმა. ეს გიჟური ოცნება იყო, უფრო შლეგური, ვიდრე იმპერატორის წადილი, ქვეყნიერება საკუთარი ჭირვეული ნებისთვის დიმორჩილებინა თუმცა ისეთი ხალხიც მოიძებნება, ვისაც სჯერა. თუნდაც ეს ტარსელი პაველუსი. ტეტრარქს გულუბრყვილოდ რომ უმტკიცებდა ამქვეყნიური სამოთხის შესაძლებლობას! აგრიპა ისე ძლიერ მოეკიდა მოაჯირის ხარიხას, თითის წვერები ეტკინა. უეჭველია, ყოველგვარი უბედურება ადამიანური ზნის უცოდინრობისგან მომდინარეობს. მეორე მხრივ, გონიერება საყოველთაო კანონისადმი მორჩილებას ნიშნავს. დასაბამიდან ყოველი ფილოსოფიური სკოლა მორჩილებას სიბრძნედ მიიჩნევს. განუხორციელებელი უტოპია თუ წინასწარ აღიარებული მარცხი? ტეტრარქი შეკრთა, კვლავ წელში გასწორდა, თითქოს ეჭვის ზამბარამ სიმწრით გააშეშა. ამ წუთას მივიწყებულმა ფიქრმა გაუელვა, ალბათ, საჭიროა, უარი ვთქვათ ოდინდელ პატივმოყვარეობაზე და ჩავეჭიდოთ სიკვდილს, როგორც სამყაროს უზოგადეს პრინციპსო. წუთისოფლის ქიმერათაგან მხოლოდ სიკვდილი იყო ერთადერთი უცილობელი ფაქტი, რომლისთვისაც ანარიშის გაწევა ღირდა. სიკვდილის წინაშე თვით უმაღლესი გონიერებაც მკრთალდებოდა, ხოლო ყოველი ადამიანური ქმედება უაზრო ხდებოდა. ტეტრარქმა პროკურატორთან შეხვედრა გაიხსენა. სწორად მოიქცა თუ არა? განაჩენი არ ეეჭვებოდა, მაგრამ აქ, ტერასაზე, მოეჩვენა, რომ სიკვდილმისჯილნი ახლა უცნო სამყაროს ზღურბლზე იდგნენ, რომლის იქით მისთვის უცნობი ჭეშმარიტება იმალებოდა. ამ სამყაროს კარიბჭე ტეტრარქისათვის სამუდამოდ დაიხშნა. როგორ იცხოვროს? მოაჯირს გაშორდა, უკან დაიხია და ბრბოს ეიერდა. იმდენი პატივმოყვარეობა კიდევ შერჩენია, ვერავინ შენიშნოს, როგორ დუმორჩილებია კაპიტულაციის დაუძლეველ სურვილს...

როცა ცოტა ხნის შემდეგ სულიერი მღელვარებით მოქანცული აგრიპა ტერასიდან ჩავიდა, მთავრე სადარაჯო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკს წამოსდგომოდა. ჯარისკაცთა ყაზარმებში ღრიანცელი მინელდა. გალავანს იქით ჩაველფული კოცონები ციმციმებდნენ. სიკვდილმისჯილებიც მიყუჩებულიყვნენ, თუმცა კოცონთა ანარეკლსაც და მთვარესაც უკანასკნელად ხედავდნენ. მხოლოდ მას არ ეძინებოდა, რადგან ძილი საზარელ ჩვენებას უქადდა. იმ უზარმაზარ სამფლობელოში, რომელსაც იმპერატორის რომი ეწოდება, მრავალი მასავით მჭმუნვარე ადამიანი დეხტება ღამეულ სიბნელეში, ვარსკვლავთა ცთომილ ანარეკლს შორის და შემწეობას ელის, მაგრამ ვინ არის მასავით მარტო?! მარტო აზრის მტანჯველური უმწეობისა და ამაოების სიმძიმილის პირისპირ! და ვინ არის მასავით თავისუფალი?! მთვარის მცხრალ შუქზე თავისუფლება შეუძლებლად აღარ ეჩვენებოდა. მცირე ხნით კვლავ ფხიზელ, ცივ პოლიტიკოსად იქცა, ვისთვისაც ღმერთის ძიება და სულიერ საწუხარზე ფიქრი უქმი საზრუნავია. პეტრონიის ეზო ვადაირა და დილეგის კარს მიადგა.

IX

მცველებმა მაშინვე იცნეს ტეტრარქი. მცველთა უფროსმა თავად აიღო ჩირაღდანი და აგრიპას სიკვდილმისჯილთა საკნებისკენ წარუძღვა, სადაც აჯანყებულთა მეთაურები ჩაეშწყვდიათ.

ღრეფუანში ტეტრარქს კვლავ ის ხმადაბალი და ამაზრზენი გვრინი მოესმა, კეთსარიაში ჩამოსვლის დღიდან გულს რომ უღონებდა.

აგრიპა შეჩერდა. მოთქმას მიაყურა.

მცველთა უფროსს ეგონა, ტეტრარქი განმარტებას ითხოვსო და ჩირაღდანი საკნის კარს მიანათა.

— უცნაური ხალხია. სიკვდილს მოელიან და მაინც მღერიან...

— აღმოსავლეთში სიმღერით გლოვობენ, — თითქოს საკუთარ თავს გაეპასუხაო, მჭმუნვარედ წარმოთქვა ტეტრარქმა.

— სატირალი რაღაა! ადრე თუ გვიან, ყველა დავიზოცებით.

აგრიპამ თავი აიღო და ათისთავს დააკვირდა, თითქოს ეს ჯმუხი და ტლანქი კაცი ახლაღა შენიშნა.

— რა გქვია?

— დრუზუსი, ტეტრარქო.

— დიდი ხანია, აქ მსახურობ?

— ოთხი თვეა. სირიაში ორი თითი მომკვეთეს და სარეზერვო ლეგიონში ვირიცხებოდი. მანამდე ჩრდილოეთში ვიბრძოდი.

— სიკვდილით დასჯას თუ ესწრები?

— ეგ ჩემი მოვალეობაა, ტეტრარქო.

— შენ თავად რას ფიქრობ სიკვდილზე? ხშირად თუ გიფიქრია?

— ოთის დროს კაცს ბეტი რა საქმე აქვს, — დრუზუსმა გაიღიმა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა. — მაგრამ როგორღაც ისე ხდება, ფიქრს ბოლომდე ვერ გაჰყვები.

აგრიპა გუნებაში დაეთანხმა. ფიქრს მართლაც, ბოლომდე ვერ გაჰყვები!

— კეთილი, დრუზუს! ელეაზართან მიმიყვანე.

დრუზუსმა კვლავ მაღლა ასწია ჩირაღდანი.

— იმასაც სიკვდილი მიუსაჯეს?

— რად მეკითხები?

— ამბობენ, საშიში დამნაშავეაო, მაგრამ აქ წყნარად იქცევა. თავად დარწმუნდებიო, ტეტრარქო! მისი საკნიდან კრინტიც არ ისმის.

ღრეფუნის ბოლოს მიწურ კიბეს ჩაჰყვნენ და ჯურღმულში ჩავიდნენ. აგრიპას მოეჩვენა, ჰადესის პირქუშ საუფლოში ვეშვებითო, საიდანაც უცვლელი სახით ვერავინ გამოაღწევს. მამერტინის ციხე მოაგონდა, სადაც ადრე თავად იტანჯებოდა. იქიდან გამოსვლა მართლაც, ჰადესის ტყვეობიდან დახსნას ჰგავდა, ახლა კი თითქოს დრო შეკუმშულიყო და თავადაც მარადიულ პატიმრად ქცეულიყო.

ღრუზუსმა კარი შეაღო, ტეტრარქს შეუძღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკნის კუთხეში რუხი ლაქა მოჩანდა. ჩირაღდნის ალმა სიბნელეს მწოლიარე ტუსაღის დამონძილი სხეული გამოსტაცა.

— მარტო დავგტოვე! — ათისთავს უბრძანა ტეტრარქმა.

დრუზუსმა ჩირაღდანი კედლის რგოლში ჩაამაგრა და გავიდა. აგრიპას მოესმა, როგორ დაიხურა მის ზურგს უკან კარი და საკანი უეცრად აკლდამას დაემსგავსა. კედელი! ყველგან კედელია!

ტეტრარქმა ნაბიჯი წადგა, საკნის შუაში გაჩერდა. მოთმინებით ელოდა, ვიდრე პატიმარი წამოდგებოდა. ტუსაღს კი შემოსული, ალბათ, ჯალათი ეგონა და ადგომას აგვიანებდა, მაგრამ რიცა ტეტრარქი იცნო, წამოიწია და ნელა გაიმართა. მის ნაწამებ სახეზე აგრიპამ ყოყმანი შენიშნა. ფანატიკოსის მძულვარე გამოხედვა შიშნეულ დაბნეულობას შეეცვალა.

— მიცანი? — ყრუდ ჩაეკითხა ტეტრარქი.

ტუსაღმა ოდნავ ჩაქნია თავი.

— შენ ვინ არ გიცნობს, ტეტრარქო! — აგრიპას მის ხმაში დაცინვის კილო შეეხმა, მაგრამ შეეცადა, დინჯად ელაპარაკა. პატიმარს მზერა აარიდა და გულგრილად წაილაპარაკა.

— დიდი ხანია, აღარ შევხვედრივართ.

— დიდი ხანია, ტეტრარქო.

აგრიპამ იგრძნო, რომ მოთმინება ელეოდა, თავის შეკავება უჭირდა.

— გატყობ, არც ძალიან შეცვლილხარ! ისევ ის ჯიუტი მეამბოხე ხარ, — დაუსვა ტეტრარქმა.

— არც თქვენ შეცვლილხართ, ტეტრარქო! — იმავე დაცინვის კილოზე უპასუხა ტუსაღმა, — მას შემდეგ, რაც მკვლელობის გზას დაადექით.

ტეტრარქმა ჩვეული მოძრაობით მოშუშტა თითები. რისხვამ თვალი დაუნელა. იქნებ არ შემცდარა, ამ სიძულვილით ანთებულ კაცს სიკვდილი რომ მაუსაჯა? სტოიკური ძალდატანებით შეეცადა, რისხვა გაუნელებინა და თვითგვემის უეცარი სურვილით შეპყრობილმა, თავი დახარა.

— სიკვდილი მე მოგისაჯე, — მორჩილად წარმოთქვა და ხმა ჩაეხრინწა, — მითხარი თუ გეძულვარ.

— მეძრალები.

ტეტრარქმა თავი ასწია. პატიმრის დახეთქილ ხელებს დააცქერდა. ნუთუ მოესმა? ეს სიტყვა ტუსაღს არ უთქვამს, იმ შინაგანმა ცეზრომა წამოსძახა, უცნობი ჭეშმარიტების კარიბჭესთან რომ ჩასაფრებულა. მაგრამ სიბრალული ყველაფერი როდია. მასაც შეეძლო, საკუთარი თავი შეებრალებინა. ამ ჯურღმულში ამისთვის არ ჩამოსულა. როგორმე უნდა მოაზერხოს და, ვიდრე ეს კაცი კვლავ უცხო პატიმრად იქცეოდა, სიმართლე დასტყუოს.

ტუსაღს მიუახლოვდა და თვალი გაუსწორა, მის ხმაში კი იმედის ულერა მოისმა.

— მე შემიძლია, გაგანთავისუფლო. თუ აღიარებ, რომ სიკვდილი გაშინებს! გესმის, რას ვითხოვ შენგან! სიმართლე უნდა მითხრა. უნდა მითხრა, რასაც გრძნობ და განიცდი. მაშინ გაპატიებ. აქედან გახვალ და იუდეასაც მივტოვებ. ხოლო თუ დარჩენას მოისურვებ, თანამოაზრეებს ჩამოშორდები და მშვიდად იცხოვრებ. მე დაგიცავ, სიბერემდე უზრუნველყოფილი იქნები. ახლკი აირჩიე. დილამდე პასუხი უნდა შემატყობინო. უარს თუ იტყვი, კარგად იცი, რაც მოგელის.

— ვიცი.

— მაშინ დაფიქრდი, რასაც გთავაზობ.

— მზად ვარ, ტეტრარქო.

— მზად ხარ?

— მზად ვარ და ვერც აქაურობას მიეტოვებ.

— რაღა თქმა უნდა, სხვაგან ვის სჯერდებით! — ტეტრარქს წელდნელი ბრაზი მოერია. — თუ ქვეყანა არ აამტუტეთ, სხვა რა შეგიძლიათ! მაგრამ მე მაინც დაველოდები. ელიაზარ რაგორც გითხარი, დილამდე მოგიცდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდხანს ცდით ნუ შეწუხდები, ტეტრარქი. დილითაც ეგივეს ეუბნები.

პატიმრის გამხდარ სახეზე კვლავ ფანატიკოსის ამაყი და პათეტიკური გამომეტყველება აღიბეჭდა და ტეტრარქი მიხვდა, რომ წუთიერი უპირატესობა დაკარგა და ტუსაღი ხელიდან გაუსხლტა. ამ ნიღაბს ახლა ვერაფერი შეარყევდა,

— წეღან ტყუილად როდი გკითხე, თუ იცი, რა მოგელის-მეთქი! — უხალისოდ წამოწყო, თითქოს ვალს იხდისო, — შენ, ალბათ, ვერც ხვდები, როგორი სიკვდილი მოგისაჯეს!

— ბოლოს ხომ მაინც მოვკვდები. აგრიპას ტუსაღის პასუხი ეცნაურა. დრუზუსმაც ხომ წეღან ეგივე უთხრა! ადამიანურ სიბრიყვეს მართლაც არა აქვს საზღვარი. როგორ ეადვილებათ სიკვდილზე ლაპარაკი! თავი ისე უჭირავთ, თითქოს, საქმე ვიღაც უცხო კაცის სიცოცხლეს შეეხება.

და ტეტრარქს ჩვეული გაფრთხილება წამოსცდა.

— უგუნურო!

წამოსცდა და მაშინვე ინანა. მის წინ ხომ სხვა კაცი დგას და არა ტარსელი ქადაგი! თავადაც შეცდა, ეს სიტყვები, პავლესს რომ უთხრა, ტყუილად გაიმეორა. სასუსტეს არ აპატიებენ. წამით მოეჩვენა, სმენამ მომატყუაო, მაგრამ როცა ტუსაღის სახეზე კვლავ დამცინავი ვამომეტყველება შენიშნა, მიხვდა, რომ ჰადესის ბნელ ძალას აყოლილმა ეს სიტყვა მართლა წარმოთქვა. რაღა თქმა უნდა, არ აპატიებენ. ტეტრარქს ბაგე დაეჭიმა, ხელი გაუხვევდა.

პატიმარმა ტუჩი მოილოკა, ფეხი მოინაცვლა. მტაცებელს ჰგავდა. სისხლი რომ ეყნოსა.

— შენთვის უგუნური ვარ, ტეტრარქო, მაგრამ იცოდე, შენს ადგილას ყოფნას არ ვინატრებდი, — მის შემპარავ ხმაშიც მტაცებლის ფრთხილი თავდაჭერა იგრძნობოდა, — ვხედავ, როგორ გიწუხს სული! ვინდა, გითხრა, აქ რად მოხვედი? შიშმა მოგიყვანა. ოდესმე ხომ შენც მოკვდები.

— სიკვდილი არავის ინდობს, — ყრუ ხმით, სწრაფად შეაწყვეტინა სტუმარმა. — მე სხვა რამ მინდა შევიტყო. შენ შიში ახსენე. მაგრამ არა მგონია, ამაზედ რამე საფრთხე მელოდეს. ბოლოს და ბოლოს, შიშიც და ძრწოლაც დროის ამბავია. მინდა ვიცოდე, რა გაიძულებს, სიკვდილი ეძებო. ოღონდ თანამოძმეობივით ჯიუტ ლაპარაკს ნუ მოჰყვები. მინდა, სიმართლე მითხრა.

— ნებას დამრთავ, ტეტრარქო, ერთი რამ გკითხო! ისე დაჟინებით რად მოითხოვ, რომ გული გადაგიშალო? კარგად ვიცი, ამით არაფერი შეიცვლება. ჩვენ ხომ უცხონი ვართ.

— არც ისე უცხო, როგორც გგონია. მე მსურს გაგიგო და გითანაგრძნო.

— კარგი თანაგრძნობა კი გამოდის! — ელეაზარმა გაიცინა და ჭიანაჭამი კბილები გამოუწნდა. აგრიპას ადრევე შეემჩნია, რომ უდრეკ ფანატიკოსებს ცუდი კბილები აქვთ. — რაც უნდა იყოს, მე შენი ტუსაღი ვარ, ვისაც შენ სიკვდილი მიუსაჯე.

— ეგ არაფერს ცვლის. განა ადრე თუ გვიან აღსასრული მეც არ მომელის? ახლა ხომ ხედავ, ჩვენს შორის არც იმდენად დიდი სხვაობაა. ჩვენ ყველანი სიკვდილის ტუსაღები ვართ.

ელეაზარმა კვლავ ტუჩები მოილოკა, თითქოს, წყურვილს იოკებსო, მერე ნელა, შემპარავად წარმოთქვა.

— როგორც ჩანს, რომაული მჭევრმეტყველება კარგად შეგიისწავლია, ტეტრარქო, მაგრამ ამჯერად მე ვარ სიკვდილისჯილი და არა შენ.

— მე ხომ თავისუფლებასაც გთავაზობ.

— კარგად იცი, მაგ პირობის მიღება არ შემიძლია.

— და ამჯობინებ, სიცოცხლე დათმო მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაც ბოგანოებს თავისუფლება მოუნდომებიათ? მერედა, ვინ იცის, რა არის თავისუფლება?

— ყოველ შემთხვევაში, შენ არა, ტეტრარქო!

აგრიპას უეცრად თვალთ დაუბნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. მწარე ტკივილმა გული გაუხერა. მაინც არ დაინდეს. ნუთუ მისი არავის ესმის! თავს სძლია და მშვიდი ხმით ალაპარაკდა.

— ნუ ვიდავებთ. ამჟამად სულაც არ გთხოვ, შენი პოლიტიკური მრწამსი გამიზიარო. აკი გითხარი, ორივენი თანასწორნი ვართ-მეთქი. ხოლო თუ ზოგიერთ თქვენს წინასწარმეტყველს დავუჯერებთ, ჩვენ ორივენი ერთნი ვართ თუნდაც იმ თქვენივე ახალი თუ ძველი ღმერთების წინაშე.

— დიახ, ტეტრარქო, ოღონდ ეგ ჯალათისა და მსხვერპლის ერთობაა. დამეთანხმები, ცოტა უცნაურია, არა? — ტუსაღის ხმაში უჩვეულო სიანცე მოისმა და აგრეთვე იძულებული იყო, ამ კაცს ყურადღებით დაკვირვებოდა. ნუთუ მართლა სიცოცხლე არად უღირთ? ეს მიუტეველი სიმსუბუქე, აქამდე რომ უგუნურებად მიაჩნდა, ახლა შურდა და სანატრელი გახდომოდა. საოცარია, რომ სხვისი მოკვლის უფლება ჰქონდა დ საკუთარი სიცოცხლისა კი ვერაფერი შეეტყო! ტეტრარქს უეცრად გულზიდვამ წამოუარა, აქ გაჩერება აღარ შეეძლო. იგრძნო, რომ სძულდა ეს კაცი, როგორც ადრე თანამოსახელე ყრმა შესძულდა, თუმცა დიდი ძალდატანებით ცდილობდა, საკუთარ ორეულად მიეღო. თუნდაც ეგრე იყოს! თუნდაც მათი საკვდილით საკუთარ თავსაც ჰკლავდეს! კედელი ხომ არ ქრება, მოჩვენებითი, ცრუ კედელი, რომელშიც ვერანაირი ძახილი ვერ ატანს. სული შეეხუთა და სახე საშინელმა ტკივილმა დაუმახინჯა. კარისკენ შებრუნდა, რათა ღამეულ ჩვენებებს გაპქცეოდა, ტუსაღის სახე რომ მიეღო, მაგრამ ვიდრე გავიდოდა, საჭიროდ მიიჩნია, უეცრად მოვლენილი აჩრდილები გაეფრთხილებინა.

— ამქვეყნად ყოველი კაცი მსხვერპლია, — აგრეთვე გაუხარდა, რომ მისი ხმა მკაფიოდ ისმოდა საკანში. შვება იგრძნო, რაკი საკუთარ თავს და ყოველივე იმას, რაც აქამდე ხდებოდა, უტყუარი გამართლება მოუნახა. ამიტომ კვლავ დინჯად და წყნარად გაიმეორა: — უსუხური და საბრალო მსხვერპლი! და ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ არ ეუწყოთ, ვინ არის ჯალათი.

შემდეგ, თითქოს იმავე აჩრდილებს განაჩენსაც აცნობებდა, ყრუ ხმით დუმატა:

— მეც მსხვერპლი ვარ, ელეაზარ! ტყუილად ცდილობ, თავი შემაბრალო! ვიდრე ამას არ მიხვდები, ამ ჯურღმულში ჩარჩები! მე კი მეყო აქ ყოფნა! კმარა! თუ ჩემს წინადადებას ჩაუფიქრდები, დილამდე დრო გაქვს და შეგიძლია, პასუხი მცველთა უფროსის პირით შემატყობინო!

ტოვის კალთები აიკრიფა და კარში გავლაჯა. თითქოს მართლაც ჰადესის აჩრდილებს ვაურბოდა. ტეტრარქის ხურეს უკან, გამოღებულ საკანში ობლად ცემცემებდა ჩირაღი, რომლის წამოღებაც დევნილს დავიწყებოდა.

X

მთვარე, აქამდე სადარაჯო კოშკს რომ წამოსდგომოდა, ლილისფერ ბორცვებს მიღმა ჩაიმალა და პროკურატორის სასახლეს ხმელთაშუა ზღვიდან წამოსული კუპრი სიბნელე გადაეფარა. ღამის სივრცეშეში სუნთქვა აღარ ჭირდა. შეგეძლო, სავარძელში მჯდარიყავი და გათენებამდე მცირე ხნით წაეთვლემა, ვიდრე სიცხის მხუთრი ისევ დაუწვებოდა აქაურობას.

სარკმელთან გარინდული ტეტრარქი ძილმა წაიტაცა. სიბნელე მხსნელად მოევლინა და ისიც დაჰყვა, როგორც პატარაობისას კარვის კალთებქვეშ ძიძის ნანინას ემორჩილებოდა. დღემდე ახსოვდა, რა ტკბილად ეძინა ყრმას ბაგინშიც, აქლემებსა და ჯორებს შორის, კოცონთა ანარეკლსა და ვარსკვლავთა შუქზე. ყრმის გონება ნეტარ თვლემას შეეპყრო. სამყარო მაშინ ზღაპრულ და ახლად შექმნილ სამოთხედ ეჩვენებოდა. წუთით თითქოს კვლავ მოუბრუნდა ის საამო განცდა, სიბნელის წაღაში დრო შეიკუშშა და წარსული აწმყოდ იქცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უშფოთველმა ყოფნამ დიდხანს არ გასტანა.

დარბაზში ნაცნობი ფეხის ხმა გაისმა. აგრიპამ თვალი გაახილა და, როცა სავარძელთან გაჭიმული ნიკოდემოსი დაინახა, უმწეოდ ამოოლუღლუღა.

— რა მოხდა, ნიკოდემოს?

მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო. მდივანმა ტუსაღის პასუხი მოიტანა. ვინ ტუსაღია? ნიკოდემოსს სახეზე შეცბუნება დაეტყო. ნუთუ ტეტრარქს აღარ ახსოვს? განა თავად არ შეჰპირდა შეწყალებას? აგრიპას ახლაღა მოაგონდა პატიმართან შეხვედრა, მაგრამ ამ წუთას ეს ამბავი ისე შორეული და უმნიშვნელო მოეჩვენა, რომ ნიკოდემოსს არც კი ჰკითხა, ჩემთან რა დაგაბარესო.

მდივანი კარგა ხანს უხმოდ იცდიდა, ვიდრე ტეტრარქი ლაპარაკის ნებას დართავდა. მაინც რა დაბარა იმ საბრალო ფანატიკოსმა? უეჭველია, უარს შემოუთვლიდა? აგრიპამ სიბნელეში ჩაიქირქილა, თუმცა სიცილის ხმა არავის გაუგია. როგორი ამაყი სახით მიაღლიდა მცველთა უფროსს წყალწყალა და მდარე სიტყვებს! მისი აზრით, სიტყვებს სიძულველის ექო უნდა მოეტანა აქამდე, მაგრამ ტუსაღი შეცდა. სიტყვები გზად გაიბნა. ამაოდ ეცდები, შენივე პირიდან ამოსული სიტყვით სხვას სამართლე გაგებინო. ტეტრარქმა მოატყუა ტუსაღი. მისი უარი ჯერ დრუზუსმა მოისმინა, შემდეგ კი ნიკოდემოსმა გაიმეორა. და სიძულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირად გაურბოდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ის უკვირდა, რომ ვინებით წარმოსახული ამ წუთების საშინელება არც იმდენად საზარელი აღმოჩნდა. მარტო ფანტაზიაკენ დაქანცულობის და პირში ჟანგის გემოს გრძნობდა. გულიც კი არ უცემდა ისე სწრაფად, როგორც საფრთხის ან ხორცელი სიამის ჟამს ემართებოდა ხოლმე. იქნებ სიკვდილი არც იყოს ძნელი! ხომ მოიძებნება ამქვეყნად ხალხი, ვინც სიკვდილს არად აგდებს! ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ და სჯეროდათ. მართალია, სიტყვით ვერ მოატყუებ, მაგრამ ადრე თუ გვიან სიკვდილი მოვიდოდა და წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. უნდა დასწროს, ვიდრე მარცხის აღიარება მოუწევს, მაგრამ უნდა აღსრულოს ჩანაფიქრი...

ძირს დავარდნილ გრაგნილს დააშტერდა და დაიხარა, რათა იქ მაინც ეპოვა იმედის სხივი! იმ ტარსელმა მეოცნებემ ტყუილად ხომ არ გამოუგზავნა ეს ბარათი. მიხვდა, ტეტრარქს რა უკურნებელი კაშანიც ღრღნიდა და რადგან ქვთილ სულად მოჰქონდა თავი, ნუგეშის სიტყვასაც არ დაიშურებდა. ტეტრარქმა ჩაიქარქალა. კვლავ სიტყვები! სიტყვებს მხოლოდ ჰაერის შერხევა შეუძლიათ. აი, ასე! ტეტრარქმა ხელისგული გაიშვირა და ფრთხილად შუბერა. ხუნთქვასთან ერთად ყველაფერი გაქრება. მთელი სამყარო, რომელიც ხელისგულზე ეტევა, სიმწრით დაიგრიხა, გრაგნილი აიტაცა და ისე რომ არც დაუხედავს, სათარი გადაშალა და მსხვილი, ლათინური ასოებით წაწერა:

„De pro-Fundis. ურწმუნოსა და მარტოსულის აღსარება“.

შემდეგ სუფთა პერგამენტი მიიჩარა და იმ-ვე გაკრული ხელით, სანუკვეკელ კლასიკოსთა ერთგული თაყვანისმცემლის დარად და კეთილმხეანი რომაული მჭეკრმეტყველების ტრადიციის შესაბამისად, სწრაფად განაგრძო.

„ბაშ, ასე, ჩემო გაიუს! იმ წამიდან, როცა საკუთარ თავს შევეცნობთ, როგორც უსუსურ და უმწეო ქმნილებას სამყაროს მტრულ და უცნო ძალთა წინაშე, ჩვენს წინ აღიმართება ორი მტანჯველი კითხვა, ვით სცილასი და ქარიბდას ნისლივანი კლდე! როგორ და რისთვის ჩნდება ამქვეყნად ადამიანი და სად მიიცვლებაო, — აგრიპა შენერდა. მღელვარება განელებოდა, რაკი მოასწრო და დედაზრი უკვე ჩამოაყალიბა. ახლა მხოლოდ სიტყვები უნდა დაეწერა. სიტყვები, რომლებიც ფაქტს აღნუსხავდნენ. გრაგნილი ახლო მიიწია და ზედ წაიხუნა.

„მაგრამ ვიდრე პასუხის ძიებას შეუდგებოდეთ, მართებული იქნებოდა, გაგვერკვია, როდის და როგორ ჩნდება ეს კითხვები, რამდენად დროულია და ღირდა თუ არა საერთოდ, თავი შეგვეწუხებინა მათზე ფიქრით. გაგვერკვია, რამდენად საჭიროა პასუხის ძიება, რასაც ხშირად ემსხვერპლება ხოლმე კაცის სიცოცხლე. ვინაიდან არა არის რა უფრო მაცდური, ვიდრე წუთისოფლის საიდუმლოებათა შეცნობა. ამ საქმეში ფრთხილი და მოზომილი ქცევა გვმართებს, რადგან ყოველი კითხვა როდია პასუხის ღირსი და არც ყოველი მოლაყბის მოსმენაა საქებური. მისაბაძად მიმაჩნია იმ კაცის საქციელი, ვინც დუმილით ხვდება ყოველგვარ საოცრებას და მოთმინებით იტანს თანამოძმეთა ამაო ფუსფუსს: ხოლო იგი, ვინც ღრმად ჩასწვდა ადამიანურ ბუნებას, შეეცდება, განერიდოს და მოშორდეს ბრბოს ხმაურს, რაც ჩემთვის ამკვამად ძალზე საჭირაო“. — აგრიპამ მიაყოლა, მაგრამ გალავანს იქით სიწუმე გამეფებულიყო. — „აქ, იუდეაში, მსგავსი რამ მოდად ითვლება და, მართალი გითხრა, ბოლო დროს, ეს ბარბაროსული ჩვეულება მხბალავს კიდეც, მაგრამ ვინც ერთხელ მაინც იხილა უდაბნო, უთუოდ შეძრწუნდება და ზეციურ გამოცხადებასაც ამაოდ დაელოდება. დიახ, მეგობარო, რაოდენ ფუჭია და ამაო ჩვენი იმედი მარადიული ხსნისა, მაშინ, როცა უხილავმა ძალებმა მოგვანიჭეს სიცოცხლის სიხარული, მზის შუქი, ვარსკვლავთა ცრემლი და ზღვის მარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანი სილურჯე. ოღონდ ნუ მიიღებ ჩემს სიტყვებს რიგით ნუგეშად. იგი მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ ნეტარი გრძნობისა, რასაც სამყაროს სიდიადის გამო განვიცდით. და რა მწარეა ცხოვრება კაცისა, ვისაც ამ მშვენიერი სამყაროს ბრწყინვალება დააეჭვებს?! დახ, ეს ქვეყანა ჩემთვის საოცრებაა, მაგრამ არაფრის მთქმელი, ხოლო მრავალგვარი ფორმა სიცოცხლისა მხოლოდ სევდას მიმატებს ესოდენ უსარგებლო ნაღვაწის გამო. მერედ, რა გაუსაძლისია მარტოობა ჩვენი! ვინ არის ის უმაღლესი მსაჯული, ვინც მარადიული პატიმრობა მოგვისაჯა ამქვეყნად?! სწორედ აქ ჩნდება, ჩემო გიიუს, ცთომილების არსიც. რადგან არჩევანის გზა დაბშულია: არც სიკვდილი და არც სიცოცხლე ამ ფენომენს ნიღაბს არ ხდის, იგი უტყვია და უძრავი...

და რომელი ჩვენთაგანი გაბედავს თქვას, უცთომელი ვარო! ხშირად მსმენია საყვედური ჩემი სისასტიკის გამო, მაგრამ მათ, ამ უბადრუკმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მსხვერპლი და ჯალათი ცალ-ცალკე არ არსებობს. ჩვენ ერთნი ვართ, ოღონდ უბედობისა და ბედნიერების შეგრძნებით განსხვავებულნი". — აგრიპამ მიმოიხედა, თითქოს მოპასუხეს ეძებსო, მაგრამ დარბაზში არავინ იყო. მხოლოდ იმპერატორის ქანდაკი გამოჰყურებდა სიბნელიდან. ტეტრარქიც მას მიაჩერდა. თვალი გაუშტერდა, ხელებმა თავისით მოძებნეს კალამი.

„და აი, ეს სვეგამწარებული სული ძრწის და იძვრის ჩემში, რათა შეგუბებული სადინარიდან შვების ნაკადად გადმოიდვაროს. იმედია, არ იფიქრებ, ჩემო კარგო, რომ ჯერ კიდევ არ ძალმიძს თქვენებურ ტრადიციას მივბაძო და ექიმს ძარღვის გახსნა ვუბრძანო. მაგრამ ჯერ ჟამი არ დამდგარა, ხოლო როცა დრო მოაწევს, დარწმუნებული ვარ, სიკვდილისწინა წუთები აღსავსე სინანულითა და კაეშნით, იქნება უკანასკნელი კარიბჭე, რომლის იქით არ ეფინის დუმილი და არილია..."

ტეტრარქმა აგრიპამ დანაპირები აასრულა: იგი გამოცხადებას აღწერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეტრეველი

ღმერთო, არ მომაკლო

ცოტა მსურს,
სულ ცოტა რამის ვარ მსურველი:
ღმერთო, არ მომაკლო
ამ მიწის სურნელი,
ყოველთვის მესმოდეს ამ წყაროს
ჩხრიალი,
წინაპარს ვიგონებდე ავსილი ფიალით;
ლორთქო სამყურების ვტკბებოდე
სიცილით
და მქონდეს ღელეში ჩადგმული
წისქვილი;

„დი-დო, დი-დო“— მესმოდეს ძახილი
მწყემსის
და მომყავდეს წყვილ მოზვრით
მარხილი;
მეზობლის ეზოში ვხედავდე
პურ-მარილს,
წავიდე სტუმრად და მეც მყავდეს
სტუმარი;
არ გამომილიო მტერი და მოყვარე,
საღლავის გათხრაში შვილს ჰყავდეს
მომხმარე!

●

ღამემ დაყვინთა ქედების იქით,
ღილა დინჯად და ამაყად მოდის
და როგორც ჩემი ლამაზი ფიქრი,
ისე ირხევა ალუბლის ტოტი.

ეს დღეც ნათელი იქნება ჩემთვის,
ახალ წყალობას გაიღებს ღმერთი
და შევქმნი ახალს...
ყველაზე უფრო
მონატრული ვარ ახალი სიტყვის.

გული მტკივა

ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება,
საით მიდის ეს გზა ნეტავ?
კაი კაცი მენატრება,
გამყიდველს და მლიქვნელს ვხედავ.
ვიღაც ტირის,
კვნესის ვიღაც...
დაქრის ქარი,

არის ყინვა...
არ იშორებს მტერი ნიღაბს
და სატანას არა სძინავს!

ჩვენ კი
ისევ გზას მივყვებით,
გზას, ტაძრამდე რომ არ მივა...

●

ვრცელი მინდორი...
ქარი ქრის
და ეფერება ბალახებს,
მგონია, საიქიოშიც
ვიხილავ ასეთ სანახებს...

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე
სხვა რა მაქვს სადარდებელი,
სულ მალე ჩაიგრიალებს
ეს ბოლო მატარებელიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ გარსია მარკესი

გენერალი თავის ლაბირინთში

ჩანს, დემონი მართავს ჩემს ცხოვრებას.
(წერილი სანტანდერს, 4 აგვისტო, 1823 წელი).

მისმა ყველაზე ძველმა მსახურმა, დიდა, სახლში კი ოფიციალური კორტეჟი იკრიბებოდა. ხოსე პალასიოსი გენერალს შემშრალებაში დაეხმარა და შიშველ ტანზე პონჩო მოახურა, რადგან მას ხელებში მოქცეული თახი თოთებთან ერთად უკანკალებდა. რამდენიმე თვის წინათ, ნატის შარავალს რომ იცვამდა, რომლის ტარებასაც ლიმას ბაბილონური დამეების შემდეგ დაეჩვია, გენერალმა აღმოაჩინა, რომ წონაში კლებასთან ერთად ტანადაც ჩაავდებოდა. შიშველიც კი სხვაგვარად გამოიყურებოდა: ფერმკრთალი სხეული ჰქონდა, თავი და ხელები კი დასეტყვილს მიუგავდა. ივლისში 46 წელი შეუსრულდა, მაგრამ მის უხეშ, კარიბულ ხვეულ თმას უკვე ფერფლისფერი დასდებოდა, ნაადრევად დასუსტებულს ძვლებიც უწესრიგოდ გამოსჩროდა და მთლიანობაში ისე პატივაყრილად გამოიყურებოდა, რომ ფიქრობდნენ, მომავალ ივლისამდე ვერ მიაღწევსო. სამაგიეროდ, უმისამართოდ რომ დაბიჯებდა ოთახში, მისი მკვეთრი ჯესტები სხვა, უფრო ყოჩაღი კაცისას ჰგავდა. მდულარე ნაყენი ხუთი დიდი ყლუპით დალია, ბალიშ ბებერები დაუდგა, თან საკუთარ სველ ნაკვალევს გაურბოდა იატაკზე დაფენილ დაცხავებულ ჭილოფებზე. წამალმა გამოაცოცხლა, მაგრამ ხუთ

მისმა ყველაზე ძველმა მსახურმა, დიდა, სახლში კი ოფიციალური კორტეჟი იკრიბებოდა. ხოსე პალასიოსი გენერალს შემშრალებაში დაეხმარა და შიშველ ტანზე პონჩო მოახურა, რადგან მას ხელებში მოქცეული თახი თოთებთან ერთად უკანკალებდა. რამდენიმე თვის წინათ, ნატის შარავალს რომ იცვამდა, რომლის ტარებასაც ლიმას ბაბილონური დამეების შემდეგ დაეჩვია, გენერალმა აღმოაჩინა, რომ წონაში კლებასთან ერთად ტანადაც ჩაავდებოდა. შიშველიც კი სხვაგვარად გამოიყურებოდა: ფერმკრთალი სხეული ჰქონდა, თავი და ხელები კი დასეტყვილს მიუგავდა. ივლისში 46 წელი შეუსრულდა, მაგრამ მის უხეშ, კარიბულ ხვეულ თმას უკვე ფერფლისფერი დასდებოდა, ნაადრევად დასუსტებულს ძვლებიც უწესრიგოდ გამოსჩროდა და მთლიანობაში ისე პატივაყრილად გამოიყურებოდა, რომ ფიქრობდნენ, მომავალ ივლისამდე ვერ მიაღწევსო. სამაგიეროდ, უმისამართოდ რომ დაბიჯებდა ოთახში, მისი მკვეთრი ჯესტები სხვა, უფრო ყოჩაღი კაცისას ჰგავდა. მდულარე ნაყენი ხუთი დიდი ყლუპით დალია, ბალიშ ბებერები დაუდგა, თან საკუთარ სველ ნაკვალევს გაურბოდა იატაკზე დაფენილ დაცხავებულ ჭილოფებზე. წამალმა გამოაცოცხლა, მაგრამ ხუთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათამდე, სანამ მეზობელ სამრეკლოდან ზარების რეკვა არ მოესმა, ხმა არ ამოუღია.

„შაბათია, 30 წლის 8 მაისი, დღე, როცა ინგლისელებმა ისრით მოკლეს Guona dolarw“, გამოაცხადა მაჟორდომმა, „დილის სამი საათიდან წვიმს“. „მეჩვიდმეტე საუკუნის დილის სამი საათიდან“, დაუზუსტა გენერალმა მწარე უძილობის გამო ჯერაც ჩახრინწული ხმით და სერიოზულად დაამატა: „მამლების ყივილი არ გამიგია“.

„აქ მამლები არ არიან“, თქვა ხოსე პალასიოსმა.

„ აქ არაფერი არ არის“, თქვა გენერალმა, „ეს მოღალატეთა მიწაა“.

ისინი კი სანტა ფე დე ბოგოტაში იმყოფებოდნენ, შორეული ზღვიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე, შიშველი კედლებით შემოსაზღვრულ უზარმაზარ საწოლ ოთახში, რომლის ცუდად ჩაგმანული ფანჯრების ჭუჭრუტანებიდან შემოჭრილი მსუსხავი ქარი სულაც არ იყო სახარბიელო ვისიმე ჯანმრთელობისთვის. ხოსე პალასიოსმა სანის ქაფით სავსე თასი სარკის მარმარილოს სადგარზე ჩამოდო, მოოქროვილი სპარსი ინსტრუმენტებით სავსე ხავერდის წითელ ბუდესთან ერთად, შანდალი იქვე, ახლოს, კონსოლზე მოათავსა, რათა გენერალს საკმარისი შუქი ჰქონოდა და ცეცხლს შეუკეთა. შემდეგ ვერცხლის თხელჩარჩოიანი, ოთხკუთხამინეზრასმული სათვალე მაწოდა, რომელსაც სპეციალურად მისთვის ატარებდა ყილეტის ჯიბით. გენერალმა სათვალე გაიკეთა და ოსტატურად გაიპარსა მარცხენა ხელით, რადგან დაბადებიდანვე თანაბარი ოსტატობით ხმარობდა ორივე ხელს. ოითები, ორი წუთის წინათ ნაყენიან თასს ძლივს რომ აჭერდნენ, ახლა მიზანმიმართულად მოძრაობდნენ. პარსვა ბრმად დაამთავრა ოთახში ბოლთის ცემით, რადგან შეძლებისდაგვარად გაუბედა ხოლმე სარკეში ჩახედვას, საკუთარი თვალები რომ არ დაენახა. შემდეგ მკვეთრი მოძრაობით მოიგლეჯა ცხვირსა და ყურებში წამოზრდილი ბეწვები, უნაკლო კბილები ნახშირის ფხვნილითა და ვერცხლისტარიანი აბრეშუმის ჯაგრისით გაიწმინდა, ბოლოს პოხრო გაიხადა და მთელი ფლაკონი ოდეკოლონი დაიცალა თავზე, თან ორივე ხელით ძალის გამოცლამდე იზელდა ტანს. იმ დილით განსაკუთრებული უხეშობით ასრულებდა განბანის ყოველდღიურ ცერემონიალს და ამით ცდილობდა ოცწლიანი ამაო ომებითა და ძალაუფლების იმედგაცრუებით დაღლილი სულისა და სხეულის განწმენდას.

უკანასკნელი სტუმარი წინა ღამეს ეწვია. ეს მანუელა საენხა იყო, კეტოელი მეომარი ქალი, რომელსაც გენერალი უყვარდა, მაგრამ კუბის კარამდე არ გაჰყვებოდა. ქალს ევალებოდა გაერკვია გენერალი მის არყოფნაში მომხდარ ამბებში, რადგან იგი სხვას არავის ენდობოდა. გენერალი ქალს უტოვებდა რამდენიმე რელიკვიას, რომელთაც მხოლოდ ის ღირებულება ჰქონდათ, რომ მას ეკუთვნოდნენ, თავის საყვარელ რამდენიმე წიგნს და პირადი არქივით სავსე ორ ზანდუკს. წინა დღეს, ხანმოკლე ფორმალური გამოთხოვებისას მანუელას უთხრა: „ძალიან მიყვარხარ, მაგრამ კიდევ უფრო მეყვარები, თუკი ახლა მეტ ვინიერებას გამოიჩენ“. ქალმა ეს სიტყვები ერთგულების ერთ-ერთ ფიცად მიიღო, რაც ასე მრავლად ახსოვდა მწველი სიყვარულის რვა წლის მანძილზე. გენერლის ნაცნობებიდან მხოლოდ მანუელას სჯერდა, რომ ამჯერად მართლა მიდიოდა, ამავე დროს მხოლოდ მან იცოდა მიზეზი, რის გამოც მისი დაბრუნების იმედი ჰქონდა.

გამგზავრებამდე ერთმანეთის ნახვას აღარ ელოდნენ და მაინც, იქაურობის დაასახლისმა, დონნა ამალიამ გენერალისთვის სიურპრიზის გაკეთება მოინდომა და მხედრის ტანსაცმელში გადაცმული მანუელა უხუმრად შეაპარა უკანა კარიდან, რითაც ადგილობრივ ცრურწმენებს დასცინა. ისინი კარგა ხანია აღარ იყვნენ საიდუმლო საყვარლები და მათ ურთიერთობას არაერთი სკან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალი გამოუწვევია საზოგადოებაში, მაგრამ დიასახლისი ამ ჟესტით ოჯახის სახელს მოუფრთხილდა. ცუდი რომ არაფერი ეფიქრათ, გენერალმა უბრძანა ხოსე პალასიოსს, იმ ოთახში გამავალი კარი გაეღო, სადაც მსახურები მიმდიოდნენ და მისი ადიუტანტები ბანქოს თამაშობდნენ.

მანუელა ორი საათი უკითხავდა წიგნს. სულ ცოტა ხნის წინათ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდად გამოიყურებოდა, მაგრამ ხორცს ნელ-ნელა ეპარებოდა ასაკი. მეზღვაურების ჩიბუხს ეწეოდა, სამხედროების ვერბენას ლოხიონს ხმარობდა, კაცივით ეცცა და ჯარისკაცებთან მეგობრობდა, თუმცა მისი დაბალი ხმა სასიამოვნოდ ისმოდა სიყვარულის ბინდბუნდში. შანდლის კრთალ შუქზე კითხულობდა სავარძელში ჩამჯდარი, რომლის საზურგეზე ჯერაც შერჩენილიყო უკანასკნელი მეფისნაცვლის გერბი. საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი, ღამის პინჩოში გახვეული გენერალი პირადმა იწვა და მხოლოდ სუნთქვის რიტმზე ეტყობოდა, რომ არ ეძინა. ეს იყო ნოე კალსადილაის წიგნი „1826 წლს ღიმაშმ მოარული ჭორები და სიახლენი“. მანუელას თეატრალური პათოსი ძალზე უხდებოდა ავტორის სტილს.

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში მიწყნარებულ სახლში მხოლოდ მისი ხმა ისმოდა, მაგრამ ღამის პატრულის უკანასკნელი შემოვლის დროს უცებ კაცების ხმამაღალი სიცილი გაისმა, რამაც უბნის ძაღლების აღიაქოთი გამოიწვია. უფრო შეწუხებულმა, ვიდრე დაინტერესებულმა გენერალმა თვალები გაახილა. მანუელამ წიგნი დახურა და ცერა თითით ჩანიშნა.

„მეგობრები არიან“, თქვა.

„მეგობრები არ მყავს“, უპასუხა გენერალმა, „და თუკი კიდევ შემომრჩა რამდენიმე, მალე ისინიც აღარ მეყოლება“.

„ისინი თქვენ გიცავენ, რომ არავინ მოგკლათ“, თქვა ქალმა.

ამგვარად შეიტყო გენერალმა, რაც მთელმა ქალაქმა იცოდა. თურმე ერთი კი არა, რამდენიმე შეთქმულება მზადდებოდა მის წინააღმდეგ და მისი უკანასკნელი მომხრეები სახლს დარაჯობდნენ თავდამსხმელთა მოსაგერიებლად. შესასვლელი, დერეფანი და პატიო ვენესუელელი ჰუსარებითა და გრენადერებით იყო სავსე, რომლებიც კარტახენა დე ინდიასის ნავსადგურამდე უნდა გაჰყოლოდნენ გენერალს, საიდანაც იგი ევროპაში მიემგზავრებოდა გემით. ორ მათგანს საწოლი ოთახის კართან დაეგო ჭილოფი, დანარჩენები კი ბანქოს თამაშს განაგრძობდნენ, სანამ მანუელა კითხვას დაამთავრებდა. არეული დრო იყო და გაურკვეველი წარმოშობისა და ხასიათის ჯარისკაცებთან დაკომპლექტებულ არმიაში არავის ნდობა არ შეიძლებოდა. ამ ამბავს გენერალი მაინცდამაინც არ შეუშფოთებია და ხელით ანიშნა მანუელას, კითხვა განეგრძო.

სიკვდილი ყოველთვის პროფესიულ რისკად მიაჩნდა. ყველა ბრძოლაში ცეცხლის ხაზზე ტრიალებდა და სხეული ერთხელაც არ გაკაწვრია; ტყვეის წვიმაში ისეთი უაზრო სიმშვიდით დაბიჯავდა, რომ საკუთარი ოფიცრებიც კი ფიქრობდნენ, თავი უკვდავი ჰგონიაო. ასევე უანგბლად გადაურჩა მის წინააღმდეგ მოწყობილ უამრავ შეთქმულებას, რამდენჯერმე კი იმან იხსნა, რომ საკუთარ საწოლში არ ეძინა მუდამ დაცვის გარეშე დდიოდა და ყველგან შეუმოწმებლად ჭამდა ყველაფერს, რასაც სთავაზობდნენ. მხოლოდ მანუელამ იცოდა, რომ მისი სიმამაცე არც შეუვნებლობით იყო გამოწვეული, არც ფატალიზმით, უბრალოდ, მელანქოლიურად სწამდა, რომ საკუთარ საწოლში უნდა მომკვდარიყო ლატაკი და შიშველი და ნუგეშად ხალხის მადლიერებაც არ გაჰყვებოდა.

ერთადერთი, რაც იმ უძილო ღამეს შეცვალა, ის იყო, რომ ძილის წინ აბაზანაში არ ჩაწოლილა. ხოსე პალასიოსს კარგა ხნის მომზადებული ჭქო-

ნდა სხეულის გასაკაჟებლად და ნახველის ამოსაღებად სამკურნალო ფოთლების ნაყენით შეზავებული წყალი და ტემპერატურას დროდადრო არეგულირებდა ხოლმე, რათა გენერალს ნებისმიერ დროს მზად დახვედროდა, მაგრამ მან ბანაობა არ მოისურვა, მხოლოდ კუჭის მუდმივი შეკრულობის საწინააღმდეგო ორი აბი ჩაყლაპა და ლიმის გალანტური ჭორებით გადაწყვეტა დაძინება, მაგრამ უცებ ისეთი ხველა აუტეხდა, რომ მთელი სახლი შეზანზარდა. მეზობელ ოთახში მოთამაშე ოფიცრები შეჩქვიფდნენ. ერთმა მათგანმა, ირლანდიელმა ბელფორდ ჰინტონ უილსონმა ოთახში შეიხედა და საწოლზე პირქვე დამხობილი გენერალი იხილა, რომელიც შიგნეულის ამორწყევას ცდილობდა. მანუელას ტაშტზე ეჭირა მისი თავი. ხოსე პალასიოსი, ერთადერთი კაცი, რომელსაც ოთახში დაუკაკუნებლად შესვლის ნებართვა ჰქონდა, მზადყოფნაში გაშეშებულიყო საწოლთან. კრიზისმა რომ გაიარა, თვალებაცრემლებულმა გენერალმა ღრმად ამოისუნთქა და მაგიდისკენ გაიშვერა ხელი. „ამ საფლავის ყვავილების ბრალია“, თქვა. ასე იყო ყოველთვის, საკუთარ უბედურებაში მოულოდნელ დაძნაშავეს პოულობდა ხოლმე. მანუელამ, რომელიც სხვებზე უკეთ იცნობდა გენერალს, ხელით ანაშნა ხოსე პალასიოსს, დილით დაკრეფილი დამჭნარი ტუბეროზები ლარნაკიანად გაეტანა. თვალდახუჭული გენერალი პირადმა ამობრუნდა და მანუელამაც იმავე კოლოთი განაგრძო კითხვა. როცა მოეწვენა, ჩაეძინაო, წიგნი ღამის მაგიდაზე დადო, სიცხით გათანგულ შუბლზე აკოცა და ხოსე პალასიოსს ჩასჩურჩულა, რომ დილის ექვსი საათიდან დაელოდებოდა კუტერი ესპანასში სამუდამოდ გამოსამშვიდობებლად, საიდანაც ინდას გზა იწყებოდა. შემდეგ საველე მოსასხამში გაეხვია და ფეხისწვერებზე გავიდა ოთახიდან. მაშინ გენერალმა თვალი გაახილა და ხმადაბალ დაუთხა მაჟორდომს, „უილსონს უთხარი, სახლამდე მიაცილოს“.

ბრძანება შესრულდა მანუელას წინაადმდეგობის მიუხედავად, რომელიც დარწმუნებული იყო, მარტო უკეთ მი ვიდოდა სახლში, ვიდრე შეიარაღებული მცველის თანხლებით. ხოსე პალასიოსმა სანაურით მიაცილა საყინიბომდე. პატიოსნი, ქვის შადრევნის ირგვლივ, განთიადის პირველი ტუბეროზები იფურჩქნებოდნენ. წვიმამ დროებით შეისვენა, აღარც ქარი ზუზუნებდა ტოტებში, თუმცა გაყინულ ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ ჩანდა. პოლკოვნიკი ბელფორდ უილსონი დროდადრო პაროლს გასძახებდა ხოლმე დერეფანში ჭილიფზე მიწოლილ მცველებს. მისაღები ოთახის ფანჯრებს რომ ჩაუარეს, ხოსე პალასიოსმა სახლის პატრონი დაინახა. კაცი ყავით უმასპინძლდებოდა მეგობრებს — სამხედროებსა და სამოქალაქოებს, რომლებიც გასვლის წუთამდე უნდა მდგარიყვნენ სადარაჯოზე. საწოლ ოთახში დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ გენერალი ბოდავდა. უაზრო ფრაზებიდან ერთადერთი გამოარჩია: „ვერავინ ვერაფერი გაიგო“. მისი სხეული სიცხით იწვოდა და დროდადრო მყრალ და ხმაურიან გაზებს უშვებდა. მეორე დღეს თვით გენერალიც ვერ იტყოდა, ძილში ლაპარაკობდა თუ სიფხიზლეში, რადგან აღარაფერი ახსოვდა ხოლმე. ასეთ მდგომარეობას თვითონ „ჩემი სიცოცხლის კრიზისს“ უწოდებდა, რაც უკვე აღარავის აშფოთებდა. ვერც ერთმა ექიმმა ვერ გაბედა მეცნიერულად გამოეკვლია ეს პროცესი. მეორე დღეს, ფერფლიდან აღმდგარს, წინა ღამის ვაი-ვაგლახის ნიშანწყალი არ ეტყობოდა ხოლმე. ხოსე პალასიოსმა საბანი დაახურა, სანაურთი მარმარილოს სადგარზე ჩამოდო და კარის დაუხურავად გავიდა მეორე ოთახში, რათა იქ ედარაჯა პატრონისთვის. იცოდა, რომ გენერალი გამთენიისას გამოფხიზლდებოდა და სამკურნალო მცენარეების აბაზანას მიიღებდა ღამეული კოშმარების შედეგად დაკარგული ძალების აღსადგენად.

მძიმე დღე დასრულდა. დილით 789

ჰუსარითა და გრენადერებით დაკომპლექტებული გარნიზონი აჯანყდა და სამი თვის დაგვიანებული ხელფასის გაცემა მოითხოვა. უკმაყოფილებას ჭეშმარიტი მიზეზი კი სულ სხვა გახლდათ: მათი უმეტესობა ვენესუელელი იყო და ბევრმა მათგანმა ოთხი ნაციის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ უკანასკნელი კვირის მანძილზე იმდენი პროვოკაციული გამოხდომისა და შეურაცხყოფის ატანა მოუხდათ ქუჩებში, რომ არცთუ უსაფუძვლოდ სწუხდნენ საკუთარ ბედზე გენერლის სამშობლოდან გამგზავრების შემდეგ. კონფლიქტი სწრაფად მოგვარდა. მოთხოვნილი 10.000 ოქროს პესოს ნაცვლად ჯარისკაცებს საგზალი და 1000 ოქროს პესო დაურიგდათ და ისინიც თავიანთი სახლებისკენ დაიძრნენ მტვირთავი ქალების, ბავშვებისა და შინაური ცხოველების თანხლებით. თუმცა დოლის ბრახუნმა და საბრძოლო საყვირების ჭყვიტინმაც ვერ ჩაახშო ბრბოს ღრიანცელი, რომელიც მათ ძალღებს უქსოვდა და ათასგვარ სიბინძურეს აყრიდა თავზე. ასე მტრის ჯარსაც არასოდეს მოქცევიან. თერმიტი წლის წინათ, ესპანელთა სამსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, პილიგრიმის სამოსელში გადაცმულმა გაიძვერა მეფისნაცვალმა დონ ხუან სამანომ ამავე ქუჩებით, ოღონდ ოქროს კერპებით, ზურმუტტის თვლებითა და სხვა ძვირფასეულობით დატვირთულმა დატოვა ქალაქი, რომლის მოსახლეობა აივნებიდან ყვავილებს აყრიდა და გულწრფელად უსურვებდა წყნარ ზღვასა და ბედნიერ მგზავრობას.

აჯანყებულებთან მოლაპარაკებაში გენერალმაც მიიღო მონაწილეობა, ოღონდ ისე, რომ არც გასულა სახლიდან, როგორიც ომისა და საზღვაო მინისტრს ეკუთვნოდა. ბოლოს მეამბოხეებთან საკუთარი ძმისშვილი და ნდობით აღჭურვილი პირი, გენერალი ხოსე ლაურენსიო სილვა ვაგზალს დარწმუნებულმა, რომ ვენესუელის საზღვრამდე მეტი არეულობა აღარ მოხდებოდა. თვითონ მსვლელობისთვის აივნიდან არ უყურებია, მაგრამ დოლისა და საყვირების ხმა კარგად ესმოდა ბრბოს ღრიალთან ერთად, თუმცა სიტყვები ვერ გაარჩია. ყურადღება არც გაუმახვილებია. გადამწყვეტთან ერთად დაგვიანებული კორეს-პონდენციები გადაათვალიერა და წერილი უკარნახა ბოლივიის პრეზიდენტის, დიდი მარშლის, დონ ანდრეს დე სანტა კრუსის სახელზე, რომელსაც თავისი გადადგომის შესახებ ამცნობდა, თუმცა პირდაპირ არ მიუთითებდა, რომ საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას. „ცხოვრებაში ერთ წერილს აღარ დავწერ“, გამოაცხადა დამთავრებისთანავე. მოგვიანებით, სიესტაზე ოფლში რომ ცურავდა, ბუროსში შორეული ხმაური ჩაესმა და შეშინებულს გაღვიძება მაშხალების ტკაცუნში, რადგან ვერ მიხვდა, პიროტექნიკოსები ინდიმებდნენ თუ აჯანყებულები. დაინტერესდა, რა ხდებოდა და უპასუხეს, ფიესტააო. პირდაპირ ასე უთხრეს: „ფიესტაა, ჩემო გენერალო“, და ვერავინ, თვით ხოსე პალასიოსმაც ვერ გაბედა მოეხსენებინა, რას ზეიმობდნენ.

მხოლოდ მანუელასგან შეიტყო საღამოს ვიზიტისას, რომ ეს მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგები იყვნენ დემაგოგთა პარტიიდან, როგორც თვითონ უწოდებდა, ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და მის წინააღმდეგ ამხედრებდნენ ხელოსნებს. პარასკევი იყო, ბაზრობის დღე, რამაც კიდევ უფრო გააძლო პლასა მაიორზე არეულობის მოწყობა. გადაუღებელი წვიმითა და ჭექა-ქუხილით შეწუხებული მეამბოხეები საღამოს დაიშალნენ, მაგრამ საქმის გაკეთება მაინც მოასწრეს. წმინდა ბართლომეს კოლეჯის მოსწავლეებმა შტურმით აიღეს იუსტიციის დეპარტამენტის შენობა, რათა სახალხო სასამართლო მოეწყოთ გენერლისთვის, რის შემდეგაც ხიშტით აკუწეს და აივნიდან გადმოყარეს განმათავისუფლებელი არმიის ძველი მედროშის მიერ ზეიმში შესრულებული გენერლის ნატურალური სიდიდის პორტრეტი. სიმინდის არყით გაბრუებულმა

ᲑᲠᲝᲛᲘ ᲙᲐᲚᲘᲔ ᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗᲐ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲗᲐ ᲛᲐᲘᲜᲠᲩᲘᲗᲐ ᲓᲐᲑᲖᲠᲘᲗᲐ ᲜᲐᲑᲘᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲠᲚᲘᲡ ᲤᲝᲒᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲪᲘᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲣᲜᲓᲔᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲧᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲜᲝ. ᲛᲐᲗ ᲑᲠᲐᲚᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲓᲜᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲒᲖᲘᲐᲜᲘᲗ ᲪᲓᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲐ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ; ᲐᲠᲐᲚᲔᲠᲓᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲛᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲡᲣᲠᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲔᲛᲙᲘᲓᲠᲔᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ; ᲐᲢᲛᲙᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲗᲐᲮᲕᲔᲕᲐ ᲤᲐᲜᲯᲐ ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ; ᲐᲢᲛᲙᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲘᲡ ᲐᲤᲐᲠᲑᲓᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐᲚᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲗᲐᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲙᲘᲓᲚᲘᲗᲐ ᲡᲐᲜᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲙᲘᲓᲚᲘᲗᲐ ᲡᲐᲜᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲘᲔ ᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗᲐ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲗᲐ ᲛᲐᲘᲜᲠᲩᲘᲗᲐ ᲓᲐᲑᲖᲠᲘᲗᲐ ᲜᲐᲑᲘᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲠᲚᲘᲡ ᲤᲝᲒᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲐ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ; ᲐᲠᲐᲚᲔᲠᲓᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲛᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲡᲣᲠᲗ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲙᲔᲓᲚᲘᲗᲐ ᲡᲐᲜᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲙᲔᲓᲚᲘᲗᲐ ᲡᲐᲜᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲘᲔ ᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗᲐ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲗᲐ ᲛᲐᲘᲜᲠᲩᲘᲗᲐ ᲓᲐᲑᲖᲠᲘᲗᲐ ᲜᲐᲑᲘᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲠᲚᲘᲡ ᲤᲝᲒᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲐ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲙᲔᲓᲚᲘᲗᲐ ᲡᲐᲜᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲘᲔ ᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗᲐ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲗᲐ ᲛᲐᲘᲜᲠᲩᲘᲗᲐ ᲓᲐᲑᲖᲠᲘᲗᲐ ᲜᲐᲑᲘᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲠᲚᲘᲡ ᲤᲝᲒᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲐ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲙᲔᲓᲚᲘᲗᲐ ᲡᲐᲜᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲙᲔᲓᲚᲘᲗᲐ ᲡᲐᲜᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲘᲔ ᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲗ ᲓᲘᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗᲐ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲗᲐ ᲛᲐᲘᲜᲠᲩᲘᲗᲐ ᲓᲐᲑᲖᲠᲘᲗᲐ ᲜᲐᲑᲘᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲬᲘᲠᲚᲘᲡ ᲤᲝᲒᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲐ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრესის კომისიას შალის მოსასხამში გახვეული და ცხელ წყალში ფეხებჩაყრილი დახვდა, თუმცა სიცხე იმდენად არ სტანჯავდა, რამდენადაც იმედგაცრუება. კომისიას განუცხადა, რომ შეთქმულებას არ გამოაშკარავებდნენ, არც არავის დასჯიდნენ, და ახალი წლისთვის გათავლისწინებული კონგრესი სასწრაფოდ შეიკრებებდა რეაბილიტაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. „ამის შემდეგ“, დასძკვნა, „სამუდამოდ დავტოვებ კოლუმბიას“.

და მაინც, გამოძიება ჩატარდა, დამნაშავეებიც რკინის კანონით დისაჯნენ, თოთხმეტი მთავანი კი პლასა მაიორზე დახვრიტეს. დამფუძნებელი კონგრესი ორი იანვრის ნაცვლად თექვსმეტი თვის შემდეგ შედგა და გადადგომაზე კრინტიც არავის დუძრავს. თუმცა იმხანად არ დარჩენილა უცნოელი სტუმარი თუ შინაური და მეგობარი, გენერალს რომ არ დაერწმუნებინა: „მიდდავარ იქ, სადაც ვუყვარვარ“.

წასვლაზე ფიქრის საფუძველს არც მის ავადმყოფობაზე გამოქვეყნებული ინფორმაცია იძლეოდა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მართლა ავად იყო, განსაკუთრებით — სამხრეთის ომებიდან დაბრუნების შემდეგ. ვინც კი იმ აღლუმზე ყვავილების თაღებქვეშ მიმავალი გენერალი იხილა, დარწმუნდა, მისი დღეები დათვლილი იყო. თავისი ისტორიული სხვნის, პალამო ბლანკოს ნაცვლად გაჭეკილი ჯორზე, უნაგირის ნაცვლად შემოდებულ დაცხავებულ ‘ჭილოფზე იჯდა, გაჭიღრაკებულს შუბლზე მშმუნარე ფიქრების კვალი ანნდა, ჭუჭყიანი, სახელმორღვეული მუნდირი ეცვა და, საერთოდ, დიდების ნიშნწყალიც არ ეტყობოდა. მთავრობის სახლში მოწყობილ მელანქოლიურ მიღებაზეც საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი და ვერავინ მიხვდა, მისალმებისას პოლიტიკური მოსაზრებით აურია ერთმანეთში ოავიხი მინისტრების სახელები თუ უბრალო დაბნეულობის გამო.

არც მისი ეაუარსებული ჯანმრთველობა იძლეოდა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ნამდვილად მიდიოდა, რადგან ბოლო ექვსი წლის მანძილზე ლაპარაკობდნენ, უკანასკნელ დღეშეაო, მას კი მტკიცედ ეპყრა მმართველობის სადავეები. პირველი ცნობა მისი ავადმყოფობის შესახებ ბრიტანეთის ფლოტის ოფიცერმა გაავრცელა, რომელიც გენერალს ლიმას ჩრდილოეთთან, პატივილკას უდაბნოში წაიყვანა სამხრეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. ის გენერალურ შტაბად წოდებულ, სახელდახელოდ აგებულ ხუხულაში მოსასხამში გახვეული და თავწაკრული იატაკზე ეგდო, რადგან შუადღის ჯოჯოხეთურ პაპანაქებაშიც კი ვერ ახერხებდა ძვლების გათბობას. დასუსტებულს იმის თავიც არ ჰქონდა, მის ირგვლივ მოქოთქოთე ქალთმები დაეფრთხო. ხანმოკლე, არცთუ დალაგებული საუბრის შემდეგ, სტუმარი გულისმომკვლელი დრამატულობით დაითხოვა:

„წადით და ქვეყანას ამცნეთ, როგორ ვკვდები ქალთის სკორეში ამოსვრილი, ამ პირქუშ მხარეში“, თქვა.

ამბობდნენ, ავადმყოფობა უდაბნოს მწველი მზით იყო გამოწვეული, რომ მოგვიანებით იგივე მდგომარეობაში იხილეს ჯერ გუაიაკილში, შემდეგ კიტოში, სადაც კუჭის წვით იტანჯებოდა და, რაც ყველაზე საოცარი და სახიფათო ჩანდა, სულის სიმშვიდეზე ზრუნავდა და არანაირ ინტერესს არ აჩენდა გარე სამყაროს მიმართ. არავინ იცოდა, რა მეცნიერულ საფუძველს ეყრნობოდა ეს დიაგნოზები, რადგან არასოდეს ენდობოდა მეცნიერულ მედიცინას და საკუთარ თავს დონსნტიერის წიგნის „მედიცინა თქვენებურად“ მიხედვით მკურნალობდა. ამ ფრანგულ სახელმძღვანელოში, რომელიც ორაკულივით ყველგან თან დაჰქონდა ზოსე პალასიოსს, მკურნალობის შინაური მეთოდები იყო აღწერილი, როგორც სხეულის, ისე სულის მოსაშუშებლად.

ასე იყო თუ ისე, მისი აგონია მეტად ნაყოფიერი გამოდგა: რადგან სანამ ფიქრობდნენ, პატივილკაში ლაფავს სულსო, მან ანდები გადალახა, ხუნინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გამარჯვება იზეიმა, ააკუჩოს ბრძოლით მთელი ესპანური ამერიკის განთავისუფლება დაარსულა, შექმნა ბოლივიის რესპუბლიკა და არასდროს, არც მანამდე, არც შემდეგ ისე ბედნიერად არ უგრძნია თავი ლიმაში. ასე რომ, მრავალჯერ გავარდნილი ხმა: ავადმყოფობის გამო ხელისუფლებასაც ტოვებს და ქვეყანასაც, და ფორმალური აქტები, რაც თითქოს ადასტურებდა ამ სიტყვების ჭეშმარიტებას, ხალხმა მრავალჯერ ნანახ დრამად აღიქვა და არც ამჯერად დალოდებია მის აღსრულებას.

დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სამთავრობო საბჭოს პირქუშ სხდომაზე მარშალი ანტონიო ხოსე დე სუკრე გამოარჩია. „თქვენ დარჩით“, განუცხადა, თავის კაბინეტში შეიყვანა, სადაც მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულნი იღებდა და თითქმის ძალით ჩასვა საკუთარ სავარძელში.

ააკუჩოს დიდი მარშალი, მისი გულითადი მეგობარი, მშვენივრად იცნობდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, მაგრამ გენერალმა დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთა, სანამ უშუალოდ საქმეზე გადავიდოდა. რამდენიმე დღეში დამფუძნებელი კონგრესი უნდა შეკრებილიყო რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად და ახალი კონსტიტუციის დასამტკიცებლად, რათა დაგვიანებით მაინც ეცადთ კონტინენტის ერთიანობის ნანატრი იდეის გადარჩენა. პერუ, რომელსაც კონსერვატორი არისტოკრატები მართავდნენ, თითქმის დაკარგული იყო; გენერალ ანდრეს დე სანტა კრუს ბოლივია აღვირით მიეჯავდა საკუთარი შეხედულებისამებრ; ვენესუელამ, გენერალ ხოსე ანტონიო ჰაესის ხელმძღვანელობით, ის იყო გამოცხადა ავტონომია; სამხრეთის პრეფექტმა, გენერალმა ხუან ხოსე ფლორესმა გუაიაკილ და კიტო შეაერთა ეკვადორის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესაქმელად; ერთსულოვანი და უკიდეგანო სამშობლოს პირველი ებბრიინის, კოლუმბიის რესპუბლიკისგან ახალი გრანადის გუბერნიის ტერიტორიაღა დარჩენილიყო. თექვსმეტი მილიონი სამხრეთ ამერიკელი, ის-ის იყო თავისუფლებაში ცხოვრებას რომ სწვალობდა, ადგილობრივ მმართველთა ბატონობაში ქქცეოდა.

„მოკლედ“, დასასკვნა გენერალმა, „ყველაფერს, რაც ჩვენ ამ ხელებით ავაშენეთ, დანარჩენები ფეხებით ანგრევენ“. „ბედის ირონიაა“, უპასუხა მარშალმა სუკრემ, „ალბათ ისე ღრმად გავადგმევინეთ მოსახლეობაში ფესვები დამოუკიდებლობის იდეას, რომ ახლა ჩვენივე ხალხები ცდილობენ ერთმანეთისგან გამოყოფას“.

„ნუ იმეორებთ მტრების მონაზმახს“, ცოცხლად გაეპასუხა გენერალი, „თუნდაც მართალი იყოს“.

მარშალმა სუკრემ მოიბოდიშა. ამ ჭკვიან, მოწესრიგებულ, თავმდაბალ და ცრუმორწმუნე კაცს სახის სახიათოვნენ გამომეტყველებას ძველი ნაყვავილარიც ვერ უფუჭებდა. გენერალს, რომელსაც სუკრე ძალიან უყვარდა, ეროხელ წამოსცდა, რომ სინამდვილეში იგი სულაც არ იყო ისეთი მორცხვი, როგორადაც თავს აჩვენებდა. პიჩინჩას, ტუფუსლასა და ტარკის ვბირმა სულ რაღაც ოცდაცხრა წლის ასაკში უსარდლა ააკუჩოს ბრძოლას, რის შედეგადაც სამხრეთ ამერიკაში ესპანელთა უკანასკნელი საჭდენი პუნქტიც დაეცა. იმ დროისთვის მას უარი ჰქონდა ნათქვამი ყოველგვარ თანამდებობაზე და უსამხრეეთოდ დადიოდა კოჭებამდე დაშვებულ, შავ მოსასხამში გამოწყობილი, რომლის მუდამ აწეული საფელო მთებიდან მონაბერი მსუხსავი ქარისგან იცავდა. პირველ და, როგორც თვითონ ამბობდა, უკანასკნელ პატივად ის მიიღო სამშობლოსგან, რომ კიტოს დეპუტატის მანდატით მონაწილეობდა დამფუძნებელი კონგრესის მუშაობაში, ის იყო 35 წელი შესრულებული, რკინის ჯანმრთელობა ჰქონდა და სიგიჟემდე უყვარდა დონია მარიანა კარსელენი, სოლანდას მარკეზა, ლიმაზი და მხიარული კიტოელი ახალგაზრდა ქალი, რომელთანაც ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის წინ იქორწინა და ახლა ექვსი
ბოგო ჰყავდა.

გენერალს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე უკეთესი მემკვიდრე ვერც წარმოედინა. იცოდა, რომ პრეზიდენტობისთვის დადგენილ ასაკს სუკრეს კიდევ ხუთი წელი უკლდა. ეს წინდახედული ნაბიჯი თავის დროზე გენერალმა რაფაელ ურდანეტამ გადადგა მისთვის თანამდებობისკენ მიმავალი გზის ჩასაკეტად, მაგრამ გენერალი ეცდებოდა შეესწორებინა ეს პუნქტი. „დათანხმდით“, უთხრა, „მე გენერალსიმუსად დავრჩები და ისე ვუვლი მთავრობას გარშემო, როგორც ხარი ძროხებს“.

ბოლივარს საცოდავი იერი ჰქონდა, თუმცა, ეტყობოდა, მტკიცე გადწყვეტილება მიეღო. და მაინც, მარშალმა კარგა ხანაა იცოდა, რომ სავარძელი, რომელშიც იჯდა, ვერასოდეს იქნებოდა მისი. ცოტა ხნით ადრე, როცა პირველად მიეცა პრეზიდენტად გახდომის საშუალება, გამოაცხადა, რომ არასოდეს ჩაუდგებოდა სათავეში ასეთ უსისტემო და გაურკვეველი მმართველობით გეზაღებულ ერს. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა სამხედროები უნდა მოეშორებინათ მთავრობიდან, ამიტომ გადწყვეტილი ჰქონდა შეეთავაზებინა კონგრესისთვის, მომდევნო ოთხი წლის მანძილზე არც ერთი გენერალი არ აერჩიათ პრეზიდენტად. შესაძლოა ეს ყველაფერი ურდანეტას წინააღმდეგ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ცხადი იყო, რომ ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგები სწორედ გენერლების სახით ეყოლებოდა.

„მე საკმაოდ დავიღალე იმისთვის, რომ უკომპასოდ ვიმუშაო“, თქვა სუკრემ, „ღმის გარდა, თქვენმა ბრწყინვალებამ კარგად იცის, რომ აქ პრეზიდენტი კი არა, მეამბოხეთა მომთვინიერებელია საჭირო“.

რა თქმა უნდა, დაესწრებოდა დამფუძნებელ კონგრესს და, თუ შესთავაზებდნენ, უხელმძღვანელებდა კიდეც მას, მაგრამ სხვაზე არაფერზე იყო თანახმა. თებერვალ-მარტ-აპრილ-მაისში ომებმა დაარწმუნა, რომ ყველაზე დიდი გამარჯვება ცოცხლად დარჩენა იყო. მის მიერვე დაარსებულ ქვეყნის, ბოლივიის პრეზიდენტობამ, რაც არცუ ურიგოდ გამოსდიოდა, დაანახა ძალაუფლების არამდგრადობა. ეონება კარნახობდა, რომ დიდება წარმავალი და არაფრის მაქნისი იყო. „მოკლედ, უარს ვამბობ, ბრწყინვალებავ“, დასკვნა. წმინდა ანტონის დღეს, 13 ივლისს, კიტოში უნდა ყოფილიყო ცოლ-შვილთან, რათა მათთან ერთად ეზეიმა ეს და ყველა მომდევნო დღესასწაული, რადგან ჯერ კიდევ შობას მიეღო მტკიცე გადწყვეტილება — ეცხოვრა მათთვის და მხოლოდ მათთვის, სიყვარულსა და სიამტკბილობაში.

„მხოლოდ ამას ვთხოვ ზეცას“, თქვა. გენერალი გაფითრებული უსმენდა.

„მეგონა, უკვე ვეღარაფერი გამაოცებდა“, თქვა და თვალებში ჩახედა, „ეს თქვენი ბოლო სიტყვაა?“

„ბოლოსწინა“, უპასუხა სუკრემ, „ბოლოს მსურს მადლობა მოვახსენო ოქვენს ბრწყინვალებას კეთილი სურვილებისათვის“.

გენერალმა ხელისგულები დაირტყა მუხლებზე, რათა უცნაური სიზმრისგან გამოფხიზლებულიყო. „კეთილი“, თქვა, „ეს-ესაა ჩემს მაგივრად მიიღეთ ჩემი ცხოვრების უკანასკნელი გადწყვეტილება“.

იმ ღამეს რომელიღაც შემთხვევითი ექიმის მიერ გამოწერილი, ნაღვლის ბუშტის დასაწყნარებლად გულის ასარევი წამლით დემორალიზებულმა გადამწყრს უკარნახა გადწყვეტილება თავისი გადადგომის შესახებ. 20 იანვარს თვითონ გახსნა დამფუძნებელი კონგრესი, გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოსთქვა და რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა — ყველაზე ღირსეული გენერალი, მარშალი სუკრე დაასახელა. ამ გადწყვეტილებამ კონგრესის მქუხარე ტაში გამოიწვია, მაგრამ ურდანეტას გვერდით მაჯდომმა ოფიცერმა გენერალსა ყურში ჩასჩურჩულა: „იმის თქმა სურს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲘᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ[1]. ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲒᲔᲚᲔᲘᲐᲜᲓᲐ ᲤᲠᲐᲖᲐᲛᲐ ᲨᲔᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲗᲣᲬᲛᲚᲔᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲣᲠᲓᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ. ᲗᲣᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐ "ᲨᲣᲠᲯᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲕᲠᲘᲡᲐᲜ ᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲜᲘᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲔᲡ ᲡᲣᲚᲪᲘ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚ ᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲜᲘᲭᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲡᲐᲛᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲓ ᲮᲝᲗᲑᲐᲡ. ᲓᲐ ᲨᲔᲠᲬᲘᲚᲘ ᲣᲠᲓᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲓᲠᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲔᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲘ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲣᲔᲠᲕᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲡᲬᲠᲝᲗᲐᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲗ ᲡᲪᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ“ ᲐᲣᲪᲮᲝᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲠᲐ „ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲐᲫᲘᲚᲘ ᲕᲔᲠᲪ ᲐᲛᲐᲜ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ.

ᲠᲐᲓᲔᲜᲗᲘᲡᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ, ᲣᲠᲓᲐᲜᲔᲗᲐᲛ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲓ ᲓᲐᲡᲛᲝᲜ ᲑᲠᲐᲚᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲠᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲠᲬᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲒᲔᲚᲔᲘᲐᲜᲓᲐ ᲤᲠᲐᲖᲐᲛᲐ ᲨᲔᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲗᲣᲬᲛᲚᲔᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲣᲠᲓᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲘᲧᲝ. ᲗᲣᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐ "ᲨᲣᲠᲯᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲕᲠᲘᲡᲐᲜ ᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲜᲘᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲔᲡ ᲡᲣᲚᲪᲘ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚ ᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲜᲘᲭᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲡᲐᲛᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲘ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲣᲔᲠᲕᲝᲜᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲘᲡᲬᲠᲝᲗᲐᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲗ ᲡᲪᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ“ ᲐᲣᲪᲮᲝᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲠᲐ „ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲐᲫᲘᲚᲘ ᲕᲔᲠᲪ ᲐᲛᲐᲜ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ.

ᲠᲐᲓᲔᲜᲗᲘᲡᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ, ᲣᲠᲓᲐᲜᲔᲗᲐᲛ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲓ ᲓᲐᲡᲛᲝᲜ ᲑᲠᲐᲚᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲠᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲠᲬᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲒᲔᲚᲔᲘᲐᲜᲓᲐ ᲤᲠᲐᲖᲐᲛᲐ ᲨᲔᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲗᲣᲬᲛᲚᲔᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲣᲠᲓᲐᲜᲔᲗᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, საცერი, ქვაბები, კარ-ფანჯრები თავისი საკეტებით და ავეჯიც კი. ერთადერთი, რაც ხელუხლებელი დალევლიევებდა ჰაერში, დედის საწოლი ოთახის ოვალური სარკე იყო.

მაგრამ ისე გაუტკბა ფუჩეს სახლი და ცაზე სწრაფად მსრბოლი ღრუბლების ქვეშ მოქცეული გამჭირვალე ჰაერი, რომ მემუარების წერა გაურკვეველი დროით გადსდო და დილის საათები სავანის ხურნელოვან ბილიკებზე სეირნობას დაუთმო. იმ დღეებში ყველას მოკეთებული ეჩვენებოდა გენერალი, განსაკუთრებით — მის ერთგულ მეგობარ სამხედროებს, რომლებიც უჩინებდნენ, კვლავ დაბრუნებულიყო ხელისუფლებაში, თუნდაც შეიარაღებული გადატრიალების შედეგად. მაგრამ გენერალი მათ შეუვალი არგუმენტით იცილებდა თავიდან: ხელისუფლების სათავეში ძალით დაბრუნება შეუფერებელი იყო მისი დიდებისთვის, თუმცა გულის სიღრმეში იტოვებდა იმედს, რომ ამ წინადადებას თვით კონგრესისგან მიიღებდა კანონიერი გზით. „ის, რასაც ჩემი ბატონი ფიქრობს, მხოლოდ ჩემმა ბატონმა იცის“, იმეორებდა ხოსე პალასიოსი.

მანუელა კვლავ საპრეზიდენტო სან კარლოსის სასახლის მეზობლად ცხოვრობდა და ყველფერი იცოდა, რაც ქუჩაში ხდებოდა. ფუჩეში კვირაში ორსამჯერ, აუცილებლობის შემთხვევაში — უფრო ხშირადაც დადიოდა მარციპანებით, მონაზვნების გამომცხვარი ტკბილეულობითა და დარიჩინიანი შოკოლადის ფილებით დატვირთული. გაზეთები ამეიათად მოჰქონდა, რადგან გენერალი ისეთი მგრძნობიარე გახდა კრტიკის მიმართ, რომ ნებისმიერ ბანალურ გამოხდომასაც კი მოთმინებიდან გამოჰყავდა. სამაგიეროდ, დაწერილებით უფეებოდა პოლიტიკურ თუ სალონურ ხრიკებსა თუ სხვადასხვა მოარულ პროგნოზებზე და ისიც იმულებული იყო, კრიჭაშეკრულს ყველფერი გულდასმით მოეხმინა, რადგან მანუელა ერთადერთი ადამიანი გახლდათ, ვისაც გენერალისთვის სამართლის თქმის უფლება ჰქონდა მინიჭებული. როცა მოსაყოლი აღარაფერი იყო, ძველ წერილებს ათვალიერებდნენ, ხანდახან მანუელა ხმამაღალა უკითხავდა ან ადიუტანტებთან ერთად ბანქოს თამაშობდნენ, მაგრამ სადილად ყოველთვის მარტო სხდებოდნენ ხოლმე.

მათ ერთმანეთი რვა წლის წინათ გაიცნეს კიტოში, განთავისუფლებისადმი მიძღვნილ წვეულებაზე გამართულ ცეკვებზე, როცა მანუელა ჯერ კიდევ ესპანელთა მმართველობის დროს ლიმას არისტოკრატიაში აოქვეფილი ინგლისელი ექიმის, ჯეიმს თორნის ცოლი იყო. გენერალისთვის, 26 წლის წინათ გარდაცვლილი მეუღლის შემდეგ, მანუელა ერთადერთი ქალი იყო, რომელთანაც ხანგრძლივი და ძლიერი სიყვარული აკავშირებდა. ამას გარდა ივი მისი არქივის ერთგული მცველი და თავგამოდებული მკითხველი იყო და უმაღლესი საბჭოს მუშაობაშიც მონაწილეობდა პოლკოვნიკის წოდებით. უკან დარჩა დრო, როცა ეჭვიანობის შეტევისას მანუელამ კინაღამ ყური მოსჭამა გენერალს. ხანდახან მათი ყველაზე ტრივიალური დიალოგებიც კი სიძულვილის ორმხრივი გამოვლინებით თავარდებოდა, რასაც მოგვიანებით უსაზღვრო, ნაზი სიყვარულის კაპიტულაცია მოსდევდა ხოლმე. მანუელა არასოდეს რჩებოდა ღამგამთენ, ისეთ დროს მიდიოდა, რომ გზაში არ დაბნელებოდა.

ოდესღაც, ლიმას და მაგდალენას ვილაში, გენერალი ათას მიზეზს იგონებდა ხოლმე მანუელას თავიდან მოსაშორებლად, სანამ თვითონ არისტოკრატ ქალბატონებს ეკურკურებოდა. ფუჩეშიკი ეტყოდა, რომ უმისოდ ცხოვრება არ შეეძლო. ბოლთას სცემდა გზაზე, „საიდანაც ქალი უნდა გამოჩენილიყო, ყოველ წუთში საათს ეკითხებოდა ხოსე პალასიოსს, ავალებდა სავარძლის გადაადგილებას, ბუხარში ცეცხლის შეკეთებას ან თავიდან გაჩაღებას, და ასე აღრენილი დადიოდა, სანამ ბორცვზე ეტლი გამოჩნდებოდა. იმ წუთიდან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოლებული მის ცხოვრებას აზრი და ხალისი ეძლეოდა. მაგრამ დაახლოებით ისეთსავე მოუთმენლობას ამყოფებენდა, როცა ვიზიტი დაგეგმილზე დიდხანს გრძელდებოდა. სიესტის დროს ღია კარში გაუხდელად წვებოდნენ, რული არ ეკარებოდათ და არაერთხელ უშედეგოდ უცდიათ საყვარულის უკანასკნელი აქტის განხორციელება, მაგრამ გენერლის დაძაბუნებულ სხეულს მანუელას სულის დატკბობა აღარ შეეძლო, თუმცა ამას არაფრით აღიარებდა.

იმ დღეებში განსაკუთრებით დაეტყო გადაბმული უძილობის შედეგები. წვრილების კარნახისას წინადადება შუაზე უწყდებოდა და თავს ჩაჰკიდებდა ხოლმე; ბანქოს თამაშის დროსაც არაერთხელ ჩასძინებია, თუმცა თვითონაც არ იცოდა, ძილის გამო ებინდებოდა გონება თუ სხვა მიზეზით. სამაგიეროდ, დაწვებოდა თუ არა, საფუძვლიანად ფხიზლდებოდა და ძილზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გამთენიისას რის ვაი-ვაგლახით თუ ჩათვლემდა, მაშინაც ხვებში აშრიალებული ქარი აღვიძებდა. ამდგარი კიდევ ერთხელ გადადებდა ხოლმე მემუარების კარნახის დაწყებას, მარტოდმარტო ფიდიოდა სასეირნოდ და ხშირად სადილობამდე არც ბრუნდებოდა.

დაცვის გარეშე სეირნობდა, თან არც ორი ერთგული ძაღლი ახლდა, რომლებიც ბრძოლაშიც არ სცილდებოდნენ გვერდიდან, არც თავისი საბრძოლო ცხენები, რომლებიც ჭუსართა ბატალიონს მიჰყიდა მგზავრობისთვის აუცილებელი თანხის შესაგროვებლად. მდინარემდე მიდიოდა ხოლმე გრძელ ალვის ხეივანში დაფენილი დამპალი ფოთლების ხალიჩაზე და მსუნხავი ქარისგან თავს ბოლომდე შეკრული ლამას პონჩოთი და აბრეშუმის მწვანე ჩანთი იცავდა, რომელსაც ადრე მხოლოდ საწოლში ხმარობდა. ფიცრებჩამტვრეულ ხიდთან, მტირალა ტირიფების ქვეშ ჯდებოდა და დინებას ჩასცქეროდა, რომელიც ერთხელ, თავისი ახალგაზრდობის დროინდელი მასწავლებლის, დონ სიმონ რიდრიგესის წაბაძვით, ადამიანთა ბედს შეადარა. და მაინც, უკან შეუმჩნევლად ყოველთვის მიჰყვებოდა რომელიმე მცველი, სანამ ღილის ნამით დასველებული შინ არ ბრუნდებოდა ბედნიერი ვიეჯის თვალებთა და ახალი შემართებით, რაც კიბეზე ასვლისთანავე უქრებოდა. სეირნობისას ისე მხნედ ვრძნობდა თავს, რომ ხვებსუკნიდან მოთვალთვალე მცველებს დროდადრო მისი ჯარისკაცული სიმღერები ესმოდათ, რასაც ის ლეგენდარული დიდებისა თუ ჰიმერული დამარცხების წლებში მღეროდა. ვინც კარგად იცნობდა გენერალს, ვერაფრით აეხსნა მისი გამოკეთებული გუნება-განწყობილება, რადგან თვით მანუელასაც კი ეჭვი ეპარებოდა, რომ კონგრესი, რომელიც თვით გენერალს სანიმუშოდ მაარნდა, კვლავ მას აირჩევდა პრეზიდენტად.

არჩევნების დღეს, ღილის სეირნობისას, გენერალმა მწვერებს ადევნებული უპატრონო მწვევარი დაინახა და მხიარულად დაუსტვინა. ძაღლი ადგილზე გაშეშდა, ყურები ცქვიტა და მალე შეამჩნია კიდეც დაფლეთილპოხწიოანი, ფლორენციელი ბერის ჩაჩწამოკისებული, პარქუში ღრუბლების ქვეშ ბედის ანაბრად მიტოვებული ადამიანი, მიეუახლოვდა და სანამ გენერალი თითებით ეფერებოდა, გულმოდგინედ დასუნა, მაგრამ მოულოდნელად ერთი ნახტომით მოშორდა, ოქროსფერი თვალები შეანათა, უნდობლად შეუღრინა და გაიქცა. გენერალი უცნობი ბილიკით გაეკიდა და მალე ვიწრო ქუჩაზე აღმოჩნდა, რომლის ორივე მხარეს ჩამწკრივებული, თიხით შელესილი, წითელი კრამიტით გადახურული სახლების პატიოებიდან ახალმოწველილი რძის ოხშივარი გამოდიოდა. უცებ ვიღაცამ დაუყვირა: ქურდბაცაცავ!

და გენერალს მკერდზე რომელიღაც ბოსლიდან ნასროლი ძროხის ფუნა მოხვდა. მაგრამ ნაკელზე მეტად იმ ერთმა როყიო სიტყვამ გაუღვიძა შიში, რასაც სპრეზიდენტო სახლის დატოვების დღიდან გრძნობდა. ეს მეტსახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაუადელებმა შეარქვეს, ერთხელ კი კონგრესზე, მისი არყოფნისას, ლაბერალმა დეპუტატმა გაიმეორა და მხოლოდ ორი კაცი წამოდგა გასაპრობტებლად. მაგრამ ასე არასდეს ტკენია გული. ის-ის იყო პიონრს სახელოთი სახის გაწმენდას შეუდგა, რომ მიულოდნელად ხეებს შორის მისი მცველი გამოჩნდა შეურაცხმყოფელის დასასჯელად. „თქვენ რაღა ჯანდაბას აკეთებთ აქ?“ ეცა გაცოფებული გენერალი.

„ბრძანებას ვასრულებ, თქვენო ბრწყინვალებავ“, გაიჯგიმა ოფიცერი.

„ეე შენი ბრწყინვალება არ ვარ“, შეურცხინა გენერალმა და ისე გამეტებით ჩამოგლიჯა სამხრეები, რომ ოფიცერმა დმერთს მადლობა შესწირა, უფრო დიდ რასხვას რომ გადაურჩა. თვით ხოსე პალასიოსიც კი, რომელსაც ყოველთვის ესმოდა გენერლის, ვერაფრით ჩახედა მისი გაავების მიზეზს.

დღე ცუდი იყო. გენერალი ისევე მოუომენლად წრიალებდა სახლში, როგორც მანუელას ლოდინისას, მაგრამ ამჯერად ყველასთვის ცხადი იყო, რომ ქალს კი არა, კონგრესის ამბებს უცდიდა: ცდილობდა წუთებში გამოეთვალა სესიის მიმდინარეობა და როცა ხოსე პალასიოსმა მოახსენა, ათი საათიაო, თქვა: „რამდენიც უნდა ეყოფინათ დემაგოგებს, კენჭისყრა მაინც უნდა იყოს დაწყებული“. შემდეგ კარგა ხანს იფიქრა და ხმამაღლა იკითხა: „ვინ მიხვიდა, რას ფიქრობს ურდანეტა?“ ხოსე პალასიოსმა იცოდა, რომ გენერალი მშვენივრად ხვდებოდა ურდანეტას ფიქრებს. რადგან ურდანეტა ხვაშიადს არავისთან მალავდა. ხოსე პალასიოსმა ახლოს რომ ჩაუარა, გენერალმა დაუფიქრებლად ჰკითხა: „შენი აზრით, სუკრე ვის მისცემს ხმას?“ თუმცა ორივემ კარგად იცოდა, რომ სუკრე კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან იმ დღეებში სანტა მარტას ეპისკოპოს მონსენიორ ხოსე მარია ესტევესთან ერთად კონგრესის დავალებით ვენესუელაში იმყოფებოდა გამოყოფის თაობაზე მოლაპარაკების გასამართად. ამიტომ არც შეერებული, ისე უპასუხა: „თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ბატონო“. გენერალმა იმ ნავსიანი გასეირნების შემდეგ პირველად გაიღიმა.

თუმცა ყოველად მოულოდნელ დროს მოშავდებოდა ხოლმე, თერმეტ საათზე გენერალი მაინც ჯდებოდა სუფრასთან და ერთ თოხლო კვერცს, ერთ ნაჭერ ყველსა და ერთ სირჩა აპერიტივს მიირთმევდა, მაგრამ იმ დღეს, სანამ დანარჩენება საუზმობდნენ: თვითონ ტერასიდან გასცქერდა გზას და ისეთი სახით იყდა, რომ ხოსე პალასიოსმაც ვერ გაბედა მიახლოება. სამი საათისთვის ჯორების ფლოქვთა თქარათქარი გაისმა. სანამ მანუელას ეტლი გამოჩნდებოდა, გენერალი მოუთმენლად წამოხტა და შესაგებებლად გაიქცა. ეტლის კარი გაიღო და მანუელას სახე დაინახა თუ არა, ყველაფერს მიხვდა. რესპუბლიკის პრეზიდენტად ერთხმად აერჩიათ პოპაიანის საგვარეულოს შთამომავალი, დონ ხოაკინ მოსკერა. გენერალს, ბრაზის ან იმედგაცრუების ნაცვლად, გაოცება დაეუფლა. საქმე ის იყო, რომ დონ ხოაკინ მოსკერას კანდიდატურა თვითონ შესთავაზა კონგრესს, დარწმუნებულმა, რომ არ აირჩევდნენ. გენერალი ფიქრებში წავიდა და საღამომდე ჩუმად იყდა. „ეე ერთი ხმაც არ მიმიღია?“ იკითხა ბოლოს. ასეც იყო. თუმცა მოგვიანებით, ერთგული დეპუტატებისგან შემდგარმა დელეგაციამ რომ მოინახულა, შეიტყო: მისი მომხრეები შეთანხმებულნენ — ერთხმად გაეყვანათ მოსკერა, გენერალს ბრძოლაში დამარცხებულის სახელი რომ არ დარჩენოდა, მაგრამ გენერალი ისე მოშხამული იყო, რომ ეს გალანტური მანევრი ვერც კი დააფასა და, საერთოდ, თვლიდა, რომ მისი ღირსება ნაკლებად დაზარალდებოდა, თუკი კონგრესი პირველი წარდგენისთანავე დაამკვიფოფლებდა მის თხოვნას გადადგომის შესახებ.

„მოკლედ“, ამოიოხრა, „დემაგოგებმა ორმაგი გამარჯვება მოიპოვეს“.

სანამ სტუმრებს გააცილებდა, შეეცადა არ დასტყობოდა იმედგაცრუება, მაგ-

რამ მათი ეტლები ჯერ კიდევ ჩანდნენ თვალსაწიერზე, როცა ხველების საშინელი შეტევა დავმართა და მთელი სახლი აიფორიაქა. ოფიციალური კორტეჟის ერთმა წევრმა განაცხადა, რომ კონგრესმა თავისი ეონიერული გადაწყვეტილებით სამშობლო იხსნა. გენერალმა წაუყრუა, მაგრამ იმ დამეს, სანამ მანუელა ძალით ასმევდა ცხელ ბულიონს, თქვა: „ჯერ არც ერთ კონგრესს არ გადაურჩენია არც ერთი რესპუბლიკა". დაწოლის წინ თავისი ამალა და მომსახურე პერსონალი შეკრიბა და ცერემონიულად გამოაცხადა: „ხვალვე ეტოვებ ქვეყანას".

მეორე დღეს არა, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ კი აიბარგა. ამასობაში თავშეკავება დაიბრუნა და გამოსათხოვარი სიტყვა დაწერა, სადაც მოხერხებულად მალავდა გულისტკივილს, შემდეგ ქალაქში დაბრუნდა, რათა მგზავრობისთვის მომზადებულიყო. ომისა და საზღვაო მინისტრმა, გენერალმა პედრო ალკანტარა ერანმა მას ლა ესპერანსას ეუჩაზე მდებარე თავისი სახლი დაუთმო, უფრო იმიტომ, რომ უკანასკნელ დროს გახშირებული სიკვდილის მუქარისგან ეხსნა.

სანტა ფეს დატოვებამდე გენერალმა თავისი მცირერიცხოვანი ქონება შეაკუწა, რათა გასამგზავრებლად საკმარისი თანხისთვის მოეყარა თავი. ცხენების გარდა გაყიდა პოტოსისდროინდელი ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც მხოლოდ ძვირფასი ლითონის ღირებულების მიხედვით შეუფასეს და ყურადღება არ მიუქცევიათ არც ოსტატური ნამუშევრისთვის, არც მისი ისტორიული ღირებულებისთვის და ორი ათასი პესო გადაუხადეს. საბოლოო ჯამში შეაგროვა 16 600 პესო და 60 სენტავო, ჩეკი 8.000 პესოზე, სამუდამო პენსია, რომელიც კონგრესმა დაუნიშნა და სხვადასხვა სკივრში გადანაწილებული იაგუარის სამოცი ოქროს ფიგურა. ეს იყო მისი საკუთარი ქონების საცოდავი ნარჩენები, რაიც მისი გაჩენის დღეს ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა.

ბარგში, რომელიც ხოსე პალასიოსმა აუჩქარებლად შეკრა გამგზავრების დღეს, სანამ გენერალი იპარსავდა, ეწყო ორად-ორი ძალიან ნამძარი საცვალი, ორი პერანგი, საბრძოლო მუნდირი ღილების ორძაგი მწკრივით, რომელიც წესით, ატაუალპას ოქროსგან უნდა ყოფილიყო გამოჭედილი, ღამის აბრეშუმის ჩაჩი და ჭრელი ქუდი, რომელიც მარშალმა სუკრემ ჩამოუტანა ბოლივიიდან. ერთი წყვილი ლაკის ფეხსაცმლის გარდა, რომელიც ზედ ეცვა, კიდევ ერთი საშინაო ფლოსტები ჰქონდა, ხოსე პალასიოსის სკივრში კი, აფთიაქთან და სხვა უმნიშვნელო ნივთებთან ერთად, რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ" და იტალიელი გენერლის, რაიმუნდ მონტეკუკოსლი „საბრძოლო ხელოვნება" იდო. ეს ორი ბიბლიოგრაფიული აშეიათობა, რომლებიც ნაპოლეონ ბონაპარტეს ეკუთვნოდა, გენერალს თავისი ადიუტანტის მამამ, სარ რობერტ უოლსონმა ანუკა. დანარჩენი ნივთები ჯარისკაცის ერთ ზურგჩანთაში მოთავსდა. დარბაზში შესელამდე, სადაც ოფიციალური კორტეჟის წევრები იცდიდნენ, გენერალმა ბარგს გადახედა.

„ვერასოდეს ვიფიქრებდი, ძვირფასი ხოსე, რომ ამხელა დიდება ერთ ფეხსაცმელში ჩაეტეოდა", თქვა.

თუმცა გარეთ კიდევ შვიდი დატვირთული ჯორი იცდიდა. მათ აჰკიდეს მედლების კოლოფები, ოქროს დანაჩანგალი, სხვადასხვა ღირებულების ნივთები, ათი სკივრი პირადი ქაღალდები, ორი სკივრი წაკითხული წიგნები, ხუთი სკივრი თეთრეული და ათასი სხვა წვრილშანი, რომელთა დასათვლელად არავის ეცალა. და მაინც, ეს ყველაფერი სამი წლის წინათ ლიმადან ჩამოზიდული ქონების მცირედი ნაწილიც არ იყო. მაშინ გენერალს სამი პოსტი ეჭირა: იყო ბოლივიისა და კოლუმბიის პრეზიდენტი და პერუს დიქტატორი. იმ ქარავანს 72 სკივრი და ათასგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი ნივთებით გატენილი ოთხასზე მეტი კოლოფი მოჰქონდა. ექვსასზე მეტი ზოგნი კი კიტოში დტოვა, რომლებიც ვეღარასოდეს დაიბრუნა.

ექვსი საათი სრულდებოდა. გულისგამაწვრილებელი წვიმა დროებით შეწყდა, მაგრამ სამყარო ისევ პირქუში და ცივი ჩანდა, ხოლო კორტეჟის წევრებთ გავსებულ სახლს ყაზარმის ოხშივარი ასდიოდა. როცა დერეფნის ბოლოში ადიუტანტებთ გარშემორტყმული გენერალი გამოჩნდა, ჭუსარები და გრენადერები არეულად ზამოიშალნენ. განთიადის მკრთალ ცაცაში გენერალს სახეზე მწვანე ფერი ეფო, მხრებზე დახეული პონჩო მოევდო და დიდფრთებანი ნომბრერო ეხურა, რაც კიდევ უფრო პირქუშ გამოშეტყველებას აძლევდა მის სახეს. ანდური ჩვეულების თანახმად, უკმური ამინდის გავლენისგან თავდასაცავად, პირზე ოდეკოლონში დასველებული ცხვირსახოცი მეფარებინა. არავითარი განმასხვავებელი ნიშანი არ ეკეთა, არც გარდასულ დღეთა განუსაზღვრელი ძალაუფლების კვალი ეტყობოდა, მაგრამ სიძლიერის ჯადოსნური შარავანდედი ხმაურიან კორტეჟში ყველასაგან გამოარჩევდა. პირდაპირ დარბაზისკენ გაემართა. აუჩქარებლად მიაბიჯებდა დერეფნაში დაგებულ ჭილოფებზე და ყურადღებას არ აქცევდა გუშაგებს, რომლებიც ზგადაზგა ეჯგამებოდნენ. დარბაზში შესვლის წინ ცხვირსახოცი პონჩოს სახელოში ბერივით დამალა და სომბრერო ერთ-ერთ ადიუტანტს მიაწოდა.

სახლში მყოფ ოფიცრებს გამთენიიდან ემატებოდნენ სხვა სამხედრო და სამოქალაქო პირები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად სვამდნენ ყავას. მათი დაბუნული სიტყვები და ოფიციალური ტანსაცმელი კიდევ უფრო დამთრგუნველს ხდიდა დარბაზის პირქუშ სიდიადეს. უცებ საყოველთაო ჩურჩული ერთ-ერთი დიპლომატის ხმამ გადაფარა:

„ეგეგონება, დაკრძალავზე ვართ“.

დამთავრებული არ ჰქონდა სიტყვები, რომ ზურგსუკან ოდეკოლონის სუნნელი იგრძნო, რაც მალე მთელ დარბაზს მოედო. შემობრუნებულმა გენერალი დაინახა, რომელსაც ცერა და საჩვენებელი თითებით ეჭირა ყავის ჭიქა და შეეშინდა, ვაითუ ამ მოჩვენებამ ჩემი თავბედურო სიტყვები გაიგოო, მაგრამ შეცდა.

მართალია, გენერალმა ევროპაში უკანასკნელად ოცდახუთი წლის წინათ იმოგზაურა, ახალგაზრდობისას, მაგრამ ბებერი კონტინენტის მონატრება სიბერაზეზე მძაფრი გრძნობა გამოდგა. ასე რომ, პირველად სწორედ ინგლისელ დიპლომატს მიესალმა შესაფერისი პატივით:

„იმედი მაქვს ამ შემოდგომაზე ჰაიდ პარკში წვიმები არ იქნება“, თქვა.

დიპლომატი რამდენიმე წამით შეყოყმანდა, რადგან იმ დღეებში გენერლის მოგზაურობის სამ სავარაუდო მარშრუტს ასახელებდნენ, მაგრამ ლონდონი არც ერთ მათგანში არ ფიგურირებდა, თუმცა სწრაფად იპოვა გამოსავალი.

„თქვენი ბრწყინვალებისთვის ვეცდებით დამეც მზე ამოვიყვანოთ“, უპასუხა.

ახალგამომცხვარი პრეზიდენტი მიღებას არ ესწრებოდა, რადგან კონგრესმა იგი დაუსწრებლად აირჩია და პოპაიანიდან ჩამოსასვლელად ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა. მის ნაცვლად ვიცეპრეზიდენტი, გენერალი დომინგო კაისედო მობრძანებულიყო. მასზე ამბობდნენ, მეფური ქცევები და მისწრაფებები აქვს და ამიტომ ყველანაირი თანამდებობა ეკუთვნებო. გენერალი გულთბილად მიესალმა ვიცეპრეზიდენტს და ხუმრობანარევი კილოთი უთხრა:

„თქვენ იცით, რომ ქვეყნიდან გასვლის ნებართვა არ ამაქვს?“

ამ წინადადებამ საყოველთაო მხიარულება გამოიწვია, თუმცა ყველამ იცოდა, რომ მარილა ასე იყო. გენერალი კაისედო შეჰპირდა, ფოსტით ჯადაევზავნა ონდაში გამზადებული პასპორტი.

სტუმართა შორის იყვნენ ქალაქის არქიეპისკოპოსი, პრეზიდენტის ძმა და სხვა მაღალი რანგის მოხელეები თუ საზოგადო მოღვაწეები ცოლებითურთ. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს ცხვრის ტყავის ქურთუკები ეცვათ, სამხედროებს კი მხედრული ჩექმები, რადგან სურდათ, რამდენიმე ლიეზე მაინც გაეცილებინათ დიდებული ღვინალი. გენერალი არქეპისკოპოსის ბეჭედს ემოხვია, ქალაქტონებს ხელზე ეამბორა და სათითაოდ ჩამოართვა ხელი კაცებს. ეტიკეტი არ დაურღვევია, თუმცა არასოდეს უწვედა ანგარიშს ამ მატყუარა ქალაქის წესჩვეულებებს, რომელზეც არაერთხელ უთქვამს, ეს ჩემი მიწა არ არისო. სტუმრებს რიგის მიხედვით მიესალმა და ყოველ მათგანს გაუმასპინძლდა ნასწავლი ფრაზებით, თუმცა თვალებში არაკისთვის შეუხედავს. მისი ლითონივით მყელური ხმა სიცხისგან დასუსტებულიყო, კარიბული აქცენტი კი, რომელიც ოდნავადაც ვერ შეარბილა ამდენწლიანნმა მოგზაურობამ და ომებმა, უფრო მკვეთრად ისმოდა ანდელების უხეში დიქციის ფონზე.

ყველას რომ მიესალმა, დროებითმა პრეზიდენტმა მრავალრიცხოვან გრანდელთა ხელმოწერილი წერილი გადასცა, სადაც გენერალს მადლობას უხდიდნენ სამშობლოს სამსახურში გატარებული წლებისთვის. საერთო სიხუმეში თავი ისე დაიჭირა, თითქოს კითხულობდა. ამითაც ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს სცა პატივი, თორემ კარგა ხანი იყო, უსათვალოდ უფრო მსხვილად ნაწერსაც ვერ არჩევდა. საკითხავად საკმარისი დრო რომ ამოიწურა, შეკრებილთ მოკლე, მაგრამ ისეთი შესაფერისი სიტყვით მიმართა, რომ მის ეშმაკობაში ეჭვიც არავის შეპარვია. შემდეგ დარბაზს თვალი მოავლო და დაუფარავი ინტერესით იკითხა:

„ურდანეტა არ მოვიდა?“

დროებითმა პრეზიდენტმა მოახსენა, რომ გენერალი რაფაელ ურდანეტა ამბიხებულ ჯარს გაჰყვა ფეხდაფეხ, რათა მხარი დაეჭირა გენერალ ხოსე ლაურენსიო სილვასთვის. მაშინ შეკრებილთა შორის ვიღაცის ხმა გაისმა:

„არც სუკრე მოსულა“.

გენერალმა არ წაუყრუა ფარული განზრახვით წამოსროლილ ამ სიტყვებს, მანამდე მიმქრალ, უსიცოცხლო თვალებში ნაპერწკლები აუკაფდა და უხილავ მოსაუბრეს უპასუხა:

„აიკუჩოს დიდ მარშალს არ შეეატყობინეთ გამგზავრების ზუსტი დრო, ზედმეტად რომ არ შეგვეწუხებინა“.

ეტყობა, არ იცოდა, რომ მარშალი სუკრე ორი დღის დაბრუნებული იყო ვენესუელის ჩაშლილი მოლაპარაკებიდან, სადაც მას საკუთარ მიწაზე ფეხის დადგმა აუკრძალეს. მისთვის არავის უთქვამს, რომ გენერალი მიემგზავრებოდა, იქნებ იმიტომაც, რომ ვერ წარმოიდგინეს, სუკრეს სხვებზე ადრე არ სცოდნოდა ეს ამბავი. ხოსე პალასიოსმა ყოველდდ შეუფერებელ დროს შეიტყო სუკრეს ჩამოსვლის შესახებ, გამგზავრების საშუალებაში კი სულ გადავარდა გულიდან. ბოროტ ენებს არც ის გამოურიცხავთ, რომ მარშალი ნაწყენი იყო მის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობით.

მეზობელ, სასადილო ოთახში გაშლილ სუფრაზე საუცხოო კრეოლური საუზმე გაეწყოთ: მოხარშული ღორის ხორცი, სისხლიანი ძეხვი ბრინჯით, თიხის ქოთანში მოხარშული კვერცხები, მოქარგული ხელსახოცებზე დალაგებული ათასგვარი ტკბილეული, ერთი ხაწვნე ცხელი და სახამებლის წებოსავით სქელი შოკოლადი. სახლის პატრონებმა განზრახ დაადგინეს საუზმის დაწყება იმ იმედით, იქნებ გენერალმა უხელმძღვანელოს სუფრასო, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ დილაობით იგი მხოლოდ ყაყაჩის ნაყენს მიირთმევდა. ღინაა ამალიამ ყოველი შემთხვევისათვის შესთავაზა სუფრის თავში მისთვის გამზადებული სავარძელი, მაგრამ მან პატივი უარყო და ნაძალადევი ღიმილით მიუბრუნდა სტუმრებს.

„შეგერეოთ“, თქვა, „მე კი გრძელი გზა მელის“.

შემდეგ ფეხის წვერებზე აიწია, რათა დროებით პრეზიდენტს დამშვიდებოდა და ამ უკანასკნელმა ისე ჩაიხუტა, რომ ყველას დაანახა, როგორ დაჩაევებულიყო გენერალი და რა უნუგეშო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუსაფარი ჩანდა გამგზავრების წინ. გენერალი კაცებს ხელის ჩამორთმევით დაეშვებოდა, ქალებს კი ხელზე ეამბორა. დინნა ამალიამ სცადა შეეყოვნებინა წვიმის გადაღებამდე, თუმცა ორივემ მშვენიერად იცოდა, რომ მთელი საუკუნე არ გამოიდარებდა. თანაც გენერალს ისე ეჭირა თვალი გაქცევაზე, რომ ქალს თავხედობად მოეჩვენა მისთვის ხელის შეშლა. სახლის პატრონმა გენერალი ბაღის უხილავი წვიმის ქვეშ საჯინიბოამდე მიაცილა. ისე ფრთხილად შეაშველა დასახმარებლად თითის წვერები, თითქოს შუშის ყოფილიყოს და გაოცდა, როცა მის კანქვეშ იდუმალი ნაკადივით მწქფარე ენერგია იგრძნო, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა დაძაბუნებულ სხეულთან. მთავრობის დელეგატები, დიპლომატიური და სამხედრო მისიის წარმომადგენლები ტალახში ამოსვრილი ფეხსაცმელებითა და წვიმის წვეთებით გაჟღენთილი მოსასხამებით უცდიდნენ გასაცილებლად, თუმცა დანამდვილებით არავინ იცოდა, ვინ მიჰყვებოდა მეგობრობის ვაძი, ვინ — დასაცავად და ვინ — იმაში დასარწმუნებლად, რომ მართლა მიდიოდა.

მისთვის გათვალისწინებული ჯორი საუკეთესო იყო იმ ასჯორიან ქარავანში, რომლიც ერთმა ესპანელმა ვაჭარმა დაუთმო მთავრობას საქონლის ქურდობაზე მის წინააღმდეგ აღძრული საქმის მოსაჩერებლად. გენერალს ცალი ფეხი უკვე უზანგში ჰქონდა გაყოფილი, როცა ომისა და საზღვაო მინისტრმა დაუძახა: „თქვენო ბრწყინვალებავ!“ გენერალი იმავე ჰოზაში გაშეშდა ორივე ხელით უნაგირს ჩაჭიდებული.

„დარჩი“, უთხრა მინისტრმა, „და უკანასკნელი მსხვერპლი გაიღეთ სამშობლოს გადასარჩენად“.

„არა, ერან“, უპასუხა მან, „აღარ მაქვს სამშობლო, რომლის გამოც მსხვერპლი უნდა გავიღო“.

ეს დასასრული იყო. გენერალი სამინისტროს ანტონიო დე ლა სანტისიმა ტრინიდად ბოლივარ ი პალასიოსი სამუდამოდ მიდიოდა. მან დაამხო ესპანელთა მმართველობა იმპერიაში, რომელიც სიდიდით ხუთჯერ აღემატებოდა ევროპას. სათავეში ედგა ოცწლიან ომებს, რათა ერთიანი და თავისუფალი სამშობლო ეხილა, და გასულ კვირამდე მტკიცე ხელით მართავდა კადეც მას. მაგრამ წასვლის დღეს ისიც არ იცოდა ზუსტად, სჯეროდთ მისი გამგზავრება თუ არა. ერთადერთი, ვისაც სწამდა, რომ მიდიოდა და თან დანამდვილებით იცოდა — საათ, ინგლისელი დიპლომატი გახლდათ, რომელმაც ოფიციალური წერილით აცნობა თავის მთავრობას. „დრო, რომელიც მას დარჩენია, მხოლოდ საფლავამდე მისასვლელად ეყოფა“.

●

პირველი დღე ყველაზე მძიმე გამოდგა. ალბათ, მასზე ჯანმრთელ კაცსაც გაუჭირდებოდა წამოსვლის დილას სანტა ფეს ქუჩებში მოტრიალე ფარული ზიზღის ატანა. წვიმის ფარდაში ის იყო დღე იბადებოდა და გზაში რამდენიმე გზაანნეული ძროხის მეტი არავინ შეხვედრიათ, მაგრამ ჰაერიც კი მისი მტრების ზიზღით იყო გაჟღენთილი. მთავრობის მცდელობის მიუხედავად, რომელმაც გენერალი ყველაზე მიყრუებული ქუჩებით ატარა, გზადაგზა მაინც ხვდებოდა კედლებზე მიწერილი ლანძღვა-გინება.

ჩვეულებრისამებრ გამოწყობილი ხოსე ჰალასიოსი მის გვერდით მიჩაჩქებდა: ტრადიციული ფრაკი ეცვა, აბრეშუმის ჰალსტუხზე ტოპაზის თვალი უბრწყინავდა, თხელი ტყავის ხელთათმანები ეკეთა და ფარჩის ჟილეტის ჯიბეებში ორი პოტოსის ვერცხლის ჩარჩიანი სათვალე ედო. ამ ჩაცმულობასა და ფეხსაცმელებზე დამაგრებული ოქროს დეზების წყალობით, ანდების სოფლებში იგი არაერთხელ მიუღიათ პრეზიდენტად, მაგრამ ისე გულმოდგინედ ასრულებდა ხოლმე თავისი ბატონის სულ უმნიშვნელო სურვილსაც კი, რომ მაშინვე ყველაფერი ნათელი ხდებოდა. გენერალი უსაზღვროდ უყვარდა

და ამიტომ კანი ეწვოდა იმის შემხედვარეს, თუ როგორ მიიბურწებოდნენ ქალაქიდან, სადაც გენერლის ჩამოსვლის ამბის გაგებისთანავე სახალხო ზეიმი ეწყობოდა ხოლმე. სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ, როცა დიდების ისეთი შარავანდედით მოსილი გენერალი, რაც არც ერთ ამერიკელს არ ღირსებია, სამხრეთის ომიდან დაბრუნდა, ქალაქში ჯერარნახული ფიესტა მოეწყო. ეს ის დრო იყო, როცა ხალხი ცხენის აღვირზე ეპოტინებოდა, ქუჩაში აჩერებდა და მმამე გადასახადებისა თუ სხვა სოციალური უსამართლობის შესახებ შესჩიოდა. ზოგიც მხოლოდ იმიტომ აჩერებდა, რომ მცირე ხნით მისი სიდიადე შეეგრძნო. გენერალი ისეთივე ყურადღებას უთმობდა ხალხის გაჭირვებას, როგორც სამთავრობო საქმეებს და ზეპირად იცოდა ყოველი მათგანის საოჯახო პრობლემები თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამიტომაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ დღეს ასე კუდამძოფუებული ტოვებდა ამ მელანქოლიურ ქალაქს. გენერალს არსად უგრძნია თავი ისე უცხოდ, როგორც ამ ვიწრო ქუჩებში, სადაც დაბურული ტერასებითა და სურნელოვანი ყვავილებით სავსე პატიოებით დამშვენებული სახლები იდგა და სადაც ნელ ცეცხლზე თუხთუხებდა სოფლური წეს-შეუულებანი, ხოლო აქაური თავხედური მანერები და უცნაური დიალექტი აზრის დასამაღად უფრო გამოდგებოდა, ვიდრე გამოსაქმელად... და მაინც, სწორედ ეს ნისლიანი და მსუხსავი ქარების ქალაქი აირჩია გენერალმა თავისი დიდების სამჭედლოდ, სწორედ ის უყვარდა სხვებზე მეტად და გაიდეალებული ნახევარი მსოფლიოს დედაქალაქად აქცია.

ახლა სხვებზე მეტად თვითონ უკვირდა ქალაქის უნდობლობა. მთავრობას ყველაზე უხიფათო ადგილებშიც კი უხილავი პატრული ჩაეყენებინა და სწორედ ამიტომ არ ჩანდნენ გაავებული ბანდები, რომლებმაც წინა საღამოს მისი ფიგურა დაწვეს. სამაგიეროდ, მთელი გზა სდევდათ სხვადასხვა კალოთი სხვადასხვა გულიდან ამოხეთქილი კვილი: „ქურდბაცაცა!“ მთელ ქუჩაზე ერთადერთ ქალს შეეცოდა გენერალი და ზურგში მიაძახა: „ღმერთმა გიშველოს, აჩრდილო“.

ყველამ წაუყრუა. გენერალი უსიამოვნო ფიქრებში ჩაიძირა, და სანამ გაცისკროვნებულ საკანამდე მიაღწიე, ყურადღება არავისთვის მიუქცევია. კუატრო კამინოსთან, საიდანაც მოკრწყლული გზა იწყებოდა, ცხენზე ამხედრებული მანუელი იცდიდა მარტოდმარტო. ამალა რომ მიუახლოვდა, გენერალს შორიდან დაეშშვიდობა ხელის დაქნევით. გენერალმაც ოვივე გაიმეორა და გზა განაგრძო. ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

ცოტა ხნის შემდეგ წვიმა შეწყდა და ცამ თავისი ნათელი ფერი დაიბრუნა. ჰორიზონტზე მთელი დღე ჩანდა ორი მწვერვალდათოვლილი ვულკანი, მაგრამ ამჯერად გენერალს ბუნების საყვარული არ გამოუმჟღავნებია, არც ვზადშემხვედრი სოფლებისთვის მიუქცევია ყურადღება და არც იქაურებისთვის, ჩვეულებისამებრ რომ მიესალმნენ ხელის აწევით, თუმცა ვერავინ იცნეს. ყველაზე უცნაურად მაინც ის მოიჩვენათ მის თანმხლებლებს, რომ გენერალს თვალიც არ შეუვლია საძოვრებზე გაშვებული საუცხოო ცხენებისთვის, თუმცა არაერთხელ უთქვამს, რომ ეს მისი საყვარელი სანახაობა იყო.

ფაკატატივს დასახლებაში, სადაც პირველი ღამე გაატარეს, გენერალი გამცილებლებს დაეშშვიდობა და თავის ამალასთან ერთად განაგრძო გზა. ხოსე პალასიოსის გარდა კიდევ ხუთნი იყვნენ: გენერალი ხოსე მარია კარენიო, ომში ხელმოკვეთილი, მისი ირლანდიელი ადიუტანტი პოლკოვნიკი ბელფორდ ჰინტონ უილსონი, ევროპის თითქმის ყველა ომის ვეტერანი გენერლის, სერ რობერტ უილსონის ვაჟი; საკუთარი ძმისშვილი, ფერნანდო, ადიუტანტი და გადამწერი ლეიტენანტის ჩინით, მისი უფროსი ძმის ვაჟი, რომელიც პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის დროს დაიღუპა საზღვაო კატასტროფაში; ანდრეს იბარა, მისი ადიუტანტი და ნათესავი, რომელსაც 25 სექტემბრის ბრძოლაში მიყენებული ჭრილობის გამო მარჯვენა ხელი ჰქონდა გაშეშებული, და პოლკოვნიკი ზოსე დელა კრუს პარიდესი, დამოუკიდებლობისთვის მრავალრიცხოვან ბრძოლებში ნაცადი მეომარი. სპატაიო გვარდია ვენესუელია კონტინენტიდან არჩეული ასი საუკეთესო ჰუსარისა და გრენადერისგან შედგებოდა.

ზოსე პალასიოსი განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა ორ ძაღლს, რომლებიც თავის დროზე ზემო პერუდან წამოიყვანეს ნადავლად. ეს მშვენიერი, მამაცი ძაღლები სანტა ფეში მთავრობის სახლს დარაჯობდნენ, სადაც მათი ორი მეგობარი დანთო მოკლეს შეთქმულებმა. გაუთავებულ მოგზაურობაში ლიმადან კიტოში, კიტოდან სანტა ფეში, სანტა ფედან — კარაკასში, იქიდან კვლავ კიტოსა და გუაიაკალში ძაღლები ქარავანს მიჰყვებოდნენ და ტვირთს დარაჯობდნენ. ამჯერადაც, სანტა ფეკარტახენას გზაზე იმავე მოვალეობას ასრულებდნენ, თუმცა ქარავანს ბევრად ნაკლები ბარგი მიეჰქონდა და იმასაც ჯარისკაცები -ულიდნენ.

გენერალს უგუნებოდ გაეღვიძა ფაკუტტივეში, მაგრამ აქორჩილ გორაკებს რომ გასცდნენ, ჰაერი უფრო გამჭვირვალე გახდა და ნელ-ნელა გამოუკეთდა ხასიათი. მისი ავადმყოფობით შეშფოთებულმა მხლებლებმა რამდენჯერმე შესთავაზეს დასვენება, მაგრამ გენერალმა განიზრახა უჭმელად მიეღწია ცხელ მიწამდე. თავის დროზე ხშირად უთქვამს, ცხენზე მჯდომი კარგად ვფიქრობო და ღღე და ღამე შეუწერებლად მიაჭენებდა ხალმე, ოღონდ დროდადრო ცხენებს იცვლიდა, ცხოველები გზაში რომ არ დაცვენილიყვნენ. ძველი მხედრის მოღრეცილი ფეხები ჰქონდა და სიარულზეც ეტყობოდა, რომ ღენებით ეძინა. უნაგირზე ჯდომისგან უკანალზე უხეში ბებერა გასჩენოდა, რისთვისაც სპატაიო ზედმეტი სახელი „რკინის საჯდომი“ შეარქვეს. დამოუკიდებლობისთვის ომების დაწყების დღიდან 18.000 ლეე შემოიარა ცხენით, რაც მსოფლიოს გარშემო ორჯერ მოგზაურობას უდრის, და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მართლა უნაგირზე ეძინა, როგორც მასზე შეთხზულ ლეგენდებში ჰყვებოდნენ.

ნაშუადღევს, როცა ვიწრო ხეობებიდან ოხშივარი დაიძრა, რომელიღაც მონასტერთან ჩამოხტნენ დასასვენებლად. მათ თვით წინამძღვარი ქალი გამოეგებათ ინდიელი მონაზვნების ჯგუფთან ერთად, რომლებიც მგზავრებს ღუმელიდან ახალგამოღებული თბილი მარცანპანითა და სიმინდის ფაფით გაუმასპინძლდნენ. ამდენი ოფლიანი და უწესრიგოდ ჩაცმული სახეხდრის დანახვაზე წინამძღვარმა ალბათ მაღალი, ქერა და ყველაზე უკეთეს ფორმაში გამოწყობილი უილსონი მიიღო გარნიზონის უფროსად და განსაკუთრებული ქალური ყურადღებით მოეპყრა, რამაც ბილწი კომენტარები გამოიწვია.

ხოსე პალასიოსს შეცდომის გამოსწორება არ უცდია, რათა ოფლის მოსადენად შალის მოსახსმაში გახვეულ მის ბატონს ამშვიდად დაესვენა სეიბას ჩრდილქვეშ. გენერალს რული არ მიეკარა, საჭმელს პირი არ დაკარა და ჩუმად უსმენდა კრეოლურ სასიყვარულო სიმღერებს, რომლებსაც მონაზვნები ასრულებდნენ არფის თანხლებით. ბოლოს ერთმა მათგანმა სტუმრებს ქუდით ხელში დაუარა მოწყალების სათხოვნელად. უფროსმა მონაზონმა გაიფრთხილა, ავადმყოფისთვის არ ეთხოვა, მაგრამ ახალგაზრდამ ყური არ ათხოვა. გენერალს მისთვის არც შეუხედავს: „მოწყალებას მე ვითხოვ, შვილო“, უთხრა და მწარედ გაეღიმა. უილსონმა მონასტერს საკუთარი ქისა შესწირა, რასაც მაშინვე მოჰყვა მისი უფროსის უბოროტო ხუმრობა: „ხომ ხედავ, რა ძვირი ჯდება დიდება, პოლკოვნიკო“. მოგვიანებით თვით უილსონმა გაოცებით აღნიშნა, რომ ვერც მონასტერში, ვერც განმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველილ გზაზე ვერავინ იცნო ახალ რესპუბლიკებში ყველაზე ცნობილი ადამიანი. ეს ფაქტი თვით გენერლისთვისაც ეკაკვთილი გამოდგა: „მე მე ალარ ვარ“, გამოაცხადა.

მომდევნო ღამე ფუნდუკად გადაკეთებულ ძველ ფაბრიკაში გაატარეს, გუადუას დასახლებასთან ახლოს, სადაც მას დამხვდურები უცდიდნენ. მაგრამ გენერალმა ფუნდუკში დასვენება არრია. უზარმაზარი შენობისთვის თვალის ერთი შევლებაც კი უცნაურ ნაღველს იწვევდა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ველური მცენარეები, მდინარის შავი მორევი და ხმაურიანი ჩანჩქერები, ზაფთით რომ ეშვებოდნენ ცხელი მიწების ბანანის პლანტაციებამდე. გენერალი იცნობდა აქაურობას. ისიც კი უთქვამს, ვინმეხთვის მახის დაგება რომ მინდოდეს, ამ ადგილას ავირჩევდიო. სხვა დროს გვერდს უვლიდა ხოლმე ფუნდუკს, რომელიც კიტოს გზაზე მდებარე სპედისწერო ბერუეკოსს აგონებდა და რომელსაც ყველაზე თავგადაკლული მოგზაურებიც კი გაურბოდნენ. ერთხელ, იმ მიდამოებში რომ დაუღამდა, ფუნდუკადან ორი ღიეს მოშორებით დასცა ბანაკი, რადგან ეგონა, აქაურობის ნახვით გამოწვეულ ნაღველს ვერ გაუმკლავდებოდა. მაგრამ ახლა, დაღლილობისა და სიცხის მიუხედავად, ეს პრეკუში შენობა უფრო სასურველი მოეჩვენა, ვიდრე თანაგრძნობის გამომხატველი სუფრა. გუადუასში რომ გაუშალეს მხდალმა მეგობრებმა.

ასეთ სავალალო მდგომარეობაში რომ იხილა, ფუნდუკის პატრონმა ურჩია, მეზობელი სოფლიდან ინდიელი ექიმბაში მოეყვანათ, რომელიც ავადმყოფის ოფლიანი პერანგის დასუნვით კურნავდა ნებისმიერ მანიალზე, თუნდაც ხეულის უნახავად. გენერალმა მის ცრურწმენებს დასცინა და სასტიკად აუკრძალა ახლებლებს, დაკავშირებოდნენ სასწაულმოქმედ ინდიელს. მას ექიმებისაც არ სჯეროდა, რომლებსაც სხვისი ტკივილით მოვაჭრეებს უწოდებდა, და რა გასაკვირი იყო, შარაგზის სპირიტისტს არ მინდობოდა. ბოლოს, მედიცინისადა. ავდებული დამოკიდებულების დასამტკიცებლად, უარი თქვა სპეციალურად მისთვის მომზადებულ ოთახზე და ჰამაკი ღია გალერეაში დაკიდებინა, რომელიც პირდაპირ ნესტიან ხეობას გადაჰყურებდა.

მთელი ღეე პირში არაფერი ჩასვლოდა ღილით დალეული ჟაჟაოს ნაყენის გარდა, მაგრამ სუფრაზე მხოლოდ მხლებლების ხათრით დაჯდა. მართალია, გენერალი ყოველთვის სხეებზე უკეთ ეგუებოდა საველე პირობებს და თითქმის ასკეტურად ჭამდა, მაინც რაფინირებული ევროპელივით აფასებდა გემრიელ კერძსა და კარგ სასმელს. ევრიპაში პირველივე მოგზაურობისას გადაიღო ფრანგებისგან სუფრასთან საჭმელზე ლაპარაკის ჩვეულება. იმ საღამოს მხოლოდ ნახევარი ჭიქა წითელი ღვინო დალია და ცნობისმოყვარეობის გამო გასინჯა ირმის მწვადი, რათა დარწმუნებულიყო მეფუნდუკის სიტყვებში, რაც მისმა ოფიცრებმაც დაადასტურეს: ფოსფორისფერ ხორცს ჯასმინის სუნი ედინა. სუფრასთან ორიოდე წინადადების მეტი არ წარმოუთქვამს. ისევე როგორც მთელი მოგზაურობის მანძილზე, მაგრამ მაინც ყველამ დააფასა მისი მონდომება — გაექარწყლებინა ავადმყოფობითა და ნავსი დღით გამოწვეული სიმწარე. პოლიტიკაზე სიტყვაც არ დაუძრავს, არც შაბათის რომელიმე ინციდენტი უხსენებია, თუმცა მრავალი წლის მანძილზე ვერ ივიწყებდა ხოლმე მიყენებულ შეურაცხყოფას.

ვახშმის დამთავრებამდე ითხოვა ადგომის ნებართვა, სიცხით აკანკალებულმა ღამის ჰერანგი გადაიცვა, ჩაჩი დაიხურა და ჰამაკში ჩაესვენა. გრილი ღამე იღვა და ვეებერთელა ფოროიზლისფერი მთვარე ნელ-ნელა ექცეოდა გორაკების თავზე, მაგრამ გენერალს მისი ყურების თავი არ ჰქონდა. გალერეის გარშემო დაბანაკებული ჯარისკაცები ერთ ხმაზე მღეროდნენ მოღურ სიმღერებს. ღიდი ხნის წინათ მის მიერ შემოღებული წესის თანახმად, ჯარის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაცება გენერლის ირგვლივ იძინებდნენ, იულიუს კეისრის ლეგიონერებივით, რათა მას ღამის საუბრების მიხედვით მეომრების ფიქრი და მათი სულიერი მდგომარეობა გამოეცნო. უძილობით დატანჯულს ხშირად შემოუვლია ბანაკი და არაერთხელ დასთენებია თავზე ჯარისკაცებთან ერთად ყაზარმული კუჭლეტების მომღერალს. მაგრამ ამ ღამეს სამღერის მოსმენაც გაუჭირდა და სიჩუმე მოითხოვა. მალე მომატებულმა სიცხემ და ლოდებს შუა მდინარის გრუხუნმა ბოდვა დაწყებინა: „ლატანი!“ იყვირა, „ერთი წუთით მაინც შეაჩერეთ დინება“.

მაგრამ არა, აღარ შეეძლო მდინარეთა დინების შეჩერება. ხოსე პალასიოსმა სცადა აფთიაქში შენახული დამაწყნარებელი წამალი მიეცა, მაგრამ გენერალმა არ გამოართვა. „ეს-ესაა უარი ვთქვი ძალაუფლებაზე შეცდომით გამოწერილი გულისასარევი წამლის გამო და არ მსურს იგივე მიზეზით სიცოცხლესაც გამოვემშვიდობო“, თქვა ფრაზა, რომელსაც ხშირად იმეორებდა მას შემდეგ, რაც ერთმა ექიმმა ცოცხლებისგან განკურნა დარეშხანით შეზავებული სასმელით, მაგრამ კინაღამ დიზინტერიეთ ამოხადა სული. იქიდან მოყოლებული, მხოლოდ შეკრულობის საწინააღმდეგო აბებს სვამდა კიარაში რამდენჯერმე, კრიტიკულ შემთხვევაში კი ოყნას მიმართავდა.

ნაშუადღევს გენერლის ბოდვით შეწუხებულმა ხოსე პალასიოსმა ქვის იატაკზე დაიგო ჭილოფი და დაიძინა. გაღვიძებულს გენერალი ჰამაკში აღარ დახვდა. იქვე, იატაკზე მისი გაოფლიანებული პერანგი ეგდო. ხშირად იქცეოდა ზოლმე ასე. საწოლიდან დგებოდა და გათენებამდე შიშველი დაბორიალებდა ცარიელ სახლში. მაგრამ ისეთი დაძაბული დღის შემდეგ საშიში იყო მისი მარტო გაშვება, არც ნესტიანი ღამე იყო სეირნობისთვის შესაფერისი. ამიტომ ხოსე პალასიოსმა მოსასხამი აიღო და მთვარის შუქით მწვანედ განათებული სახლი შემოიარა. გენერალი საფოლავზე წაქცეული მიცვალებულის ქანდაკებასავით მიწოლილიყო ქვის კიბეზე. ხოსე პალასიოსს რომ შეხედა, მის თვალებში სიცხის კვალიც არ ჩანდა. „თითქოს სან ხუან დე პაიარას ღამე მეორდება“, უთხრა, „ოღონდ, სამწუხაროდ, რეინა მარია ლუისას გარეშე“.

ხოსე პალასიოსს კარგად ახსოვდა 1820 წლის იანვრის ის ღამე და ვენესუელის მაღალმთიან აპურეში ჩაკარგული ადგილი, სადაც ორი ათას ჯარისკაცთან ერთად მივიდნენ. იმხანად უკვე თვრამეტი პროვინცია გაანთავისუფლეს ესპანელებისგან. გენერალმა ახალი გრანადის ყოფილი ტერიტორიების, ვენესუელის ნაწილისა და კიტოსგან კოლუმბიის ახალი რესპუბლიკა შექმნა და სამართლიანად დაინიშნა მის პირველ პრეზიდენტად და ჯარების მთავარსარდლად. მისი ბოლო ოცნება იყო ომის სამხრეთის მიმართულებით გაკრცელება, რათა აეხდინა ზღაპრული ჩანფიქრი და შეექმნა მსოფლიოში უდიდესი ერი: ერთი დიადი და თავისუფალი ქვეყანა, მექსიკიდან კაბო დე ორნოსამდე.

ომის საქმე კი ისე მიდიოდა, რომ იმ ღამეს საოცნებოდ არ ეცალა. პირუტყვს ჭირი დაერია და თოთხმეტ ლიეზე გროვებად დატოვეს დახოცილი ცხენები. დემორალიზებულ ოფიცერთა ნაწილი ქურდობდა და უფროსობას არ ემორჩილებოდა, ზოგიერთი კი ხმამაღლა დასცინოდა მის ბრძანებას დამნაშავეთა დახვრეტის შესახებ. ორიათასიან ფეხშიშველ, უიარაღო, მშიერ, ომებით დაღლილ და დაავადებულ ჯარში დეზერტირობა დაიწყო. გენერალმა ბრძანა ათი პესოთი დაეჯილდოებინათ პატრული, რომელიც დეზერტირს შეიპყრობდა და მას მიჰგვრიდა, რის შემდეგაც დამნაშავე დუკითხავად უნდა დახვრიტათ.

ცხოვრებამ კარგა ხანაა ასწავლა, რომ არც ერთი დამარცხება არ იყო უკანასკნელი. სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ, როცა თავის არმიასთან ერთად ამ მიდამოების მახლობლად, ორინოკოს

ჯუნგლებში გზა აებნა, იძულებული გახდა ცხენების დაკვლის უფლება გიეცა, დამშეულ ჯარისკაცებს ერთმანეთი რომ არ დაეჭამათ. ბრტანული ლეგიონის ერთი ოფიცრის გადმოცემის თანახმად, გენერალი პრტიზანივით გამოფეთქრებოდა, დრაგუნის რუხი ქუდი ეხურა, მენახირის ქალამნები და ოქროსფერ-ღილებიანი ცისფერი მუნდირი ეცვა და მეკობრეთა შავი დროშა მიჰქონდა, თავის ქალასა და გადაჯვარედინებული ძვლების ქვეშ სისხლით მიწერილი სიტყვებით: „თავისუფლება ან სიკვდილი“.

იმ ღამეს, სან ხუან დე პაიარაში, მართალია, უკეთესად ეცვა, მაგრამ უკეთეს ღღეში ნამდვილად არ იყო. იმხანად მარტო ცალკეული დანაყოფების კი არა, მთელი განმთავავისუფლებელი არმიის ბედი აწუხებდა, რომელიც საკუთარი გამარჯვებისა და დიდების სიმძიმით იყო წელში გაღუნული. სამაგიეროდ, ესპანელი გენერალი, დონ პაბლო მორილიო, რომელსაც კოლონიური რეჟიმის აღდგენა სურდა და პატრიოტთა შესანახი სახსრებიც გააჩნდა, საამქროდ გამაგრებულიყო ვენესუელას დასავლეთით, შთებში.

სწორედ მასზე ფიქრობდა გენერალი იმ უძილო ღამეს, შიშველი რომ ლაბიჯებდა მთვარის შუქით განათებული ქველი სახლის დცარიელებულ ოთახებში. დახოცილი ცხენების უმეტესობა სახლისგან მოშორებით დაწვეს წინა ღღეს, მაგრამ ირგვლივ მაინც გახრწნილი ლეშის აუტანელი სუნი იდგა. ბოლო, უმძიმესი კვრის მანძილზე ჯარისკაცებს სიმღერა არც გახსენებიათ და თვითონაც ვერაფერს ეუბნებოდა შიმშილით დაოსებულ და ჩაძინებულ პატრულებს. უცებ ღია გალერეაში, კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი რეინა მარია ლუისა დაინახა. ლამაზი და კერპის პროფილიანი მულატი თავიდან ფეხებამდე ყვავილებით მოჩითულ მოსასხამში გახვეულიყო და ჯარისკაცულ სიგარას ეწეოდა. გენერალის დანახვაზე შეშინდა და კაცისკენ გადაჯვარედინებული ცერა და საჩვენებელი თითები გაიშვერა. „ღმერთისა და ეშმაკის სახელით“, თქვა, „რა გინდა?“

„შენ მინდიხარ“, გაიღიმა გენერალმა და გოგო მერეც ხშირად იგონებდა მთვარის შუქზე მოელვარე მის უნაკლო კბილებს. გენერალი გოგოს მოეხვია და განძრევის საშუალება არ მისცა, თან ნაზად უკოცნიდა შუბლს, თვალებს, ლოყებს და კისერს, სანამ მოათვინიერა. შემდეგ მოსასხამი შემოაძრო და სული შეუგუბდა. გოგოც შიშველი იყო. ბებია, რომელსაც მის ოთახში ეძინა, ტანსაცმელს უმალავდა, ღამე მოსაწყვად რომ არ გასულიყო და ვერც კი ხვდებოდა, რომ გამთენიისას შვილიშვილი მოსასხამში გახვეული იპარებოდა. გენერალმა გოგო ხელში აყვანილი, კოცნა-კოცნით მიიყვანა ჰამაკთან და ისიც დანებდა, სურვილით ან სიყვარულით კი არა, შიშით, ქალაშვილი აღმოჩნდა და სულის მოთქმა რომ მოახერხა, თქვა:

„მონა ვარ, ბატონო“.

„ღღეიდან აღარ“, უპასუხა გენერალმა, „სიყვარულმა გაგანთავისუფლა“.

მეორე ღღესვე უპირობოდ გამოიხყიდა მემამულისგან ას ჰექტარ, რაც თავის ისედაც შემსუბუქებული ქისიდან გადაიხადა. წასვლამდე ცღუნებას ვერ გაუძლო და სახალხოდ დაუსვა შეკითხვა. თვითონ პატიოში იდგა ცოცხალად დარჩენილ ცხენებზე ამხედრებულ ოფიცრებს შორის. ჯარის ნაწილი, წინა ღამით ჩამოსული გენერლის, ხოსე ანტონიო პაეზის მეთაურობით, მათ გასაცილებლად გამოკრეფილიყო.

გენერალი მოკლე სიტყვით დაემშვიდობა ჯარისკაცებს. თავის გამოსვლაში შეძლებისდაგვარად შეარბილა არსებული ძმიე მდგომარეობა და ის იყო წასასვლელად გაემზადა, რომ თავისუფალი და ლაი რეინა მარია ლუისა დაინახა. ახალდაბანილი ერთიანად ქათქათებდა თეთრ, გახამებულ მაქმანიან ქვედა კაბასა და ვიწრო ბლუზაში გამოწყობილი.

გენერალმა მხიარულად ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რნები თუ ჩვენთან მოდიხარ?“

„ვრჩები, ბატონო“, მომხიბელელი ღიმილით უპასუხა გოგომ, რასაც დამსწრეთა ერთსულოვანი ხარხარი მოჰყვა. მაშინ სახლის პატრონმა ესპანელმა, რომელიც დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებს უჭერდა მხარს და ამავე დროს გენერლის ძველი ნაცნობი იყო, სიცილით დაუბრუნა ასი პესო. გენერალმა ქისა ჰაერში დაიჭირა. „გამოგადგებათ, თქვენო ბრწყინვალებავ“, უთხრა პატრონმა, „გოგოს ისედაც გავანთავისუფლებ“. გენერალმა ხოსე ანტონიო პაესმა, რომლის ფავნის გარეგნობას კარგად ეხამებოდა ფარჩის ჭრელი პერანგი, ხმამაღლა გადაიხარხარა.

„ხომ ხედავთ, გენერალო,“ უთხრა, „რა გვემართება, ხალხების განთავისუფლებას რომ ვცდილობთ“.

გენერალმა კვერი დაუკრა და ყველას ხელის დაქნევით დაემშვიდობა, ბოლოს დამარცხებულმა რეინა მარია ლუისას აუწია ხელი და მას შემდეგ არაფერი სმენია ვოგოზე. ხშირად, საკმე მთავრის დროს, გენერალი ხოსე პალასიოსს უმტკიცებდა, რომ ის ჯადოსნური ღამე მეორდებოდა, ოღონდ რეინა მარია ლუისას გარეშე, რაც ყოველთვის მის მორიგ მარცხს ემთხვეოდა ხოლმე.

ხუთ საათზე, როცა ხოსე პალასიოსმა პირველი ნაყენი მიუტანა, გენერალი თვალგახელილი იწვა, მაგრამ ისე სწრაფად წამოხტა, რომ კინალამ პირქვე დაემხო და ხელება აუტყდა. სანამ კრიზისმა გაუარა, ჰამაკში წამომჯდარი ახველებდა და ირიგე ხელით იჭერდა თავს. შემდეგ ცხელი ნაყენი მოსვა და პირველივე ყლუპის შემდეგ გამოუკეთდა გუნება. „ძოელი ღამე კასანდრო მესიზმრებოდა,“ თქვა.

ეს მისი დიდი ხნის მეგობრისა და, ამავე დროს, მოწინააღმდეგის, ვრანადელი გენერლის ფრანსისკო დე პაულა სანტანდერის კონსპირაციული სახელი იყო. ომის დაწყების დღიდან, პერუს განმათავისუფლებელი ბრძოლებისა და ბოლივიის შექმნიდან მოყოლებული, გენერალი სანტანდერი კოლუმბიის პრეზიდენტი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. სანტანდერი უფრო ისტორიული აუცილებლობის გამო გახდა მამაცი და ამავე დროს, დაუნდობელი სამხედრო, ვიდრე მოწოდებით. დიდება კი თავისი სამოქალაქო თვისებებისა და აკადემიური განათლების წყალობით ეწვია. ის მეორე კაცი იყო განმათავისუფლებელთა შორის და პირველი — რესპუბლიკის იურიდიული მოწყობის საქმეში, რასაც სამუდამოდ დაასვა ფორმალობისა და კონსერვატულობის ბეჭედი.

პოსტიდან გადადგომის მრავალრიცხოვანი მცდელობისას, გენერალს არაერთხელ გაუმეორებია სანტანდერისთვის, რომ მშვიდად ელოდა პოსტს. რადგან აქ თქვენ გტოვებთ, ჩემს მეორე და, ალბათ, უკეთეს მესო, ეუბნებოდა და არც არავის ენდობოდა ისე ბრმად, როგორც კასანდროს, რომელსაც დამკანონებლის ტიტული მიანჭა. და მაინც, კაცი, რომელსაც ამდენი დამსახურება მიუძღოდა სამშობლოსა და გენერლის წინაშე, ორი წლის გადასახლებული იყო პარიზში, მის მოსაკლავად მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობის ღამდე დაუმტკიცებელი ბრალდებით.

ყველაფერი ასე დაიწყო: 1828 წლის 25 სექტემბერს, ოთხშაბათს, შუაღამეზე თერმიტი სამოქალაქო და ოცდაექვსი სამხედრო ძალით შეიჭრა სანტა ფეს მთავრობის სასახლეში. შეთქმულებმა დანით დახოცეს გენერლის ორი მეძებარი ძაღლი, დაჭრეს რამდენიმე გუშაგი, ხმლით მძიმე ჭრილობა მიაყენეს ხელში კაპიტან ანდრეს იბარას, ერთი გასროლით მოკლეს ბრიტანული ლეგიონის პოლკოვნიკი, მისი ადიუტანტი უილიამ ფერგიუსონი, რომელზეც გენერალი ამბობდა, კეთილივით უშიშარიაო, და ბოლივარის სწორ თოახში შეიჭრნენ ყვირილით, გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს ტირანიო.

შეთქმულები თავდასხმის აუცილებლობას უკანასკნელ სამ თვეში ოკანიას ხელშეკრულების მონაწილე სანტანდერისტებს წინააღმდეგ გამოყენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიქტატორული მეთოდებით ხსნიდნენ. გაუქმდა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, სანტანდერს რომ ეკავა შვიდი წლის მანძილზე, რის შესახებაც სანტანდერმა მისთვის დამახასიათებელი სტილით აცნობა ერთ-ერთ მეგობარს: „პატივი მერგო დავმარხულიყავი 1821 წლის კონსტიტუციის ნანგრევებქვეშ“.

იმხანად სანტანდერი 37 წლის იყო. გენერალმა ივი სრულუფლებიან მინისტრად დანიშნა ვაშინგტონში, მაგრამ მან რამდენჯერმე გადადო გამგზავრება. შესაძლოა, სულაც შეთქმულების მოლოდინშიც.

გენერალი და მანუელა საენი ის იყო შერიგების აღნიშნის იწყებდნენ. კვირის ბოლო სოაჩას დასახლებაში გაატარეს, დედაქალაქიდან ორნახევარი ლიგის დაშორებით, სადაც სერიოზულად წაკამათდნენ და ორშაბათს სხვადასხვა ეტლით დაბრუნდნენ სანტა ფეში. კამათის მიზეზი ის იყო, რომ გენერალი ყურადღებას არ აქცევდა გაფრთხილებებს მასზე შესაძლო თავდასხმის შესახებ, რაზეც მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა და რაც მარტო მას არ სჯეროდა. მანუელამ უასუხოდ დატოვა ქუჩის გადმა მდებარე სან კროლესის სასახლიდან გამოგზავნილი ბარათები. მაგრამ სალამის 9 საათზე, ბოლო სამი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, ფეხსაცმელზე კალოშები ჩაიცვა, თავსაფარი მოიხვია და ატალახებული ქუჩა გადაჭრა. გენერალი აბაზანის სურნელოვან წყალში მოტივტივე იხიელ და მხოლოდ იმიტომ არ ეგონა მკვდარი, რომ ადრეც ხშირად უნახავს ამ პოზაში მოაზროვნე. გენერალმა მანუელა ფეხის ხმაზე იცნო და თვალდახუჭული გამოელაპარაკა.

„აჯანყება მოხდება“, უთხრა.

„რას მეუბნებთ“, ირონიანთ ვერ დაფარა მანუელამ, „თქვენ ხომ დიდი ყურადღებით ეკიდებთ გაფრთხილებებს“.

„მე მხოლოდ წინათგრძნობის მჯერა“, თქვა გენერალმა.

სინამდვილეში ფაცვის უფროსმა, რომელსაც უკვე ნათქვამი ჰქონდა შეთქმულებისთვის პაროლი, რათა მათ დროულად შეეწყოთ სასახლეში, გენერალი დაარწმუნა, რომ შეთქმულება ჩაშლილი იყო და ისიც ამიტომ ბანაობდა კარგ გუნებაზე.

„ნუ გეშინია“, უთხრა მანუელას, „მაგ პედერასტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდთ.“

ის-ის იყო გახდილი გენერალი და ნახევრად შიშველი მანუელა საწოლში სიყვარულის პრელუდიას შეუდგნენ, რომ პირველი ვასროლა და ჩოჩქოლი მოისმა. მანუელა გენერალს დაეხმარა ფართიფურთით ჩაცმაში, ფეხი თავის კალოშებში გაყოფინა, რადგან გენერალს თავისი ერთადერთი წყვილი ფეხსაცმელი გასაპრიალებლად ჰქონდა გაგზავნილი და აივნიდან გააპარა უმოსასხამოდ, ხმლითა და ერთი პისტოლეტით შეიარაღებული. როგორც კი ქუჩაში აღმოჩნდა, გენერალმა მოახლეებულ ლანდს დაუმიზნა იარაღი, მაგრამ დროზე იცნო საკუთარი მაჟორდომი. ხოსე პალასიოსს ქუჩაში გაეგო, ბატონი მომიკლესო და შეწუხებული მოიჩქაროდა სასახლისკენ. ცოცხალი რომ იხილა, გადაწყვიტა, გვერდიდან აღარ მოსცლებოდა გენერალს და ორივემ სან ავუსტინოს თხრილზე გადებულ კარმენის ხიდქვეშ წამოზრდილ ბუჩქნარს შეფარა თავი, სანამ გენერლის ერთგულმა ჯარისკაცებმა შეთქმულები შეიპყრეს.

საწოლ ოთახში ძალით შეჭრილ მამბოზეებს მანუელამ მთელი თავისი ეშმაკობა და ვაჟკაცობა დაუპირისპირა, რაც არაერთხელ გამოუჟღავნებია სხვადასხვა ისტორიულ მომენტში. პრეზიდენტის ადგილსამყოფელი რომ ჰკითხეს, უპასუხა, სათაბერო დარბაზშია-ო; ჰკითხეს, რატომ იყო შუა ზამთარში აივნის კარი ღია და უპასუხა, თვითონ გავადე, ქუჩაში ხმაურის მიზეზი რომ გამეგოო; ჰკითხეს, რატომ იყო საწოლი თბილი და უპასუხა, რომ პრეზიდენტის მოლოდინში წამოწვა გაუზდელად. ლაპარაკ-ლაპარაკში ღრმა ნაგაზებით ეწეოდა აყოლილებულ სიგარას, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში მოტრიალე გენერლის ოდეკოლონის სუნი დაეფარა.

ტრიბუნალმა, რაფაელ ურდანტას ხელმძღვანელობით, დასაკვნა, რომ შეთქმულთა ფარული ორგანიზატორი გენერალი სანტანდერი იყო და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მას. სანტანდერის მტრებს განაჩენი სრულიად დამსახურებულად მიაჩნდათ. დანაშაულზე მეტად ისინი მისმა ცინიზმმა გააოცა, როცა სანტანდერი პირველი გადაეხვია გენერალს პლასა მაიორზე და გადარჩენა მიულოცა. დახეულ მუნდირში გახვეული, წვიმაში გალუმპული გენერალი უპერანგოდ იჯდა ცხენზე ერთგული ჯარისკაცებითა და გარეუბნებიდან შეკრებილი ხალხით გარშემორტყმული, რომლებიც ხმამაღლა მოითხოვდნენ შეთქმულთა დახვრეტას. „ყველა დამნაშავე დაისჯება მეტ-ნაკლებად“, მისწერა გენერალმა მარშალ სუკრეს, „სანტანდერი მთავარი დამნაშავეა, მაგრამ ბედი სწყალობს, რადგან ჩემი დიდსულოვნება დაიკავს“. მართლაც, გენერალმა თავისი ძალაფლება გამოიყენა და სანტანდერს დახვრეტა პარიზში გადასახლებით შეუცვალა. სამაგიეროდ, უსამხილოდ დახვრიტეს ადმირალი ხოსე პრუდენსიო პადილია, რომელიც სანტა ფეს ციხეში იჯდა კარტახენა დე ინდიასში ჩაშლილი აჯანყების მოწყობის ბრალდებით.

ხოსე პალასიოსმა არ იცოდა, როდის ესიზმრებოდა გენერალს სანტანდერთან დაკავშირებული რეალური ფაქტები და როდის — გამოგონილი. ერთხელ გაუიაკილში გენერალი მიუყვა, როგორ იხლა ძილში სანტანდერი, რომელსაც ღიპზე წიგნი გადაეშალა, მაგრამ კითხვის ნაცვლად ფურცლებს ხევდა და პირის წკლაპუნით საოთაოდ ჭამდა. მეორედ, კუჯუტაში, თავიდან ბოლომდე ტარაკანებით დფარული დაეხიზმრა. ერთხელაც სანტა ფეს მინსურატის ყაზარმაში ყვირილით გაღვიძა, რადგან სიზმარში სანტანდერთან ერთად სადილობდა და თურმე, სანტანდერმა შეა ჭამაში თვალის ბუდეებიდან გუგები ამოიღო და მაგიდაზე დაწყო. ამიტომ იმ გამთენიისას, გუადუასთან, როცა გენერალმა გამოუცხადა, სანტანდერი დამესიზმრაო, ხოსე პალასიოსი სიზმრის შინაარსით არ დაინტერესებულა და სცადა რეალობით დაემშვიდებინა პატრონი. „სანტანდერსა და ჩვენს შორის უზარმაზარი ზღვაა“, უთხრა.

„უკვე აღარ“, მოულოდნელად გამოცოცხლებული თვალები შეაგება გენერალმა, „დარწმუნებული ვარ, მშიშარა ხოაკინ მოსკერა უკან დაბრუნებს“.

ეს ახრი აწუხებდა იმ დღიდან, როცა ხელისუფლების დატოვება მისი ღირსების საქმედ იქცა.

„გადასახლება ან სიკვდილი მირჩევნია წმინდა ბართლომეს კოლეჯის მოსწავლეების ხელში ჩემი დიდების ჩაგდებას“, განუცხადა ხოსე პალასიოსს. გენერალს წუთითაც არ სტოვებდა ავი წინათვრძნობა რომ, როგორც კი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, მისი ოპონენტები, პირველ ყოვლისა, გენერალ სანტანდერს დაიბრუნებდნენ ქვეყანაში.

„იმიტომ, რომ გაიძვერა და ყალთაბანდია,“ თქვა გენერალმა.

სიცხეს დაეწია და ძალების ისეთ მოზღვავებას გრძნობდა, რომ ხოსე პალასიოსს ფურცელი და კალამი მოსთხოვა, სათვალე გაიკეთა და მანუელა საენს საკუთარი ხელით მისწერა ექვსსტრიქონიანი წერილი. ეს მის მოულოდნელ გამოხდომებს მიჩვეულ ხოსე პალასიოსსაც კი უცნაურად მოეჩვენა და წინათგრძნობის ან გაუსაძლისი შთაგონების მოზღვავებად ჩათვალა. ეს ფაქტი გასულ პარასკევს დაღებულ პირობასაც ეწინააღმდეგებოდა: დარჩენილი ცხოვრების მანძილზე წერილს აღარ დაეწერო, და მის ჩვეულებასაც: დღეღამის ნებისმიერ დროს გამოეძახა გადამწერი დაგვიანებული წერილის, მოწოდების ტექსტის ან აბსურდული იდეების საკარნახოდ, უძლებით გატანჯულს რომ აწუხებდა. მისი მონდომება ამითაც ჩანდა საეჭვო, რომ ბარათში არაფერი იყო საჩქარო. წერილის ბო-

ლრს გენერალი ჩვეული აგდებული ტონით მხოლოდ მისთვის გასაგებ რჩევას აძლევდა მანულას: „ფრთხილად იყავი და გახსოვდეს: შენ თუ თავს წაავებ, ორივე დავილუპებით“. საქმეს რომ მორჩა, წერილით ხელში დაღლილი ჩაესვენა ჰამაკში.

„უდიდესი ძალა აქვს გაუსაძლის სიყვარულს“, ამოიოხრა უცებ, „ვინ თქვა ეს?“

„არავინ“, უპასუხა ხოსე პალასიოსმა.

მან წერა-კითხვა არ იცოდა და არც ცდილობდა ესწავლა. სამაგიეროდ, ზეპირად ახსოვდა შემთხვევით გაგონილი ნებისმიერი ფრაზა, ამას კი ვერ იხსენებდა.

„მაშინ მე ვყოფილვარ აეტორი“, აღნიშნა გენერალმა, „მაგრამ ვფქვათ, რომ მარშალ სუკრეს ეკუთვნის“.

არავინ ისე არ გამოსდგომია გენერალს იმ კრიზისულ პერიოდში, როგორც ფერნანდო. ის გენერლის ყველა გადამწყვეტ მშვიდი და მომთმენი გამოდგა, თუმცა საუკეთესოს ვერ უწოდებდი. ვაჟკაცურად გადაიტანა გენერლის უძილობის გამო უმოწყალოდ არეული სამუშაო გრაფიკი. ნას აღვიძებდნენ ნებისმიერ დროს, მოსწყვენი წიგნის წასაკითხად ან გადაუდებელი ჩანაწერის გასაკეთებლად, რომელიც მეორე დღეს სანაგვეში ეყდო. გენერალს თავისი მრავალრიცხოვანი სასიყვარულო დამეების შედეგად მემკვიდრე არ გასჩენია (თუმცა ამტკიცებდა, უნაყოფო არა ვარო) და ძმის სიკვდილის შემდეგ ფერნანდოზე დაიწყო ზრუნვა. გამორჩეული სარეკომენდაციო წერილებით გაგზავნა ვერ ჯორჯთაუნის სამხედრო აკადემიაში, სადაც გენერალმა ლაფაიეტმა პირადად გამოხატა აღფრთოვანება და პატივისცემა ბიძამისის მიმართ, შემდეგ კი შარლოტვილის ჯეფერსონის კოლეჯსა და ვირჯინიის უნივერსიტეტში. ფერნანდო ნამდვილად არ გამოდგა ისეთი მემკვიდრე, გენერალი რომ იოცნებობდა. და სწავლას სუფთა ჰაერზე ბაღში მუშაობას ამჯობინებდა. გენერალმა იგი სანტა ფედან გამოიძახა სწავლის დამთავრებისთანავე და მაშინვე დანიშნა გადამწყვეტად, არა მარტო შესაშური კალიგრაფიისა და უშეცდომო ინგლისურის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ხძამაღლა კითხვის დროს ოსტატურად თხზავდა საინტერესო ეპიზოდებს მოსაწყენი ადგილის გასახალისებლად და ამშვენებ ფელეტონებს წერდა, რომლებიც მკითხველთა დიდ მოწონებას იმსახურებდა. თუმცა, გენერლის სამსახურში მყოფი ყველა ჯარისკაცივით, ერთხელ ფერნანდომაც იწვნია მისი რისხვა, როცა დემოსთენეს ერთი ფრაზა ციცერონს მიაწერა სიტყვაში, რომელიც გენერალმა საჯაროდ წარმოთქვა. ნათესაური კავშირის გამო ფერნანდო სხვებზე მკაცრად დაისაჯა, მაგრამ გენერალს სასჯელის ვადის გასვლამდე მოუნდა გული.

პროვინციის გუბერნატორი, გენერალი ხოაკინ პოსადა ორი დღე ხელმძღვანელობდა კომისიას, რომელსაც გენერლის ჩასვლის ამბავი უნდა ეუწყებინა იმ დასახლებათა თავკაცებისთვის, სადაც მარშრუტის მიხედვით მოგზაურებს უნდა დადამებოდათ და, ამავე დროს, ადგილობრივი ხელისუფლება გენერლის გაუარესებული ჯანმრთელობის შესახებ უნდა გაეფრთხილებინა. მაგრამ ვინც ოთხშაბათ საღამოს გუადუასში შესული გენერალი ისილა, დაიჯერა ჭორები, რომ გუბერნატორის მიერ გავრცელებული ხმები მისი ავადმყოფობის შესახებ, ისევე როგორც თვით მოგზაურობა, პოლიტიკური ხრიკი იყო და მეტია რაფერი.

გენერალი შესანიშნავად გამოიყურებოდა. დასახლებაში მთავარი ქუჩიდან შევიდა მკერდგაღებული და ოფლის შესაკავებლად თავზე ბოშასავით ცხვირსახოცწაკრული. ყვავილების წვიმაში, რაკეტების ტკაცუნსა და ზარების რეკვაში სობბრეროს ქნევით ესალმებოდა დამხვდურებს, რომელთა ხმაური მუსიკის ხმას ნოქავდა. მისმა მხიარულად მოთოხარიკე ჯორმა კი დღესასწაულს ხოლიღური ელფერი დაუკარგა. ერთადერთი შენობა, რომლის ფანჯრებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაღებულა, მონაზონთა კოლეჯი იყო. იმავე ღამეს დაირხა ხმები, რომ მის მოსწავლეებს დღესასწაულში მონაწილეობა აეკრძალთ, მაგრამ გენერალმა ყველას ურჩია, მონასტრის ჭორებს არ აჰყოლოდნენ.

წინა ღამეს ხოსე პალასიოსმა გასარეცხად გაგზავნა გენერლის გაოფლილი პერანგი. რომელიღაც ადიუტანტმა ჯარის კაცებს დაავალა მისი მდინარეში გარეცხეა, მაგრამ ამ არეულობაში პერანგი ყველას გადაავიწყდა. ჯერ კიდევ ბუნდოვანში ნახვლამდე ხოსე პალასიოსმა მოახერხა უწესრიგად გაეგზავნა გენერალის ერთი პერანგი ჯადოქარი ინდიელისთვის, ამიტომ იძულებული გახდა სახლში დაბრუნებისთანავე გამოტყდომოდა პატრონს, რომ ერთი პერანგის მეტი, რომელიც გენერალს ზედ ეცვა, აღარაფერი გაჩნდათ. გენერალმა ფილოსოფიური სიმშვიდით მიიღო ცნობა. „ცრურწმენა სიყვარულზე ძლიერი გრძნობაა“, განაცხადა.

„საოცარი ისაა, რომ ღამე სიცხე არ გვქონია“, თქვა ხოსე პალასიოსმა, „იქნებ, ექიმბაში მართალი ახდენს სასწაულებს“.

გენერალმა უცებ ვერაფერი უპასუხა და, ჰამაკში მოქანავე, ფიქრებს მიეცა. „მართალი გითხრა, თავიც ადარ მტკენია“, თქვა, „არც პირში ვგრძნობ სიმწარეს და აღარც ისეთი შეგრძნება მაწუხებს, თითქოს მაღალი კოშკურიდან უნდა ჩამოვეარდე“. მაგრამ უცებ მუხლებზე ხელსაგული დაირტყა, აზრებს ნუ მირევო, თქვა და მტკიცე გადაწყვეტილებით წამოდგა.

ორმა მსახურმა ოთახში სურნელოვანი ფოთლების მდუღარე ნახარში შემოიტანა და ხოსე პალასიოსმა ღამის ახახანა გაუშვადა, რადგან დარწმუნებული იყო, მმიმე ღღით დაქანცული გენერალი დასაძინებლად დაწვებოდა. მაგრამ წყალი ისე გაცივდა, რომ გენერალი თავისი ძმისშვილის, ვალენტინა პალასიოსის მეუღლის გაბრიელ კამაჩოსადმი გასაგზავნ წერილს კარნახობდა გადამწერს. კამაჩი მისი რწმენებული იყო კარაკასში მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული ანარ სპილენძის მაღაროების გაყიდვის საქმეში. გენერალს, როგორც ჩანდა, თავად არ ჰქონდა გადაწყვეტილი, საით აეღო გეზი, და თუ წერილის დასაწყისში კამაჩოს სწერდა, კუბასაოში შიდეკარო, ბოლოში ხოხოდა, საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ პასუხი ლონდონში მიეწერა სერ რობერტ უილსონის სახელზე. ასლი კი ოამაიკაში გაეგზავნა სენორ მაქსველ ჰისლოპთან, რათა ერთ-ერთი მაინც აუცილებლად მიეღო. მისი ამალის წევრებს, განსაკუთრებით მმდენებსა და გადამწერებს, ანოას სამბადიები გენერლის ღამეული ბოდვის ნაყოფად უფრო მიაჩნდათ, ვიდრე რეალობად. წლების მანძილზე უპატრონოდ მიგდებული საბადოები არავის გამოუკვლევია. გენერალს საბადოები ბოლო დღეებშიღა მოაგონდა, რიცა ფულ შემოაკლდა, მაგრამ იმის გამო, რომ საკუთარი ტიტულები ვერ დაუბუსტა, ვერ მიჰყიდა ისინი ერთ ინგლისურ კომპანიას. იქიდან დაიწყო ლეგენდარული სასამართლო პროცესი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ ორ წელიწადს გაგრძელდა. როცა გაცხარებულ ომებში თუ პოლიტიკურ კონფლიქტებში გენერალი „ჩემს ფულს“, ეახსენებდა, ყველა ხედებოდა, რა ეგულისხმებოდა ამ სიტყვებში, რადგან მას საბადოების მეტი არაფერი გააჩნდა. გაბრიელ კამაჩოსთვის გასაგზავნი წერილის მიზეზვეთ, რომელიც გენერალმა გუდუასში უკარნახა, ფერნანდომ არასწორად დასაკვნა, რომ კონფლიქტის მოგვარებამდე ევროპაში არ წავიდოდნენ, რის შესახებაც მოგვიანებით, ბანქოს თამაშის დროს, დანარჩენ ოფიცრებსაც აცნობა.

„ეს იგი, ვედარასოდეს წავსულვართ“, დასაკვნა პოლკოვნიკმა უილსონმა, „მამაჩემმა ბოლომდე ვერ დაადგინა, არსებობს ეს სპილენძი სინამდვილეში თუ არა“.

„სპილენძი არავის უნახავს, მაგრამ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდი ნიშნავს, რომ არ არსებობს". გაეპასუხა კაპიტანი ანდრეს იბარა.

„არსებობს", თქვა გენერალმა კარენიომ, „ვენესუელას დეპარტამენტში".

„ამ სიმაღლეზე ისიც არ მჯერა, რომ თვითონ ვენესუელა არსებობს,", ამოიოხრა უილსონმა, რომელიც გულისწყრომას ვერ ფარავდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ გენერალს არ უყვარდა და ამალაში მხოლოდ მამამისის ხათრით აჩერებდა, რომლისგანაც დავალებული იყო ინგლისის პარლამენტში მის მიერ ამერიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის დაცვის გამო. ერთმა ენაჭარტალა ფრანგმა ადიუტანტმა უილსონს გენერლის ნათქვამი მოახსენა, „მაგან ჯერ სიძნელეების, მტრობისა და სიღარიბის სკოლა უნდა გაიაროსო". უილსონმა ბოლომდე ვერ დაადგინა, მართლა გენერალს ეკუთვნოდა ეს სიტყვები თუ არა, მაგრამ დარწმუნებული იყო, მისი ერთი ბრძოლაც კი სამი სკოლის დიპლომს უდრიდა. ოცდაექვსი წლის უილსონი რვა წლის წინათ გაგზავნა მამამისმა გენერლის სამსახურში, მას შემდეგ, რაც ვესტმინსტერ ი სანდჰარსთში დაასრულა სწავლა. იგი გენერლის ადიუტანტი იყო სუნინის ბრძოლაში და სწორედ მან ჩაიტანა დედაქალაქში ჯორით ბოლივიის კონსტიტუციის შავი პირი სამას ლიეზე მეტბარე ჩუკისაკადან. დამშვიდობებისას გენერალმა უთხრა, ოცდაერთ დღეში უნდა ჩაასწრო. „ოც დღეში ჩავალ, თქვენო ბრწყინვალებავ", შეპასუხდა უილსონი და ცხრამეტ დღეში ადგილზე იყო.

მას გადაწყვეტილი ჰქონდა, გენერალთან ერთად დაბრუნებულიყო ევროპაში, მაგრამ თანდათან რწმუნდებოდა, რომ გენერალი ათასგვარ მიზეზს ეძებდა მგზავრობის გადასადებად. მის ეჭვებს ისიც ადასტურებდა, რომ გენერალმა კვლავ უსარგებლო აროას მაღაროებზე დაიწყო ლაპარაკი.

ხოსე პალასიოსმა წერილის დამთავრების შემდეგ წყალი გაატხელა, მაგრამ გენერალი აბაზანაში არ ჩაწვა, ბოლოთის ცემას მოჰყვა და ხმამაღლა დასდო ყო საკუთარი პიემების კითხვა, რომლებიც მარტო ხოსე პალასიოსმა იცოდა. დროდადრო გალერეაში შედიოდა, სადაც მისი ოფიცრები გალისიურ კასკარელას თამაშობდნენ, მოთამაშეთა მხრებზემოდან იყურებოდა ბანქოში, თავისი დასკვნები გამოჰქონდა და სიარულს განაგრძობდა.

„არ მესმის, როგორ კლავთ დროს ამ მოსაწყენი თამაშით", ამბობდა ხოლმე და მაინც, ერთ-ერთი შემოვლის დროს ცდუნებას ვერ გაუძლო და კაპიტან იბარას სთხოვა, ადგილი დაეთმო მაგიდასთან. გენერალს კარგი მოთამაშის მოთმინება აკლდა, წაგებაზე აგრესიულად რეაგირებდა, გაბედულად და სწრაფად თამაშობდა და ხანდახან თავის ხელქვეითებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. იმ ჯერზე გენერალ კარენიოსთან ყველაში ექვსი ხელი ითამაშა და ყველა წააგო.

„სულელური თამაშია," გამოაცხადა და ბანქო მაგიდაზე დაყარა, „აბა, ლომბერში შემეჯიბრეთ".

ახალი თამაშა წამოიწყეს და გენერალმა სამი ხელი მოიგო. ხასიათზე მომდგარმა პოლკოვნიკ უილსონის თამაშის სტილს დასცინა. უილსონი გაბრაზდა და მეტი აღარ წაუგია. გენერალი დაიძაბა, გაქვავებული ტუჩები გაუთეთრდა, ამდერეულ თვალებში კი გარდასულ დღეთა ველური გამომეტყველება ჩაუდგა. ხმა აღარ ამოუღია და მხოლოდ ახველებდა, რაც ხელს უშლიდა გულისყურის მოკრებაში. თორმეტ საათზე თამაში შეაჩერა. „მთელი ღამეა ორპირ ქარში ვზიავრთ", გამოაცხადა.

მაგიდა მოფარებულში გადადგეს, მაგრამ გენერალმა ისევ წაგა. მაშინ ბრძანა, ფლეიტის ხმები ჩაეხშოთ, რომელიც ჭრიჭინების ჭრიჭინთან ერთად სოფლის ფიესტიდან მოჰქონდა ნიავს. ადგილი შეიცვალა, სკამზე ბალაში დაადებინა, უფრო მაღლა და მოხერხებულად რომ მჯდარიყო, ხველების დასაწყნარებლად ცაცხვის ყვავილის ნაყენი დალია. რამდენიმე ხელი ფეზზე მდგარ-

ში ითამაშა, მაგრამ არაფერმა შეშველა. გაცოფებული, ღვარძლიანი მზერით ბურღავდა უილსონს, მაგრამ ინგლისელს თავიც არ აუწევია.

„ეს ბანქო დანაშნულია“, გამოაცხადა ბოლოს.

„ოქვენი ბანქოა, გენერალო“, უპასუხა უილსონმა.

ასეც იყო, მაგრამ გენერალმა სათითაოდ გასინჯა ქაღალდი და ბოლოს ახლის მოტანა ბრძანა. უილსონმა სულის მოთქმის საშუალება არ მისცა. ჭრიჭინები ღუმდნენ, სიჩუმემ მხოლოდ ნიავი მოძრაობდა, რომელსაც მცხუნვარე ველების სურნელი მოჰქონდა. მამალმა სამჯერ დაიყივლა.

„ბაგიჟდა“, აღნიშნა იბარამ, „ორ საათზე მეტი არ იქნება“.

„ადგილიდან არავინ დაიძრას!“ ქაღალდისთვის თვალმოუცილებლად ბრძანა გენერალმა. მოთამაშეები გაისუსნენ. გენერალმა კარენიომ, რომელიც ხათრით უფრო თამაშობდა, ვიდრე ინტერესით, თავისი ცხოვრების ყველაზე გრძელი ღამე გაიხსენა, როცა ბუკარამანგაში ოკანიას კონვენციის შედეგებს უცდიდნენ. თამაში სადამოს ცხრა საათზე დაიწყეს და მეორე დღის თერმეტ საათზე დაამთავრეს, ისიც — როცა გენერალს სამი ხელი მოაგებინეს ზედიზედ. გუადუასში იგივე რომ არ განმეორებულიყო, კარენიომ უილსონს ანიშნა, წაგება დაეწყო, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია. როცა უილსონმა ხუთწუთიანი შესვენება ითხოვა, ტერასაზე გაჰყვა, სადაც უილსონმა ნემსიწვერას ქოთნებს გადაალვარა ამაკით გაჟღენთილი ბოდმა.

